იურისტების სამყარო

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

რამაზ კვარაცხელია

ყაჩაღობის კვალიფიკაციის და გამოძიების პრობლემები

(საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და კომენტარი)

თბილისი, 2014
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

ნაშრომი წარმოადგენს ყაჩაღობის კვალიფიკაციის პრობლემების განხილვისა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის გაანალიზების შედეგს.

მასში განხილულია ყაჩაღობის გამოძიების მეთოდიკა და ტაქტიკა, გამოყენებულია პრაქტიკული მაგალითები.

ნაშრომი განკუთვნილია შინაგან საქმეთა, პროკურატურის, სასამართლოს მუშაკების, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის. ის ასევე ხელს შეუწყობს ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი დახასიათებით და გამოძიების მეთოდიკით დაინტერესებულ ყველა პირს.

რედაქტორები:

ოთარ გამყრელიძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ფრიდონ დიასამიძე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პრორექტორი

რეცენზენტები:

გელა აბესაძე, სამართლის დოქტორი, პოლიციის პოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) I მთავარი სამმართველოს უფროსი

დავით ხობელია, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

იოსებ ვარძელაშვილი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს უფროსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო", 2014.

ISBN 978-9941-0-6479-1

გამომცემლობა „იურისტების სამყარო"

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ:. 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;
https://www.facebook.com/PublishingHouselawyersworld

სარჩევი

რედაქტორისგან 7
შესავალი 9
ნაწილი პირველი
ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაცია

თავი I. ყაჩაღობის ისტორიული მიმოხილვა. ყაჩაღობის ცნება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით 12
§1. ყაჩაღობა ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით 12
§2. სისხლის სამართლის კოდექსებში ყაჩაღობის დისპოზიციის განვითარების ეტაპები 15
§3. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში ყაჩაღობის ცნების მიმოხილვა 17
თავი II. ყაჩაღობის ზოგადი შემადგენლობა 22
§1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა 22
ა). თავდასხმის ცნება 22
ბ). სამართლებრივი სიკეთე 29
გ). დაუფლების ცნება 37
დ). ფსიქიკური ძალადობის ცნება 42
ე). ფიზიკური ძალადობის ცნება 57
§2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა 63
ა). განზრახვა 63
ბ). სპეციალური განზრახვა 86
გ). შეცდომა 87
დ). დაზარალებულის შეცდენა 88
ე). ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშანი 88
თავი III. ქმედების კვალიფიკაციის სპეციალური საკითხები . 90
§1. დანაშაულთა ერთობლიობა 90
ა). ყაჩაღობის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების კვალიფიკაცია; 91
ბ). ყაჩაღობის დროს ჯანმრთელობის დაზიანების კვალიფიკაცია; 91

გ). ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია; 98
დ). ყაჩაღური თავდასხმის გზით განსაკუთრებული ღირებულების ნივთების დაუფლება და მისი კვალიფიკაცია 112
§2. დაუმთავრებელი დანაშაული 119
ა). ყაჩაღობის მომზადება და მისი მცდელობის პრობლემა .119
თავი IV. ყაჩაღობის ამსრულებლობა და ყაჩაღობაში თანამონაწილეობა 129
§1. თანამონაწილეობის ცნება 129
§2. ამსრულებელი (შუალობითი ამსრულებელი) 135
§3. ორგანიზატორი 146
§4. წამქეზებელი 150
§5. დამხმარე 153
თავი V. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი 163
§1. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი163
ა). ყაჩაღური თავდასხმის მართლწინააღმდეგობა (უმართლობა); 163
ბ). ჩადენილი თავდასხმის უმართლობის ხარისხის დადგენის კრიტერიუმები; 163
გ). აუცილებელი მოგერიების უფლების წარმოშობა; 164
§2. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი 171
ა). ყაჩაღური უმართლობის შერაცხვა, როგორც ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველი; 171
ბ). ბრალის შერაცხვის საფუძვლები; 171
გ) ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები 173
თავი VI. ყაჩაღობის სპეციალური ნორმები 180
§1. ყაჩაღობის დამატებითი მაკვალიფიცირებელი ნიშნების ზოგადი დახასიათება.....180
§2. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები 182

ა). ყაჩაღობა ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით 182
ბ). ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად 185
გ). ყაჩაღობა ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ 191
§3. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები 193
ა) ყაჩაღობა ჩადენილი არაერთგზის; 193
ბ). ყაჩაღობა ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით; 195
გ). ყაჩაღობა ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით 196
§4. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები 197
ა). ყაჩაღობა ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ; 197
ბ). ყაჩაღობა ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მისაკუთრების ან გამოძალვისათვის 199
თავი VII. ყაჩაღობის შემადგენლობის მსგავსი დელიქტების მიმოხილვა 201
§1. ბანდიტიზმისაგან ყაჩაღობის გამიჯვნის პრობლემა 201
§2. ძარცვის სისხლისსამართლებრივი დახასიათება 202
§3. გამოძალვის სისხლისსამართლებრივი დახასიათება 210

ნაწილი მეორე
ყაჩაღობის გამოძიების მეთოდიკა და ტაქტიკა

თავი I. ყაჩაღობის ფაქტზე დასადგენი გარემოებები 212
$ 1. ყაჩაღობის კრიმინალისტიკური დახასიათება 212
$2. ყაჩაღობის გამოძიებისას დასადგენი გარემოებები და მათი დადგენის ხერხები. 222
თავი II. ყაჩაღობის გამოძიების მიმართულება საგამოძიებო სიტუაციებში და ვერსიების აგება 227
$1. საგამოძიებო სიტუაციის ცნება და ზოგადი დახასიათება 227

§2. ყაჩაღობის ფაქტზე არსებული საგამოძიებო სიტუაციები 229
§3. ყაჩაღობის ფაქტზე არსებული საგამოძიებო სიტუაციების შესაბამისი საგამოძიებო ვერსიები 230
§4. ყაჩაღობის ფაქტზე არსებული ვერსიების შემოწმების მიზნით გასატარებელი დეტალური გეგმები და ტაქტიკური ოპერაციები 234
თავი III. ყაჩაღობის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების ტაქტიკის თავისებურებანი 245
§1. ყაჩაღობის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა 245
ა). შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება და ზოგადი დახასიათება 245
ბ). ყაჩაღური თავდასხმის ადგილის დათვალიერების ტაქტიკის თავისებურებანი 250
გ). დაზარალებულის დაკითხვა 261
დ). მოწმეთა დაკითხვა 265
ე). დაზარალებულის ტანსაცმლის დათვალიერება და დაზარალებულის შემოწმება 266
ვ). ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკური ხერხები 272
ზ). საგამოძიებო ექსპერიმენტი 277
დასკვნა 281
გამოყენებული ლიტერატურა 305

რედაქტორისგან

თქვენს ხელთ არსებული მონოგრაფია წარმოადგენს ავტორის მიერ რამდენიმე წლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის შედეგს, სადაც განხილულია საქართველოში უძველესი დროიდან ცნობილი და საკმაოდ გავრცელებული დანაშაულის „ყაჩაღობის“ სისხლისსამართლებრივი ბუნება და აღნიშნული დანაშაულის გამოძიების დროს არსებული ტაქტიკური და მეთოდოლოგიური პრობლემები.

წარმოდგენილი ნაშრომის ავტორმა ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის კვლევას სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა. თუმცა დისერტაცია მხოლოდ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებული თეორიული პრობლემის გადაჭრის მცდელობით შემოიფარგლა, რაც პრაქტიკაში ყაჩაღობასთან ბრძოლის რეალური პრობლემის გადაჭრის პანაცეა ვერ იქნება.

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ბუნება და შესაბამისად მისი გამოძიების პრობლემა დღესაც აქტუალურია. თანაც ქართული რეალობის გათვალისწინებით, აღნიშნული პრობლემის კომპლექსური კვლევა დღემდე არ ჩატარებულა, რაც საფუძვლი გახდა კვლევის ჩატარების და შესაბამისად წარმოდგენილი ნაშრომის შექმნისა. ავტორი წლების განმავლობაში ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, კითხულობს ლექციებს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში სისხლის სამართლის მიმართულებით, ასევე გააჩნია გამოძიების მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილება.

ნაშრომის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ მასში გადმოცემულია არა მხოლოდ ყაჩაღობის კვალიფიკაციის თეორიული პრობლემა, არამედ მისი გამოძიების რეალიზაციის ფორმები და მეთოდები.

წარმოდგენილი ნაშრომი მომზადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, სადაც ავტორი უძღვება თეორიულ და პრაქტიკულ ლექციებს სისხლის სამართლის დანაშაულთა კვალიფიკაციაში, გამოძიების ტაქტიკასა და მეთოდიკაში.

ყაჩაღობა მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომელიც შესაბამისად ითვალისწინებს სასჯელის

მკაცრ ფორმას, ამიტომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ კვალიფიკაციას, რამეთუ გამოძიებაში დაუსაბუთებელმა მიდგომამ შეიძლება სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს და რამდენიმე წლით უკანონოდ აღვუკვეთოთ თავისუფლება ამ შემთხვევაში „უდანაშაულო", ყაჩაღობის არ ჩამდენ პირს.

წარმოდგენილი ნაშრომი თეორიული მცდელობაა ,,ყაჩაღობასთან ბრძოლისა", რაც გამოიხატება სამართალდამცავი ორგანოების მიერ სწორად დაგეგმილ და განხორციელებულ ოპერატიულ და საგამოძიებო მოქმედებებში და ასახვას ჰპოვებს ყაჩაღობის ზუსტად დაკვალიფიცირებაში.

მონოგრაფიის მნიშვნელოვან ღირებულებას ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ იგი შესრულებულია კარგი სალიტერატურო ქართულით, რაც აადვილებს გადმოცემული სამართლებრივი პრობლემის არსის გააზრებას. ვფიქრობთ, აღნიშნული გაუადვილებს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, თეორიტიკოს მკვლევარებს და პრაქტიკოს მუშაკებს სწორად ჩაწვდნენ ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსს და ადექვატურად განახორციელონ ყაჩაღობის საქმეზე დასადგენი გარემოებები, გასატარებელი ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებები, რაც აუცილებელია საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად.

წინამდებარე ნაშრომი დროული მცდელობაა, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს პრაქტიკოსებს ყაჩაღობის გამოძიების დროს განსახორციელებელი ოპერატიულ - საგამოძიებო მოქმედებების სწორად დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომელიც საბოლოოდ სამართლიან შედეგზე აისახება.

წარმოდგენილი ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში გადმოცემულია ყაჩაღობა და მისი მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების განსაზღვრის პრობლემა, ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს ყაჩაღობის გამოძიების ტაქტიკას და მეთოდიკას.

და ბოლოს, მადლიერებით მინდა ავღნიშნო, რომ წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია სისხლისსამართლებრივი ლიტერატურით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
აკადემიის პრორექტორი,
პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი
ფრიდონ დიასამიძე

შესავალი

ნაშრომი წარმოადგენს ყაჩაღობის კვალიფიკაციის, გამოძიების პრობლემების განხილვისა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის გაანალიზების შედეგს, მასში ასახვა ჰპოვა სისხლის სამართლისა და გამოძიების მეთოდიკის ტრადიციულმა პრობლემამ, რომელიც დღესაც მეტად აქტუალურია.

მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობის კვალიფიკაციის პრობლემებზე 2010 წელს გამოიცა ჩემი სადოქტორო დისერტაცია „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის", რომელშიც დეტალურად იყო განხილული ყაჩაღობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები, აუცილებელი გახდა რამდენიმე ძირეული საკითხის უფრო საფუძვლიანად და კომპლექსურად განხილვა. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ პრობლემის კომპლექსურ შესაწავლას, როგორც სისხლისსამართლებრივ, ასევე ოპერატიულ-სამძებრო და გამოძიების წარმოების ტაქტიკის კუთხით.

ნაშრომის პირველ ნაწილში მოცემულია ყაჩაღური თავდასხმის, სხვისი ნივთის დაუფლებისა და მისაკუთრების ცნებები. განხილულია ფსიქიკური ძალადობისა და უვარგისი იარაღით თავდასხმის კვალიფიკაციის პრობლემები, ფიზიკური ძალადობა, ყაჩაღობის მომზადებისა და მცდელობის პრობლემა, ანგარებითი მკვლელობისა და ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაციის პრობლემები და ყაჩაღობის ყველა მაკვალიფიცირებელი ნიშანი.

წიგნის მეორე ნაწილი ეხება ყაჩაღობის გამოძიების მეთოდიკას და ტაქტიკას, რომელიც სამი თავისგან შედგება.

პირველი თავი ეთმობა ყაჩაღობის ფაქტზე დასადგენ გარემოებებს, რომელშიც შედის: ყაჩაღური თავდასხმის კრიმინალისტიკური დახასიათება, ყაჩაღობის გამოძიებისას დასადგენი გარემოებები და მათი დადგენის ხერხები. ამ საკითხების კვლევა მიზანშეწონილად ჩავთვალეთ იმდენად, რამდენადაც ყაჩაღობის გამოძიების პროცესში საჭიროა და აუცილებელია განისაზღვროს იმ დასადგენ გარემოებათა წრე, რომლებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ყაჩაღური თავდასხმის გახსნისა და მისი სწორად კვალიფიკაციისათვის.

ყაჩაღური თავდასხმის საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ბრალდებულის, როგორც მამხილებელი ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

გამოძიების მიმდინარეობისას გულდასმით უნდა შემოწმდეს ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობის და ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევის თაობაზე. თუ არ დადგინდა ფაქტიურად ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ასევე მისი ყველა გარემოება, თუ არ გვექნება მისი კრიმინალისტიკური დახასიათება, მაშინ ფაქტიურად ჩადენილი ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის დადგენაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მეორე ნაწილის მეორე თავში განხილულია ყაჩაღობის გამოძიების მიმართულება საგამოძიებო სიტუაციებში და ვერსიების აგების საკითხი, სადაც დეტალურადაა გამოკვლეული საგამოძიებო სიტუაციის ცნება და ზოგადი დახასიათება, ყაჩაღობის ფაქტზე არსებული საგამოძიებო სიტუაციები და მისი შესაბამისი საგამოძიებო ვერსიები და ყაჩაღობის ფაქტზე არსებული ვერსიების შემოწმების მიზნით გასატარებელი დეტალური გეგმები და ტაქტიკური ოპერაციები.

დანაშაულის გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურაში მნიშვნელოვანია საგამოძიებო სიტუაციისა და საგამოძიებო ვერსიების ცნების საკითხის განხილვა. ჩვენი აზრით, საგამოძიებო სიტუაციის შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნეს მტკიცებულებების საფუძველზე არსებული ინფორმაცია, რაც მოგვცემს სიტუაციის ობიექტურად შეფასების საშუალებას. ამასთან, გამომძიებლის მიერ შემუშავებული ვერსიები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საგამოძიებო სიტუაციის შეფასებას, რადგან ის ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს, ამიტომ მიგვაჩნია, რომ საგამოძიებო სიტუაციის შესწავლა და ამ კუთხით ნაშრომში ყურადღების გამახვილება ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება, ყაჩაღობის ფაქტზე არსებული ვერსიების შემოწმების მიზნით გასატარებელ დეტალურ გეგმებს და ტაქტი-

კურ ოპერაციებს, უნდა აღინიშნოს, რომ ვერსიების შემოწმების მიზნით ნაშრომში შემუშავებულია გამოძიების დეტალური გეგმები ვინაიდან გამოძიების ყველაზე ოპტიმალური ხერხია: ტაქტიკური ოპერაციების, ან მათი კომპლექსის თანმიმდევრულად ან პარალელურად გატარება.

მესამე თავში კი ყურადღება გამახვილებულია, ყაჩაღობის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების ტაქტიკის თავისებურებებზე, სადაც კომპლექსურადაა გადმოცემული ყაჩაღობის საქმეზე ღია საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა, კერძოდ: ყაჩაღური თავდასხმის ადგილის დათვალიერების ტაქტიკის თავისებურებანი, დაზარალებულის, მოწმის, ბრალდებულის დაკითხვის, დაზარალებულის ტანსაცმლის დათვალიერების და დაზარალებულის შემოწმების და საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკური ხერხები.

წინამდებარე ნაშრომი კიდევ ერთი ცდაა ყაჩაღობის კვალიფიკაციისა და გამოძიების კომპლექსურ ფორმატში კვლევის, რომელიც ხელს შეუწყობს ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათებით დაინტერესებულ ყველა პირს თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში.

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზანია იურიდიული, ფსიქოლოგიური, სხვა გამოყენებული ლიტერატურის, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების შედეგად ჩამოაყალიბოს ყაჩაღობის სწორი კვალიფიკაციისა და გამოძიების ორიგინალური გზები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის
სამაგისტრო სკოლის უფროსის მოადგილე,
პროფესორი, სამართლის დოქტორი
რამაზ კვარაცხელია

ნაწილი პირველი

ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაცია

თავი I. ყაჩაღობის ისტორიული მიმოხილვა. ყაჩაღობის ცნება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

§1. ყაჩაღობა ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით

საქართველოში უძველესი დროიდან დიდი ყურადღება ექცეოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას.

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა ცხადყოფს, რომ საქართველოში მოქმედი ქართული სამართლის ძეგლებში აღწერილ დანაშაულთა დისპოზიციები არსებულ დროსთან შედარებით მაღალი დონის იყო. მაგალითად, ქონების დაუფლების მიზნით ჩადენილი მკვლელობა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლებოდა და მას „მეკობრეობა" და „ავაზაკობა" ეწოდებოდა, ხოლო მის ჩამდენ პირს „მეკობრე" და „ავაზაკი". არსებული წყაროებიდან ირკვევა, რომ დაზარალებულს „მიმძლავრებული" ეწოდებოდა. (VI მსოფლიო კრების ძეგლისწერა 130 და ბასილი ეზოს მოძღვარი, თამარის მეორე ისტორიკოსი).[1]

ფაქტიურად ანგარებით მკვლელობას სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად მიიჩნევდნენ, თუმცა როგორ ხდებოდა ანგარებითი მკვლელობისა, ქურდობის და ყაჩაღობის დროს ჩადენილი მკვლელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ძნელი სათქმელია, მაგრამ როგორც წყაროების შესწავლით ირკვევა, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში" ტერმინები - მოპარვა და სამეკობრო საქმე ერთი და იგივეა. „ძეგლისდებაში" საუბარია ცხენის მოპარვაზე, რაშიც ფარული მოქმედებაა ნაგულისხმევი. სიტყვები „მპარავობა" და „მეკობრეობა" უფრო ფართო მნიშვნელობისა იყო, ვიდრე ქურდობა.[2]

---

1 ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII. 1983 წ. გვ. 225.

2 ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1983 წ., გვ. 46-47.

საქართველოში ძველად სხვისი ქონების ფარულად მითვისებას „პარვა" ერქვა, ხოლო მიმთვისებელს - „მპარავი". როდესაც მიმთვისებელი ცხადად მოქმედებდა და ძალით იტაცებდა, მაშინ ამას „რბევა"-ს და „მიმძლავრება"-ს, მომქმედ პირს კი „მძლავრებელ"-ს ეძახდნენ.[3]

ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოში საკმაო ისტორია აქვს. მპარავთმძებნელის ინსტიტუტის ნაცვლად სვიმონ მეფის სიგელში მეკობრეთმძებნელი დამკვიდრდა, ხოლო სახელის შინაარსი, დაახლოებით, იგივე დარჩა. სვიმონ მეფის სიგელშიც მეკობრეთმძებნელი სპეციალური მოხელეა, რომლის მოვალეობას საკუთრების უფლების დაცვა შეადგენს. „დამნაშავეს, რომელიც საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულს ჩაიდენს, ძეგლში ქურდი ეწოდება," ხოლო ქურდობას, როგორც დანაშაულის სახეს - მოპარვა. პროფ. ივ. სურგულაძეს მიაჩნია, რომ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში" ტერმინები - მოპარვა და სამეკობრო საქმე ერთი და იგივეა. „ძეგლისდებაში" საუბარია ცხენის მოპარვაზე, რაშიც ფარული მოქმედებაა ნაგულისხმევი. სიტყვები „მპარავობა" და „მეკობრეობა" უფრო ფართო მნიშვნელობისა იყო, ვიდრე ქურდობა. მეკობრე და მპარავი სხვის ნივთს ჩუმად ან ხშირად აშკარად იტაცებდა, ე. ი. სხვისი ქონების აშკარა გატაცება - ძარცვის ან ყაჩაღობის ნიშნებითაც ხასიათდებოდა.[4]

როცა საქართველოში საგვარეულო წესწყობილება იყო, მაშინ მხოლოდ ერთსა და იმავე გვარისშვილობაში ჩადენილი მეკობრეობა, პარვა და რბევა ითვლებოდა სამარცხვინოდ. მაგალითად, თუ ამ გვარისშვილი ამგვარ საქმეებს თავის თანამოგვარეთა შორის ჩაიდენდა ეს საძრახისად ჩაითვლებოდა, ხოლო სხვა გვარის დარბევა, გაცარცვა და გაქურდვა თუნდაც ეს ნავარდობა მკვლელობით დამთავრებულიყო სასახელო საქმედ მიაჩნდათ.

VIII-XIII ს.ს. საქართველოში საგვარეულო წესწყობილების დარღვევისა და სახელმწიფო მოქალაქეობრივი და მამულიშვილური მიდგომის დამკვიდრების შემდეგ მეკობრეობა, პარვა და

3 ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII. 1983 წ. გვ. 227.

4 გ. ლობჟანიძე, გ. ღლონტი. კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა. თბ. 2004 წ. გვ. 21.

რბევა აღიარებულ იქნა ბოროტმოქმედებად და მის ჩამდენთა მიმართ მკაცრი სასჯელი დაწესდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვა, მეზობელი სახელმწიფოს მცხოვრების გაცარცვა დანაშაულად არ ითვლებოდა.[5]

საქართველოში მეფეების მიერ გატარებულმა მკაცრმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო. XII საუკუნეში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება გაცილებით უფრო მშვიდი იყო, რადგან პრაქტიკულად არ ხდებოდა პარვა და ავაზაკობა. მაგალითად, თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ „ჟამთა მისთა არა იყო მიმძლავრებული, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავი"-ო. ქვეყანაში ასეთი კრიმინოგენული მდგომარეობა უნდა აიხსნას იმ პერიოდში საქართველოს მეფის გიორგი III-ს მიერ მოწვეული საკანონმდებლო კრების დროს დაწესებული მკაცრი სასჯელების შემოღებით.[6]

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თამარ მეფის დროს ყოველგვარი დანაშაულისათვის სასჯელი შემცირებული იყო, მხოლოდ მეკობრეებისთვის იყო მკაცრი სასჯელი დაწესებული. (ბასილი ეზოს მოძღვარი).

ჟამთააღმწერელის ცნობიდან ირკვევა, რომ საქართველოში XIII ს. შუა წლებშიც მეკობრეობისათვის ისევ მკაცრი სასჯელი ყოფილა დაწესებული. ამ ავტორის სიტყვებით მესტუმრე ჯიქურის ზეობის დროს ულუ-დავითის „სამეფოსა მპარავი და ავაზაკი არა იპოვებოდა, თუ სადა გაჩნდეს, ძელსა ჩამოჰკიდიან"-ო.[7] იგივე წყაროს ცნობით XIII საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშში ბედიან დადიანის ჯონშერის ძის გონიერი მმართველობის წყალობით „მპარავი და ძვირის მოქმედი არა იპოვებოდა."[8]

როგორც ვხედავთ, საქართველოს ისტორიისათვის საკუთრების წინაარმდეგ მიმართულ დანაშაულთა ფორმები არც თუ უცხოა, მაგრამ XVI-XVIII საუკუნეებში განსაკუთრებით, ფართოდ გავრცელდა ისეთი საშიში სახეობები, როგორიც არის

---

5 ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII. 1983 წ. გვ. 226.

6 ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII. 1983 წ. გვ. 226.

7 ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII. 1983 წ. გვ. 227.

8 ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII. 1983 წ. გვ. 229.

გზებზე ყაჩაღობა და ადამიანების მოტაცება, რომლებიც წარმოადგენდა საქართველოში დანაშაულებრივი ქცევის ძირითად ორგანიზებულ ფორმებს XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე.

§2. სისხლის სამართლის კოდექსებში ყაჩაღობის დისპოზიციის განვითარების ეტაპები (1922 წლის კოდექსიდან 1999 წლის 22 ივლისს მიღებულ კოდექსამდე)

ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ თუ როგორ იყო ჩამოყალიბებული ქართული სამართლის ძეგლებში ყაჩაღობის დისპოზიცია და როგორ ისჯებოდა ის მეფის დროინდელ საქართველოში. ამ პუნქტში კი განვიხილავთ საქართველოში საბჭოთა პერიოდიდან დღემდე მიღებულ კოდექსებში ყაჩაღობის დისპოზიციებს და იმას თუ რა სახის ტრანსფორმაცია განიცადა მუხლმა, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა ყაჩაღობისათვის 1922 წელს მიღებული კოდექსიდან 1999 წლის 22 ივლისს მიღებულ კოდექსამდე.

XX საუკუნის 20-იან წლებში ჩატარდა საკანონმდებლო რეფორმა, რომლის შედეგად შეიქმნა საბჭოური ეპოქის პირველი ორი კოდექსი (1922, 1928 წწ.)

1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე მუხლის მიხედვით ყაჩაღობა იყო „ქონების გატაცების მიზნით სააშკარაოდ თავდაცემა ცალკე პირისა ვისმეზე, რასაც თანა სდევდა ძალადობა, რომელიც დაზარალებულს სიკვდილს ან დაშავებას უქადდა.“[9]

1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის თანახმად: ყაჩაღობაა „სხვისი ქონების წართმევის მიზნით, თუნდაც ერთი პირის სააშკარაოდ თავდაცემა, რასაც თან სდევდა დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის დამუქრება;

იგივე მოქმედება, უკეთუ იგი ჩადენილია განმეორებით, ან თუნდაც პირველადაა ჩადენილი, ხოლო მას თან მოჰყვა სიკვდილი ან მძიმე დაშავება;

---

9 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ცვლილებებითა და დამატებებით 1925 წლის 1 ნოემბრამდე) ტფილისი, 1925 წ. გვ. 51.

შეიარაღებული ყაჩაღობა."[10]

საქართველოს 1960 წლის სისხლი სამართლის კოდექსში არსებობდა ორი სახის ყაჩაღობის ცნება: 1). სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლი: „ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების მიზნით" და 2). სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლი: „ყაჩაღობა". პირველ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლით განსაზღვრული ყაჩაღობის დისპოზიცია შედგენილი იყო შემდეგნაირად: „ყაჩაღობა, ე. ი. თავდასხმა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა" სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის დისპოზიცია კი განიმარტებოდა შემდეგნაირად: „ყაჩაღობა, ე. ი. თავდასხმა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა."

როგორც ვხედავთ, 1960 წლის კოდექსში ცალცალკე იყო ჩამოყალიბებული სახელმწიფო და პირადი ქონების ყაჩაღური გზით დაუფლების ცნებები.

ამ მხრივ განსხვავებულია საქართველოს მოქმედი (1999 წლის) სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ყაჩაღობის ჩადენისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის თანახმად ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით.

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის I და II ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (ყაჩაღობა) განეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება მისი მომზადებაც. მცდელობა კი საერთოდ შეუძლებელია ყაჩაღობის დროს.

რაც შეეხება, სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილს, იქ ჩამოყალიბებულია ისეთი დამამძიმებელი გარე-

10 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1928 წლის რედაქციით (ცვლილებებით 1935 წლის 31 დეკემბრამდე) ტფილისი, 1936 წ. გვ. 73.

მოებები როგორიცაა: ყაჩაღობის ჩადენა ა) სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით; ბ) ყაჩაღობის ჩადენა ჯგუფურად; გ) ყაჩაღობის ჩადენა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილში არის შემდეგი მაკვალიფიცირებელი ნიშნები: ყაჩაღობის ჩადენა ა) არაერთგზის; ბ) ბინაში უკანონო შეღწევით; გ) დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით;

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლს გააჩნია ასევე IV ნაწილი, რომელშიც ჩამოთვლილია შემდეგი დამამძიმებელი გარემოებები: ყაჩაღობის ჩადენა: ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მარლთსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის; სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III, IV ნაწილით გათვალისწინებული ქმედება განეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და ისჯება მისი, როგორც ჩადენა, ასევე მომზადება.

§3. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში ყაჩაღობის ცნების მიმოხილვა

ყაჩაღობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ყაჩაღობის დისპოზიციების შესწავლა და შედარება.

ამერიკის შეერთებული შტატებში „**The Uniform Crime Reports**"-ის მიხედვით ყაჩაღობა განიმარტება, როგორც „პიროვნების ან პიროვნებების მიერ ზედამხედველობის, მეურვეობის ან კონტროლის ქვეშ მყოფი ქონების გამოძალვა ან რაიმე ღირებულის წართმევის განზრახვა ძალადობის გამოყენებით, ან ძალადობის გამოყენების მუქარით ან ძალმომრეობით ან/და მსხვერპლის შეშინებით,."

მსხვილი საქალაქო ოლქების სისხლის სამართლის დანაშაულზე „**Bureau of Justice Statistic**"- 1992 წლის მოხსენება განმარტავს ყაჩაღობას, როგორც „უკანონოდ გამოძალვას რაიმე ღირებულისა ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით."

კალიფორნიის სისხლის სამართლის კოდექსის 211-ე პარაგრაფის მიხედვით ყაჩაღობა არის სხვისი პირადი ქონების ძალით მიტაცება იმ პიროვნებისგან, რომლის მფლობელობაშიცაა ეს ქონება, ან მისი უშუალო თანდასწრებით და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ძალადობით ან შეშინებით.

ლუიზიანაში არსებობს გაძლიერებული ყაჩაღობის კანონი, რომლის მიხედვითაც გაძლიერებული ყაჩაღობა არის სხვისი ქონების ან რაიმე ღირებულების მიტაცება, სხეულის განზრახ მძიმედ დაზიანებით (სხეულის სერიოზული დაზიანება).

ამავე კანონის მიხედვით „სხეულის სერიოზულ დაზიანებად" ითვლება, როცა დაზიანება იწვევს ექსტრემალურ ფიზიკურ ტკივილს, სხეულის აშკარა დამახინჯებას, სხეულის რომელიმე ორგანოს ფუნქციის დაკარგვას ან თუ შექმნა სიცოცხლის მოსპობის რეალური საფრთხე.

კენტუკის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ყაჩაღობა ორი კატეგორიისაა: I. (1) პირი ჩაითვლება პირველი კატეგორიის ყაჩაღობის ჩადენაში დამნაშავედ, თუ ის დანაშაულის ჩადენის დროს, ქურდობის (საუბარია ქონების დაუფლებაზე) დასრულების მიზნით იყენებდა ძალადობას ან იმუქრებოდა ფიზიკური ძალადობის გამოყენებით და:

(ა) მან გამოიწვია ფიზიკური დაზიანება ნებისმიერი პირისა, რომელიც არ არის დანაშაულის მონაწილე; ან

(ბ) ის შეიარაღებული იყო სიცოცხლისათვის საშიში იარაღით; ან

(გ) ის იყენებდა ან იმუქრებოდა, რომ უშუალოდ გამოიყენებდა საშიშ იარაღს (საშუალებას) ნებისმიერი პირის საწინააღმდეგოდ, რომელიც არ იყო დანაშაულის მონაწილე.

II. მეორე კატეგორიის ყაჩაღობა

(1) პირი ჩაითვლება მეორე კატეგორიის ყაჩაღობის ჩადენაში დამნაშავედ, თუ ის ქურდობის ჩადენისას, ქურდობის დასრულების მიზნით იყენებდა ან იმუქრებოდა ფიზიკური ძალადობის უშუალო გამოყენებით.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ზოგადად ყაჩაღობის (Raub) კატეგორიას, რომელიც მოიცავს ყაჩაღობას, მძიმე ყაჩაღობას, ყაჩაღობას, რომელსაც სასიკვდილო შედეგი მოჰყვა, ყაჩაღური ქურდობა, ყაჩაღური გამოძალვა და სხვ.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 249-ე მუხლის მიხედვით „ვინც ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით დაეუფლება სხვის მოძრავ ნივთს მისაკუთრების ან სხვისთვის გადაცემის მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით არანაკლებ ერთი წლისა.“

შესაძლებელია უფრო მაღალი სასჯელითაც.

ყაჩაღობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში:

1. ისჯება თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ 3 წლით.

ა). იარაღის ან სხვა საშიში საშუალების გამოყენების მუქარით;

ბ). დაზარალებულის წინააღმდეგობის თავიდან აცილების ან დაძლევის მიზნით იარაღის ან სხვა საგნის გამოყენებით;

გ). დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით;

2. ისჯება თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ 5 წლით.

ა). იარაღის ან სხვა საშიში საშუალების გამოყენებით;

ბ). ფიზიკური ძალადობა (წამება) დაზარალებულის სიცოცხლისათვის საშიში დაზიანების მიყენებით.

ყაჩაღობა, რომელიც გამოიწვევს დაზარალებულის სიკვდილს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან თხუთმეტ წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

აქედან ჩანს, რომ კოდექსში ყაჩაღობა (Raub) განმარტებულია ვიწრო გაგებით, ვიდრე ყაჩაღობა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ყაჩაღობა, რომელსაც სასიკვდილო შედეგი მოჰყვება ჩადენილია, როცა შემსრულებელი „ძარცვის შესრულებისას... უყურადღებოდ იწვევს სხვა პირის სიკვდილს....“ ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში ეს კატეგორია მიეკუთვნება სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიას და შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მკვლელობა.

„ყაჩაღურ ქურდობად“ ითვლება შემთხვევა, როცა ამსრულებელი, „დაკავებულია ქურდობის დროს და იყენებს ძალადობას პირის საწინააღმდეგოდ, ან ემუქრება სიცოცხლის ხელყოფით, მოპარული ქონების შენარჩუნების მიზნით...“

საინტერესოა ასევე გერმანიის კოდექსში ყაჩაღური გამოძალვის მუხლის არსებობა. გამოძალვა ჩადენილია პირის მიერ,

რომელიც „ძალის გამოყენებით ან მუქარით პირს აიძულებს ჩაიდინოს დანაშაული, უსიტყვოდ დათანხმდეს შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე ქმედება, რაც იწვევს მსხვერპლის ან სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მიყენებას, პირადი ან მესამე პირის გამდიდრების მიზნით... ."

„ყაჩაღურ გამოძალვად" ითვლება ქმედება, როცა გამოძალვა „ხდება პირის მიმართ ძალის გამოყენებით, ან სიცოცხლის დაუყოვნებლივ ხელყოფის მუქარით...," ერთი შეხედვით, ეს დანაშაული ამერიკული კანონმდებლობის ფარგლებში უფრო ახლოსაა გამოძალვასთან, ვიდრე ყაჩაღობასთან, მაგრამ გერმანულ კანონმდებლობაში ყაჩაღობა უფრო ვიწროდ გაგებული კატეგორიაა, ვიდრე ყაჩაღობა ამერიკულ კანონმდებლობაში. ყაჩაღობას ესაჭიროება აქტიური ქმედება ამსრულებლის მიერ. თუკი ქონების გადაცემა ხდება გადატენილი იარაღის მსხვერპლის თავთან მიდებით, ასეთ შემთხვევაში დანაშაული განეკუთვნება „ყაჩაღურ გამოძალვას". ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო მეტად შესაძლოა ყველა შემთხვევა „ყაჩაღური გამოძალვისა" ჩაითვალოს მხოლოდ ყაჩაღობად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ყაჩაღობა და გამოძალვა არის ფორმალური შემადგენლობის დელიქტები. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კი ყაჩაღობა მატერიალური შემადგენლობისაა და დამთავრებულად ითვლება ქონების დაუფლების შემთხვევაში, ხოლო გამოძალვა ფორმალური შემადგენლობისაა, ამიტომ თუ გამოძალვის დროს ადგილი ექნება პირის მიმართ ძალის გამოყენებას, ან სიცოცხლის დაუყოვნებლივ ხელყოფის მუქარას, იგი ჩაითვლება ყაჩაღურ გამოძალვად. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ზოგიერთ მუხლს მითითებული აქვს, რომ სხვისი ქონების უკანონოდ მითვისების (მისაკუთრების) მცდელობა სასჯელის ღირსია, მაგრამ ასეთ მითითებას ყაჩაღობის მუხლი არ იცნობს, აღნიშნული კი საკანონმდებლო ტექნიკის შედეგია და სულაც არ გამორიცხავს ყაჩაღობის მცდელობის დასჯადობას. ამდენად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით ყაჩაღობის მცდელობაც დასჯადია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

ყაჩაღობად არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ისეთი ქმედება, როცა თავდამსხმელმა მოითხოვა უძრავი ქონების თავის მფლობელობაში გადაცემა. მაგალითად, დუმბაძე თავს დაესხა პირს, რომელსაც ძალადობის გამოყენებითა და მოკვლის მუქარით მოსთხოვა ჩუქების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რათა მისთვის გადაეცა საკუთრების უფლებით ზღვისპირას მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული აგარაკი, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი არ გამოგვადგება, ვინაიდან, ხსენებული მუხლის დისპოზიციაში საუბარია სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მიზნით თავდასხმაზე, ხოლო აგარაკი არის უძრავი ნივთი და ამდენად ყაჩაღობის მუხლით ამ სახის თავდასხმის კვალიფიკაცია არ იქნება მართებული.

§1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა). თავდასხმის ცნება

სისხლის სამართლის კანონი იცნობს ისეთ დანაშაულებს, რომელთა ერთ-ერთ ნიშანს შეადგენს თავდასხმა, მაგრამ ისევე როგორც ყველა დანაშაული, თავდასხმაც ინდივიდუალურია. მაგალითად, მკვლელობის დროს განხორციელებული თავდასხმა არსებითად განსხვავდება გაუპატიურების დროს განხორციელებული თავდასხმისაგან, რადგან თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი ნიშანი, რითაც შესაძლებელია მათი ერთმანეთისაგან განსხვავება.

თავდასხმა წესით უნდა მოიცავდეს ერთ შინაარსს, მაგრამ მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით ყოველ დანაშაულში არსებული თავდასხმა მოითხოვს თავისებურ განმარტებას, რადგან თითოეული დანაშაულის ბუნება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სიტყვა „თავდასხმა" არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურ მოქმედებას, რომელიც გამოიხატება ადამიანის მოქმედებით. ის შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა სახით, ოღონდ გააჩნია კონკრეტულ სიტუაციასა და დანაშაულის ხასიათს.

ყაჩაღობის გამოძიების დროს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები არკვევენ ჰქონდა თუ არა ადგილი თავდამსხმელის მხრიდან ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის მოთხოვნას. ამ გარემოების დადგენა აუცილებელია ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის. შესაძლოა მოთხოვნის წაყენებას ძარცვის დროსაც ჰქონდეს ადგილი და მას თან ახლდეს ძალადობაც, მაგრამ ის მაინც განსხვავდება ყაჩაღური თავდასხმისაგან. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ძარცვის დროს ფაქტიურად არ ხდება ნივთის გადაცემის მოთხოვნის წაყენება. უბრალოდ თავდამსხმელი ეუფლება ნივთს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ასეთ დროს ძალადობას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული მას წინააღმდეგობას გაუწევს. ყაჩაღური თავდასხმა გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე ძარცვა, რადგან თავდამსხმელი ხშირ შემთხვევაში მზად არის წინააღმ-

დეგობის დასაძლევად და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა.

თავდამსხმელი თავდასხმისას მოითხოვს ნივთის გადაცემას და ამ დროს დაზარალებულისაგან შესაძლო წინააღმდეგობის დასაძლევად მიმართავს ძალადობას ან ძალადობის გამოყენების მუქარას. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ნივთი თავდამსხმელს არ გადასცენ და შესაბამისად ადგილი არ ჰქონდეს მის დაუფლებას, ყაჩაღობა მაინც ჩაითვალოს დამთავრებულად, რადგან ყაჩაღობა, როგორც ფორმალური დანაშაული ქმედების შედეგს არ მოითხოვს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება თუ ფაქტიური ქმედება შეიცავს კანონით დადგენილ ყველა ნიშანს. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს მხოლოდ ქმედებისათვის, დადგენილ უნდა იყოს ასეთი ქმედების ჩადენა.

ისეთი დანაშაულის ცნების განსაზღვრისათვის, როგორიც ყაჩაღობაა, საჭიროა გულდასმით იქნეს შესწავლილი სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დისპოზიცია, რომელიც ასეა ჩამოყალიბებული: „ყაჩაღობა ე. ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით.“

იმისათვის, რომ დანაშაული (ქმედება) ყაჩაღობად დაკვალიფიცირდეს, ის უნდა შეიცავდეს სამ ნიშანს:

1. სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი;
2. თავდასხმა;
3. ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1996 წლის 2 აპრილის №2 დადგენილებაში ,,ყაჩაღობის საქმეებზე“ აღნიშნა, რომ „ყაჩაღური თავდასხმა წარმოადგენს დაზარალებულზე ძალდატანებით ზემოქმედებას მისი წინააღმდეგობის დასათრგუნად სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით.“

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს თავდასხმის ცნების არაერთგვაროვანი განსაზღვრება. მეცნიერთა ერთი ჯგუფი სრულებითაც არ იძლევა თავდასხმის ცნების განმარტებას, მეორენი კი ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ცნებებად აცხადებენ თავდასხმასა და ძალადობის გამოყენებას. მაგალითად. ვ. ა. ვლადიმიროვს თავის ნაშრომში მოჰყავს ს. ი. სიროტას მოსაზრება, რომ ყაჩაღობისას თავდასხმის ქვეშ „უნდა გავიგოთ დაზარალებულისათვის ისეთი უეცარი, მოულოდნელი ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, რომელსაც თავისი ობიექტური ხასიათით შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი ან სხეულის დაზიანება."[11]

ამ მოსაზრების იდენტურია პროფ. ზ. წულაიას მოსაზრება, მისი აზრით „თავდასხმა უნდა გავიგოთ დაზარალებულისათვის ისეთი უეცარი, მოულოდნელი ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, რომელსაც თავისი ობიექტური ხასიათით შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი ან სხეულის დაზიანება."[12] როგორც ვხედავთ, ორივე ავტორი თავდასხმას ძალადობასთან აიგივებს, რაც არ უნდა იყოს სწორი.

ჩვენი აზრით, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, თავდასხმა მოქმედებაა, რომელსაც თან ერთვის ძალადობა ან ძალადობის მუქარა. გ. ლ. კრიგერი, რომელმაც ყაჩაღობას მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ცნებები: „თავდასხმა" და „ძალადობა" იდენტური არიან და რომ გავატაროთ მათ შორის რაიმე სახის განსხვავება, მათი იურიდიული მნიშვნელობის მიხედვით შეუძლებელია. აქედან კეთდება დასკვნა, რომ „ერთდროული მინიშნება კანონში თავდასხმაზეც და ძალადობაზეც შეიძლება უფრო განიმარტოს უხეირო რედაქციად."[13]

ასეთი აზრი მიუღებლად მიაჩნია ვ. ა. ვლადიმიროვს. იგი აღნიშნავს, რომ „ყაჩაღობის შემადგენლობაში თავდასხმის ნიშან-თვისების არსებობის ახსნა-განმარტება რედაქციული

---

11 В. А.Владимиров - Квалификация похищений личного имущества. М. 1974 г. стр.62.

12 ზ. წულაია – სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი ტ. II თბ.2001 წ. გვ.64

13 Г. А. Кригер «Ответственность за работой» М., 1968 г стр.14

უზუსტობით საეჭვოა აღიარებულ იქნეს სერიოზულ არგუმენტად. ამიტომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თავდასხმა წარმოადგენს ისეთსავე აუცილებელ ნიშან-თვისებას ყაჩაღობისას, როგორც ძალადობა, რომლებიც განუყოფელ ერთობლიობაში ახასიათებენ მის ობიექტურ მხარეს."[14]

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ „თავდასხმა და მის შედეგად უშუალოდ განხორციელებული ძალადობა ორი განუყოფელი აგრესიული აქტის ერთიანობაა. ამიტომ თავდასხმაზე, როგორც ყაჩაღობის ობიექტურ ნიშანზე შეიძლება მხოლოდ პირობითად ვილაპარაკოთ, ვინაიდან, ძალადობის გარეშე იგი კარგავს თავის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას."[15]

თავდასხმისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძალადობის გამოყენების მუქარას და არა ძალადობას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სხეულის დაზიანება ან ადამიანის სიკვდილი. ამდენად, ნათელია ის, რომ თავდასხმა და ძალადობა, განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ცნებებია და მათი ცალცალკე განხილვაა საჭირო. სხვათა შორის ზემოხსენებულ მეცნიერთა მოსაზრების ამ ფორმით ჩამოყალიბებას, ჩემი აზრით, ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ყაჩაღური თავდასხმა ხშირ შემთხვევაში ხდება (იწყება) მოთხოვნის წაყენებით, რომელსაც თან ახლავს მუქარა, რომელიც არის ერთ-ერთი სახე ფსიქიკური ძალადობისა. ამ საკითხებზე მხარდაჭერას იმსახურებს ვ. ა. ვლადიმიროვის მოსაზრება. მას მიაჩნია, რომ სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობით თავდასხმა ეს აგრესიული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაა, რომელიც დანაშაულის ჩადენის მიზნით ქმნის, ძალადობის გამოყენების რეალურ უშუალო საშიშროებას, რაც შეადგენს ამ მიზნის მიღწევის საშუალებას. ასეთი თავდასხმა შეიძლება გამოდიოდეს, როგორც მკვლელობის, გაუპატიურების, ხულიგნობის ფაკულტატიური ნიშანი; აუცილებელ ნიშან-თვისებათა სახით ის შეტანილია ბანდიტიზმისა და ყაჩაღობის შემადგენლობაში.

ჩვენი აზრით, ყაჩაღური თავდასხმა მოიცავს ორ მომენტს:

---

14 В. А. Владимиров – დასახ. ნაშრომი. გვ.63.

15 მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი) თბ. 1999 წ. გვ. 31

1). დაზარალებულთან უეცარ, მოულოდნელ, უშუალო შეხვედრას;

2). ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის მოთხოვნის წაყენებას. თვითონ შეხვედრა შესაძლებელია მოხდეს წინასწარ მოფიქრებული გეგმით ან შემთხვევით.

ყაჩაღური თავდასხმისას აუცილებელია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარის ან ასეთი ძალადობის გამოიყენება. პირველ შემთხვევაში ძალადობის მუქარა ხდება ადამიანის ფსიქიკაზე უშუალო ზემოქმედების გზით, ხოლო მეორე შემთხვევაში ძალადობა ხდება ადამიანის სხეულზე უშუალო შეხების გზით.

ფაქტიურად თავდასხმა იწყება დაზარალებულთან შეხვედრითა და მისთვის მოძრავი ნივთის გადაცემის მოთხოვნით, რომელსაც ახლავს ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა, რომელიც დაზარალებულის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მთავრდება ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით. ამ შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ნივთის დაუფლება ან არა.

საერთოდ, ნივთის გადაცემის მოთხოვნა რომ გახდეს დაზარალებულის იძულების საშუალება, აუცილებელია თავდამსხმელმა გამოიყენოს ფსიქიკური ძალადობა. თუ ამან შედეგი არ გამოიღო და დაზარალებულმა თავდამსხმელს არ გადასცა მოთხოვნილი ნივთი, მაშინ ეს უკანასკნელი გადადის ძალადობაზე.

ამიტომ, ყაჩაღური თავდასხმის ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ ობიექტურად და სუბიექტურად საშიში გარემოს შექმნა, რომელსაც რეალურად შეიძლება მოჰყვეს ფიზიკური ძალადობა დაზარალებულის მიმართ, თუ ეს უკანასკნელი ეცდება ნივთის დაუფლებისას წინააღმდეგობის გაწევას. თავდასხმაში ჩამალული ძალადობის საშიშროება შეიძლება სწრაფად განხორციელდეს დაზარალებულზე ფიზიკური ზემოქმედების გზით. ე. ი. თავდასხმა ყოველთვის უთავსდება ისეთ ძალადობას, რომელიც ხორციელდება თავდამსხმელის მიერ ძალადობის ან იარაღის გამოყენებით, ანდა უშუალოდ ძალადობის გამოყენების მუქარით. თავდასხმის დაწყება ქმნის დაზარალებულის მხარეზე აუცილებელ თავდაცვის უფლებას, თუნდაც ძალადობა მასზე ჯერ

არ იყო გამოყენებული. ასე რომ, თავდასხმა არ არის იქ, სადაც ძალადობა გამოხატულია არა უშუალო ზემოქმედების ფორმით, არამედ გამოყენებულია, მაგალითად, მოწამვლის გზით ან დაძინებით, სადაც დაზარალებულს არ რჩება შესაძლებლობა თავდამსხმელის მოგერიებისა.

ყაჩაღური თავდასხმისას აუცილებელი მოგერიების საკითხს ეხება თ.·დონჯაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ „სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის თანახმად, ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან. მაგრამ აუცილებელი მოგერიების ვითარება არ შეიძლება (წარმოიქმნას) თავდასხმის მომენტში."[16] მართალია, ყაჩაღობა თავდასხმის მომენტში ითვლება დამთავრებულად, მაგრამ სავსებით შესაძლებელია გაგრძელდეს ძალადობის გამოყენების პროცესი. ამიტომ დაზარალებულს უფლება აქვს აუცილებელი მოგერიებისა, თუკი მის მიმართ არსებობს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის საფრთხე. მიუხედავად იმისა, დანაშაული იურიდიული თვალსაზრისით დამთავრებულად ჩაითვლება თუ არა. მაგალითად, თავდამსხმელი თავს დაესხა იარაღის მუქარით ავტომანქანას და მძღოლისა და იქ მყოფი პირებისაგან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით მოითხოვა ფული და სხვა ძვირფასეულობა. ამ შემთხვევაში ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება, მაგრამ არსებობს ამ ხალხის მიმართ ძალადობის მუქარის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა, ამიტომ სანამ თავიდან არ იქნება აცილებული საფრთხე მანამდე დაზარალებულს აქვს იურიდიული უფლება თავის დაცვისა და ხელმყოფის მოგერიების.

იურიდიულ ლიტერატურაში აკრიტიკებენ იმ ავტორებსაც, რომლებიც ცდილობენ ზღვარი გაავლონ „თავდასხმისა" და „ძალადობის" ცნებებს შორის. მაგალითად, გ. კრიგერს მიაჩნია, რომ თუ თავდასხმაში დავინახავთ ძალადობის გამოყენების რეალური საშიშროების შექმნას, მაშინ ასეთი მოქმედებანი ქმნიან ფსიქიკურ ძალადობას, რომლის ნაირსახეობა ,,შეიძლება იქნეს დაზარალებულისათვის იმის შთაგონება, რომ მას მოელის ძალადობა."[17]

---

16 თ. დონჯაშვილი-საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) თბ. 2002 წ. გვ. 300.

17 Г. А .Кригер – დასახ. ნაშრომი. გვ. 64

როგორც ვ. ა. ვლადიმიროვი აღნიშნავს, საქმე ასე უბრალოდ როდია. არ შეიძლება გაიგივებულ იქნას თავდასხმა და ძალადობის მუქარა. მუქარა აუცილებლად ვარაუდობს კონკრეტულ ადრესატს: რადგან დაზარალებულის მიერ აღქმული მუქარა, ეს ინფორმირებაა იმაზე, რომ მის თავზე ჩნდება ძალადობის გამოყენების რეალური საშიშროება. თავდასხმა კი შეიძლება მოხდეს იმ ფორმაშიც, როცა დაზარალებული არ ფიქრობს და არც შეიძლება ფიქრობდეს საშიშროებაზე (დამიზნება სამალავიდან, მიპარვა უკნიდან დანით და ა. შ.). მსგავს შემთხვევაში ძალადობა ჯერ კიდევ არაა გამოყენებული, არც მუქარაა, რომელიც აღქმული იქნებოდა დაზარალებულის მიერ, როგორც რეალური საშიშროება, ხოლო თავდასხმა მიუხედავად ყველაფრისა რეალურად არსებობს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ყოველთვის ყველა ძალადობა არ ხდება თავდასხმის ფორმით, ძალადობა გადადის თავდასხმის ფორმაში მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ის რაღაცით თავსდება საზოგადოებრივი უშიშროების დარღვევასთან. თავდამსხმელი, როგორც ვიცით, მზადაა გამოიყენოს ძალადობა არა მხოლოდ დაზარალებულის, არამედ სხვა ნებისმიერი პირის მიმართ, თუ მათი მხრიდან იქნება წინააღმდეგობის გაწევის, დანაშაულის გაცხადების ან ნივთის გატაცებისათვის ხელის შეშლის მცდელობა.

თავდასხმა – ერთაქტიანი მოქმედება კი არაა, რომელიც ამოინურება ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის გამოყენებით, არამედ დაზარალებულზე ზემოქმედების პროცესია, რომელშიც იმალება რეალური საშიშროება ძალადობის გამოყენებისა მთელი გარკვეული დროის მონაკვეთში, სანამ გრძელდება თავდასხმა. ამიტომ თავდასხმა ეს არის ცნება, განუყრელად დაკავშირებული ძალადობასთან, მაგრამ მაინც არაა მასთან გაიგივებული.[18] სწორედ ამიტომ კანონი ამბობს თავდასხმაზე, ჩადენილზე ძალადობით.[19]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყაჩაღურ თავდასხმად შეიძლება ვაღიაროთ ისეთი მოქმედება, რომელიც ხასიათდება დაზარალებულისათვის ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის

18 ასეთსავე აზრს გამოთქვამს ვ. ა. ვლადიმიროვი დასახელებულ ნაშრომში გვ. 66

19 ასეთსავე აზრს გამოთქვამს ვ. ა. ვლადიმიროვი დასახელებულ ნაშრომში გვ. 66

უეცრად, უშუალოდ მოთხოვნის წაყენებით და რომელსაც თან ახლავს ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა ან ასეთი ძალადობის გამოყენება.

ბ). სამართლებრივი სიკეთე

იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ დანაშაული, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ხელყოფს მის ობიექტს. სწორედ, ობიექტის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა ქმნის ქმედებას დანაშაულად. დანაშაული კი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია.

იმისათვის, რომ ქმედებას მიეცეს სწორი კვალიფიკაცია, უნდა დადგინდეს დანაშაულის ობიექტი.

მოქმედი კანონმდებლობა ობიექტში გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კანონიერ ინტერესებს, უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს ანუ კანონით დაცულ სიკეთეს, საყოველთაო ღირებულებებსა და კულტურულ ფასეულობებს.

ყაჩაღობა უფრო მეტად ხელყოფს ინდივიდუალურ-სამართლებრივ სიკეთეს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ყაჩაღობის კვალიფიკაციის დროს აქვს მოქმედების ობიექტს, ე. ი. იმას, რაც ზიანდება დანაშაულის ჩადენის შედეგად. ყაჩაღობის ობიექტი არის საკუთრება და ჯანმრთელობა, მაგრამ მათ შორის უპირატესობა ენიჭება საკუთრებას, ვინაიდან, ყაჩაღობა არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ამ საკითხს უფრო დეტალურად ქვემოთ შევეხებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკუთრების ცნებას ცალკე არ განმარტავს, მაგრამ ქონებისა და საკუთრების უფლების შინაარსის საკანონმდებლო განსაზღვრებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ საკუთრება არის პირის (ფიზიკური, იურიდიული) მიერ ნივთზე (ქონებაზე) მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლების კანონიერად მოპოვება.

პროფ. ლ. ჭანტურია აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო სამართალში აღიარებული ცნების შესაბამისად საკუთრება არის ნივთზე ბატონობის სამართლებრივად აღიარებული „უფლება.“ საკუთრება გულისხმობს არა ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, არამედ უფლებას. ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა გამოიხატება

მფლობელობის ცნებით. „მფლობელობა" სამართლებრივი გაგებით ნიშნავს ნივთის ფაქტობრივ პყრობას, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ამ პყრობას უფლება, ქურდიც არის მფლობელი."[20]

დავუბრუნდეთ საკუთრების უფლების ცნებას, რომლის განმარტებას ასევე გვაძლევს პროფ. რ. შენგელია. მისი აზრით: ,,საკუთრების უფლება არის კანონისმიერი ან სახელ-შეკრულებო ბოჭვის ფარგლებში. ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობა."[21] მაგრამ აქ საუბარია სამართლებრივ (იურიდიულ) შესაძლებლობაზე და არა პრაქტიკულზე, რადგან შესაძლებელია პირს არ ჰქონდეს ქონების პრაქტიკულად ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობა, მაგრამ ის იყოს ქონების მესაკუთრე ზემოხსენებულ უფლებათა განხორციელების სამართლებრივი შესაძლებლობის არსებობის გამო.

ხშირია შემთხვევები, როცა ყაჩაღური თავდასხმის შედეგად პირი კარგავს ქონებას, ასევე მისი განკარგვის, სარგებლობის პრაქტიკულ შესაძლებლობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება საკუთრება არ დაზიანდეს ან პირს ზიანი არ მიადგეს, რადგან, ჯერ ერთი, მას საკუთრების უფლება უნარჩუნდება (სხვა შემთხვევაში მას ნივთის დაბრუნების უფლება არ ექნებოდა - რ. კ.) და მეორეც, ნივთი შეიძლება სხვის მფლობელობაში იყოს და არსებობდეს მისი დაბრუნების ან ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ალ. კვაშილავას. იგი წერს: ,,საკუთრება განსაზღვრავს მესაკუთრეს, ხოლო მესაკუთრე ის პირია (ფიზიკური, იურიდიული), რომელსაც, როგორც წესი, მატერიალურ ზიანს აყენებს საკუთრებაში არსებული ქონების ნებისმიერი ხერხით გატაცება. მესაკუთრისათვის ქონების გატაცებით, როგორც წესი, მატერიალური ზიანის მიყენებაზე ლაპარაკია იმიტომ, რომ, თუმცა ქონების გატაცება ზარალის მიყენების გარე-

---

20 ლ. ჭანტურია – უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებითი სამართლებრივი კვლევა (გერმანული სამართლის მაგალითზე). თბ. 1994 წ. გვ. 43.

21 ქართული სამართლის საფუძვლები. თბ. 2000 წ. გვ. 147.

შე არ ხდება, მაგრამ ამ დანაშაულის შედეგად ზარალი შეიძლება განიცადოს არა მესაკუთრემ, არამედ მფლობელმა, ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელმა პირმა და სხვამ. მაგალითად, სესხად ან სხვისთვის გადასაცემად მიღებული ფული არ წარმოადგენს მისი მფლობელის საკუთრებას, მაგრამ მის მფლობელს ეს ფული თუ მოპარეს, ზარალს განიცდის იგი და არა მესაკუთრე. ანალოგიურად წყდება საკითხი მიბარებული ქონების გატაცებისა და სხვა მსგავს შემთხვევებში."[22]

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყაჩაღობა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული (ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა) საკუთრების უფლებას ხელყოფს მფლობელის ან მესაკუთრის მიერ ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობის დროებით პარალიზებით ან სამუდამოდ მოსპობის გზით.[23]

ამ პოზიციაზე დგას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან მაგალითს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან. საქმე ლოზიდუ თურქეთის წინააღმდეგ - (40/1993/435/514.). ამ საქმეზე მომჩივანი იყო ქალბატონი ჩრდილოეთ კვიპროსიდან, რომელიც 1972 წელს გათხოვდა და მეუღლესთან ერთად ნიქოზიაში გადავიდა საცხოვრებლად. იგი აცხადებდა, რომ კირინეაში ფლობდა მიწის ნაკვეთს, სადაც ჩრდილოეთ კვიპროსში თურქეთის ჯარების შემოსვლამდე დაიწყო საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომლის ერთ-ერთ ბინაშიც მისი ოჯახი აპირებდა დასახლებას. ქალბატონი ლოზიდუს განცხადებით თურქეთის სამხედროებმა არ მისცეს მას კირინეაში დაბრუნებისა და საკუთარი ქონებით ,,თავისუფლად სარგებლობის" შესაძლებლობა, რაც მისი საკუთრების უფლებაში ჩარევას წარმოადგენდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოიშველია კომისიის გადაწყვეტილება განაცხადის დასაშვებობის შესახებ,

---

22 ალ. კვაშილავა – საკუთრების დაცვის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები. თბ. "მესხეთი". 1997 წ. გვ. 173.

23 ალ. კვაშილავა – საკუთრების დაცვის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები. თბ. "მესხეთი". 1997 წ. გვ. 169248.

სადაც ნათქვამია, რომ ქალბატონი ლოზიდუს საჩივარი კონვენციის №1 ოქმის პირველი მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რომ მას არ მიეცა საკუთარი მიწის ნაკვეთზე ჩასვლის შესაძლებლობა. იგი ჩიოდა, რომ თურქეთი, რომელიც ,,თექვსმეტი წლის განმავლობაში არ აძლევდა მას კირინეაში დაბრუნების ნებართვას და ამით სულ უფრო ასუსტებდა მის, როგორც ქონების მესაკუთრის უფლებებს არღვევდა პირველი მუხლის მოთხოვნებს."

მართალია, იურიდიული თვალსაზრისით მიწის კანონიერ მფლობელად კვლავ მომჩივანი ითვლებოდა, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ვინაიდან, მას ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შეეძლო ამ მიწით სარგებლობა, მან 1974 წლიდან ფაქტობრივად დაკარგა თავის საკუთრებაზე კონტროლი და ამ საკუთრების გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა. ამგვარი ქმედება სასამართლომ შეაფასა როგორც №1 ოქმის პირველი მუხლით მინიჭებულ უფლებებში ჩარევა, ვინაიდან, იგი აშკარად წარმოადგენს ამ მუხლის პირველ წინადადებაში ჩამოყალიბებული ,,საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის" უფლების ხელყოფას. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ ქონებით სარგებლობისათვის ფიზიკურად ხელის შეშლა შეიძლება კონვენციის დარღვევას წარმოადგენდეს ისევე, როგორც მისთვის იურიდიული დაბრკოლების შექმნა.

როგორც ვნახეთ, სასამართლომ ყურადღება მიაქცია ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობის მოსპობის ფაქტს და შესაბამისად ის არის ევროპული კონვენციით დაცული საკუთრებისა და ქონებით თავისუფლად სარგებლობის უფლების უშუალო ობიექტი.

ჩვენ უკვე ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში განვმარტეთ ყაჩაღობის ობიექტის ცნება. მაგრამ ყაჩაღობას გააჩნია ასევე მეორე ობიექტი - ჯანმრთელობა.

როგორც მოგეხსენებათ, ფიზიკური ძალადობის ნაირსახეობად ითვლება აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, უშუალოდ მის შინაგან ან გარეგან ორგანოებზე, ან ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების გზით.

ამ სახის ძალადობის ქვეშ იგულისხმება ადამიანის ორგანოე-

ბზე გარემოს ნებისმიერ ფაქტორთა ზემოქმედება უშუალოდ მის სხეულზე. ასეთ ძალადობას შეიძლება მოჰყვეს ფიზიკური, სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება და საბოლოოდ სიკვდილი. დამნაშავე იყენებს ძალადობას, რომელიც იწვევს ადამიანის სხეულის გარეგანი ქსოვილების ანატომიური მთლიანობის დარღვევას. იგი მიმართავს როგორც თავის ფიზიკურ ძალას, ასევე იარაღის და სხვა საშუალებების გამოყენებას.[24]

ჩვენი აზრით, ყაჩაღობის დროს, როცა ხდება ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენება, შესაძლოა დაზიანდეს ადამიანის სხეული ან მისი რომელიმე ორგანო, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის შერყევა. ამდენად, ყაჩაღობის დროს უშუალო ხელყოფა ხდება ადამიანის სხეულზე, ვინაიდან, სწორედ ის განიცდის უშუალო ზიანს მისი ანატომიური მთლიანობის დარღვევის გზით.

რაც შეეხება, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარას, ამ შემთხვევაში შეიძლება დაზიანდეს ადამიანის ფსიქიკა.

ამდენად, ყაჩაღობის დროს მეორე ობიექტი არის ადამიანის ჯანმრთელობა, რომლის ხელყოფა ხდება ადამიანის სხეულსა და ფსიქიკაზე ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენების გზით.

ყაჩაღობაში ისეთი ნიშნის არსებობამ, როგორიცაა ძალადობა, რომელიც ქმნის საშიშროებას დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ზოგიერთი მეცნიერი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ყაჩაღობის ობიექტად უნდა ჩაითვალოს არამარტო ჯანმრთელობა, არამედ ადამიანის სიცოცხლეც.[25]

მეტად აქტიურად იცავდა ამ აზრს ნ. ს. გაგარინი. ის წერდა: ,,დამნაშავე ხელყოფს სიცოცხლეს უკვე მაშინ, როცა ემუქრება მსხვერპლს სიკვდილით: უმიზნებს პისტოლეტს, უქნევს დანას და ა. შ." ამ აზრიდან მან დაასკვნა, რომ ,,ყაჩაღობის შემადგენ-

24 В. А. Владимиров-Квалификация похищений личного имущества. М. 1974 г. стр.68.

25 Г. А. Кригер – Квалификация хищений социалистического имущества, М.1971 г. стр.135. Е. В. Болдырев, В. П. Петрунев – Вопросы квалификации разбоя в судебной практике, «Научные коментарии судебной практики за 1967 год» М. 1968. стр.116.

ლობაში უნდა შედიოდეს ერთ-ერთ შედეგად დაზარალებულის სიკვდილიც."[26]

ასეთი მოსაზრება არ მიგვაჩნია სწორად, ვინაიდან, ყაჩაღობის დისპოზიციაში მითითებულია, რომ თავდასხმა შეიძლება ჩადენილი იყოს ისეთი ძალადობით, რომელიც საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ე. ი. აქ საუბარია სიცოცხლის მოსპობის საფრთხეზე და არა მოსპობაზე.

მკვლელობას, ე. ი. ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას, არ მოიცავს ყაჩაღობის შემადგენლობა, რამდენადაც დაზარალებულის სიკვდილს კანონი არ ითვალისწინებს ყაჩაღობის ნიშნად. სწორედ იმიტომ, რომ ადამიანის სიცოცხლე არ შეადგენს ყაჩაღობის ობიექტს, მკვლელობა (ან მკვლელობის მცდელობა) რჩება მისი შემადგენლობის ფარგლებს გარეთ და წარმოქმნის დამოუკიდებელ ქმედებას, რომელიც ითხოვს დამოუკიდებელ კვალიფიკაციას.

ვ. ა. ვლადიმიროვი აღნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლის ჩართვა ყაჩაღობის ობიექტის სტრუქტურაში გარდაუვლად მიგვიყვანდა დასკვნამდე, რომ მკვლელობა, მათ რიცხვში ანგარებითიც, შეადგენს მხოლოდ ნიშანს ყაჩაღური თავდასხმისას.

ნ. ი. ზაგოროდნიკოვი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მკვლელობა არ შეიძლება ჩაითვალოს შემადგენელ ნაწილად სხვა დანაშაულისა, კერძოდ, ყაჩაღობის. იგი წერს: ,,მკვლელობა მომხდარი სხვისი ქონების მითვისების მიზნით, წარმოქმნის განზრახ მკვლელობის კვალიფიციურ შემადგენლობას და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მოცული ყაჩაღობის შემადგენლობით."[27]

მეცნიერთა გარკვეული წრე შეიძლება არ დაეთანხმოს ასეთ მოსაზრებას იმ მოტივით, რომ კანონი განსაზღვრავს ყაჩაღობის ერთ-ერთ ნიშანს, კერძოდ, სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობას.

მართალია, კანონი განსაზღვრავს ყაჩაღობის ნიშნებს, რომელთა რიცხვში ჩართულია სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა და ამით კანონმდებელმა მიუთითა, რომ ყაჩაღობამ შეი-

---

26 Н. С. Гагарин. «Квалификация некоторых преспуплений против социалистической и личной собственности» Алма-Ата. 1963 .стр. 26-27

27 Н. И. Загородников. Преступления против жизни. М. 1961 г. стр.124

ძლება მოსპოს ადამიანის სიცოცხლეც, თუმცა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ნიშნების განსაზღვრისას კანონი, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი ასევე მიუთითებს, რომ ამ სახის დაზიანება არის სახიფათო სიცოცხლისათვის, მიუხედავად ამისა, ამ დანაშაულის ობიექტს არ წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე და შესაბამისად ის, ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია განთავსებული, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყაჩაღობის დროს ფსიქიკური ძალადობის სახე - მოკვლის მუქარა უშუალოდ არ ხელყოფს ადამიანის სიცოცხლეს. ამდენად, ყაჩაღობის ობიექტების სტრუქტურიდან უნდა გამოირიცხოს ადამიანის სიცოცხლე.

ზოგიერთი დანაშაულის დისპოზიციაში მითითებულია მოძრავი ნივთი, რომელსაც დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა აქვს არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას კანონი გამოყოფს და მისი ხელყოფისათვის პასუხისმგებლობას აწესებს ცალკე, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: ,,ყაჩაღობა, ე. ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ანდა ასეთი ძალადობის მუქარით.“

ამ დისპოზიციაში მითითებულია მხოლოდ მოძრავ ნივთზე. კანონმდებელმა ახალ კოდექსში სიტყვა „ქონების“ ნაცვლად შეიტანა სიტყვა „ნივთი.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი, ამავე კოდექსის 149-ე მუხლი განსაზღვრავს უძრავი ნივთის ცნებას, მუხლი უძრავ ნივთებს მიაკუთვნებს მიწის ნაკვეთს მასში არებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებულ მცენარეებს, ასევე შენობა-ნაგებობებს, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

რაც შეეხება მოძრავ ნივთს, მის ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, ანუ მოძრავად უნდა ჩავთვალოთ ყველა ნივთი, რომელიც არ არის უძრავი.

პროფ. ბ. ზოიძე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლის კომენტირებისას აღნიშნავს, რომ ,,იურიდიული ფი-

ქციის წყალობით სავსებით შესაძლებელია ფიზიკური აზრით მოძრავი ნივთი ჩავთვალოთ უძრავ ნივთად. საამისოდ აუცილებელია საჯარო რეესტრში აღნიშნული ნივთი გაფორმდეს, როგორც უძრავი ნივთი და ამით მასზე გავრცელდეს უძრავი ქონების სამართლებრივი რეჟიმი. მართალია, ნივთი კვლავაც მოძრავ ნივთად რჩება ფიზიკური აზრით და ასე ასრულებს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას, მაგრამ ნივთი, როგორც უფლება-მოვალეობებით დატვირთული საგანი განიხილება უძრავად."[28]

როგორც ვნახეთ, იურიდიული ფიქციის წყალობით მოძრავი ნივთი შეიძლება იქცეს უძრავ ნივთად, მაგრამ საინტერესოა როგორ გადაწყდება ქმედების კვალიფიკაციის საკითხი იმ შემთხვევაში, როცა ადგილი ექნება ფიზიკურად მოძრავი ნივთის დაუფლებას, რომელზეც კანონის შესაბამისად გავრცელებულია უძრავი ქონების სამართლებრივი რეჟიმი.

უნდა აღინიშნოს ის, რომ ეს ქმნის გარკვეულ გაუგებრობას, რადგან ძნელია ამტკიცო ნივთის უძრაობა, მაშინ როცა ის გატაცებულია, ხოლო მეორე მხრივ ამტკიცო, რომ ნივთი მოძრავია, მაშინ როცა არსებობს დოკუმენტი, რომელიც მას უძრავად აღიარებს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყაჩაღობის ობიექტი არის მფლობელის ან მესაკუთრის მიერ ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა.

ნივთისათვის, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, დამახასიათებელია ის, რომ ნივთი ზოგიერთი სახის დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) დისპოზიციაში პირდაპირ არის განსაზღვრული, რაც იმით აიხსნება, რომ ის არის იმ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი. მიგვაჩნია, რომ სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება ნიშნავს ნივთის უკანონო დაუფლებას. ნივთის უკანონო დაუფლების შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ობიექტი იგივეა, რაც ნივთის განადგურების ან დაზიანების შემთხვევაში. ობიექტი გააჩნია ყველა დანაშაულს და მისი ზუსტად განსაზღვრის გარეშე დანაშაულის კვალიფიკაცია შეუ-

28 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეორე. თბ. 1999 წ. გვ. 21

ძლებელია, რადგან ყველა შემთხვევაში დანაშაული აზიანებს მის ობიექტს.

ამიტომ, თუ არ იქნა განსაზღვრული დანაშაულის ობიექტი, არ იქნება ცნობილი, რა დაზიანდა დანაშაულის ჩადენის შედეგად. ეს კი არ მოგვცემს ქმედების სწორად შეფასებისა და კანონის ნორმის ზუსტად გამოყენების საშუალებას.

გ). დაუფლების ცნება

საკუთრების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის კოდექსითა და სხვა კანონმდებლობით, ამიტომ ქონების დანაშაულებრივი ხელყოფა, მისი სხვის მფლობელობაში მართლსაწინააღმდეგოდ გადაცემა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხსმგებლობას.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ქმედების ჩადენა ხდება სხვადასხვა ხერხით, ანუ მესაკუთრის ან მფლობელის მიერ ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობის ხელყოფას ადგილი აქვს ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით, თაღლითობით, გამოძალვით, მითვისებით ან გაფლანგვით. აღნიშნული დანაშაულები სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით არის გათვალისწინებული და ეს ქმედებები ითვლება ქონების (ნივთის) მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ხერხად.

დავას არ იწვევს ის, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს მესაკუთრის ან მფლობელის მიერ ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა. ობიექტის ამ სახით ჩამოყალიბებამ დღის წესრიგში დააყენა დაუფლების ცნების სრულყოფის საკითხი, რადგან ავტორთა უმრავლესობის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი არ შეესაბამება თანამედროვე კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ამ საკითხზე მსჯელობისას არ შეიძლება არ შევეხოთ იმ საკითხს, რომ კანონმდებლობა თითოეული დანაშაულის დისპოზიციაში იყენებს სხვადასხვა ტერმინს. მაგალითად, ქურდობის, ძარცვის, თაღლითობის დისპოზიციაში იხმარება სიტყვა ,,დაუფლება," ხოლო მითვისების ან გაფლანგვის შემთხვევაში კი ,,მითვისებას." ეს ბუნებრივია, რადგან დაუფლების ცნების-

გან განსხვავებით მითვისების ცნება სხვა შინაარსს მოიცავს.

სანამ დაუფლების ცნებას განვმარტავდეთ მანამდე გვინდა განვიხილოთ ლიტერატურაში გავრცელებული ზოგიერთი საკითხი. პროფ. ზ. წულაია სადავოდ ხდის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა დისპოზიციაში ტერმინ ,,დაუფლების" ხმარების საკითხს. მას ტერმინი ,,დატაცება" უფრო მართებულად მიაჩნია, იგი წერს, რომ ,,აღნიშნული ტერმინი უფრო სრულყოფილად ახასიათებს დამტაცებლის საშიშროებასა და იმ ქმედებას, რასაც იგი სჩადის, რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობის მიერ ნახმარ ტერმინ ,,დაუფლებას" იგი დამტაცებელთა მისამართით შერბილებულ და საბოლოო ჯამში არასრულფასოვან ტერმინად უნდა მივიჩნიოთ."[29]

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის უშუალო ობიექტის განსაზღვრის შემდეგ, მივედით იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში „გატაცების" ცნების განმარტება არასწორია და არ შეესაბამება თანამედროვე კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არც მაშინ იყო ის სრულყოფილი.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი იყენებს ტერმინ „დაუფლებას" და „გატაცებას". მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 177–ე, 178–ე, 180–ე, 183–ე, 184–ე, 227–ე, 228–ე, 237–ე, 258–ე მუხლებში გამოყენებულია სიტყვა „დაუფლება", ხოლო 314–ე და 363–ე მუხლებში კი „გატაცება".

იმისათვის, რომ მოხდეს ქმედების სწორი კვალიფიკაცია აუცილებელია განისაზღვროს დაუფლების ცნება.

„ქონების (ნივთის) დაუფლების (დატაცების) ზოგადი ცნების განსაზღვრისას, - აღნიშნავს პროფ. ზ. წულაია – უპირველეს ყოვლისა მხედველობაშია მისაღები ქონების დანაშაულებრივი დაუფლების ყველა ფორმის დამახასიათებელი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ნიშნები.

ობიექტური ხასიათის აუცილებელი ნიშნებია შემდეგი: 1. დანაშაულის ჩადენის მომენტში ქონება უნდა იმყოფებოდეს ვინმეს მართლზომიერ მფლობელობაში; 2. უნდა ხდებოდეს ამ ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება მისი მესაკუთრის ფონდებიდან;

---

29 ზ. წულაია, სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. თბ. 2001წ ტომი II. გვ. 23

3. ქონება ამოღებული უნდა იქნეს კანონში მითითებული ფორმებით და იგი მატერიალურ ზიანს არ უნდა აყენებდეს ქონების მესაკუთრეს."[30]

როგორც ვნახეთ, პროფესორმა ზ. წულაიამ გატაცების ცნება განმარტა, როგორც ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება მესაკუთრის ფონდებიდან და უარყო სხვა მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები, საბოლოო ჯამში კი მან გატაცების ცნების განმარტების ჩვენთვის მისაღები ვარიანტი მაინც ვერ მოგვცა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის დისპოზიციაში დაუფლების ცნების არსებობა, მოითხოვს მის განმარტებასაც, ამრიგად, ვეცდებით ჩამოვაყალიბოთ ამ დანაშაულისათვის დამახასიათებელი დაუფლების (გატაცების) დღემდე არსებულ განმარტებებზე უკეთესი ვარიანტი, მაგრამ მანამდე უნდა დავუბრუნდეთ პროფ. ზ. წულაიას მიერ მოყვანილ მოსაზრებაში არსებულ ზოგიერთ უზუსტობას. მისი მსჯელობიდან ირკვევა, რომ დანაშაულებრივი დაუფლების ობიექტური ხასიათის ერთ-ერთი ნიშანი გახლავთ ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება მისი მესაკუთრის ფონდებიდან.

როგორც ვხედავთ, პროფ. ზ. წულაია იყენებს სიტყვა „მესაკუთრეს" მაშინ, როცა დაზარალებული შეიძლება იყოს მფლობელი. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ ქონება უნდა ამოიღონ კანონში მითითებული ფორმით და იგი მატერიალურ ზიანს არ უნდა აყენებდეს ქონების მესაკუთრეს. აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ ქონების კანონში მითითებული ფორმით ამოღებამ შეიძლება მიაყენოს ზიანი მესაკუთრეს და უფრო მეტად ამიტომ ჩაითვალოს ის დანაშაულებრივ დაუფლებად.

გატაცების ცნების დღემდე არსებული განმარტებებიდან ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია პროფ. ალ. კვაშილავას მიერ შემოთავაზებული ვარიანტი. იგი წერს, რომ „ქონების გატაცება არის არამართლზომიერად მესაკუთრის უფლების განხორციელების ფაქტიური შესაძლებლობის მოსპობა ქურდობით, ძარცვით, თაღლითობით, მითვისებით, გაფლანგვით და აგრეთვე ყაჩაღობითა და გამოძალვით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში,

30 ზ. წულაია, სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. თბ. 2001ბ ტომი II. გვ. 35-36.

როდესაც ყაჩაღობისა და გამოძალვის შედეგად დაზარალებული კარგავს თავის ქონებაზე მესაკუთრის უფლებების განხორციელების ფაქტიურ შესაძლებლობას."[31]

უნდა აღინიშნოს ის, რომ ავტორის მიერ შემოთავაზებული ცნების სისწორის მიუხედავად, ის მაინც არ არის სრული, რადგან გატაცების ცნებას იცნობს არა მარტო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში განთავსებული მუხლის დისპოზიცია, არამედ სხვა სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. მაგალითად, საჰაერო ან საზღვაო ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება. სსკ 227-ე მუხლში საჰაერო ან საზღვაო ხომალდის გატაცების ხერხზე საუბარი არ არის, თუმცა ამ ცნებაში მოთავსებული რომელიმე ხერხით ხდება მათი გატაცება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ უნდა არსებობდეს ქონების გატაცების ცნების ისეთი განმარტება, რომელიც იქნება მისი ჩადენის ხერხების არა ამომწურავი, არამედ სანიმუშო ჩამონათვალი.

ჩვენი აზრით, დაუფლების ცნება უნდა მოიცავდეს რამდენიმე პირობას:

1. მესაკუთრემ ან მფლობელმა უნდა დროებით ან სამუდამოდ დაკარგოს ნივთი ანუ ამ ნივთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობა.

2. მესაკუთრის ან მფლობელის მიერ დაკარგული ზემოხსენებული შესაძლებლობები უნდა მოიპოვოს დაუფლების ჩამდენმა პირმა.

3. მესაკუთრისათვის ან მფლობელისათვის ხსენებული შესაძლებლობების მოსპობა და დაუფლების ჩამდენი პირის მიერ მისი მოპოვება უნდა მოხდეს მართლსაწინააღმდეგოდ.

ამ სამი პირობის ერთად არსებობაა საჭირო ქმედების, ნივთის დაუფლებად დაკვალიფიცირებისათვის.

თუ რატომ არის ამ პირობების ერთად არსებობა აუცილებელი, ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

მაგალითად, ნივთის დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში მესაკუთრე ან მფლობელი კარგავს ნივთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პრაქტიკულ შესაძლებლობას,

31 ალ. კვაშილავა. საკუთრების დაცვის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები. თბ. 1997ნ. გვ. 187

მაგრამ ის არ ჩაითვლება დაუფლებად, რადგან გამტაცებელს ნივთი არ წაუღია, არ მოუპოვებია ნივთზე ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობა.

განვიხილოთ მეორე შემთხვევა, როცა პირმა მოიპოვა ნივთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობა. მაგალითად, ბენზინგასამართ სადგურთან მდგარ დაქოქილ ავტომანქანაში ჩაჯდა იაშვილი, რომელმაც იცის მანქანის ტარება, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ამ მანქანის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობა, მისი ქმედება მაინც არ ჩაითვლება გატაცებად, რადგან ხსენებული შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის წართმეული ავტომანქანის მესაკუთრის ან მფლობელისათვის, მაგრამ შეიძლება ჩაითვალოს დაუფლებად.

და მესამე, მფლობელისათვის ან მესაკუთრისათვის ნივთის მიმართ მათი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობის ყოველგვარი წართმევა უნდა მოხდეს მართლსაწინააღმდეგოდ, რადგან ის დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფორმალური შემადგენლობის დანაშაულში შესაძლებელია დანაშაულის დამთავრება ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს ნივთის დაუფლებას. მაგალითად, ყაჩაღობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით მხარს ვუჭერთ პროფ. ალ. კვაშილავას მოსაზრებას. იგი წერს, რომ ,,ყაჩაღობა ყველა შემთხვევაში ქონების გატაცებად არ შეიძლება ჩაითვალოს. ყაჩაღობა, კანონიდან გამომდინარე, არის პიროვნებაზე თავდასხმა ქონების დაუფლების მიზნით, მაგრამ როდესაც თავდამსხმელი ვერ აღწევს ამ მიზანს, ვერ ეუფლება ქონებას მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობა, როგორც დამთავრებული დანაშაული სახეზეა, ქონება რჩება მის მფლობელს. ამ შემთხვევაში არ იკარგება არც მესაკუთრის შესაძლებლობა მისი ქონების სურვილისამებრ გამოყენების საქმეში. ამიტომ ყაჩაღობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ქონების გატაცებად, როდესაც ყაჩაღური თავდასხმის შედეგად მესაკუთრე დაკარგავს ფაქტიურ შესაძლებლობას განკარგოს თავისი ქონება, ფლობდეს მას, ისარგებლოს იმით, ან ეს უფლებები გადასცეს სხვას.“[32]

---

32 ალ. კვაშილავა, საკუთრების დაცვის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები. თბ. 1997 წ. გვ. 191

აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ თუ თავდასხმისას მესაკუთრეს ან მფლობელს თან აქვს ნივთი, რომლის დაუფლებასაც ცდილობს თავდამსხმელი და ვერ ეუფლება, მაშინ, მართალია, გატაცებასთან საქმე არ გვაქვს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ადგილი აქვს ნივთის სარგებლობისა და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობის პარალიზებას მხოლოდ თავდასხმის მიმდინარეობის პროცესში. მაგალითად, პირი, რომელსაც ჯიბეში უდევს მობილური ტელეფონი, ყაჩაღური თავდასხმის დროს ის მას ვერ გამოიყენებს საკუთარი სურვილისამებრ, მიუხედავად იმისა, რომ ფლობის შესაძლებლობა შენარჩუნებული აქვს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქონების დაუფლების ცნება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: დაუფლება არის პირის მიერ მესაკუთრისათვის ან მფლობელისათვის მისი (ნივთი) ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობის მართლსაწინააღმდეგოდ წართმევა და მოპოვება, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნეს ხელმიუწვდომელ (უცნობ) ადგილას ნივთის გადატანის (გადაადგილების) გზით. ასევე შესაძლებელია ქურდობისა და ძარცვის დროს არ მოხდეს ნივთის ადგილსამყოფლის შეცვლა, მაგრამ ის მაინც ჩაითვლება დაუფლებად თუ აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს.

დ). ფსიქიკური ძალადობის ცნება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის თანახმად, „ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.“ ამ დისპოზიციიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ის, რომ ყაჩაღურ თავდასხმას შეიძლება თან ახლდეს ფსიქიკური ძალადობაც, რომელიც გამოიხატება ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარაში.

იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ როგორი ძალადობის გამოყენებით დაემუქრნენ დაზარალებულს, დამოკიდებულია ერთი მხრივ, მოძალადის მოქმედების ობიექტურ ხასიათზე, მეორე მხრივ, თუ როგორ აღიქვა და შეაფასა დაზარალებულმა მოქმედება.

იურიდიულ ლიტერატურაში ნივთის დაუფლებისაკენ მიმართული თავდასხმის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობას ანიჭებენ დაზარალებულის მიერ თავდასხმის საშიშროების აღქმას.

დაზარალებულის მიერ მუქარის აღქმას მნიშვნელობას ანიჭებენ იმდენად, რამდენადაც დაზარალებულის შეხედულება ამ შემთხვევაში გადამწყვეტად მიაჩნიათ, რადგან სწორედ თავის მიერ აღქმული ვითარების გამო იძულებულია იგი (დაზარალებული) დაემორჩილოს თავდამსხმელის მოთხოვნას. მაგრამ, ამავე დროს ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს მოძალადის მოქმედების ობიექტური ხასიათი, რადგან შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაზარალებულის მიერ მუქარის გადაჭარბებულად აღქმასა და შეფასებას. ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საგამოძიებო ორგანოებმა დეტალურად შეისწავლონ და დაადგინონ საქმის ვითარება.

ამავე დროს მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად კარგად არის დაკითხული დაზარალებული. ამასთან, აუცილებლად მიგვაჩნია დაზარალებულის რამდენჯერმე დაკითხვა, რათა მას მიეცეს საშუალება უფრო დამშვიდებულმა, წყნარ ვითარებაში შეაფასოს მასზე განხორციელებული თავდასხმისა და მუქარის საშიში ხასიათი.

მუქარა, გამოყენებული ყაჩაღობის პროცესში უნდა პასუხობდეს მთელ რიგ პირობებს:

1. მუქარა თავისი შინაარსით წარმოადგენს დაზარალებულის ინფორმირებას ფიზიკური ძალადობის გამოყენებაზე, რომელიც საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. მაგალითად, ქონების განადგურების მუქარა არ წარმოადგენს ყაჩაღობის ნიშანს. რადგან, სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დისპოზიცია ითხოვს არა ზოგადად მუქარის, არამედ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარას. სწორედ ასეთი მუქარა განიხილება ყაჩაღობის ნიშნად.

2. მუქარა, რაც არ უნდა უეცარი იყოს, დაზარალებულმა ის ჯერ უნდა აღიქვას, შემდგომ გააცნობიეროს, რომ მასზე განხორციელებულია თავდასხმა ნივთის წართმევის მიზნით. მაგალითად, როცა თავდამსხმელი დაზარალებულს ემუქრება „თუ ფულს არ მომცემ, მაშინ მოგკლავ!" მაგრამ ასეთი მუქარა უნდა

იყოს რეალური, ანუ წინააღმდეგობის შემთხვევაში თავდამსხმელი ნამდვილად აპირებს მუქარის განხორციელებას. მუქარისას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს იარაღის (დანის, ავტომატის, ხელყუმბარის და ა.შ.) ან სხვა საშუალების დემონსტრირებას, რათა დაზარალებულმა აღიქვას ის საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აშკარა საფრთხედ. საერთოდ სასამართლო პრაქტიკაში ქმედების ყაჩაღობად მიჩნევისათვის, მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა დაზარალებულის მიმართ მუქარა რეალური, ანუ წინააღმდეგობის შემთხვევაში თავდამსხმელი ნამდვილად აპირებდა თუ არა მუქარის განხორციელებას. საკმარისია დადგინდეს, რომ ობიექტურად დაზარალებულს საკმაო საფუძველი ჰქონდა ევარაუდა მუქარის განხორციელების საფრთხე.

პრაქტიკაში შეიძლება მუქარა მაშინაც ჩაითვალოს რეალურად, როცა დაზარალებულს შეექმნება იმის საფუძველი, რომ მუქარა რეალურად შეიძლება განხორციელდეს. რადგან დაზარალებულისათვის ყოველთვის გაუგებარია თავდამსხმელი მართლა შეასრულებს თუ არა მუქარას (ამის ცოდნა დაზარალებულს არ მოეთხოვება, ამის გარკვევა მის მიერ შეუძლებელია) თუმცა დაზარალებულის მიერ ვითარების აღქმა უნდა იყოს საფუძვლიანი, ანუ უნდა არსებობდეს თავდამსხმელის მხრიდან პირდაპირი ან არაპირდაპირი მითითება, რომ ის გამოიყენებს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას.

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 21 ივნისის განჩინება ზ-ს ბრალდების ნაწილში.

განაჩენით ზ-ს მსჯავრი დაედო შემდეგისათვის: ზ. დ-სთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა რ-ს ბენზინგასამართ სადგურს და იქ მყოფ ოპერატორს თ-ს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით წაართვა ნავაჭრი თანხა.

საკასაციო საჩივრით მსჯავრდებულ ზ-ს ინტერესების დამცველი მ. ითხოვდა განაჩენის შეცვლას ზ-ს სასარგებლოდ. კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის II ნაწილის I ქვეპუნქტის (ყაჩაღობა ძველი კოდექსით) ნაცვლად მის მსჯავრდებას მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით (ძარცვა) და მისთვის უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდებას.

კასატორის მითითებით, ზ-ს დ-სთან ერთად თ-ზე ყაჩაღური თავდასხმა არ ჩაუდენია. მათ თ-ს თანხა ისე გასტაცეს, რომ მის მიმართ არც სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა და არც ასეთი ძალადობის მუქარა არ გამოუყენებიათ.

პალატამ საფუძვლიანად არ გაიზიარა მსჯავრდებულ ზ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის მოსაზრება იმის თა-ობაზე რომ ზ-მ ჩაიდინა არა ყაჩაღობა, არამედ ძარცვა.

მსჯავრდებულ ზ-სა და დ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ მათ თ-ს გასტაცეს 66 ლარი. ამავე დროს ის, რომ თავდასხმისას გამოიყენეს სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარა, დადგენილია მსჯავრდებულ დ-ს მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებით, სადაც დაადასტურა ზ-სთან ერთად ღამის 2 საათზე ნიღბებით ბენზინგასამართ სადგურზე მისვლისას, ოპერატორ თ-სათვის მუქარის სიტყვებით „ფული მოგვეცი თორემ ცუდ დღეში ჩაგაგდებთ“ მიმართვის ფაქტი. დაზარალებულის ჩვენებით დადგენილია, რომ ღამით ორი ნიღბიანი ადამიანის დანახვაზე შეეშინდა და გაუღო ჯიხურის კარი, რადგან იგრძნო რეალური საფრთხე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განჩინებაში აღნიშნა: „მართალია, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მსჯავრდებულებს იარაღი არ ჰქონიათ, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათი მხრიდან ყაჩაღურ თავდასხმას, ვინაიდან, დაზარალებულმა თ-მ ღამის 2 საათზე, ორი ნიღბიანი ახალგაზრდის დანახვაზე აღიქვა და რეალურად იგრძნო საფრთხე, რაც მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრებოდა, სწორედ ამის გამო გაუღო მან ჯიხურის კარები და გადასცა 66 ლარი.

ამდენად, პალატამ მიიჩნია უსაფუძვლოდ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და დაადგინა, რომ ზ-ს ქმედება ზემომითითებულ ეპიზოდში არ უნდა გადაკვალიფიცირდეს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით“.[33]

პრაქტიკაში ყურადღებას არ აქცევენ იმას, შესაძლებელი იყო თუ არა ობიექტურად მუქარის რეალიზაცია. მაგალითად, სათამაშო ან გამოსაყენებლად უვარგისი იარაღით მუქარა ყა-

33 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. 2001 წ. №10 გვ. 605-611

ჩაღობად დაკვალიფიცირდება, თუ დადგინდება, რომ დაზარალებული დარწმუნებული იყო, ანდა უშვებდა, რომ მას ვარგისი იარაღით ემუქრებოდნენ.

მაგალითად, ქალაქ კაზანის ბაუმანის რაიონის სახალხო სასამართლომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობისათვის გაასამართლა ვ. და ს., რომლებიც დაედევნენ სამუშაოდან მომავალ კ.-ს, გააჩერეს და მოსთხოვეს ფული არყისათვის. კ-მ უარი თქვა მათ მოთხოვნაზე და განაცხადა, რომ მიმართავს მილიციას. მაშინ ს-მ ამოიღო პალტოს შიგა ჯიბიდან საკეცი სახაზავი, გახსნა ის და მიაბჯინა დაზარალებულს მუცელზე, უბრძანა აეწია ხელები და გაჩუმებულიყო. კ-მ აღიქვა სახაზავი დანად, დაემორჩილა ბრძანებას და ასწია ხელები. ამ დროს ვ-მ შეუმოწმა ჯიბეები და წაართვა მას ფული 4 მან. 72 კაპ. ჯიბის დანა, ავტოკალამი, საკეცი ჭიქა. სათათრეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში აღნიშნა: „ადვოკატები ითხოვდნენ მსჯავრდებულთა მოქმედების კვალიფიკაციის შეცვლას იმ მუხლით, რომელიც პასუხისმგებლობას აწესებს ძარცვისათვის, ვინაიდან, მათი აზრით, მუქარა სახაზავით იყო არარეალური. ვ-ს და ს-ს მოქმედება ყაჩაღობად დაკვალიფიცირებულია სწორად, რადგან მათ მოკვლის მუქარით წაართვეს კ-ს ფული და სხვადასხვა ნივთი. მოსაზრება ადვოკატებისა, რომ მკვლელობის მუქარა იყო არარეალური, რადგან მათ საკეცი სახაზავის გარდა არაფერი გააჩნდათ არ შეიძლება ჩაითვალოს კვალიფიკაციის შეცვლის საფუძვლად, რადგანაც ძალადობა ყაჩაღობისას შეიძლება იყოს ფსიქიკურიც, როგორადაც ითვლება მკვლელობის (მოკვლის) მუქარა.[34]

3. მუქარა უნდა იყოს ამწუთიერი ანუ ისეთი, რომელიც ქმნის საშიშროებას ძალადობის დაუყოვნებლივ გამოყენებისა, თუ დაზარალებული არ დააკმაყოფილებს თავდამსხმელს.

თუ ნივთის გადაცემის მოთხოვნას თან ახლავს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მომავალში განხორციელების მუქარა, ქმედება დაკვალიფიცირდება გამოძალვად.

მუქარის გამოხატვის ფორმა სხვადასხვა შეიძლება იყოს (სიტყვით, ჟესტით, იარაღის დემონსტრირებით და სხვა).

---

34 Архив верховного суда Татарской АССР., 1970 г.

სიტყვიერი მუქარა საკმაოდ გარკვეულად ახასიათებს დამნაშავის განზრახვას მიაყენოს დაზარალებულს საშიში ძალადობა: მოკლას, დააზიანოს და ა. შ. დაზარალებულის წინაშე შეიძლება დადგეს ალტერნატივა „ან ფული ან სული", „მომეცი ფული თუ არა და თავი მხრებზე არ შეგრჩება" და ა.შ.

თუ მუქარა განუსაზღვრელი ხასიათისაა (დამნაშავე სიტყვიერად არ იმუქრება, ხელში არ უკავია იარაღი ან სხვა საგანი), მაშინ უნდა გავითვალისწინოთ საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, კერძოდ, თავდასხმის მიზანი, დრო, ადგილი და ვითარება, თავდამსხმელის ქცევა თავდასხმისას და სხვა. მაგრამ გამორიცხული არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც თავდამსხმელის მიერ გამოყენებული მუქარა იყოს გაურკვეველი, მისი შინაარსი არაკონკრეტიზირებული სიმძიმისა და საშუალების გამოყენების მიმართ. მაგალითად, თავდამსხმელი ითხოვს ოქროს ან ფულს და იმუქრება, რომ თუ მის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ მაშინ, „მისთვის (დაზარალებულისთვის) ცუდი იქნება" და სხვა. „მსგავსი გაურკვეველი მუქარა იძლევა საფუძველს ჩაითვალოს ის საშიშად, ასევე არასაშიშად."[35] ასეთ შემთხვევაში ისმება კითხვა: რამდენად საშიშია დამნაშავის მიერ გამოთქმული ამ სახის მუქარა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის? და შეიძლება თუ არა მუქარის ხასიათის შეფასება მხოლოდ დაზარალებულის წარმოდგენით?

ჩვენი აზრით, დაზარალებულის წარმოდგენით მუქარის ხასიათის ობიქტურად შეფასება ძნელია, რადგან ის შეიძლება შეიცავდეს სუბიექტურ შეცდომებს, ამიტომ საკითხის გადაწყვეტისას დაზარალებულის სუბიექტური აღქმა უნდა დავუკავშიროთ ობიექტურ მონაცემებს (დანაშაულის ჩადენის დრო, ვითარება, ადგილი, და საგანთა თვისება, რითაც ემუქრებოდნენ დაზარალებულს და ა. შ.) თუმცა უნდა აღინიშნოს, ისიც რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში ქმედების კვალიფიკაცია შეიძლება მოხდეს ობიექტური მონაცემების გარეშეც, მაგრამ ამ შემთხვევაში „აუცილებელია საგულდაგულოდ გამოძიებულ იქნას, იყო თუ არა სუბიექტური აღქმა დაზარალებულის მიერ რეალური საფუძველი დანაშაულის ჩადენის ვითარებასა და დამნაშავის მოქმედებაში."[36]

---

35 В. А. Владимиров – Квалификация похищений личного имущества. 1974 г. стр. 81

36 Г. Костров – Психическое насилие при разбое и грабеже. жур. «Советская юстиция» 1970 г. №11 стр.10

ძალადობის მუქარა დაზარალებულის გონებაზე შეიძლება დაყვანილ იქნას ჟესტებით (მოძრაობით), რომლებიც ამცნობენ დაზარალებულს გარკვეული თუ გაურკვეველი ძალადობის გამოყენებას.

მუქარა, გამოხატული იარაღის დემონსტრირების გზით, უმრავლეს შემთხვევაში განიხილება, როგორც სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობად, უფრო მეტიც, თავდასხმა, ნივთის დაუფლების მიზნით გაერთიანებული იარაღის ან სხვა საგნის გამოყენების მუქარით, კვალიფიცირდება ყაჩაღობად.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ყაჩაღობის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს იარაღის დემონსტრირებას, მაგრამ საინტერესოა, სავალდებულოა თუ არა ყაჩაღობის დროს იარაღის გამოყენება და შეიცვლება თუ არა კვალიფიკაცია მოჩვენებითი იარაღის გამოყენების შემთხვევაში?

ყაჩაღობის დროს სავალდებულო არ არის, რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა იარაღით განხორციელდეს. ყაჩაღობის დროს ასეთი ძალადობა ან მუქარა შესაძლებელია არა მარტო ცეცხლსასროლი იარაღის, ან სხვა საგნების გამოყენებით, არამედ მათ გარეშეც (მაგალითად, ფეხის დარტყმით დაზიანებათა მიყენება, ხელით დახრჩობის მუქარა და სხვა.)

რაც შეეხება მოჩვენებით (მაკეტი) იარაღს იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ „მოჩვენებითი (მაკეტი) იარაღის გამოყენება კვალიფიკაციას არ ცვლის, თუ მას დაზარალებული ნამდვილ იარაღად აღიქვამს."[37]

უვარგისი იარაღით თავდასხმის საკითხს ეხება პროფ. ო. გამყრელიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ,,სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ხოლმე შემთხვევა, როცა იარაღით მუქარის დროს დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის რეალური საფრთხე არ იქმნება. ეს ის შემთხვევაა, როცა თავდამსხმელი მოქმედებს იარაღის მაკეტით, ესე იგი სათამაშო იარაღით..."[38]

იგივე აზრია გამოთქმული სასამართლო პრაქტიკის კომენ-

37 ზ.მჟავანაძე "სისხლის სამართალი"-კერძო ნაწილი (კომენტარები) 2000წ. გვ.177

38 ო. გამყრელიძე. ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. თბ. 1998. გვ. 209.

ტარებში, იქ აღნიშნულია, რომ ,,უვარგისი იარაღით თავდასხმა ობიექტურად არ ქმნის საშიშროებას დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.“

ზოგჯერ ყაჩაღური თავდასხმის დროს სულაც არ არის აუცილებელი იარაღით გაისროლონ, საკმარისია იარაღის გამოყენება, როგორც საგნისა (მაგალითად, იარაღის თავში ჩარტყმის შემთხვევაში შეიძლება დაზიანდეს ადამიანის ჯანმრთელობა ან ადამიანს მოესპოს სოცოცხლე). ამიტომ უვარგისი იარაღი ყოველთვის არ არის უსაფრთხო, რადგან დაზარალებულისათვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმას იარაღი, რომელსაც თავში ურტყამენ ვარგისია თუ არა სროლისათვის. მით უმეტეს, რომ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლისაგან განსხვავებით, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი არ იცნობს ისეთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, როგორიცაა ყაჩაღობის ჩადენა იარაღის ან სხვა საგნის გამოყენებით. მაგრამ ამ შემთხვევაში უვარგის იარაღში (რა ფორმაც არ უნდა ჰქონდეს) იგულისხმება ყველა საგანი, რომლითაც შეუძლებელია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით დაზიანების მიყენება.

ამ საკითხზე უფრო დეტალურად ქვემოთ გვექნება მსჯელობა, მაგრამ მანამდე გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე მოსაზრება პროფ. ო. გამყრელიძის ნაშრომებიდან, რომლებიც ძალიან ღირებულია და დაგვეხმარება საკითხის სწორად გადაწყვეტაში.

პროფ. ო. გამყრელიძე თავის ნიგნში ,,ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის“ სვამს ასეთ კითხვას: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი ქმედება, როცა თავდამსხმელი მოქმედებდა იარაღის მაკეტით? ესე იგი სათამაშო იარაღით, რომელიც თუმცა გარეგნულად სავსებით ემსგავსება ნამდვილს, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმის დაზიანებისათვის უვარგისია, ამასთან მას დაზარალებული ნამდვილ იარაღად აღიქვამს. კითხვის ასე დასმის შემდეგ პროფ. ო. გამყრელიძე, აგრძელებს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ „ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არაფერი დაწერილა. რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში კი ეს საკითხი არაერთგვაროვნადაა გადაწყვეტილი. მაგალითად, ა. პიონტკოვსკის აზრით, იარაღის მაკეტით თავდასხმა სხვისი ქონების

დაუფლების მიზნით ყაჩაღობად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც დამნაშავეს შეცნობილი აქვს, რომ დაზარალებული თავდამსხმელის მუქარას აღიქვამს სიცოცხლის მოსპობის მუქარად.

სრულიად სხვაგვარადაა გადაწყვეტილი - წერს პროფ. ო. გამყრელიძე - ეს საკითხი საბჭოთა სისხლის სამართლის კურსში, რომელიც ლენინგრადის უნივერსიტეტმა გამოსცა ამ კურსის ერთ-ერთი თანაავტორი ი. ფილანოვსკი არ მიიჩნევს ყაჩაღობად ისეთ შემთხვევას, როცა თავდასხმა მოქალაქის ქონების დაუფლებისათვის იარაღის მაკეტით მოხდა.

იმავე წიგნის მეორე თანაავტორი ა. სანტალოვი, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს განიხილავს, იარაღის მაკეტით თავდასხმის ფაქტს საწინააღმდეგო შეფასებას აძლევს. მისი აზრით, ასეთი ქმედება არ შეიძლება მივიჩნიოთ კვალიფიციურ ყაჩაღობად."[39]

პროფ. ო. გამყრელიძე 2004 წელს გამოქვეყნებულ წიგნში, აღნიშნავს, რომ „ზოგჯერ დამნაშავე ატყუებს დაზარალებულს და თავს ესხმის მას უვარგისი იარაღით, რომელიც გამოუსადეგარია მისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაზიანებლად. როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ასეთი ქმედება? ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში ასეთ დროს ქმედებას ყაჩაღობად აკვალიფიცირებენ, რაც სწორი არ უნდა იყოს, რადგან ყაჩაღობა ორ სიკეთეს ქონებას და დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ხელყოფს. აქ კი ერთი სიკეთის საკუთრების ხელყოფასთან გვაქვს საქმე."[40]

თუ თავდასხმისას მოხდა მხოლოდ ჯანმრთელობის ხელყოფა ნივთის დაუფლების მიზნით და არ მომხდარა ნივთის პრაქტიკულად დაუფლება და ვერც დაეუფლებდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნივთი დაზარალებულს არ გააჩნდა და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მისი ხელყოფა. ასეთი ქმედება ყაჩაღობად უნდა დაკვალიფიცირდეს, რადგან თეორიულად არსებობდა ნივთის გატაცების შესაძლებლობა, ამასთან თავდამსხმელის განზრახვა მოიცავდა ნივთის გატაცებასაც. აღნიშნულს კი

39 ო. გამყრელიძე- ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. თბ. 1998 წ. გვ. 209-210.

40 ო. გამყრელიძე- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2004 წ. გვ. 108-109.

ადასტურებს პროფ. ო. გამყრელიძის შემდეგი მსჯელობა: ,,როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობა, როცა თავდამსხმელი ცდება და დაზარალებულს არ აღმოაჩნდება რაიმე ფასეულობა, რომელსაც ყაჩაღი უნდა დაეუფლოს? ვფიქრობთ, აქ მაინც უნდა გვქონდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დამთავრებული შემადგენლობა, ვინაიდან, ამ მუხლის ტექსტის მიხედვით თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად მისაკუთრების მიზნით უკვე დამთავრებული დელიქტია.“[41]

არის ასეთი შემთხვევებიც მაგალითად, უვარგისი იარაღით შეიარაღებული თავს დაესხა ვინმეს და დაზარალებულისგან მოითხოვა ფულის გადაცემა. დაზარალებულმა აღიქვა მუქარა საშიშად და გადასცა ფული. ამ შემთხვევაში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გამოყენებული იარაღი უვარგისია და ამიტომ, ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლზე დაყრდნობით შეიძლება, რომ ასეთი ქმედება არ დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობად და მას მიეცეს ძარცვის კვალიფიკაცია.

ყაჩაღობა შეიძლება ჩადენილ იქნეს იარაღის გამოყენებით ან უამისოდ. ამიტომ აქ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის არა იარაღის არსებობა ან არარსებობა ან გამოყენებული იარაღის ნამდვილობა, არამედ მთავარია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა იყოს რეალური. ე. ი. მთავარია გაირკვეს შესაძლებელი იყო თუ არა გამოყენებული საშუალებით პირისათვის დაზიანების მიყენება.

უვარგის იარაღში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, (რა ფორმაც არ უნდა ჰქონდეს) იგულისხმება ყველა საგანი, რომლითაც შეუძლებელია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით დაზიანების მიყენება.

საბჭოთა სისხლის სამართალში იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენების საკითხს ყურადღება იმიტომ ექცეოდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ყაჩაღობის დისპოზიციაში დამატებით მაკვალიფიცირებელ ნიშნად იყო გათვალისწინებული.

იარაღის სახით გამოყენებულ საგნებზე არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობდა საბჭოთა სისხლის სამართალშიც. ზოგიერთი ავტორი თვლიდა, რომ საგნების გამოყენება, რომლე-

41 ო. გამყრელიძე- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2004 წ. გვ. 108.

ბიც იმიტირებენ იარაღს ქმნის მაკვალიფიცირებელ ნიშანს ყაჩაღობისას,[42] მეორენი არ ეთანხმებოდნენ მას.

მაგალითად, გ. ლ. კრიგერი, ვ. ნ. კუდრიავცევი, გ. ა. კრიგერი იარაღის სახით გამოყენებულ საგნებს მიაკუთვნებენ მხოლოდ ისეთ საგნებს, რომლითაც თავდამსხმელმა შეიძლება მიაყენოს მძიმე ზიანი პიროვნებას. მათი აზრით, სათამაშო პისტოლეტით ან სხვა საგნით მუქარა მიიღება მხოლოდ დაზარალებულის მიერ, მაგრამ ობიექტურად რეალურ საშიშროებას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის არ წარმოადგენენ, ამიტომ ასეთი ქმედებები დაკვალიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც ყაჩაღობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე.[43]

ამ საკითხზე საინტერესოა ვ. ა. ვლადიმიროვის მოსაზრება, იგი წერს, რომ „საკითხის გადაწყვეტა მაკეტის მიკუთვნებაზე საგნებისადმი, რომლებსაც აქვთ მხოლოდ გარეგნული მსგავსება იმიტირებულ იარაღებთან და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიზიკური ძალადობისათვის, არ უნდა იყოს აღიარებული იარაღის სახით გამოყენებულ საგნებად. ასეთი მაკეტები გამოიყენება, როგორც საშუალება ფსიქიკური ზემოქმედებისა დაზარალებულის გონებაზე, მის დასაშინებლად. დამნაშავეს, სათამაშო პისტოლეტის მუქარით, არა თუ შეუძლია მიაყენოს ზიანი პიროვნებას, არამედ წინასწარაც არა აქვს გათვალისწინებული ფიზიკური ძალადობა. ასეთი მუქარა ობიექტურად არაფრით განსხვავდება სიტყვიერი მუქარისაგან,"[44] როცა თავდამსხმელი ემუქრება ესროლოს დაზარალებულს, საერთოდ არ აკეთებს იარაღის დემონსტრირებას.

ვ. ა. ვლადიმიროვი თავის ნაშრომში ცდილობს იმის დასაბუთებას, რომ იარაღი რაც არ უნდა სათამაშო იყოს, ის მაინც ქმნის ყაჩაღობის შემადგენლობას, მაგრამ არა იარაღის ან სხვა საგნის

---

42 «Научный комментарий к Уголовному кодексу РСФСР», Свердловск, 1964, стр.217 С. С. Степичев, Ответственность за хищение личного имущества граждан, жур. «Социалистическая законность» 1961 г. №5, стр.50, Л. Д. Гаухман, Борьба с насильственными посягательствами, 1969 стр.45

43 Г. Кригер, Ответственность за разбой. жур. «Советская Юстиция» 1962г. №13, стр. 14 В. Кудрявцев, Письма с комментариями. жур. «Советская Юстиция» 1962г. №24 стр.25 Г. А. Кригер დასახელებული ნაშრომი, стр.152

44 ვ.ა.ვლადიმიროვის დასახელებული ნაშრომი გვ.197

გამოყენებით ჩადენილს, არამედ ყაჩაღობას დამამძიმებელი გარემოებების გარეშე.

ვ. ა. ვლადიმიროვს მიაჩნია, „რომ საგანი მხოლოდ ფორმით იმიტირებული ეჩვენება ნამდვილ იარაღად მხოლოდ დაზარალებულს, თუმცა სუბიექტური შეხედულება დაზარალებულისა, რომელიც არ პოულობს საფუძველს ობიექტურ სინამდვილეში, არ შეიძლება დაედოს საფუძვლად დამნაშავის ბრალდებას მოქმედების შესრულებაში, რომელიც არ შედის მის განზრახვაში და ობიექტურად არ შეიძლებოდა მომხდარიყო მასთან ძალადობის იარაღის არ არსებობის გამო."[45]

ამ მხრივ საინტერესოა სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილი ფაქტები. ასე მაგალითად, მ-მ გააჩერა ქუჩაში 60 წლის ქალი ლ. და ხის სათამაშო პისტოლეტის მუქარით მოსთხოვა ფული, შემდეგ გაჩხრიკა დაზარალებული, ფული ვერ იპოვა და გაუშვა ის. რამდენიმე ხნის შემდეგ მ. შეხვდა რ-ს და დ-ს. დაემუქრა იმავე პისტოლეტით და მოსთხოვა ფული. დ-მ განაცხადა, რომ ფული მას არა აქვს, ხოლო რ-მ მოუხმო დამხმარეებს.

სახალხო სასამართლომ მ-ს ქმედება დააკვალიფიცირა ყაჩაღობად იარაღით ან სხვა საგნის გამოყენებით. ასეთ კვალიფიკაციას არ დაეთანხმა რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს საგამოძიებო საქმეთა სასამართლო კოლეგია და აღნიშნა: „საქმეზე დადგენილია, რომ მ-მ მოახდინა თავდასხმა ხის სათამაშო პისტოლეტის გამოყენებით, ვარაუდობდა რა თავისი მიზნის მიღწევას მხოლოდ ფსიქოლოგიური ეფექტის გზით. ამავე დროს მ-ს არ ჰქონდა განზრახვა გამოეყენებინა პისტოლეტის მაკეტი დანაშაულის იარაღად, მაგალითად, დარტყმისათვის, ის ფაქტი, რომ დაზარალებულნი თვლიდნენ, რომ მათ ემუქრებიან ნამდვილი პისტოლეტით, არ შეიძლება ჩაითვალოს მ-ს მოქმედების 146-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" პუნქტით დაკვალიფიცირების საფუძვლად" (აქ იგულისხმება 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი - ყაჩაღობა ჩადენილი იარაღის ან სხვა საგნის გამოყენებით – რ. კ.)

ამდენად უმაღლესმა სასამართლომ მ-ს ქმედება შეაფასა როგორც ყაჩაღობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე.

---

45 ვ. ა. ვლადიმიროვის დასახელებული ნაშრომი გვ.197

პრინციპში ასეთივე აზრი გამოითქვა 1966 წლის 22 მარტის რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში „სასამართლო პრაქტიკის ძარცვისა და ყაჩაღობის საქმეებზე“: „თუ დამნაშავე ემუქრებოდა უვარგისი იარაღით ან იარაღის მაკეტით, მაგალითად, სათამაშო პისტოლეტით, ხმლით და ა. შ. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სხეულის დაზიანების განზრახვის გარეშე, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო, როგორც ყაჩაღობა“.

პრაქტიკაში არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა თავდამსხმელი არ იმუქრება იარაღით, მაგრამ დაზარალებული იარაღს ხედავს და აღიქვამს მას მუქარად, მაგალითად, მძარცველი ზურგზე თოფით ან ქამარში პისტოლეტით დაზარალებულზე უშუალოდ ძალადობის გამოყენების მუქარის გარეშე, ღამით განცალკავებულ ადგილზე აჩერებს ამ უკანასკნელს და ითხოვს მისგან ქონების გადაცემას. ასეთი სახის მაგალითზე ლ. გაუხმანი აღნიშნავს, რომ „არსებობა თუ არარსებობა მუქარისა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია იმაზე, აღიქვამს თუ არა დაზარალებული მოცემულ გარემოებას როგორც მუქარას და ვარაუდობს თუ არა დამნაშავე შეაშინოს ის ასეთი მოქმედებებით. თუ დაზარალებული აღიქვამს გარემოებას როგორც მუქარას, ხოლო დამნაშავე ვარაუდობს ამას – სახეზეა ყაჩაღობა იარაღის გამოყენებით.“[46]

როგორც ვხედავთ, ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის ლ. გაუხმანი მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც დაზარალებულის აღქმას, ასევე თავდამსხმელის განზრახვას. ასეთი სახის მსჯელობა მისაღებია რადგან არ შეიძლება პირი დავსაჯოთ იმისათვის, რისი განზრახვაც მას არ ჰქონია. ამასთან დავსძენთ იმას, რომ დაზარალებულმა უნდა აღიქვას არა ზოგადად მუქარა, არამედ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა.

ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დადგინდეს:

- თუ რაში გამოიხატა მოთხოვნა?

- მოთხოვნა შეიცავდა თუ არა იარაღის გამოყენების მინიშნებას და სხვა.

---

46 А. Гаухман. Борьба с насильственными посягательствами, изд-во «Юридическая литература» 1969 г. стр.37

ლ. გაუხმანი ასევე აღნიშნავს, რომ ,,თუ მოცემული ვითარება არ აღიქმება დაზარალებულის მიერ მუქარის სახით, ან დამნაშავე არ ვარაუდობს ამ ვითარებაზე, როგორც მუქარას, მაშინ ქმედება უნდა განიხილებოდეს, როგორც ძარცვა ძალადობის გარეშე".[47]

ამ საკითხზე ასეთი გადაწყვეტილება გ. კოსტროვის აზრით, სერიოზულ წინააღმდეგობას იწვევს. იგი წერს: ,,აღიარება იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ძარცვას ძალადობის გარეშე, ალბათ ნიშნავს იმას, რომ დაზარალებულმა დააკმაყოფილა დამნაშავის მოთხოვნა. მაგრამ, თუ დაზარალებულმა წინააღმდეგობა არ გაუწია მოთხოვნას, ე. ი. ის თვლიდა, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მის მიმართ დამნაშავე გამოიყენებდა ფიზიკურ ძალადობას. მეორე მხრივ, დამნაშავე ითხოვდა რა ქონებას, რომელზედაც მას არ ჰქონდა არავითარი უფლება, უკვე ამით აჩვენებს, რომ ის მზადაა ჩააბშოს ძალით დაზარალებულის შესაძლო წინააღმდეგობა, ამიტომ ზემოაღწერილ სიტუაციაში, რომც უგულებელვყოთ დამნაშავის შეიარაღების ფაქტი, ქმედება უნდა განხილულ იქნეს, როგორც ფსიქიკური ძალადობა დაზარალებულისადმი".[48]

ჩვენი აზრით, გ. კოსტროვის შენიშვნა ძარცვის კვალიფიკაციის ნაწილში საფუძვლიანია, იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულმა გადასცა ქონება, მაგრამ თუ დაზარალებულმა უარი უთხრა ნივთის გადაცემაზე, მაშინ ასეთი ქმედება იქნება ძარცვის მცდელობა.

ცხოვრებაში ასეთი შემთხვევები თითქმის არ ხდება, ზემოთ განხილული მაგალითი თანხის თხოვნას უფრო ჰგავს, ვიდრე თანხის მოთხოვნას, რადგან პირის ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მუქარად თუ მას ამის განზრახვა არ ჰქონია.

თუ პირს არ ჰქონდა იარაღის გამოყენების მიზანი, ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ადგილი ჰქონდა არა იარაღის გამოყენებას, არამედ მის ტარებას, რომელიც დაზარალებულმა აღიქვა მუქარად და ივარაუდა, რომ მის მიერ მოთხოვნის დაუკმაყოფი-

---

47 А. Гаухман. Борьба с насильственными посягательствами, изд-во «Юридическая литература» 1969 г. стр.37

48 Г. Костров – Психическое насилие при разбое и грабеже. жур. «Советская юстиция» 1970 г. № 11 стр.10

ლებლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდა მის მიმართ. მიგვაჩნია, რომ ასეთ ვითარებაში არ შეიძლება, მხოლოდ დაზარალებულის სუბიექტური შეხედულება გახდეს დამნაშავისათვის ბრალდების წაყენების საფუძველი. ამ დროს მთავარია ობიექტურად იმუქრებოდა თუ არა თავდამსხმელი. ვინაიდან, კანონი სჯის ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, ჩადენილს თავდამსხმელის მიერ და არა დაზარალებულის მიერ წარმოდგენილს ან აღქმულს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიკური ძალადობის შეფასება, რომელსაც ადგილი აქვს ყაჩაღობისას, ძალიან ძნელია. ვინაიდან, შეიძლება ძალადობის მუქარა სავსებით აკმაყოფილებდეს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის დისპოზიციით (ძარცვა) გათვალისწინებულ ნიშნებს და არ შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლისათვის (ყაჩაღობა) წაყენებულ მოთხოვნებს. ამიტომ აუცილებელია მოიძებნოს ზღვარი, რომელიც განარჩევს ძარცვასა და ყაჩაღობას ერთმანეთისაგან ფსიქიკური ძალადობის თვალსაზრისით. ასეთი ზღვარი კანონმა უკვე მოგვცა და ის განსაზღვრა, როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა. ამდენად, თუ მუქარა არ არის ხსენებული სიკეთისათვის საშიში, ის არ ჩაითვლება ყაჩაღობის ნიშნად, ხოლო უვარგისი იარაღით შეიარაღებული თავდამსხმელის ქმედება არ არის საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის.

როცა მუქარა გარკვეულია, მაშინ მისი კვალიფიკაციის პრობლემის გადაწყვეტა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მაგრამ როცა გაურკვევლად არის გამოხატული მუქარის შინაარსი, მაშინ დეტალურად უნდა იქნას გამოძიებული საქმის ფაქტობრივი გარემოებანი. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ მუქარა, რომელიც გაურკვეველი ხასიათისაა უნდა შეფასდეს, როგორც ძალადობრივი ძარცვა. მაგალითად, გ. ა. კრიგერი წერს, რომ ასეთი სახის მუქარა უნდა შევაფასოთ როგორც არასაშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და დამნაშავის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ძალადობრივი ძარცვა.[49]

საკითხის ასეთი გადაწყვეტა მისაღებია გ. კოსტროვისა-

49 Г. Кригер – Борьба с хищениями социалистического имущества, изд-во «Юридическая литература» 1965 г. стр,138

თვის, რადგან, მისი აზრით, მსგავსი მიდგომით გამოირიცხება შესაძლებლობა იმისა, რომ მიეკუთვნოს ნაკლებად საშიშს ის მუქარანი, რომლებმაც გამოავლინეს დამნაშავის განზრახვა განახორციელოს საშიში ძალადობა პიროვნებაზე და შესძლეს მოეხდინათ ყაჩაღობისათვის დამახასიათებელი ზემოქმედება დაზარალებულის ფსიქიკაზე.

ჩვენი აზრით, ფსიქიკური ძალადობის შეფასების წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმის არსებობა მუქარის ხასიათის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია. ვინაიდან, მუქარის საშიში ხასიათი და მისი ხარისხი დამოკიდებულია თითოეული თავდამსხმელის ფსიქიკურ მდგომარეობასა და მათი მოქმედების ხასიათზე. ამასთან, ნებისმიერი სახის მუქარა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს დაზარალებულისა და თავდამსხმელის პიროვნება, ამ უკანასკნელის მოქმედების უმართლობა და სხვა გარემოებები. ამავე დროს, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმ ვითარებას, რომ ფსიქიკური ძალადობის კვალიფიკაციისას მნიშვნელოვანია შეფასდეს, როგორც დაზარალებულის სუბიექტური აღქმა, ასევე მოძალადის მოქმედების ობიექტური ხასიათი. ყოველივე ზემოთქმული თუ არ იქნა გათვალისწინებული და საქმის ვითარება დეტალურად შესწავლილი, ქმედების სწორად დაკვალიფიცირება თითქმის შეუძლებელია.

ე). ფიზიკური ძალადობის ცნება

ფიზიკური ძალადობის ქვეშ საბჭოთა სისხლის სამართალში მიღებული იყო დაზარალებულის პიროვნებაზე ზემოქმედების შემდეგი სახეები:

1. ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ხელყოფა, სხეულის გარეგანი ქსოვილების ანატომიური მთლიანობის დარღვევის გზით.

2. ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა, სხეულის გარეგანი ქსოვილების ანატომიური მთლიანობის დარღვევის გარეშე მის შინაგან ორგანოებზე ზემოქმედების გზით.

3. ადამიანის პირადი თავისუფლების დაკარგვა ან შეზღუდვა.[50]

50 Л. Д. Гаухман, борьба с насилственными посегателствами. М. 1969. стр.8,13

პირველი სახის ძალადობის ქვეშ იგულისხმება ადამიანის ორგანოზე გარემოს ნებისმიერ ფაქტორთა ზემოქმედება, უშუალოდ მის სხეულზე. ასეთ ძალადობას შეიძლება მოჰყვეს ფიზიკური სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება და საბოლოოდ სიკვდილი. დამნაშავე იყენებს ძალადობას, რომელიც იწვევს ადამიანის სხეულის გარეგანი ქსოვილების ანატომიური მთლიანობის დარღვევას; იგი მიმართავს როგორც თავის ფიზიკურ ძალას, ასევე იარაღისა და სხვა საშუალებების გამოყენებას. ძალადობის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცხოველები, მაგალითად, (გაწვრთნილი ძაღლი). ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მწვავე სითხე, ფხვნილის მაგვარი ნივთიერება და ა.შ.[51]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, სხეულის დაზიანება განისაზღვრება სამი ხარისხით: მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა აუცილებლად უნდა დაადგინოს:

1. სხეულზე არსებული დაზიანება და მისი ხასიათი (სისხლნაჟღენთი, ნაკვეთი, მოტეხილობა და ა.შ.)
2. დაზიანების წარმომშობი მექანიზმი (დამზიანებელი იარაღის ტიპი ან საშუალება).
3. დაზიანების ხანდაზმულობა.
4. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა.

ფიზიკური ძალადობის ნაირსახეობად ითვლება აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, უშუალოდ მის შინაგან ორგანოებზე ან ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების გზით; მოწამვლა, უგონო მდგომარეობაში ჩაგდება ძლიერმოქმედი ან ნარკოტიკული ნივთიერების შეყვანით და ა.შ.

მთელი რიგი ავტორების აზრით, დაზარალებულის უგონო მდგომარეობამდე მიყვანა ან მისი მოწამვლა „გამას-პინძლება" ნარკოტიკული, შხამიანი ან სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერებით ქმნის ყაჩაღობის ნიშან-თვისებას. თუ ასეთი ძალადობა გამოყენებულია ქონების დაუფლებისას იმ პირის მიმართ, რომელიც ჩაგდებულია უგონო მდგომარეობაში,[52] მაგალითად, ლ.

---

51 ვ. ვლადიმიროვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 68

52 ვ. ვლადიმიროვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 68-69

დ. გაუხმანი აკეთებს დასკვნას, რომ განხილული მოქმედებანი წარმოადგენენ შინაგანად დაკავშირებულ ხელყოფას და ამიტომ უნდა კვალიფიცირდებოდეს ყაჩაღობად, თუ გამოყენებული საშუალებანი იყო საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.[53]

დამნაშავე დაზარალებულს აძლევს ნარკოტიკებს, საძილე ან შხამიან ნივთიერებას იმ მიზნით, რომ დაზარალებულმა დაკარგოს მის გარშემო არსებული გარემოს აღქმის უნარი და ეს უგონო მდგომარეობა გამოიყენოს ქონების საიდუმლოდ, ფარულად დაუფლებაში. აღნიშნულ სიტუაციაში ძალადობა გამოყენებულია დაზარალებულზე არა თავდასხმის გზით, არამედ საიდუმლოდ, მუხანათურად.

ასეთ შემთხვევაში დამნაშავის მოქმედებანი ქურდობად უნდა დაკვალიფიცირდეს და შესაბამისი დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თუ გამოყენებულმა ნივთიერებამ გამოიწვია პიროვნების ჯანმრთელობის დაზიანება.[54]

ბოლოს უნდა დაზუსტდეს ერთი გარემოება, რომ ყაჩაღობის დროს ხსენებული ნივთიერების გამოყენება, ანუ შეყვანა დაზარალებულის ორგანიზმში უნდა ხდებოდეს ძალის გამოყენებით და არა მოტყუებით. თუ მოტყუებით ან ნებაყოფილობით იქნა იგი მიღებული დაზარალებულის მიერ, ის არ ჩაითვლება ყაჩაღობად.

ახლა კი განვიხილავთ ძალადობას, რომელიც შეეხება დაზარალებულის პირადი თავისუფლების დაკარგვას ან მის შეზღუდვას, თავდასხმისას ასეთმა მოქმედებებმა შეიძლება შეადგინოს ყაჩაღობის შემადგენლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა დადგენილებაში აღნიშნა, რომ თუ ყაჩაღური თავდასხმის დროს დაზა-

---

53 ასეთივე აზრს გამოთქვამს მ. ბ. გუგუჩია (М. Б. Гугучия. Ответственность за разбой по советскому уголовному праву, Сухуми, 1959 г. стр. 34) ასევე გ. ლ. კრიგერი (Г. Кригер. Ответственность за разбой. 1962 г. стр.17) და სხვა ავტორები.

54 ასეთივე აზრი გამოთქვეს სხვა ავტორებმაც მაგალითად А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, Курс советского Уголовного права. Особенная часть. Т.1. М. 1955 г. стр.722-723. В. В. Ераксин, Ответственность за грабеж. М.1972 г. стр. 46. В. А. Владимиров, დასახელებული ნაშრომი. გვ.70

რალებულს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება (მაგალითად, ჩაამწყვდიეს სარდაფში და ასეთ მდგომარეობაში მიატოვეს), ქმედება ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის შესაბამისი მუხლების ერთობლიობით დაკვალიფიცირდება. ყაჩაღობის დროს დაზარალებულისათვის გადაადგილების თავისუფლების ისეთი შეზღუდვა, რომელიც საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით ყაჩაღური თავდასხმისათვის დამახასიათებელი ძალადობის ელემენტია (აქ იგულისხმება გაკოჭვა - რ. კ.), დამატებით კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით აღარ საჭიროებს.[55]

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს, ცოლ-ქმარი კ. და ს. გაძარცვის მიზნით, სახლში თავს დაესხნენ ზ.-ს, ხელ-ფეხი შეუკრეს, საბნით თავი შეუხვიეს, შემდეგ ჩააგდეს სარდაფში, აუჭედეს საძვრენი (люк) ლურსმნით, წაიღეს რა ფული და ძვირფასი ნივთები, დამნაშავეებმა დაკეტეს სახლის კარი ბოქლომით და გაუჩინარდნენ.

საოლქო სასამართლომ დამნაშავეების ქმედება დააკვალიფიცირა ყაჩაღობითა და მკვლელობის მცდელობის ერთობლიობით, თუმცა რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გამორიცხა მკვლელობის მცდელობა და მიუთითა, რომ კ.-ს და ს.-ს არ ჰქონდათ განზრახული ზ-ს მკვლელობა, რასაც ადასტურებენ მათი ქმედებანი. მათ არ ჰქონდათ არავითარი დაბრკოლება, რომ მოეკლათ ზ., მაგრამ მათ ის მხოლოდ გაკოჭეს და ჩაუშვეს სარდაფში, საიდანაც იგი თვითონ გამოვიდა სხვისი დახმარების გარეშე. ამიტომ კ-ს და ს-ს ქმედებანი შეიცავენ ნიშან-თვისებას მხოლოდ კვალიფიციური ყაჩაღობისა.[56]

ახლა კი განვიხილოთ ის საკითხი, თუ როგორი ძალადობაა საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 1996 წლის 2 აპრილის №2 დადგენილებაში აღნიშნა, რომ ,,სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა ყოველთვის არ გულისხმობს

---

55 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1996 წლის 2 აპრილის №2 დადგენილება

56 В. А. Владимиров. Квалификация преступлений против личной собственности, 1968 г. стр.84.

სხეულის მძიმე დაზიანებას ან რაიმე სხვა რეალურ შედეგს, სიცოცხლისათვის საშიშროება – ეს ძალადობის თვისებაა. ძალადობა სიცოცხლისათვის საშიშია, თუ მან შექმნა სიკვდილის დადგომის საფრთხე ან ობიექტურად შესაძლებელი გახადა ასეთი შედეგი." მაგალითად, ქვის თავში ჩარტყმა ან ადამიანის უმწეო მდგომარეობაში ჩასაგდებად მის ორგანიზმში ძლიერმოქმედი ნივთიერების შეყვანა, იმის მიუხედავად, მოჰყვება თუ არა მათ რაიმე შედეგი (სიკვდილი, სხეულის მძიმე დაზიანება) ჩაითვლება სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობად, რადგან ასეთი ძალადობის შედეგად სიკვდილის დადგომა რეალურად შესაძლებელია. ამასთან, ყაჩაღური თავდასხმის დროს განხორციელებული სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა მხოლოდ ყაჩაღობით იმ შემთხვევაში დაკვალიფიცირდება, როცა ძალადობას სიკვდილი არ მოჰყოლია და ასეთი შესაძლებელი შედეგის მიმართ არაპირდაპირი განზრახვა არსებობდა. ხოლო, როდესაც სასიკვდილო შედეგი დადგა, ანდა, როცა, მართალია, დაზარალებული არ მომკვდარა, მაგრამ დამნაშავეს ძალადობის განხორციელების დროს არა მარტო შეგნებული ჰქონდა სიკვდილის დადგომის შესაძლებლობა, არამედ სურდა კიდეც ისეთი შედეგი, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის შესაბამისი მუხლებით.

ჯანმრთელობისათვის საშიშია ძალადობა, რომელმაც ჯანმრთელობა რეალურად დააზიანა (სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის თუნდაც ხანმოკლე მოშლით) ანდა, რასაც, მართალია, არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მოშლა, მაგრამ განხორციელების პროცესში შექმნა რეალური შესაძლებლობა ჯანმრთელობის დაზიანებისათვის.

ის საკითხი, შექმნა თუ არა ძალადობამ ობიექტურად სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების შესაძლებლობა, სასამართლომ საქმის კონკრეტულ გარემოებათა ერთობლიობაში განხილვისა და შეფასების შედეგად უნდა გადაწყვიტოს. კერძოდ, უნდა გაითვალისწინოს ფიზიკური ზემოქმედების ადგილი (სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ადგილებში – თავი, მუცელი, იყო დაზიანებანი მიყენებული თუ არა), საშუალება (იარაღი, მუშტი, ქვა, ჯოხი) და სხვა ფაქტობრივი გარემოებანი. სიცოცხლისათვის საშიშ ადგილებში დაზიანება-

თა მიყენება, უმეტეს შემთხვევაში განიხილება, როგორც სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა გულისხმობს დაზარალებულზე ფსიქიკურ ზემოქმედებას იმაში დარწმუნების მიზნით, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოკლავენ ან ჯანმრთელობას დაუზიანებენ.

იმისათვის, რომ მოხდეს ქმედების სწორი კვალიფიკაცია, საჭიროა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც განსაზღვრავს მიყენებული დაზიანების ხარისხს. სასამართლო მედიცინაში სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

1. დაზიანების მომენტში სიცოცხლისათვის მისი საშიშროება;

2. ავადმყოფური პროცესის სიმძიმე და მისი მდგომარეობის ხანგრძლივობა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია დაზიანებასთან;

3. მძიმე შედეგები დაზიანების გამოსავალში (მაგ:, ჩასახვისუუნარობა, სმენის, მხედველობის დაკარგვა და ა.შ.);

4. შრომის უნარის მყარი დაკარგვა.[57]

ზემოთ ჩამოთვლილი დაზიანებების მიმართ ცალკე მუხლის გამოუყენებლობა და მათი ყაჩაღობის შემადგენლობაში განთავსება არ შეიძლება ჩაითვალოს კანონის ძლიერ მხარედ, ეს უბრალოდ, რამდენიმე დანაშაულის ერთ დანაშაულში გაერთიანების მცდელობაა, რაც საბოლოო ჯამში არ იძლევა ჩადენილი ქმედების ცალკე დაკვალიფიცირების საშუალებას.

რაც შეეხება სხეულის მსუბუქ დაზიანებას, (რომელიც მიყენებულია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების გარეშე) და რომელსაც არ გამოუწვევია ჯანმრთელობის შერყევა და რომელსაც არ მოჰყოლია შრომისუნარიანობის უმნიშვნელო დაკარგვაც კი, მაშინ მათი მიყენება ან მუქარა მსგავსი ქმედებისა ნივთის დაუფლების მიზნით თავდასხმისას, არ ქმნის ყაჩაღობის შემადგენლობას, რადგან ეს სახე ძალადობისა არ წარმოქმნის საშიშროებას დაზარალებუ-

57 თ. გორდელაძე. სასამართლო მედიცინა. თბ. 1998 წ. გვ 192-193.

ლის ჯანმრთელობისათვის და ამიტომ შეადგენს ძალადობრივი ძარცვის ნიშანს.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ პრაქტიული მუშაკები ყოველთვის არ უთმობენ სათანადო ყურადღებას ნივთის დაუფლების დროს მიყენებული ძალადობის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრას. ხშირად შესაბამის პროცესუალურ დოკუმენტებში არ არის მითითებული, წარმოადგენდა თუ არა გამოყენებული ძალადობა საშიშროებას დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის, თუ გამოიხატა სხეულის მსუბუქ დაზიანებაში, რომელიც არ გამოიწვევს ჯანმრთელობის შერყევას. მაგალითად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენში კ-ს საქმეზე მოსამართლემ გამოარკვია, რომ კ-მ დაზარალებულს ყელზე მოხვია ხელი, გამოიყენა მის მიმართ ძალადობა, მაგრამ, ვინაიდან, დაზარალებულს არ აღენიშნებოდა დაზიანება, მოსამართლე არ დაინტერესებულა ძალადობა იყო თუ არა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში. სხვათა შორის მიყენებული ძალადობის სიმძიმის საკითხის გადაუწყვეტლად შეუძლებელია საკითხის გადაწყვეტა ქმედების კვალიფიკაციაზე.

პრაქტიკაში არსებობს ისეთი შეცდომები, როდესაც თავდასხმას აკვალიფიცირებენ, ძარცვით და არა ყაჩაღობით. მაშინაც კი როცა თავდასხმას თან ახლდა დაზარალებულის სხეულის მსუბუქი დაზიანების შედეგად ჯანმრთელობის შერყევა.

§2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ა). განზრახვა

დანაშაულის (ქმედების) შემადგენლობის ძალზე მნიშვნელოვანი და პრობლემატური სახეა, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებია: ა) განზრახვა და განუზრახველობა; ბ) მისი სხვა ნიშნები: მოტივი, მიზანი და გ) ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები.

თანამედროვე სისხლის სამართალში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებს აღარ წარმოადგენენ და ეს სიახლე დაფუძნებულია კლასიკური სისხლის სამართლის თეორიის დებულებებზე.[58]

ქმედების სუბიექტური შემადგენლობის გარკვევის დროს დგინდება პირის ქმედებაში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ელემენტები. ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების ფაქტორი, რომელიც ასევე განზრახვის ერთ-ერთი კომპონენტია დგინდება ბრალის შერაცხვის ეტაპზე, საყურადღებოა, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ეტაპზე წარმოადგენს პირის არა ფსიქიკური დამოკიდებულების მომენტებს, არამედ მისი ინდივიდუალური გაკიცხვის კრიტერიუმებს. კერძოდ, იგულისხმება, რომ განზრახვა უფრო მკაცრად იკიცხება, ვიდრე გაუფრთხილებლობა და შესაბამისად ხდება ბრალის ხარისხის განსაზღვრა. ამ ელემენტების საკანონმდებლო რეგლამენტაცია მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებში.

ჩვენი აზრით, განზრახვა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა პირმა მიიღო ნებელობითი გადაწყვეტილება, იმოქმედოს. სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას იგი იძენს მხოლოდ მაშინ, როცა პირი შეუდგება მის განხორციელებას. განზრახ მოქმედებად ითვლება ისეთი შეგნებული და მიზანდასახული მოქმედება, რომელიც მიმართულია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიღწევისაკენ. განზრახვის დროს გადაწყვეტილება ყოველთვის წინ უსწრებს მოქმედებას, იგი მომავლისკენაა მიმართული.

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დისპოზიცია ისეა აგებული, რომ იქ მითითებულია მხოლოდ მოქმედებაზე და მასში ასახულია ის თვისებები, რომლებიც ყაჩაღურ თავდასხმას დანაშაულებრივ ხასიათს აძლევს, ხოლო რაიმე შემდგომი შედეგის დადგომა ან განხორციელება ყაჩაღობის აუცილებელ ელემენტს არ წარმოადგენს. ამიტომ ყაჩაღობის ჩადენის დროს თავდამსხმელის წარმოდგენა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ თვით მოქმედებასა და სისხლის სამართლის კოდექსში ასახულ

58 სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ზოგადი ნაწილი). ჟურნალი "ადვოკატი – მეოხი". თბილისი. 2003. გვ. 21. რედ. მ. ტურავა.

მის თვისებებზე და არა შედეგზე, რომელიც შეიძლება თავდასხმას ან ძალადობას მოჰყვეს.

არსებობს განზრახვის ორი ფორმა პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი განზრახვის დროს ნება მიმართულია მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ. იგი, არა მარტო, ითვალისწინებს, არამედ სურს კიდევ ასეთი შედეგის დადგომა. ამ შედეგის განხორციელება პირის მიზანს წარმოადგენს. ყაჩაღობის დროს განზრახვა მხოლოდ პირდაპირია.

როგორც პირდაპირი განზრახვის განმარტებიდან ჩანს არსებობს ორი ვარიანტი პირდაპირი განზრახვით ქმედების ჩადენის.

1. ვარიანტი: ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი.

2. ვარიანტი: ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

არაპირდაპირი განზრახვის დროს, პირს არ სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელება, იგი მხოლოდ შეგნებულად უშვებს მის დადგომას, რასაც ყაჩაღობის დროს არა აქვს ადგილი. აქ იგულისხმება ჯანმრთელობის დაზიანება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განზრახვა ბრალის ფორმას აღარ წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ამისა, განზრახვის ინტელექტუალური მომენტი მოიცავს პირის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებასაც. ეს უკანასკნელი კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით წარმოადგენს ბრალის ნიშანს. ახლა ისმის ორი კითხვა, რომელთაც უნდა გაეცეს სწორი პასუხი: 1). ხომ არ ნიშნავს აღნიშნული იმას, რომ განზრახვა არის ბრალის ფორმა? და 2). განზრახვის განმარტებისას ხომ არ უნდა მოხდეს მისგან შეფასებითი ელემენტის ჩამოცილება?

პირველ კითხვაზე შეიძლება გაიცეს ცალსახა პასუხი, განზრახვა არ წარმოადგენს ბრალის ფორმას, რადგანაც ბრალი

არის შეფასებითი კატეგორია, ხოლო განზრახვა შეფასების ელემენტს არ უნდა შეიცავდეს. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მიხედვით **„...მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის“**, როგორც ვხედავთ, „ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება“ ბრალის ნიშანია. ამიტომ პირის მიერ თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერების საკითხის გარკვევა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა და ის უნდა დადგინდეს ბრალის ხარისხის შეფასებისას.

რაც შეეხება მეორე კითხვას, აქაც პასუხი ცალსახაა აუცილებლად უნდა მოხდეს განზრახვისაგან შეფასებითი ელემენტის ჩამოცილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის თანახმად ქმედება პირდაპირი განზრახვით ჩადენილად ითვლება თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვლობას.

ჩვენი აზრით, პირდაპირი განზრახვით ჩადენილად უნდა ჩავთვალოთ ქმედება, მაშინ, როცა პირი ქმედების ჩადენისას ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვლობას.

ამ საკითხზე სწორად მსჯელობს პროფ. ო. გამყრელიძე. ის აღნიშნავს, რომ „საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი განზრახვას ბრალის ფორმად აღარ მიიჩნევს, ყოველ შემთხვევაში, ამაზე პირდაპირი მითითება კოდექსში არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით განზრახვის ინტელექტუალური მომენტი მოიცავს არა მარტო ქმედებისა და შედეგის ფაქტობრივი ხასიათის, არამედ შემადგენლობის ამ ნიშნების მართლსაწინააღმდეგო ხა-

სიათის გაცნობიერებასაც, მაგრამ „ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება" განზრახვის კი არა, ბრალის ნიშანია."[59] იმ საკითხის გარკვევის მიზნით თუ რა ადგილი უჭირავს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას დანაშაულის ცნების სტრუქტურაში პროფ. ო. გამყრელიძე იხილავს ბრალის ნორმატიული ცნების მომხრეების შეხედულებებს. მაგალითად, მას მოჰყავს პროფ. მ. ტურავას მოსაზრება, სადაც აღნიშნულია, რომ „ახალი კოდექსით განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ წარმოადგენს ბრალის ფორმებს, არამედ იგი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვა და გაუფრთხილებლობა დგინდება ფაქტობრივი გარემოებების ცოდნისა და სურვილის სახით. . ." პროფ. ო. გამყრელიძე ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ განზრახვა ქმედების შემადგენლობის ელემენტია და აღნიშნავს, რომ ქმედება სოციალური ცხოვრების ფაქტია, რომელსაც ადამიანი სჩადის განზრახ ან განუზრახველად, მაგრამ არ ეთანხმება იმ დებულებას, თითქოს გაუფრთხილებლობა, განზრახვის მსგავსად, ქმედების ელემენტია და ქმედების დადგენის დროს უნდა დგინდებოდეს.

როგორც ვხედავთ, პროფ. ო. გამყრელიძეს სისხლის სამართლის თეორიაში შემოაქვს განუზრახველობის ცნება, რომელიც უცხოა ქართული სამართლისათვის. ამასთან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ განუზრახველობის ცნების შემოტანას სჭირდება მისთვის შესაბამისი ადგილის მოძებნა დანაშაულის ცნების სტრუქტურაში.

პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „გამოძიება ჯერ დაადგენს სისხლის სამართლის კანონით აღწერილ ქმედებას თავისი ობიექტური და სუბიექტური მხარეებით. შემდეგ დაადგენს ამ ქმედების მიმართებას სამართალთან და თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, დაიწყებს ბრალის დადგენას. თუ ქმედება განზრახაა ჩადენილი, შეაფასებს ამ განზრახვას იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეერაცხება ის მის ავტორს ბრალად. თუ ქმედება განუზრახველადაა ჩადენილი, მაშინ შეფასების ობიექტია დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდე-

59 ო. გამყრელიძე-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 96.

ბულება შედეგის მიმართ. ამ დროსაც შეფასება შეიძლება იყოს უარყოფითი, რასაც ჩვენ გაუფრთხილებლობას ვუწოდებთ ან დადებითი, რაც ბრალს გამორიცხავს." ამ წინადადებაში ძალიან მოკლედ არის განხილული განუზრახველობის ცნება, მაგრამ მაინც ნათლად ჩანს ის მიმართულება, რაც პროფ. ო. გამყრელიძეს აქვს აღებული და უნდა ითქვას, რომ ეს არის უნიკალური მოვლენა ქართულ იურისპუდენციაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ განუზრახველობის შეფასება უნდა მოხდეს მხოლოდ ბრალის დონეზე, ხოლო ამაზე ჩვენ თუ ვიმსჯელებთ ქმედების დონეზე, მაშინ ვერაფერ შედეგს ვერ მივიღებთ, ის დარჩება ქმედებად, რომელიც ჩადენილია განუზრახველად.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ყალიბდება შემდეგი სახის რამდენიმე ლოგიკური დასკვნა:

1. სისხლის სამართლის კანონსა და თეორიაში მკვიდრდება განუზრახველობის ცნების ნეგატიური გაგება;

2. თუ არ არის ქმედება ჩადენილი განზრახ, მაშინ ადგილი აქვს ქმედების განუზრახველად ჩადენის ფაქტს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თუ უარყოფითად იქნება შეფასებული განუზრახველად ჩადენილი ქმედება, მაშინ პირის მიერ განხორციელებული ქმედება შეფასდება როგორც გაუფრთხილებლობით ჩადენილი.

3. თუ განუზრახველად ჩადენილი ქმედება შეფასდება დადებითად, მაშინ პირი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.

განუზრახველობის ცნების შემოტანა რამდენად ჩაჯდება მოქმედ თეორიასა და პრაქტიკაში? უნდა მოხდეს კონკრეტული დელიქტების განხილვა და შესწავლა, რათა დასაბუთდეს აღნიშნული ცნების შემოტანის აუცილებლობა.

არსებობს ზოგადად ქმედება, მაგრამ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ ისეთ ქმედებას, რომელიც შეიძლება იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი. რაც შეეხება განუზრახველ ქმედებას, ის მაშინაა დასჯადი, როცა ბრალის დონეზე მოხდება მისი შეფასება და ის შეფასდება უარყოფითად, რაც არის ამ ქმედების გაუფრთხილებლობად დაკვალიფიცირების საფუძველი.

ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი სუბიექტური შემადგენლობის ზუსტ განსაზღვრას. ყაჩაღობის სუბიექტური შემადგენლობის საკითხი მთლად მარტივი, თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ არის. იგი რიგ სირთულეს შეიცავს მაშინაც, როდესაც ყველაფერი გარკვეულად და გასაგებად გვეჩვენება. მაგალითად, ბახტაძემ, ბინაში ყაჩაღური თავდასხმის დროს, გააუპატიურა ოჯახის დიასახლისი, რის შემდეგაც მისი ქონების დაუფლება გადაიფიქრა. ერთი შეხედვით, ბახტაძემ ჩაიდინა გაუპატიურება, რადგან მან ნივთის დაუფლება გადაიფიქრა. მაგრამ თუ ჩვენ ბახტაძის ქმედებას კანონის კონსტრუქციიდან გამომდინარე განვიხილავთ, მას ჩადენილი აქვს ყაჩაღობა ბინაში შეღწევით და გაუპატიურება. იგი დაეუფლა თუ არა ქონებას ყაჩაღობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი პასუხისმგებლობისათვის ქმედების შედეგს არ მოითხოვს, ამიტომ ქმედება, მისი კანონით გათვალისწინებული ნიშნები და მიზანი, რისკენაც მიისწრაფვის თავდამსხმელი (ბახტაძე), იძლევა დამთავრებული დანაშაულის ყაჩაღობის სრულ დამთავრებულ სახეს.

ის გარემოება, რომ კანონი თვლის ყაჩაღობას დასრულებულად თავდასხმის მომენტიდან, ზოგიერთი ავტორი მიიყვანა დასკვნამდე, რომ დაუფლება ნივთისა ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმის პროცესში დევს მისი შემადგენლობის ფარგლებს გარეთ.[60]

ხსენებული მოსაზრება არ შეიძლება ჩაითვალოს არგუმენტირებულად, მიუხედავად იმისა, რომ კანონის დისპოზიციაში ნათქვამია არა ნივთის დაუფლებაზე, არამედ თავდასხმაზე მისი დაუფლების მიზნით, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ნივთის დაუფლება დევს სადღაც ყაჩაღობის შემადგენლობის გარეთ. ამდენად, როგორც ვხედავთ საკანონმდებლო განსაზღვრება ყაჩაღობისა სულაც არ იძლევა საფუძველს ასეთი მსჯელობისათვის, რადგან ნათელია, რომ ყაჩაღობის შემადგენლობაში შედის არა მარტო თავდასხმა და ძალადობა, როგორც

60 მაგალითად, მ. ა. გელფელი ვარაუდობს, რომ „ყაჩაღობისას სხვისი ქონების მიტაცება მისი წართმევის გზით ფაქტიურად დევს შემადგენლობის ფარგლებს გარეთ" (М. А. Гелфел. Преступления против личной собственности граждан. М., 1959 г. стр.31)

ნივთის დაუფლების საშუალება, არამედ თვით მისი დაუფლება, როგორც შედეგი ძალადობრივი ქმედებისა. ამდენად სხვა სახით გადაწყვეტილება ამ საკითხზე ეჭვქვეშ დააყენებდა საკანონმდებლო სისტემაში საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიისთვის ყაჩაღობის მიკუთვნების საკითხს. ნივთის დაუფლება, ჩვენი აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში შეადგენს ყაჩაღობის ნიშანს; თუ ყაჩაღურმა თავდასხმამ მიგვიყვანა ნივთის დაუფლებამდე, მაშინ დაუფლება არის ელემენტი ობიექტური მხარისა; თუ არ მიგვიყვანა - დაუფლება შეადგენს ყაჩაღობის სუბიექტური მხარის ნიშანს: თავდასხმა, როგორც ხაზს უსვამს კანონი, ხდება სწორედ ნივთის დაუფლების მიზნით. ამიტომ ყაჩაღობა სავსებით საფუძვლიანად უნდა იქნეს განხილული როგორც ქონების გატაცების სახე.[61]

ყაჩაღობის სუბიექტურ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს თავდამსხმელის ფსიქიკური დამოკიდებულება მისი ქმედებისა და შესაძლო შედეგის მიმართ.

ყაჩაღობა განზრახი დანაშაულია, ვიდრე დაიწყება მისი შესრულება, ის უკვე წარმოშობილია იდეის სახით. მისმა ჩამდენმა ჯერ უნდა ჩაიფიქროს მისი ჩადენა, შემდეგ უნდა მოემზადოს ჩასადენად, რეალიზაცია გაუკეთოს განზრახვას და იზრუნოს შედეგის მიღწევისათვის. ამდენად, დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ ეუფლება სხვის მოძრავ ნივთს და სურს ეს. ამასთან მას გაცნობიერებული აქვს, რომ იყენებს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარას. ანდა უშვებს, რომ მის მიერ განხორციელებული ძალადობა საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის.

თუ დამნაშავეს ძალადობის განხორციელების პროცესში გაცნობიერებული არ ჰქონდა ძალადობის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ხასიათი (მაგალითად, ცრემლსადენი გაზის ნაცვლად ადამიანს შეცდომით მომწამლავი გაზი შეაფრქვია) და მოქმედებას მოჰყვა სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება, ის პასუხს აგებს ძარცვისა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით დაზიანების შესაბამისი მუხლებით.

---

61 ა. ვლადიმიროვი, დას. ნაშრომი. გვ. 86

ყაჩაღობის ჩადენა გაუფრთხილებლობით შეუძლებელია, ხოლო ყაჩაღობასთან ერთად შეიძლება გაუფრთხილებლობით ჩადენილ იქნას სხვა დანაშაული. მაგალითად, ახვლედიანმა, რომელიც ყაჩაღურად თავს დაესხა საწარმოს, გაუფრთხილებლობით სხეული მძიმედ დაუზიანა მის გუშაგს. აქ ყაჩაღობა ჩადენილია განზრახ, სხეულის მძიმე დაზიანება კი გაუფრთხილებლობით. (კვალიფიკაცია იქნება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილი და სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილები.)

არსებობს სხვადასხვა სახის განზრახვა, ესენია: განსაზღვრული, განუსაზღვრელი, ალტერნატიული, წინასწარ მოფიქრებული და უეცრად აღძრული.

განსაზღვრული განზრახვის დროს, პირს სურს ჩაიდინოს ყაჩაღობა ან იგი უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგს.

განუსაზღვრელი განზრახვის შემთხვევაში, დანაშაულებრივი შედეგი დამნაშავის შეგნებაში არ არის აღქმული. მაგალითად, ყაჩაღობის დროს პირს არა აქვს წარმოდგენილი, თუ რა ღირებულების ან რა ხარისხით დააზიანებს დაზარალებულს მძიმედ, ნაკლებად მძიმედ, მსუბუქად თუ დაზიანება გამოიწვევს პირის სიკვდილს. მაგალითად, ბ. ნიკიფოროვი აღნიშნავს, რომ „დამნაშავე, ესწრაფვის რა სხვისი ქონების დაუფლებას, ჩვეულებრივ დაინტერესებული არაა მის მიერ გამოყენებული ძალადობის ხასიათითა და სიმძიმით. ის იყენებს ძალადობითი ზემოქმედების იმ ღონისძიებებს, რომლებსაც საქმის გარემოებათა მიხედვით აუცილებლობად თვლის... დამნაშავის მოქმედება, რომელიც დაზარალებულს ტყვიას ესვრის ან დანას თუ ნაჯახს ურტყამს, თავისი ობიექტური ხასიათით ისეთია, რომ დაზარალებულს შეიძლება სხეული მსუბუქად (ჯანმრთელობის მოშლით), ნაკლებად მძიმედ ან მძიმედ დაუზიანოს ან გამოიწვიოს დაზარალებულის სიკვდილი.“[62]

ალტერნატიული განზრახვისას პირი ყაჩაღურად თავს ესხმის დაზარალებულს და ითვალისწინებს, რომ იგი ძალადობის შედეგად დაზიანდება ან ძალადობის მუქარის გამო მიიღებს ფსიქიკურ ტრავმას.

---

62 Б.С.Никифоров. Объект преступления, М., 1960 г. стр.103-104

როგორც ვნახეთ, ზემოთ ჩამოთვლილი განზრახვის სახეებიდან სამი დაკავშირებულია შედეგთან. ე. ი. გამოდის რა იქიდან და ყაჩაღობის ჩადენის შემდეგ შესაძლო შედეგზეა ორიენტირებული და პირდაპირ ისმება კითხვა. უნდა გაეთვალისწინებინა თუ არა შედეგი ან შეძლო კი გაეთვალისწინებინა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყაჩაღობის დროს შედეგის გათვალისწინება ძალიან ძნელია, თუმცა კანონმდებელი ამას არც ითხოვს. რაც შეეხება დანარჩენ სახეებს, ყაჩაღობის ჩადენა შეიძლება, როგორც წინასწარ მოფიქრებული, ისე უეცრად აღძრული განზრახვით. ამ დანაშაულის უმრავლესობა ჩადენილია წინასწარ მოფიქრებული გეგმის შესაბამისად.

როგორც ვნახეთ, ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის სუბიექტურ მხარეს, ყაჩაღობის დროს მნიშვნელოვანია დადგინდეს განზრახვა, რომ თავდასხმა მიმართული იყო ნივთის დაუფლებისაკენ.

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის ქცევის შეფასება, ამ ქცევის მოტივისა და მიზნის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია, შესწავლილ უნდა იქნას თითეული მათგანის მნიშვნელობა. მოტივი და მიზანი ფსიქოლოგიური კატეგორიაა და ფსიქოლოგიის შესწავლის სფეროს განეკუთნება. სისხლის სამართლის ლიტერატურაში ცნობილია, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივი არის პირის შინაგანი მდგომარეობა, რაც მას უბიძგებს და რომლითაც ის ხელმძღვანელობს კონკრეტული დანაშაულის ჩადენის დროს.

დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მთავარი ადგილი, უჭირავს ადამიანის ქცევას, რომელიც დაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო შედეგთან ან ასეთის საფრთხის შექმნასთან, ვინაიდან, მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ე. ი. დანაშაული დაკავშირებულია დამნაშავის გადაწყვეტილების ფსიქოლოგიურ მექანიზმზე, შეუძლებელია ასეთი შედეგის დადგომა სუბიექტის შინაგანი აქტისაგან მოწყვეტით.

მიზნისა და მოტივის ცნების განმარტების მიზნით საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო რამოდენიმე ავტორის მოსაზრება. მაგალითად, ი. ლეკშასის აზრით, დანაშაულებრივი ქცევის მოტივი საერთოდ განსაზღვრავს დამნაშავის ნებასურვილის მიმართუ-

ლებასა და შინაარსს.[63]

რ. ნათაძის აზრით, მოტივი ეს არის რეალური საფუძველი, რომლის ნიადაგზე ადამიანი ჩადის ნებელობით მოქმედებას.[64]

მოტივისა და მიზნის ცნებას ასვე გვაძლევს ზ. ხარაზიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ მოტივი არის პირის ემოციური მდგომარეობა, გამოხატული ნების გამოვლენაში, რაც დაკავშირებულია მოცემული ქცევის აუცილებლობის შეგნებასთან და მისი განხორციელების სურვილთან. ,,მოტივი არის ქცევის საზრისი... მიზანი არის საზრისიანი ქცევის უზრუნველყოფის ფინალი".[65]

ალ. ვაჩეიშვილის აზრით, ,,ადამიანის ცნობიერი ნებისყოფითი აქტის დაწყებითი მომენტი, სწორედ მოტივია, როგორც ის ფსიქიკური აქტი, რომელიც განაპირობებს ნებისყოფის პროცესს, მოჰყავს უკანასკნელი მოძრაობაში".[66]

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მოტივი ეს არის ფსიქიკური საფუძველი, რომელიც ასაბუთებს პირის მოქმედების ან უმოქმედობის აუცილებლობასა და მის დასაბუთება-გამართლებას. მოტივი ხსნის თუ რატომ მოიქცა, რამ აიძულა პირი მოქცეულიყო ასე და არა სხვანაირად.

მიზანი არის ის, რისი მიღწევაც მას უნდა. აქ იგულისხმება, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური მოთხოვნების დაკმაყოფილება.

პროფ. პ. დაუთაშვილი აღნიშნავს, რომ ,,დანაშაულის მიზანია ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევასაც სუბიექტი წინასწარ განსაზღვრავს, ხოლო აღწევს მას საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შედეგად".[67]

აქედან ნათელია, რომ მიზანი არ არის მართლსაწინააღმდე-

---

63 И. Лекшас. Вина как субъективная сторона преступного деяния. М. 1958 г. ст.83

64 რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია. თბ. 1956 წ. გვ. 475

65 Б. В. Харазишвили. Вопросы мотива поведения преступника в Советском праве. Тбилиси. 1963 г. ст.44-45. ასევე ბ. ვ. ხარაზიშვილის - სიცრუის ფსიქოლოგია. თბ.1974 წ. გვ. 54

66 ალ. ვაჩეიშვილი- დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში. თბ. 1957 წ. გვ. 7.

67 პ. დაუთაშვილი-სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) თბ. 2003 წ. გვ. 69

გო და საზოგადოებისათვის საშიში ქმედება და არც ასეთი შედეგია. გარდა ამისა, მოტივი და მიზანი არ არის იდენტური ცნებები. მოტივი უნდა გავიგოთ პირის ნებელობითი არეალი, მიზანი პირის ინტელექტთან არის დაკავშირებული, ამასთან მოტივი და მიზანი ერთად ქმნიან ისეთ შინაგან ვითარებას, რომლის საფუძველზეც აღმოცენდება განზრახვა. მსჯელობიდან ნათელია, რომ მოტივი არის სხვა ცნება, ხოლო მიზანი კი სხვა, ხოლო ორივე ერთად ქმნის განზრახვას.

საინტერესოა, ყაჩაღობის სუბიექტური მხარის ფაკულტატიური ისეთი ელემენტების შესწავლა, როგორიცაა: ყაჩაღობის ჩადენის მოტივი და მიზანი. ყაჩაღობა ნივთის მისაკუთრების მიზნით თავდასხმაა, მაგრამ გასარკვევია ყაჩაღობის ჩადენის მიზანი, ანუ რა მიზნით მიისაკუთრა სხვისი ნივთი თავდამსხმელმა (არც ამის გარკვევას ითხოვს კანონმდებელი, მას კვალიფიკაციისათვის მნივშნელობა არა აქვს). შეიძლება იყოს პირადი გამდიდრების, შურისძიების, ანგარების მიზნით და ა.შ., ხოლო მოტივი შეიძლება იყოს მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და სხვა. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლში ყაჩაღობის ჩადენის მოტივზე საუბარი არ არის, რაც შეეხება მიზანს ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" პუნქტის შესაბამისად ყაჩაღობა შეიძლება ჩადენილ იქნეს დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით.

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით ახალმა კოდექსმა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ზოგიერთ დანაშაულთა დისპოზიციაში შეიტანა დანაშაულის შემადგენლობისათვის ერთ-ერთი აუცილებელი სუბიექტური მხარის ელემენტი – მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე იმისათვის, რომ თავდასხმა ნივთის დაუფლების მიზნით ჩადენილი ჩაითვალოს ყაჩაღობად აუცილებელია თავდამსხმელს ჰქონდეს ნივთის მისაკუთრების მიზანი.

პროფ. ზ. წულაია ეთანხმება ქურდობის დისპოზიციაში „მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის" შეტანას. თუმცა იგი ასევე აღნიშნავს, რომ „მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის დადგენა ყოველთვის გარკვეულ სირთულეს უქმნიდა გამოძიებასა და სასამართლოს. ამის მიზეზი თავის მხრივ ისაა,

რომ ქურდი ხშირად ამბობს: მდიდარს ვპარავდი იმიტომ, რომ ღარიბისათვის მიმეცაო, რომ მე მისაკუთრების მიზანი არ მამოძრავებდაო, რაც, ცხადია, სათანადო მტკიცებულებათა შეკრებით უნდა იქნას უარყოფილი და რომლის შეკრებაც არცთუ ისე იოლი საქმეა".[68]

მიუხედავად იმისა, რომ პროფ. ზ. წულაიას სწორად მიაჩნია მისაკუთრების მიზნის შეტანა ქურდობის დისპოზიციაში, ის მაინც ვერ ასაბუთებს კანონში მისაკუთრების მიზნის შეტანის აუცილებლობას, პირიქით, მის მიერ მოყვანილ მაგალითში ნათლად ჩანს მისაკუთრების მიზნის არსებობის უარყოფითი მხარე.

პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „ისეთი ქონებრივი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ზოგიერთი სხვა, წარმოადგენს სხვისი ქონების მითვისების მიზანი. მაგალითად, სხვისი ქონების ფარული წაღება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება ქურდობად, როცა ის ჩადენილია მითვისების მიზნით".[69]

კანონის ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, თუ პირს არ ჰქონდა მისაკუთრების მიზანი, მაშინ მისი ქმედება ქურდობად ვერ დაკვალიფიცირდებოდა. მაგალითად, ავტომანქანის გატაცების შემთხვევაში თუ პირს არ ჰქონდა მისი მისაკუთრების მიზანი, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე). ეს მუხლი ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსიდან, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით თუ ავტომანქანის გატაცების დროს ადგილი ექნებოდა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარას, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის III ნაწილით, რომელშიც გათვალისწინებული იყო ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით ჩადენილი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის

---

68 ზ. წულაია - სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. ტ. 2. 2001 წ. გვ. 41.

69 ო. გამყრელიძე - ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. თბ. 1998 წ. გვ. 235.

საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

კოდექსის ზოგიერთი მუხლის დისპოზიციაში მისაკუთრების მიზნის შეტანის საკითხს ეხება პროფ. ო. გამყრელიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ძველი ფორმულირების მიხედვით ქურდობის ცნება გამართლებულად ფართოვდება. იგი წერს „აქ იგულისხმება (საუბარია რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის დისპოზიციაზე, რომელიც ასეა ჩამოყალიბებული: „кража, то есть тайное хищение чужого имущества"), რომ ქურდობა იქნება სხვისი ნივთის დაუფლება ნებისმიერი მიზნით, რადგანაც მუხლის ტექსტში მიზანი ნახსენები არ არის. მაგალითად, ვინმე ფარულად დაეუფლა სხვის ნივთს დროებითი გამოყენების მიზნით. ხსენებული ტექსტის მიხედვით, ეს ქმედება ქურდობად უნდა დაკვალიფიცირდეს. ამას შეუძლია არევ-დარევა შეიტანოს სასამართლო პრაქტიკაში."[70]

ჩვენი აზრით, ყაჩაღობის დისპოზიციაში გატაცების მიზნის ნაცვლად მისაკუთრების მიზნის შეტანის აუცილებლობა სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილების შემდეგ (აქ იგულისხმება სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლი) უფრო შესამჩნევი გახდა. მართალია, ეს ერთი შეხედვით არაფერს არ ცვლის (აღნიშნულზე დეტალურად ქვემოთ გვექნება მსჯელობა), რადგან ყაჩაღური თავდასხმა ყველა შემთხვევაში ხდება ნივთის დაუფლების მიზნით, ხოლო ნივთს შეიძლება დაეუფლონ მისაკუთრების, სხვისთვის გადაცემის, განადგურების ან დროებით გამოყენების მიზნით. დაზარალებულს აზიანებს ნივთის დაუფლება, რითაც ხდება ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობის მოსპობა. ამასთან, დაზარალებულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფა ან ხელყოფის საფრთხის შექმნა ხდება თავდასხმისა და ნივთის დაუფლების პროცესში და არა მისი მისაკუთრების ან ლეგალიზაციის დროს. ჩვენი აზრით, გატაცების მიზანში ხშირ შემთხვევაში იგულისხმება მისაკუთრების მიზანი, რადგან თავდამსხმელი იმისთვის ზრუნავს, რომ ხელში ჩაიგდოს და თვითონ მიისაკუთროს მიღებული ქონება. მიუხედავად ამი-

70 ო. გამყრელიძე- საქართველოს სისხლის სამართლის პროექტის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების გამო. თბ. 2000 წ. ჟურნ. "ალმანახი" №13. გვ. 32-33.

სა, პიროვნება უნდა დაისაჯოს იმისათვის, რისი ჩადენაც მას სურდა, ამიტომ ასეთი ფორმულირებით თანაბრადაა დაცული, როგორც მესაკუთრის, ისე თავდამსხმელის უფლებები.

ამ საკითხზე საინტერესოა პროფ. ო. გამყრელიძის შემდეგი მსჯელობა. იგი წერს: „გავიხსენოთ როგორი გაუგებრობა და შეხლა-შემოხლა გამოიწვია ამ ოციოდე წლის წინ სასამართლო პრაქტიკაში ერთმა საქმემ იმის გამო, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (იგულისხმება 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი - რ. კ.) 152-ე მუხლში (ყაჩაღობა) მითითებული იყო მხოლოდ ქონების დაუფლების მიზანი და ტექსტში არ იყო ნახსენები ამ ქონების მითვისების მიზანი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომაზე მაშინ სერიოზულად ამტკიცებდნენ, რომ ყაჩაღობის შემადგენლობისათვის საკმარისია ქონების დაუფლების მიზანი და აუცილებელი არ არის მისაკუთრების მიზნის დადგენა, რადგან ამას მუხლის ტექსტი არ მოითხოვს. სწორედ ამ შემთხვევამ გვაიძულა ყაჩაღობის, ქურდობისა და ზოგიერთი სხვა დანაშაულის შემადგენლობის პროექტისეულ აღწერილობაში საგანგებოდ შეგვეტანა მითვისების მიზანი."[71]

ამ საკითხზე პროფ. ო. გამყრელიძე სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ „მითვისება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ანგარება. ეს უკანასკნელი ყოველთვის გულისხმობს მითვისებას, მაშინ როცა მითვისება, თავის მხრივ, ყოველთვის არ ნიშნავს და არ მოიცავს ანგარების შემთხვევებს. . . . კაცი შეიძლება სხვის ქონებას ითვისებდეს იმ მიზნით, რომ ქვრივ-ობლებს შეეწიოს."[72]

მნიშვნელოვანია პროფ. ო. გამყრელიძის შემდეგი მსჯელობაც „მითვისების მიზანს . . . ანგარებისგან განსხვავებით, პირადი, პერსონალური მნიშვნელობა კი არ აქვს, არამედ იგი ზოგადი, ობიექტური ნიშანია, რომელიც ქმედების (ქურდობის) შინაარსს განსაზღვრავს. ქურდობა ამ ნიშნის გარეშე შეუძლებელია".

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის ქონა ნიშნავს

---

71 ო. გამყრელიძე - საქართველოს სისხლის სამართლის პროექტის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების გამო. თბ. 2000 წ. ჟურნ. „ალმანახი" № 13. გვ. 32-33.

72 ო. გამყრელიძე - „ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის". თბ. 1998 წ. გვ. 235.

იმას, რომ პირს აქვს მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ნივთის თავის საკუთრებად გადაქცევის მიზანი. ე. ი. მას სურს მოიპოვოს ნივთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის კანონიერი უფლება. ფაქტიურად თავდამსხმელს უნდა, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას კანონიერი სახე მისცეს, რაც თავის მხრივ გულისხმობს ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანსაც.

ვთქვათ, თავდამსხმელს არა აქვს ნივთის მისაკუთრების მიზანი, მაშინ კანონის რედაქციიდან გამომდინარე, ქმედება ვერ შეფასდება ქურდობად, ძარცვად, ყაჩაღობად, ამიტომ უნდა არსებობდეს ისეთი დელიქტები, რომელთა დისპოზიციაში გათვალისწინებული იქნება დროებით გამოყენების მიზანი. აღნიშნული მოსაზრების სისწორე უფრო შესამჩნევი გახდა ბოლო დროს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, რადგან დროებით გამოყენების მიზნით ავტომანქანის დაუფლება არ არის დასჯადი 184-ე მუხლით (ამოღებულია კოდექსიდან), მაგრამ პრაქტიკაში ამ სახის ქმედების ჩამდენს სჯიან როგორც ქურდობის, ყაჩაღობის, ძარცვის ჩამდენ პირებს, გააჩნია ჩადენის ხერხს.

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინება (საქმის №1042აპ) პ. ო. ხვედელიძის ბრალდების საქმეზე. პ. ხვედელიძეს რამდენიმე დანაშაულში ედებოდა ბრალი, მაგრამ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ერთ ეპიზოდს, რომელიც ავტომანქანის დროებით გამოყენების საკითხს ეხება.

განაჩენით მსჯავრდებულ პ. ხვედელიძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

პ. ხვედელიძემ ხაშურში, კალინინის ქუჩაზე მცხოვრებ გ. ხაჩიძესთან გაიცნო თ. თანდილაშვილი. მათ ერთად ისადილეს, რის შემდეგაც პ. ხვედელიძემ და თ. თანდილაშვილმა ამ უკანასკნელის კუთვნილი ,,ოპელ-ვექტრას" მარკის ავტომანქანით, გ. ხაჩიძე მიიყვანეს ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში. უკან დაბრუნებისას, მათ რესტორან „ნიკალას" მიმდებარე ტერიტორიაზე განაგრძეს ალკოჰოლური სასმელის მიღება, რა დროსაც პ. ხვედელიძემ განიზრახა, დროებითი გამოყენების მიზნით დაუფლებოდა თ. თანდილაშვილის კუთვნილ ავტომანქანას. პ.

ხვედელიძემ დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თ. თანდილაშვილს სთხოვა ავტომანქანის საჭე მისთვის გადაეცა. თანხმობის მიღების შემდეგ დაჯდა საჭესთან და წავიდნენ ხაშურის მიმართულებით. ხაშური-ბორჯომის საავტომობილო მაგისტრალზე მოძრაობისას, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე, პ. ხვედელიძემ, თ. თანდილაშვილის მოთხოვნით, ავტომანქანა გააჩერა. თ. თანდილაშვილი საჭესთან დაჯდომის მიზნით გადმოვიდა ავტომანქანიდან. ამით ისარგებლა პ. ხვედელიძემ, დროებითი გამოყენების მიზნით დაეუფლა ავტომანქანა „ოპელ-ვექტრას" და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. 2006 წლის 2 ივლისს, დაახლოებით 11 საათზე, პ. ხვედელიძემ თ. თანდილაშვილს ნებაყოფლობით დაუბრუნა მითითებული ავტომანქანა.

აღნიშნულ საქმეზე ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორი ზ. გვრიტიშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მარტის განაჩენის გაუქმებას პ. ხვედელიძის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი პ. ხვედელიძის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში არის უკანონო, აშკარად ლმობიერი და დაუსაბუთებელი; სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პ. ხვედელიძე დანაშაულის არაღიარებით ხელს უშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, ზარალი არ აუნაზღაურებია, მან პირობითი მსჯავრის პერიოდში ჩაიდინა მძიმე კატეგორიის არაერთგზისი დანაშაულები, რომელთა სიმძიმისა და ხარისხის გათვალისწინებით, ამგვარი სასჯელის დანიშვნა არ ემსახურება სასჯელის მიზნებს და აშკარად ასუსტებს მისი და სხვა პირთა კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობას.

განჩინებაში აღნიშნულია, რომ „დიდმა პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები პ. ხვედელიძის ბრალდების შესახებ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. გამოკვლეულ მტკიცებულებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

განაჩენი სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრებისას კვალიფიკაციისა და დასაბუთებულობის ნაწილში მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

რაც შეეხება პროკურორის საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული განაჩენი პ. ხვედელიძის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში არის უკანონო, ლმობიერი და დაუსაბუთებელი, აღნიშნულს დიდი პალატა არ იზიარებს.

სააპელაციო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა პ. ხვედელიძის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, კერძოდ: დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, (ხაზგასმა ჩვენია რ. კ.) დამნაშავის პიროვნება, ასევე ის, რომ პ. ხვედელიძე ხასიათდება დადებითად, ჰყავს მეუღლე და ორი არასრულწლოვანი შვილი.

დიდი პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, მსჯავრდებულ პ. ხვედელიძის მიმართ შეფარდებული სასჯელი შეესაბამება მისი ქმედების სიმძიმესა და პიროვნებას, რის გამოც, მეტისმეტი სიმსუბუქის გამო, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს აშკარად უსამართლოდ.

ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 23 მაისს შეტანილი ცვლილებით, რაც ძალაშია ამავე წლის 16 ივნისიდან, სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება, ანუ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის არარსებობა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი, დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება და მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ასეთი ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ და-

ნაშაულთა შესაბამისი მუხლები, კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლები.

როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 178-ე, 179-ე მუხლებით, ისე 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები მიმართულია საკუთრების წინააღმდეგ. მათი ხელყოფის უშუალო ობიექტს წარმოადგენს ისეთი ქონებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკუთრების ან ქონების ფლობასთან. დამნაშავეს ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების შემდეგ უჩნდება შესაძლებლობა, ისარგებლოს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი. ამ შემთხვევებში დანაშაულის სუბიექტური მხარის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ანგარებითი მოტივი - პირმა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სხვისი საკუთრება - ავტომობილი ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება.

სატრანსპორტო საშუალების გატაცება სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით კვალიფიცირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე სხვისი ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისას განიზრახავდა დროებით გამოეყენებინა გატაცებული ავტომანქანა. კანონმდებელი, დამნაშავის განზრახვიდან გამომდინარე, მის ქმედებას აკვალიფიცირებდა ავტომანქანის გატაცებისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის მუხლით, განსხვავებით იმ შემთხვევისაგან, როდესაც პირს განზრახული ჰქონდა თავის სასარგებლოდ ავტომანქანის არადროებით გამოყენება, არამედ მისაკუთრება.

კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღო რა სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლი, ამით უარი თქვა, დამნაშავის განზრახვიდან გამომდინარე ავტომანქანის გატაცების შემთხვევაში, მისი სპეციალური მუხლით დასჯაზე და ერთ სიბრტყეში, კერძოდ, გატაცების ხერხის მიხედვით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამის მუხლებში მოაქცია ავტომანქანისა და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, როგორც დროებითი გამოყენების, ასევე სხვა ფორმით მისი გამოყენების მიზნით.

ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის

დისპოზიციაში არ არის მოცემული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს არ არსებობს ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა დროებით, რა დროსაც დამნაშავე, თავისი შეხედულებით, მხოლოდ დროებით, ანგარებითი მოტივით თავის სასარგებლოდ გამოიყენებს სხვის საკუთრებას - ავტოტრანსპორტს, რადგან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი.

მართლსაწინააღმდეგო დაუფლების დროს პირი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ მოიპოვებს მისი უკანონოდ გამოყენების შესაძლებლობას, რა დროსაც მას შეუძლია, განკარგოს ნივთის ბედი თავისი შეხედულებით. კანონის დათქმით, თუ დამნაშავე დროებით გამოიყენებდა ავტომანქანას, როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული იყო დანაშაულის სპეციალური შემადგენლობა, ვიდრე ავტომობილის ხანგრძლივი დროით დატოვებით და მისი სხვა ფორმით გამოყენების დროს.

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსიდან აღნიშნული მუხლის ამოღებით კანონმდებელმა უარი თქვა დამნაშავის სპეციალური მუხლით დასჯაზე მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებით გამოყენების შემთხვევაში და ამ ნივთთან მიმართებით იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლება ავტომობილს, რა დროსაც მას აქვს მისი, როგორც ფაქტობრივად საკუთარის, გამოყენების შესაძლებლობა, არა აქვს მნიშვნელობა, პირი რა სახით გამოიყენებს ავტომანქანას, - მისი დროებით სარგებლობა სურს, თუ ფიქრობს მისი გამოყენების სხვა ფორმებზე, - მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისთვის გამოყენებული ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით."

ჩვენი აზრით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება დაუსაბუთებელია და განიცდის მეცნიერული არგუმენტაციის სიმწირეს.

უნდა აღინიშნოს, რომ განჩინებაში მოყვანილი განმარტება, რომელიც ეხება სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის დეკრიმინალიზაციას მოკლებულია სისხლის სამართლის თეორიის საფუძველზე მეცნიერულ დასაბუთებას. განჩინებაში აღნიშნულია, რომ „სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება, ანუ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის არარსებობა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი, დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება და მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია." ამ სიტყვების ავტორი აშკარად ცდება, რადგან სისხლის სამართლის კერძო ნაწილიდან მუხლის ამოღება ნიშნავს, სწორედ მის დეკრიმინალიზაციას და მას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი. ასეთ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია, სადაც წერია: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული ე. ი. ამ კოდექსით (სისხლის სამართლის კოდექსით) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება." ე. ი. იმისათვის, რომ ქმედებას ჰქონდეს დანაშაულებრივი ხასიათი ის აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული კოდექსში, სხვა შემთხვევაში ის დანაშაულად ვერ განიხილება.

განჩინების მიხედვით: „დამნაშავეს ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების შემდეგ უჩნდება შესაძლებლობა, ისარგებლოს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი. ამ შემთხვევებში დანაშაულის სუბიექტური მხარის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ანგარებითი მოტივი - პირმა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სხვისი საკუთრება - ავტომობილი ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება." როგორც ვხედავთ, პალატას მიაჩნია, რომ ანგარება და სხვისი ნივთის დროებით გამოყენება იდენტური ცნებებია, რაც აშკარად საფუძველს მოკლებულია, იურისპრუდენციის ელემენტარული ცოდნაც კი საკმარისია, რომ პირმა ამ ორ ცნებათა გამიჯვნა მოახერხოს, რათა ბრალის შერაცხვის ეტაპზე გამოიყენოს ის, როგორც შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება.

ჩვენ ასევე არასწორად მიგვაჩნია პალატის განმარტება თი-

თქოს „სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის დისპოზიციაში არ არის მოცემული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს არ არსებობს ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა დროებით, რა დროსაც დამნაშავე, თავისი შეხედულებით, მხოლოდ დროებით, ანგარებითი მოტივით თავის სასარგებლოდ გამოიყენებს სხვის საკუთრებას - ავტოტრანსპორტს, რადგან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი.“ ამ კონკრეტულ წინადადებასთან მიმართებაში პალატის შემადგენლობას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომელიც ლოგიკის კანონების დაცვით მიიღება და შემდეგი შინაარსისაა. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა დროებით წინააღმდეგობრივი წინადადებაა, რადგან თუ პირს აქვს ნივთის მისაკუთრების განზრახვა ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს სურვილი ამ ნივთის თავის საკუთრებად გადაქცევის, ხოლო შემდგომ განკარგოს ის თავისი შეხედულებისამებრ, ამით ის იმკვიდრებს ნივთზე სამუდამო ბატონობის უფლებასა და შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში და ვითარებაში ნივთის მიმართ ფლობის, სარგებლობის და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობის დროებით არსებობა შეუთავსებელია მისაკუთრების ტერმინოლოგიასთან. მოკლედ, რომ ვთქვათ ამ წინადადების შინაარსი დაახლოებით ასეთია პირს ნივთი მიაქვს იმისთვის, რომ სამუდამოდ მისი იყოს, ოღონდ დროებით, რაც არალოგიკურია.

ზემოთ თქმულის მსგავსია შემდეგი წინადადებაც: „არა აქვს მნიშვნელობა, პირი რა სახით გამოიყენებს ავტომანქანას, - მისი დროებით სარგებლობა სურს, თუ ფიქრობს მისი გამოყენების სხვა ფორმებზე, - მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისთვის გამოყენებული ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით.“ -აქაც გაუგებარია რას ნიშნავს არა აქვს მნიშვნელობა პირს მისი დროებით სარგებლობა სურს, თუ ფიქრობს მისი გამოყენების სხვა ფორმაზე. გამოყენების სხვა

ფორმაში ალბათ გულისხმობენ სამუდამოდ გამოყენებას, რაც იგივე მისაკუთრებაა. ამდენად საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინამდებარე განჩინება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ასეთი მსჯელობის შემდეგ პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ პ. ხვედელიძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება - ავტომობილის დროებითი გამოყენების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ეპიზოდში დანაშაული, დაკვალიფიცირებული სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს სამიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას, შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტს (ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის), რაც ითვალისწინებს ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებული ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მარტის განაჩენი მსჯავრდებულ პ. ხვედელიძის მიმართ კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად."

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პალატას უნდა შეეწყვიტა საქმე ამ ეპიზოდში, რადგან კანონმდებლის მიერ ქმედება იყო გაუქმებული და მას არ ჰქონდა დანაშაულებრივი ხასიათი.

ბ). სპეციალური განზრახვა

ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირების საკითხის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, ხომ არ არის დაუფლებული ისეთი ნივთები, რომელთა მიმართაც აუცილებელია სპეციალური განზრახვის არსებობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს გარკვეული მუხლები, რომლებშიც დანაშაულის საგანი პირდაპირაა მითითებული. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლი განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება,[73] სისხლის სამართლის კოდექსის 264-ე მუხლი ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკუსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა, სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე მუხლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთების მიზნით ან გამოძალვა და სხვა.

სპეციალურ განზრახვად უნდა ჩაითვალოს ისეთი განზრახვა, როდესაც პირის ქმედება მიმართულია კონკრეტული საგნის დაუფლებისაკენ, ხოლო თუ ყაჩაღობის ჩადენისას ადგილი ექნება ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში მითითებული საგნების დაუფლებას, უნდა დადგინდეს ჰქონდა თუ არა პირს კონკრეტულად იმ ნივთის დაუფლების მიზანი, რომელსაც დაეუფლნენ ყაჩაღური თავდასხმისას. თუკი ყაჩაღობის დროს გატაცებულ იქნა ხელჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და აღნიშნული უცნობი იყო თავდამსხმელისათვის, მაშინ მისი ქმედების დაკვალიფიცირება დამატებით სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლის II ნაწილით არ შეიძლება, რადგან პირს ამ ნივთის გატაცების განზრახვა არ ჰქონია. ამ საკითხზე პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „ამ დანაშაულის სუბიექტური მხარე უთუოდ განზრახვას გულისხ-

73 ამ მუხლზე დეტალურად საუბარი გვექნება III თავში.

მობს. განზრახვა უნდა იყოს პირდაპირი, რადგან არაპირდაპირი განზრახვით რაიმეს მითვისება წარმოუდგენელია. სხვისი საბუთის მითვისების სუბიექტური მხარე უნდა გულისხმობდეს მოქმედის მხრივ წინასწარ იმის წარმოდგენას, რომ იგი სხვის საბუთს მითვისების მიზნით ეუფლება."[74]

გ). შეცდომა

შეცდომა იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი ნიშნების თუ იურიდიული შეფასების არასწორი წარმოდგენა. შეცდომა ამის მიხედვით ორი სახისაა – ფაქტობრივი და იურიდიული.[75] შეცდომა დაზარალებულის პიროვნებაში გავლენას ვერ მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე, მაგალითად, დამნაშავე შეცდომით თავს ესხმის არა იმ პიროვნებას, რომელსაც მისი განზრახვა მოიცავდა, არამედ სხვა ადამიანს, ორივე შემთხვევაში ზიანდება ერთი ობიექტი და ამდენად, ასეთი შეცდომა გავლენას ვერ მოახდენს განზრახვასა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე. კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ასევე შეცდომა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებში, რომლებიც არ განეკუთვნებიან დანაშაულის შემადგენლობას, მაგალითად, დაზარალებულის სქესი, კანის ფერი და სხვა.

ყაჩაღობის ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა დანაშაულის კვალიფიკაციისათვის, მნიშვნელოვანია ფაქტობრივი შეცდომების არსებობა-არარსებობის გამოვლენა, ვინაიდან, ისინი დაკავშირებულია განზრახვის შეფასებასთან.

ჩვენ მსჯელობა გვქონდა შეცდომაზე დაზარალებულის პიროვნებაში, მაგრამ არსებობს სხვა ფაქტობრივი შეცდომები. მაგალითად, ხელყოფა უვარგის ობიექტზე, მოქმედებისაგან გადახრა, შეცდომა დანაშაულის ობიექტში, შეცდომა ხელყოფის საგანში და ა.შ.

მოქმედებისაგან გადახრა ეწოდება ისეთ შედეგს, როდესაც ზიანს განიცდის არა ის სიკეთე, რაზედაც მიმართული იყო ხელყოფა, არამედ სხვა სიკეთეც, მაგრამ ეს ხდება დამნაშავისგან

74 ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ.105

75 ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ.105

დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მაგალითად, იმნაძე თავს დაესხა ბაქრაძეების ოჯახს ყაჩაღობის მიზნით, ის ფიქრობდა, რომ სახლში მარტო ოჯახის უფროსი იქნებოდა, მაგრამ შემთხვევით იქ აღმოჩნდა მისი ნათესავი წულეისკირი. ამ შემთხვევაში ვერანაირ გავლენას ეს ფაქტი კვალიფიკაციაზე ვერ მოახდენს და ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც ყაჩაღობა.

ფაქტობრივ შეცდომაში იგულისხმება ობიექტური ნიშნების არასწორი წარმოდგენა, რაც ყაჩაღობის დროს გამოიხატება თავდასხმის, დაუფლების ხერხისა და ძალადობის მუქარის არასწორ წარმოდგენაში.

დ). დაზარალებულის შეცდენა

ყაჩაღობის კვალიფიკაციის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ხშირად თავდამსხმელი იყენებს ისეთ მეთოდს, რომელიც უფრო მარტივ გამოსავალს წარმოადგენს თავდასხმის ჩასადენად. მაგალითად, უვარგისი იარაღით თავდასხმა. უვარგისი იარაღის გამოყენების მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგალითად, იარაღის ტარებისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან პრობლემების თავიდან აცილება, იარაღის არ ქონა, უეცრად აღძრული განზრახვის შემთხვევაში ხელთ არსებული საგნების გამოყენება დაზარალებულის შესაშინებლად და ა. შ. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა თავდამსხმელი უვარგისი იარაღის საშუალებით აშინებს დაზარალებულს და ეუფლება მის ნივთს.

ამ საკითხზე დეტალური მსჯელობა უკვე გვქონდა ფსიქიკური ძალადობის ცნების განხილვისას და ხელმეორედ არ განვიხილავთ.

ე). ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშანი

ყაჩაღობის შემადგენლობის კვლევისას მნიშვნელოვანია არა მარტო ფაქტობრივი ნიშნების, არამედ ქმედების ნორმატიული ნიშნების განხილვაც. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დისპოზიცია შეიცავს ისეთ ნორმატიულ ნიშანს, როგორიცაა „სხვისი".

საკუთრების წინააღმდეგ მომართულ დანაშაულებში მოცემულია ასევე ისეთი ნიშანი, როგორიცაა „მნიშვნელოვანი ზიანი",

მაგრამ კოდექსში შეტანილი ცვლილების შედეგად მან დაკარგა ნორმატიულობის ნიშანი. ამიტომ იმისათვის, რომ ქურდობას მიეცეს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა" პუნქტის კვალიფიკაცია უნდა დადგინდეს, ქურდობისას იყო თუ არა ზიანი მნიშვნელოვანი. სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის ღირებულება 150 ლარის ზევით.

იმის გათვალისწინებით, რომ ქმედების კვალიფიკაციის სპეციალური საკითხები მოიცავს დანაშაულთა სიმრავლისა და დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხებს, ამ თავში არ განვიხილავთ არერთგზისობის საკითხს რადგან ის წარმოადგენს ყაჩაღობის სპეციალურ მაკვალიფიცირებელ ნიშანს და ის განხილული იქნება ნაშრომის მეექვსე თავში. ამიტომ ამ თავში ვიმსჯელებთ მხოლოდ დანაშაულთა ერთობლიობისა და დაუმთავრებელი დანაშაულის საკითხებზე.

§1. დანაშაულთა ერთობლიობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად „1. დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული. დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს ამ კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს.

2. თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით."

როგორც ვხედავთ, დანაშაულთა სიმრავლის ერთ-ერთი სახეა დანაშაულთა ერთობლიობა. არსებობს დანაშაულთა ერთობლიობის ორი სახე: 1. რეალური და 2. იდეალური.

რეალურ ერთობლიობას მაშინ აქვს ადგილი, როცა ორი ან ერთი მოქმედებით ორი ან მეტი დანაშაულია ჩადენილი. მაგალითად, პირმა ჯერ ჩაიდინა ძარცვა და შემდეგ გაუპატიურება.

დანაშაულის იდეალურ ერთობლიობად ითვლება შემთხვევა, როცა ერთი მოქმედებით ჩადენილია ორი ან მეტი დანაშაული. მაგალითად, ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დამნაშავემ მოკლა მსხვერპლი.[76]

---

76 ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წ. გვ. 139.

ამ ქვეპუნქტებში განვიხილავთ ყაჩაღობისას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების, ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციის საკითხებს.

ა). ყაჩაღობის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების კვალიფიკაცია

ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირის მიერ ყაჩაღობის ჩადენისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლს დაემატება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, რაც საბოლოო ჯამში იძლევა დანაშაულის, როგორც ყაჩაღობად, ისე იარაღის უკანონო შენახვა-ტარებად დაკვალიფიცირების საშუალებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლში არ არის გათვალისწინებული ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, როგორიცაა ყაჩაღობის ჩადენა იარაღის ან სხვა საგნის გამოყენებით.[77] ვინაიდან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი არ ითვალისწინებს ისეთი იარაღის შეძენასა და ტარებას, როგორიცაა გლუვლულიანი სანადირო თოფი, აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული იარაღის გამოყენების შემთხვევაში არ გვექნება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის გამოყენების საფუძველი. ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით, რომელიც არასაკმარისად აღწერს ჩადენილ ქმედებას ანუ თოფის გამოყენება რჩება კვალიფიკაციის გარეშე.[78]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იარაღის ტარება და იარაღის გამოყენება არ არის იდენტური ცნებები, მიგვაჩნია, რომ თავდასხმის დროს იარაღის გამოყენება უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე

77 რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" პუნქტი ითვალისწინებს ყაჩაღობის ჩადენას იარაღის გამოყენებით. იგი ასეა ჩაწერილი: «Разбой, совершенный с применением оружия или предметов, используемых в качестве оружия.»

78 სანადირო თოფი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის ფარგლებს გარეთ იმიტომ დარჩა, რომ არის გლუვლულიანი ანუ მას არა აქვს ე. წ. „ნარეზი", როგორც მაგალითად ავტომატს, შაშხანას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ ყაჩაღობის დროს გამოიყენეს სანადირო თოფი, ის არ ჩაითვლება იარაღად.

მისი ტარება, ამიტომ აუცილებელია ამ საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტა. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იარაღის ტარება არ მოიცავს იარაღის გამოყენებას, ხოლო იარაღის გამოყენება მოიცავს იარაღის ტარებას.

ამიტომ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების მქონეს მიერ ყაჩაღობის ჩადენის შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის გამოყენება არ შეიძლება, რადგან ხსენებული მუხლი ითვალისწინებს იარაღის შეძენას, შენახვას, ტარებას, დამზადებას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას. აქედან ნათელია, რომ იარაღის ან სხვა საგნის გამოყენება რჩება სამართლებრივი შეფასების გარეშე, რაც კანონის სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია რომ იარაღის გამოყენება ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშნად უნდა შევიდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დისპოზიციაში. რადგან იარაღის ტარების უფლების მქონეს მიერ ყაჩაღობის ჩადენისას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების კვალიფიკაცია, როგორც იარაღის უკანონო ტარების, არასწორია არსებითად და არ იძლევა ქმედების სწორად დაკვალიფიცირების საშუალებას, რადგან პირს იარაღის ტარების კანონიერი უფლება ჰქონდა.

როგორც ვხედავთ, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების მქონეს მიერ ყაჩაღობის ჩადენის შემთხვევაში იარაღის გამოყენება რჩება კვალიფიკაციის გარეშე. რაც ხელს უშლის ქმედების სწორ სამართლებრივ შეფასებას. მაგრამ აქ კანონმდებელს გათვალისწინებული აქვს ერთი გარემოება. კანონმდებელი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებას ყაჩაღობისას განსაკუთრებულად არ სჯის. ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის შემდეგ ორივე მუხლით ქმედების კვალიფიკაციას მხოლოდ დანაშაულთა რეალური ერთობლიობა უდევს საფუძვლად.

ბ). ყაჩაღობის დროს ჯანმრთელობის დაზიანების კვალიფიკაცია

თავდასხმა არის ძალადობასთან დაკავშირებული მოქმედება. ძალადობაც ასევე მოქმედებაა, რომელიც დაზარალებულზე ახდენს ფიზიკურ და ფსიქიკურ ზემოქმედებას (მაგალითად, ოჯახის წევრის სიცოცხლის მოსპობის მუქარა და სხვა).

ვთქვათ, ყაჩაღობის დროს თავდამსხმელმა დაზარალებულს ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანა, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, მაგრამ ქმედება დაკვალიფიცირდა ყაჩაღობად და ადგილი არ ჰქონია შესატყვისი დამატებითი მუხლით ქმედების კვალიფიკაციას, ვინაიდან, ყაჩაღობის შემადგენლობაში იგულისხმება ზემოხსენებული დანაშაულის ნიშანიც. 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლი მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლისაგან განსხვავებით, სხეულის (ჯანმრთელობის) მძიმე დაზიანებით ჩადენილ ყაჩაღობას, ცალკე მაკვალიფიცირებელ ნიშნად გამოყოფდა. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი ასეთ ნიშანს არ იცნობს. ამიტომ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ყაჩაღობის დროს სხეულის (ჯანმრთელობის) მძიმე დაზიანება არ კვალიფიცირდება სხვა დამატებითი მუხლებით, რადგან მიჩნეულია, რომ სხეულის (ჯანმრთელობის) მძიმე დაზიანება ყაჩაღობის შემადგენლობაშია. მართალია, ყაჩაღობის დისპოზიციაში მითითებულია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობაზე, მაგრამ ყველა ძალადობა არ იწვევს სხეულის მძიმე დაზიანებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა არის მოქმედება, ხოლო სხეულის (ჯანმრთელობის) მძიმე დაზიანება კი მოქმედების (ძალადობის) შედეგი. ამდენად, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება არ არის იდენტური ცნებები. მოქმედი (1999წ.) სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დისპოზიცია არ განსხვავდება ძველი 1960 წლის კოდექსის მუხლის დისპოზიციისაგან და მიუხედავად იდენტურობისა, მათი შინაარსი სხვანაირად განიმარტა ანუ ახალი (1999წ.) კოდექსის 179-ე მუხლის დისპოზიციის შემადგენლობაში გულისხმობენ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, არადა ყაჩაღობის შემადგენლობა მსუბუქ და ნაკლებად მძიმე დაზიანებასაც არ მოიცავს. ყაჩაღობის დისპოზიცია კვალიფიკაციისათვის არ მოითხოვს ჯანმრთელობის დაზიანების, როგორც მატერიალური შედეგის არსებობას, აქ მხოლოდ საუბარია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტების მსგავს ნიშნებზე. სავსებით შესაძლებელია ყაჩაღობა გამოცხადდეს საფრთხის შემქმნელ დელიქტად.

თუ კანონმდებელს სურდა, რომ სხეულის (ჯანმრთელობის) მძიმე დაზიანება ყაჩაღობის შემადგენლობაში ყოფილიყო, მაშინ ის სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლში ცალკე მაკვალიფიცირებელ ნიშნად უნდა გაეთვალისწინებინა. მაშინ, როცა ქვეყანაში არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის ოფიციალური კომენტარი, ძნელი დასადგენია სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა სხეულის (ჯანმრთელობის) მძიმე დაზიანებას მოიცავს თუ არა. გარდა ამისა, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ყაჩაღობის დროს ჩადენილია ანგარებით და განეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვანაირი მიდგომაა საჭირო.

თუ ყაჩაღობის დროს ადგილი ექნება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, მაშინ ყაჩაღობასთან ერთად გვექნება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილებითა და პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა.[79]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო წინადადებებსა და რეკომენდაციებში სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე აღნიშნულია: იმის გათვალისწინებით, რომ ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმის განხორციელებისთანავე, პირს, თავდასხმის შემდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის ჩადენისათვის, პასუხისმგებლობა დაეკისრება ასევე ამ დანაშაულისათვის (რეალური ერთობლიობა).

მაგალითად, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმისას, პირმა დაზარალებულს ჯანმრთელობა განზრახ მძიმედ, განზრახ ნაკლებად მძიმედ ან განზრახ მსუბუქად დაუზიანა, ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით).[80]

---

79 ასეთსავე აზრს გამოთქვამენ მ. ლეკვეიშვილი და გ. მამულაშვილი „პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის." (კომენტარი) თბ. 1999 წ. გვ. 32.

80 სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. თბ. 2007 წ. გვ. 87

ამ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს პოზიცია სწორად მიგვაჩნია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყაჩაღობის დისპოზიციაში მითითებულია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობაზე, მაგრამ ყველა ძალადობა არ იწვევს სხეულის მძიმე დაზიანებას, უფრო მეტიც შესაძლოა არ გამოიწვიოს არც მსუბუქი და არ ნაკლებად მძიმე დაზიანება. ამიტომ თუ ყაჩაღობისას ადგილი ექნება ჯანმრთელობის მსუბუქ და ნაკლებად მძიმე დაზიანებას, მაშინ კვალიფიკაციისას დამატებით სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე და 120-ე მუხლებიც უნდა მიეთითოს. თუ სხეულის დაზიანებას სიკვდილი მოჰყვა მაშინ ყაჩაღობას დაემატება შესაბამისი მუხლი (სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილებით. მაგალითად, 117-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-8 ნაწილები ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით).

სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-8 ნაწილების გამოყენებაზე უფრო ზუსტად ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ძარცვისას გამოყენებულმა ძალადობამ არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე დაზიანება. ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემასა ან სხვაგვარ ძალადობაში, რომელიც დაზარალებულს ტკივილს განაცდევინებს. მაგალითად, ხელის გადაგრეხა და სხვა ილეთების გამოყენება, ფეხის გამოდებით პირის წაქცევა, ქალისათვის საყურის მოგლეჯა და სხვა.[81]

არასწორად მიგვაჩნია გ. მამულაშვილისა და მ. ლეკვეიშვილის მსჯელობა როცა ისინი აღნიშნავენ, რომ „ძარცვისას საუბარია ისეთ ძალადობაზე, რომელიც არ ქმნის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქ დაზიანების დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან, ამ დროს არ ხდება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან საერთოდ შრომის უნარის უმნიშვნელო არამყარი დაკარგვაც კი.“[82]

---

81 გ. მამულაშვილი, მ. ლეკვეიშვილი-პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის გვ. 28.

82 გ. მამულაშვილი, მ. ლეკვეიშვილი-პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის გვ. 28.

ამ საკითხზე სწორად მსჯელობს პროფ. მ. ტურავა, იგი წერს: „ძალადობა, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა გულისხმობს მსუბუქ დაზიანებას ან ფიზიკურ, ან ფსიქიკურ ძალადობას ასეთი დაზიანების გარეშე. მთავარია არა რეალური შედეგი, არამედ დამნაშავის განზრახვა და დაზარალებულის მიერ ძალადობის ან ძალადობის მუქარის შინაარსის რეალური აღქმა.“[83]

ჩვენი აზრით, ნივთის დაუფლების მიზნით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების გარეშე სხეულის მსუბუქი დაზიანება, რომელსაც არ გამოუწვევია ჯანმრთელობის შერყევა და არ მოჰყოლია შრომისუნარიანობის უმნიშვნელო დაკარგვაც კი, ქმნის ძალადობრივი ძარცვის ნიშნებს.

მედიცინაში ცნობილია, რომ სხეულის მსუბუქი დაზიანება არის ორი სახის: ჯანმრთელობის მოშლითა და ჯანმრთელობის მოუშლელად. თუ კი ცემისას პირმა მიიღო განაკაწრი, ნაჭდევი, მცირე ზომის სისხლნაჟღენთი, ის განეკუთვნება სხეულის მსუბუქ დაზიანებას და ჩაითვლება ძალადობრივი ძარცვის ნიშნად.

ამდენად, მსუბუქი დაზიანება შეიძლება ჩაითვალოს ძალადობრივი ძარცვის ნიშნად, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ძალადობის გამოყენება ყოველთვის არ გულისხმობს რაიმე შედეგის განხორციელებას.

სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის. ეს მუხლი ითვალისწინებს იმ მძიმე დაზიანებას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედის დაკარგვასთან, ან წინასწარ შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვასთან.

როგორც ვხედავთ, ჯანმრთელობის კატეგორიის დაზიანე-

83 სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული) 2004 წ. გვ. 45

ბის რვაზე მეტი მაკვალიფიცირებელი ნიშანია ჩამოთვლილი, ამ ნიშნებიდან ნებისმიერს შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი. თუმცა გააჩნია კონკრეტულ სიტუაციას, მაგალითად, დაზარალებულის დაზიანების შედეგად კუჭმა ან თირკმელმა დაჰკარგა ფუნქცია, რამაც გამოიწვია სიკვდილი. მკვლელობის დროსაც, რომელიმე ან ყველა ორგანოს ფუნქციის მოშლა იწვევს სიკვდილს. ქმედების კვალიფიკაციისათვის, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების სუბიექტურ მხარეს, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის განზრახვას. თუ პირს ჰქონდა მიზანი ყაჩაღობის ჩადენის და ამ დროს ძალადობის გამოყენებით დააზიანა ვინმე, მაგრამ შემდგომ სიტუაცია ისე განვითარდა, რომ დაზიანება სიკვდილში გადაიზარდა. ყაჩაღობასთან ერთად სახეზე იქნება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული (ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით).[84]

ასეთი შემთხვევების კვალიფიკაციის დროს საკითხის შესწავლა უნდა მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად. ამ მუხლის თანახმად „თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანამდევი შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლობით განახორციელა. ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება."

ყაჩაღობის კვალიფიკაციისას მნიშვნელოვანია გაირკვეს თავდასხმის ჩადენისას კონკრეტულად რომელი ნივთის დაუფლებისაკენ იყო მიმართული ქმედება. მაგალითად, თუ პირს ჰქონდა ფულის დაუფლების განზრახვა და დაეუფლა ნარკოტიკულ საშუალებას, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით, ხოლო თუ თავდამსხმელს უნდოდა ნატრკოტიკული საშუალების დაუფლება და ამ მიზნით დაესხა თავს პირს, მაგრამ ნარკოტიკის ნაცვლად დაეუფლა ფულს ან სხვა ნივთს, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 264-ე მუხლით გათვალისწინე-

84 ალ. კვაშილავა. დანაშაულის კვალიფიკაციის თეორიული პრობლემები და სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2002 წ. გვ. 188.

ბული დანაშაულის მცდელობად და სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, თუ არ იქნა დაუფლებული ნარკოტიკული საშუალება და ასევე არც სხვა ნივთი, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 264-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ" პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობად. (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკუსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მცდელობა ან გამოძალვა, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.)

გ). ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის III ნაწილის „გ" პუნქტი განსაზღვრავს განზრახ მკვლელობის ისეთ სახეს, რომელიც ჩადენილია ანგარებით (პირადი გამორჩენის მიზნით) ან შეკვეთით.

იმისათვის, რომ მკვლელობა დაკვალიფიცირდეს განსახილველი მუხლის პუნქტით პირი (მკვლელი) უნდა ისახავდეს მატერიალური გამორჩენის (მაგალითად, ფულის, ქონების, ქონებრივი უფლების) ან სხვა მატერიალური სიკეთის მიღების მიზანს.

უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ამ სახის მკვლელობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს მატერიალური სიკეთის მიღების საფუძვლის კანონიერებას. მაგალითად, პირს ანდერძით ეკუთვნის სახლი, მაგრამ ის ამ სახლის მიღების დროის დაჩქარების მიზნით კლავს მამკვიდრებელს.

ანგარებით მკვლელობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, იმას, ნივთი, რომლის დაუფლებასაც ცდილობს დამნაშავე კანონიერი გზით ჰქონდეს მოპოვებული დაზარალებულს (მსხვერპლს). ეს გარემოება ვერ მოახდენს გავლენას სუბიექტის მოქმედების მოტივის დადგენაზე (მაგალითად, მოპარული ნივთის დაუფლების მიზნით ჩადენილი მკვლელობა – ანგარებითია).

ანგარებით მკვლელობად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პირის მიზანია აიცილოს ან თავი აარიდოს მატერიალურ ხარჯს ან გათავისუფლდეს ქონებრივი ვალდებუ-

ლებისაგან (მაგალითად, ვალის ან ალიმენტის გადახდისაგან). აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ანგარებით მკვლელობად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როცა, მართალია, მოტივი ქონებრივი ხასიათისა იყო, მაგრამ მკვლელობა არ წარმოადგენდა მატერიალური გამორჩენის მიღების საშუალებას და არც დამნაშავეს ჰქონდა ასეთი მიზანი. მაგალითად, ბახტაძემ მოკლა იმნაძე, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა უარი უთხრა მისთვის რამდენიმე თვის წინ მიცემული თანხის (ვალის) დაბრუნებაზე. ასევე ანგარებით მკვლელობად არ დაკვალიფიცირდება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირმა მოკლა ქურდი, რომელსაც მისი სახლიდან გაჰქონდა მატერიალური ფასეულობა. მართალია, მკვლელობა ამ დროს წარმოადგენდა ქონების არასამართლებრივი ხელყოფისაგან დაცვის საშუალებას, მაგრამ პირი მიზნად არ ისახავდა მატერიალურ გამორჩენას, რაც თავისთავად სხვა შინაარსის მატარებელია, ვიდრე ნივთის დაცვის.

ანგარებით მკვლელობის შემადგენლობას არ მოიცავს ისეთი მკვლელობა, რომლის შემდეგაც დამნაშავე ეუფლება სხვის ქონებას, თუ მკვლელს მკვლელობამდე ან მკვლელობის პროცესში არ ჰქონია მსხვერპლის ქონების დაუფლების მიზანი. ამიტომ ასეთი შემთხვევები უნდა კვალიფიცირდებოდეს, როგორც მკვლელობა და დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ. ამ მხრივ საინტერესოა ა. ა. პიონტკოვსკის მოსაზრება. იგი წერს: „ანგარებით მკვლელობად არ შეიძლება ჩაითვალოს ის შემთხვევები, როცა მკვლელობა ჩადენილ იქნა არა ანგარების მოტივით, მაგრამ როცა მკვლელობის ჩადენის შემდეგ მკვლელმა გადაწყვიტა ესარგებლა მოკლულის ამა თუ იმ ქონებით და გაიტაცა იგი. ასეთი შემთხვევები უნდა იქნას განხილული, როგორც მკვლელობისა და ქურდობის რეალური ერთობლიობა“.[85]

ასეთი მოსაზრება სავსებით მისაღებია, რადგან ანგარებითი მკვლელობა ნიშნავს იმას, რომ პირს ქონების დაუფლების მიზანი მკვლელობამდე აღმოუცენდება და სწორედ მკვლელობა ხდება მიზნის მიღწევის საშუალება. ქმედების ანგარებით მკვლელობად დაკვალიფიცირებისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირმა მიაღწია თუ არა მიზანს (ნივთის დაუფლება), რისთვისაც

85 ა. ა. პიონტკოვსკი – დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. თბილისი. 1940. გვ. 28

ჩაიდინა დანაშაული (მკვლელობა). მთავარია, დადგინდეს, რომ მკვლელობა ჩადენილია რაიმე მატერიალური გამორჩენის მიზნით.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოდ ითვლება, ყაჩაღობის დროს ჩადენილი მკვლელობა, მოიცავს თუ არა ანგარებით მკვლელობის ნიშნებს ან პირიქით.

უნდა აღვნიშნოთ, თუ თავდასხმას (ყაჩაღურ თავდასხმაში ჩვენ ვგულისხმობთ უეცრად, მოულოდნელად უშუალოდ წაყენებულ მოთხოვნას ქონების (ნივთის) დაუყონებლივ გადაცემის შესახებ) წინ უსწრებდა მკვლელობა, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ყაჩაღობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ხოლო, თუ მკვლელობას წინ უსწრებდა ყაჩაღური თავდასხმა, მაშინ საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს საქმის კონკრეტული გარემოებების შესწავლის შედეგად.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ანგარებით მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს, როგორც ღიად ისე ფარულად (მაგ:, ტყვიის სროლა სამალავიდან, მოწამვლა და სხვა), ხოლო ყაჩაღობა ყოველთვის აშკარად განხორციელებულ თავდასხმაში გამოიხატება. ამ უკანასკნელ მოსაზრებაზე განსხვავებული პოზიცია უკავია ქართველ მეცნიერს ბ. ფურცხვანიძეს. იგი წერს, რომ „თავდასხმა ყაჩაღობის დროსაც არ გამორიცხავს ფარულ სახეს (მაგ:, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი კაცის მოკვლა მისი ქონების უმალვე დაუფლების მიზნით). ამიტომ საჭირო ხდება ამ ორი დანაშაულის განსასხვავებლად სხვა ნიშნების პოვნა."[86]

ამასთან, ბ. ფურცხვანიძეს მართებულად მიაჩნია მ. ბ. გუგუჩიას მოსაზრება, რომ „...მცირე გამონაკლისის გარდა, ყაჩაღობა შეიძლება ჩადენილ იქნეს ყველა იმ საშუალებით, რომლითაც ჩაიდინება ანგარებითი მკვლელობა და მაშასადამე, ამ შემადგენლობათა განსხვავება მათი ჩადენის საშუალების მიხედვით უსაფუძვლოა."[87]

როგორც ვხედავთ, ბ. ფურცხვანიძეს ყაჩაღობის დროს თავ-

---

86 ბ. ფურცხვანიძე. დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. თბილისი 1960. გვ.27

87 М. Б. Гутчиа. Ответственность за разбой по советскому уголовному законодательству. Сухуми. 1958 г. стр.110

დასხმის ფარულად განხორციელება დასაშვებად მიაჩნია, რაც, ჩვენი აზრით, არ არის სწორი. ყაჩაღობის ჩადენის დროს თავდასხმის ფარულად განხორციელების შეუძლებლობა ჩვენ მიერ საკმაოდ დასაბუთებულია და ამ საკითხზე აქ არ შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მთვრალ მდგომარეობაში მყოფი პირის (რომელსაც არა აქვს უნარი აღიქვას მასზე განხორციელებული თავდასხმის შინაარსი) მკვლელობა მისი ქონების უმალვე დაუფლების მიზნით, მოიცავს არა ყაჩაღობის, არამედ ანგარებითი მკვლელობის ნიშნებს. ჩვენ მიერ გაკეთებული ამ დასკვნის დასადასტურებლად მოვიყვან ბ. ფურცხვანიძის მეორე მოსაზრებას, რომელიც უფრო მართებულია იგი წერს: „არც ის არის გამორიცხული, რომ ანგარებით მკვლელობის შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდეს მატერიალურ ფასეულობათა უშუალოდ (ერთდროულად) გატაცებას.“ და მას მოჰყავს მაგალითი, იცოდა რა, რომ მოქ. ბ.-ს ბინაში ჰქონდა მრავალი ფასეულობა. მისი გატაცების მიზნით ა. ესტუმრა მას და როდესაც უკანასკნელი ვახშმის დროს მეორე ოთახში გავიდა ა.-მ იხელთა დრო და ბ.-ს ღვინის ჭიქაში დარიშხანი ჩაუყარა. ბ.-მ დალია მოწამლული ღვინო და იქვე გარდაიცვალა, ხოლო ა.-მ დაზარალებულის ნივთები გაიტაცა.[88] სასამართლომ ა.-ს ქმედება შეაფასა როგორც ანგარებითი მკველელობა და ამ კვალიფიკაციას ეთანხმება ბ. ფურცხვანიძეც.

როგორც ვნახეთ, ბ. ფურცხვანიძეს პირველ მაგალითში ჩადენილი ქმედება (არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირის ფარულად მოკვლა მისი ქონების უმალვე დაუფლების მიზნით) მიაჩნია ყაჩაღობად, ხოლო მეორე მაგალითში იმავე ქმედებას ანგარებითი მკვლელობის კვალიფიკაციას აძლევს.

ახლა ისმის კითხვა: რამ აიძულა ბ. ფურცხვანიძე მისულიყო ასეთ ალოგიკურ დასკვნამდე? ჩემი აზრით, ამ ორი მაგალითის ერთმანეთისაგან განსხვავება არასწორია და ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ანგარებით მკვლელობას, ჯერ ერთი პირველ შემთხვევაში ჩადენილი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდებოდა ყაჩაღობის დროს ჩადენილ მკვლელობად, რადგან, როგორც ბ. ფურცხვანიძე ამბობს, ის მოხდა ფარულად. ყაჩაღობის დროს

88 ბ. ფურცხვანიძე. დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. თბილისი 1960. გვ. 27-28

კი თავდასხმის ღიად არსებობაა აუცილებელი, გარდა ამისა, მკვლელობის დროს ჩადენილი თავდასხმა სულ სხვა შინაარსს მოიცავს, ვიდრე ყაჩაღობისას ჩადენილი. მკვლელობის დროს თავდასხმა შეიძლება გამოიხატოს, როგორც ფარულ, ისე აშკარა ფორმაში და ის შეიძლება განხორციელდეს ტყვიის სროლით, ქვის ჩარტყმითა და სხვა საშუალებით, დაზარალებულისათვის ყოველგვარი ახსნა-განმარტების მიცემის გარეშე. ყაჩაღობის დროს კი თავდასხმა გულისხმობს არა მარტო ძალადობას, არამედ დაზარალებულისათვის უეცრად მოთხოვნის წაყენებას, მისი მოძრავი ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ. ეს ყაჩაღობის ძირითადი არსია.

პრაქტიკაში დღესაც ხშირია შემთხვევები ქმედების არასწორად დაკვალიფიცირებისა. ვთქვათ, დამნაშავეს აქვს განზრახვა ყაჩაღური თავდასხმით დაეუფლოს სხვის ქონებას, მაგრამ იგი ამას სჩადის არა უშუალოდ თავდასხმის გზით, არამედ სხვა ხერხებით. მაგალითად, პირი სახლში ეწვევა სტუმრად თავის ნაცნობს, დაათრობს მას და კლავს ნივთის დაუფლების მიზნით. ასეთი ქმედებები პრაქტიკაში კვალიფიცირდება, როგორც ყაჩაღობა. მართალია, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებას ნივთის დაუფლების მიზნით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ სახის ქმედებები არ შეიძლება ჩაითვალის ყაჩაღობად, ვინაიდან, ჩემი აზრით, ძალადობა და დაზიანება თავდასხმის ფორმით არ ხდება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვან საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 18 მაისის განაჩენს, რომლითაც ზ. ცნობილია დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა" და „გ" პუნქტებით და 104-ე მუხლის I და VII პუნქტებით (1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი).

ზ.-ს განაჩენით მსჯავრი დაედო შემდეგისათვის:

ზ. შეხვდა თავის მეგობარ გ-ს და უთხრა, რომ სოფელში მცხოვრებ ღ-ს ჰქონდა ფული და ძვირფასეულობა, თან გაანდო თავისი განზრახვა ყაჩაღური თავდასხმის გზით გაეტაცებინათ მისი ქონება. გ. დათანხმდა. მოილაპარაკეს სტუმრად წვეოდნენ ღ-ს, დაეთროთ იგი, შემდეგ დასხმოდნენ თავს და დაუფლებოდნენ მის ქონებას. მათ შეიძინეს ორი ბოთლი შამპანური და ეს-

ტუმრნენ ღ-ს ამ უკანასკნელმა სუფრა გაუშალა მათ, ვინაიდან, კარგად იცნობდა ზ-ს. სუფრაზე მათ დალიეს ღვინო და შამპანური, ქეიფის დროს მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა გ-მ ზ-ს მითითებით ღ-ს თავში, გონების დაკარგვის მიზნით, ჩაარტყა შამპანურის გაუხსნელი ბოთლი, ღ-ს გრძნობა არ დაუკარგავს და ზ-ს დაუწყო სიტყვიერი ჩხუბი, თუ რატომ მოიყვანა მასთან გ. აღნიშნულის შემდეგ ქონების დაუფლების გაადვილებისა და დანაშაულის დაფარვის მიზნით, ზ-მ და გ-მ გადაწყვიტეს მოეკლათ ღ. ზ-მ ხელები ყელში წაუჭირა, წააქცია იატაკზე, მაგიდიდან აიღო სამზარეულოს დანა და რამდენჯერმე დაარტყა ყელისა და კისრის არეში. ჩხუბსა და ყვირილზე გვერდით ოთახიდან გამოვიდა ღ-ს ღრმად მოხუცებული ბებიას ქ-ს მომვლელი ქალი თ., რომელმაც შეიხედა ღ-ს ოთახში, სადაც დაინახა ზ. და გ. ზ-მ მუშტი დაარტყა მარცხენა თვალის არეში და მუქარით უთხრა იქიდან ნასულიყო შეშინებული თ. შევიდა ქ-ს ოთახში, რის შემდეგაც ზ-მ და გ-მ მათ კარები თოკით ჩაუკეტეს. ღ-ს განზრახ მკვლელობის შემდეგ ზ-მ და გ-მ მისი სახლიდან წაიღეს სხვადასხვა ნივთი, სულ 75 ლარის ქონება.

როგორც ვხედავთ, საქმე გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულით, ამიტომ მისი სწორად დაკვალიფიცირება აუცილებელია. მართალია, სასამართლომ ქმედებას მისცა შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც, ჩემი აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად ყაჩაღობისათვის მსჯავრდების ნაწილში.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ყაჩაღობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი გახლავთ თავდასხმა, რომელიც სხვა შემადგენელ ელემენტებთან ერთად ხასიათდება ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის მოულოდნელად წაყენებული მოთხოვნით.

საქმეზე დადგენილია, რომ ზ-ს, მართალია, ჰქონდა ნივთის თავდასხმის გზით დაუფლების განზრახვა, მაგრამ მას დაზარალებულისათვის არ წაუყენებია ნივთის გადაცემის მოთხოვნა, რომელიც აღქმული იქნებოდა დაზარალებულის მიერ, როგორც ყაჩაღური თავდასხმა. აღნიშნულს ადასტურებს თ-ს მიერ მიცემული ჩვენებაც, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ შემთხვევის ღამეს ღ-ს ოთახიდან შემოესმა მისი ყვირილი, რომელიც მრავლო-

ბით რიცხვში ამბობდა „რისთვის მკლავთო, რა დაგიშავეთო“.[89]

როგორც ჩანს, საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ღ-ს თავდასხმა არ აღუქვამს, როგორც ნივთის დაუფლების მიზნით განხორციელებული. ამდენად, მკვლელობა ჩადენილია ქონების დაუფლებისა და მისი გაადვილების მიზნით, რაც მკვლელობის შემდეგ იქნა შესრულებული. უნდა ითქვას ისიც, რომ ქონების დაუფლების გაადვილების მიზანი მოიცავს მისი დაუფლების მიზანსაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქმედების კვალიფიკაციიდან უნდა ამოირიცხოს ყაჩაღობა. ასეთი კვალიფიკაცია გამომდინარეობს იქიდან, რომ საქმეზე არსებული მასალები არ იძლევა ქმედების ყაჩაღობად ჩათვლის საფუძველს, რადგან მასში არ არის ყაჩაღური თავდასხმის ნიშნები, რაც აუცილებელია ქმედების ყაჩაღობად შეფასებისათვის. გარდა ამისა, ბოთლის ან სხვა საგნის თავში ჩარტყმა არ შეიძლება ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩაითვალოს თავდასხმად, რომელიც ყაჩაღობისათვის არის დამახასიათებელი. ეს ქმედება შეიცავს უფრო ძალადობის გამოყენების ნიშნებს, ვიდრე ყაჩაღური თავდასხმის.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ყაჩაღური თავდასხმა განსხვავდება სხვა დანაშაულის შემადგენლობაში არსებული თავდასხმისაგან. მაგ:, მკვლელობის დროს თავდასხმად შეიძლება ჩავთვალოთ უკნიდან დანით მიპარვა, სამალავიდან ტყვიის სროლა და სხვა, ხოლო ყაჩაღობის დროს თავდასხმა უნდა მოხდეს აშკარად, ამავე დროს ქმედება დაზარალებულის მიერ აღქმული უნდა იქნეს, როგორც ნივთის დაუფლების მიზნით ჩადენილი და ამ თავდასხმას თან უნდა ახლდეს ნივთის დაუყონებლივ გადაცემის მოთხოვნა.

ქართველი მეცნიერი ბ. ფურცხვანიძე განიხილავს ასევე ისეთ შემთხვევას, როდესაც მკვლელობა ჩადენილია არა ანგარებით, არამედ რაიმე სხვა მოტივით, მაგ:, შურისძიებით, ეჭვიანობის ნიადაგზე და ა.შ., მაგრამ მკვლელმა დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობის შემდეგ ერთბაშად განიზრახა დაუფლებოდა მოკლულის ქონებას და კიდევაც გაიტაცა ის. ამგვარი ქმედე-

89 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სს საქმეებზე. თბილისი 2001. №12. გვ. 918-923

ბის დაკვალიფიცირება, როგორც ანგარებით მკვლელობისა ზ. ფურცხვანიძის აზრით – არ იქნებოდა სწორი, რაგდან პროფ. მ. დ. შარგოროდსკის სავსებით მართებული აღნიშვნით „მოტივმა უნდა გამოიწვიოს მკვლელობა და არა მას შემდეგ წარმოიშვას.“ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში მკვლელობის შემდეგ ქონების გატაცება განხილულ უნდა იქნეს, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული (ქურდობა) და მთელი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.[90]

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია, რომ ანგარებითი მკვლელობის დროს თვით ქმედებამ უნდა ამოწუროს მიზანი, ანუ ნივთის დაუფლება უნდა მოხდეს მკვლელობის შედეგად, მაგრამ არის მკვლელობის ისეთი შემადგენლობები, როცა, მართალია, მკვლელობა ანუ სიკვდილის დადგომა ვერ ხდის პირს ქონების მფლობელად, ე. ი. მან უნდა შეასრულოს გარკვეული ქმედება ნივთის დასაუფლებლად, მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ის მაინც უნდა განვიხილოთ, როგორც ანგარებით ჩადენილი მკვლელობა, რადგან ანგარება – ეს ქონების დაუფლების მიზანია და არ გამორიცხავს ნივთის უმალვე დაუფლებასაც.

ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ „ანგარებითი მკვლელობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, უშუალოდ მკვლელობისთანავე მიიღებს ქონებას ან ქონებრივ გამორჩენას მკვლელი, თუ მკვლელობის მომენტიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. მთავარია მკვლელობა ჩადენილი იყოს ანგარების მიზნით.“[91]

ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობის დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ყაჩაღობა და მკვლელობა ანგარებით, რადგან თუ ყაჩაღური თავდასხმის დროს მკვლელობა ნივთის დაუფლების მიზნითაა ჩადენილი, მაშინ მკვლელობის განხილვა, როგორც ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით განხორციელებული მკვლელობისა არ შეიძლება. ამ საკითხზე დეტალურად ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

---

90 ბ. ფურცხვანიძე. დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. თბილისი 1960. გვ. 30-31

91 ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე – დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი) თბილისი 1980. გვ. 20-21.

დავუბრუნდეთ იმ საკითხს, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობის დროს ჩადენილი მკვლელობა. ამ საკითხზე ვ. დ. მენშაგინი და ზ. ა. ვიშინსკაია აღნიშნავდნენ, რომ ყაჩაღობის დროს ბრალეული პირი მიზნად ისახავს ამა თუ იმ მატერიალური სიკეთის მიღებას, უშუალოდ მკვლელობის ჩადენისთანავე (მაგალითად, დაზარალებულისაგან ფულის ან სხვა ფასეულობის ამოღება უმალვე მკვლელობის შემდეგ). ანგარებით მკვლელობის დროს კი ბრალეულს განზრახვა აქვს ესა თუ ის მატერიალური გამორჩენა მიიღოს მკვლელობიდან გარკვეული დროის გავლის შემდეგ (მაგ:, დაზარალებულის ქონების მომავალში მიღება, მოკლულის საცხოვრებელი ფართობის მომავალში დაუფლება და ა.შ.)[92]

მკვლელობისას ნივთის უმალვე დაუფლება ანგარებით მკვლელობას რომ არ გამორიცხავს, ამაზე უკვე გვქონდა მსჯელობა, ამასთან ისიც ნათელია, რომ ყაჩაღობის შემადგენლობა არ მოიცავს ნივთის დაუფლების მიზნით დაზარალებულის განზრახ მკვლელობას. მაგ:, ა. ა. პიონტკოვსკი წერდა, რომ „ანგარებითი მკვლელობა იმ ქონების დაუფლების მიზნით, რომელიც დაზარალებულს თან აქვს, ერთდროულად წარმოადგენს ხელყოფას პიროვნებასა და ქონებაზე, იგი ძალიან უახლოვდება ყაჩაღობის შემადგენლობას, რომლის დროსაც იმ ქონების გატაცებას, რომელიც დაზარალებულს თან აქვს შეიძლება მკვლელობაც მოჰყვეს.“[93] როგორც ვხედავთ, ყაჩაღობის დროს ჩადენილი მკვლელობა და ანგარებითი მკვლელობა ძალიან უახლოვდება ერთმანეთს, მაგრამ არ წარმოადგენენ ერთნაირ შემადგენლობებს ანუ ანგარებით მკვლელობა არ არის ყაჩაღობის შემადგენლობაში და ამ აზრს, როგორც ვნახეთ, იზიარებს ა. ა. პიონტკოვსკიც.

ჩვენთვის ნათელია ის, რომ ყაჩაღობის შემადგენლობა არ მოიცავს ნივთის დაუფლების მიზნით დაზარალებულის განზრახ მკვლელობას. მკვლელობასთან გაერთიანებული ყაჩაღობის კვალიფიკაციის პრობლემების განხილვისას, ისმება კითხვა,

92 В. Д. Меньшагин, З. А. Вышенская. Советское уголовное право. 1950 г. стр.299

93 ა. ა. პიონტკოვსკი – დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბილისი. 1940. გვ.28

ხომ არ ჯდება დამნაშავის მოქმედება მხოლოდ განზრახ მკვლელობის ჩარჩოში, რომელიც ჩადენილია ანგარების მოტივით? კერძოდ, ი. მ. კულბერგმა გამოთქვა აზრი, რომ „დაზარალებულის ქონების მიტაცება მკვლელობის გზით წარმოქმნის არა დანაშაულთა ერთობლიობას, არამედ ერთ დანაშაულებრივ ქმედებას – მკვლელობა ანგარების განზრახვით."[94] „თუმცა მსგავსი აზრი საეჭვოა მივიღოთ სწორად – აღნიშნავს ვ. ა. ვლადიმიროვი – და ყველაზე უფრო იმ მიზეზით, რომ ანგარებით მკვლელობა არ შემოიფარგლება ქონების გატაცებით, რადგან მკვლელობის ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე, და არა საკუთრებასთან დამოკიდებულება. გარდა ამისა, ანგარებით მკვლელობის ცნება შემოიფარგლება ქმედების გაცილებით ფართო წრით, ვიდრე მკვლელობა, გაერთიანებული მოკლულის ქონების გატაცებასთან."[95]

ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო აზრიც: ყაჩაღობის შემადგენლობით შემოიფარგლება განზრახ მკვლელობა, თუ ის გამოდიოდა, როგორც დაზარალებულის ნივთის მითვისების საშუალება. ითვლება რა, რომ ყაჩაღობა, გაერთიანებული მკვლელობასთან, უნდა კვალიფიცირდებოდეს მხოლოდ, როგორც ყაჩაღობა დამამძიმებელ გარემოებებში, და არა ერთობლიობა ამ დანაშაულებისა. მაგალითად, ვ. დ. მენშაგინი, აღნიშნავდა, რომ ასეთ შემთხვევებში „იქნება ხელოვნური მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში დანაშაულთა ერთობლიობით, რასაც არა აქვს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრაში."[96]

ასეთ შეხედულებას არ ღებულობს ვ. ა. ვლადიმიროვი „არ ვიტყვი უკვე იმაზე, რომ ქმედების კვალიფიკაცია არ შეიძლება იყოს დამოკიდებული სასჯელზე, ასეთი რეკომენდაცია არასწო-

---

94 Советское государство и право. М., 1962. №11, стр.135

95 Н. И. Загородников, Преступления против жизни. М., 1961 г. стр.123, С. Б. Бородин. Квалификация убийства. М., 1963 г. стр.32. А. В. Наумов. Мотиви убийства. Волгоград. 1969 г. стр. 29. В. А.Влидимеров. Квалификация похищений личного имущества. М., 1974 г. стр.202

96 «Усиление охраны личной собственности граждан» М., 1948 г. стр.47. Б.С.Никифоров. Уголовно-правовая охрана личной собственности в СССР. М.1954г. стр.108

რია არსებითადაც. განზრახ მკვლელობა თავისთავად არის იმდენად მძიმე დანაშაული, რომ ის არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ნიშან-თვისება, თუნდაც განსაკუთრებული კვალიფიცირებისა, სხვა ქმედებისა, ყაჩაღობის მოცემულ შემთხვევაში."[97]

მაშასადამე, ყაჩაღობა, გაერთიანებული დაზარალებულის მკვლელობასთან, უნდა განიხილებოდეს არა როგორც ანგარებით მკვლელობა ან როგორც მხოლოდ ყაჩაღობა, არამედ, როგორც ამ დანაშაულების ერთობლიობა. ამავე დროს, რადგან მკვლელობა ყაჩაღური თავდასხმისას არის ერთ-ერთი სახე ანგარებითი მკვლელობისა, წარმოიქმნება აუცილებლობა ზღვრის დადგენისა, რომელიც გაყოფს ამ ქმედებებს.

ყაჩაღობის ობიექტად ითვლება, როგორც ცნობილია, არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობა, არამედ უწინარეს ყოვლისა მესაკუთრის ან მფლობელის მიერ ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა: ანგარებითი მკვლელობის ობიექტს შეადგენს ადამიანის სიცოცხლე. პიროვნების ხელყოფა ყაჩაღობისას, გაერთიანებული მკვლელობასთან ხდება დაზარალებულის მკვლელობით, ხოლო პირად საკუთრებაზე – მოკლულის ქონების მიტაცებით. ასეთი ქმედების ჩადენისას დამნაშავის განზრახვა მოიცავს ორივე მომენტს – მკვლელობაც და გატაცებაც.

ასე, მაგალითად, ნოვოსიბირსკის სამხარეო სასამართლოს განაჩენით სხეულის მძიმე დაზიანებით ჩადენილი ყაჩაღობისა და ანგარებით მკვლელობისათვის გასამართლდა კ. რადგან მან მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა ჩ-ზე, რა დროსაც დაზარალებულს მიაყენა ჭრილობები, რის გამოც იგი გარდაიცვალა, შემდეგ მიითვისა მისი ნივთები - ფაფახი და შარფი.[98]

ყაჩაღური თავდასხმისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის მიმართულია მოძრავი ნივთის დაუფლებისაკენ, ანგარებით მკვლელობა შეიძლება იყოს მიმართული ე. წ. უძრავი ქონების (საცხოვრებელი სახლი, აგარაკი და სხვ.) არაკანონიერი დაუფლებისაკენ.

---

97 ვ. ა. ვლადიმიროვის დას. ნაშრომი. გვ. 203.

98 Бюллетень Верховного Суда. М., 1967. №1. стр. 9

ყაჩაღობად არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ისეთი ქმედება, როცა თავდამსხმელმა მოითხოვა უძრავი ქონების თავის მფლობელობაში გადაცემა. მაგალითად, წურწუმია თავს დაესხა თავის მამკვიდრებელს (ბიძას) და მოკვლის მუქარით მოსთხოვა მისთვის გადაეცა საკუთრების უფლებით ზღვისპირას მდებარე აგარაკი. ბიძის მიერ წინააღმდეგობის გაწევის დროს წურწუმიამ იგი მოკლა, რის შემდეგაც იგი გახდა ამ ქონების მესაკუთრე. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ანგარებით მკვლელობას. რაც შეეხება ყაჩაღობას ამ სიტუაციაში სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი არ გამოგვადგება, ვინაიდან, ხსენებული მუხლის დისპოზიციაში საუბარია სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მიზნით თავდასხმაზე, ხოლო აგარაკი არის უძრავი ნივთი და ამდენად, ყაჩაღობის მუხლით ამ სახის თავდასხმის კვალიფიკაცია არ იქნება მართებული (ამ მაგალითში დამნაშავის ქმედება შეიცავს გამოძალვის ნიშნებს - რ. კ.).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყაჩაღობა და ანგარებით მკვლელობა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ობიექტური ნიშან-თვისებებითაც: ყაჩაღობისათვის დამახასიათებელია ქონების დაუფლება და მისი შესრულებისას მკვლელობა არის დაზარალებულის ქონების დაუფლების საშუალება. თავისი მიზნის მისაღწევად დამნაშავე არ შემოიფარგლება დაზარალებულის მკვლელობით, რადგან ის არ ქმნის მას ქონების მფლობელად, რისკენაც მიმართულია მისი ანგარებისადმი სწრაფვა: ის მას უნდა დაეუფლოს.

რაც შეეხება ანგარებით მკვლელობას, მისი ჩადენისას ხშირ შემთხვევაში თვითონ მკვლელობა ამოწურავს ქმედებას, რადგანაც, დამნაშავის აზრით, დაზარალებულის სიკვდილმა უკვე უნდა მოუტანოს მოსალოდნელი ქონებრივი მოგებანი (მემკვიდრეობის გახსნა, კრედიტორის მოშორება).[99] თუმცა არის მკვლელობის ისეთი შემადგენლობები, როცა, სიკვდილის დადგომა ვერ ხდის პირს ქონების მფლობელად, მაგრამ ის მაინც უნდა განვიხილოთ, როგორც ანგარებით ჩადენილი მკვლელობა.

ამდენად, როგორც ვნახეთ, ამ ორ დანაშაულს შორის ბევრი საერთოა და მათ შორის განსხვავების დადგენა რთულია, მაგრამ

---

99 ვ. ა. ვლადიმიროვის დას. ნაშრომი. გვ. 204.

მთავარი მაინც ის არის, რომ ანგარებით მკვლელობის დროს დაზარალებულის სიკვდილი მუდამ წინ უნდა უსწრებდეს ქონების დაუფლებას. ყაჩაღობის დროს ეს აუცილებელი არ არის.

ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ნ. ტაგანცევს. იგი წერს: „ერთადერთ ნიშნად, რომელიც ყაჩაღობას ასხვავებს გაძარცვის მიზნით მკვლელობისაგან, ითვლება განზრახვის ხასიათი. პირველ შემთხვევაში ბრალდებული მოქმედებს გაძარცვის განზრახვით, მაგრამ ამ გეგმის შესრულებისათვის სჩადის მკვლელობას არაპირდაპირი განზრახვით; მეორე შემთხვევაში ბრალეულს მხედველობაში აქვს პიროვნების სიცოცხლის მოსპობა, რასაც სჩადის ანგარების მიზნით."[100]

მნიშვნელოვანია ასევე ქართველ მეცნიერთა მიერ გამოთქმული შეხედულება ზემოხსენებულ საკითხზე. ყაჩაღობით მკვლელობასა და ანგარებით მკვლელობას შორის განსხვავება პროფ. ზ. წულაიამ ასე ჩამოაყალიბა: „ა) ყაჩაღობის დროს დაზარალებულის ქონება ბრალეულ პირთან ყოველთვის გადადის მკვლელობის ჩადენისთანავე, ხოლო ანგარებით მკვლელობისას ბრალეული პირი მიზნად ისახავს ამა თუ იმ მატერიალური გამორჩენის მიღებას მხოლოდ მკვლელობის მომენტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ; ბ) ყაჩაღობის დროს დაზარალებულის სიკვდილი აუცილებელი არ არის ბრალეული პირის მიერ მისი ქონების დაუფლებისათვის, მაშინ როდესაც ანგარებით მკვლელობისას დაზარალებულის სიკვდილი, როგორც ქმედების აუცილებელი შედეგი, მუდამ უსწრებს წინ მის დაუფლებას; გ) თუ ანგარებითი მკვლელობისას დამნაშავეს სურს სწორედ ამ გზით მიიღოს დაზარალებულისაგან ესა თუ ის მატერიალური გამორჩენა, ყაჩაღობის დროს ამ მიზნის მისაღწევად დამნაშავეს ყოველთვის როდი სურს დაზარალებულის სიკვდილი, მკვლელობას იგი მაშინ მიმართავს, როცა სხვა საშუალებით მიზნის მიღწევა (სხვისი ქონების დაუფლება) ურთულდება."[101]

მკვლელობასთან გაერთიანებული ყაჩაღური თავდასხმის

---

100 Н.Таганцев. О Преступлениях против жизни по русскому праву. М., 1902. часть I. стр.101

101 ზ. წულაია. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. თბ. 2001. ტ. 2. გვ. 69-70.

თავისებურება, არის ის, რომ განზრახვა დაზარალებულის ქონების მითვისებისა დამნაშავეს უჩნდება თავდასხმამდე და ძალადობის გამოყენებამდე. ამიტომ, როგორც უკვე აღინიშნა, იმ შემთხვევაში, როცა ქონების მითვისების სურვილი დამნაშავეს გაუჩნდა მკვლელობის ჩადენის შემდეგ, მაშინ ყაჩაღობის შემადგენლობა ასეთ ქმედებაში არ არის.[102]

თუ ყაჩაღობის დროს ადგილი ჰქონდა მკვლელობას, მაშინ უნდა გაირკვეს დამნაშავის მიზანი, ანუ მკვლელობა ნივთის დაუფლების საშუალებას წარმოადგენდა თუ ყაჩაღობის დაფარვას ემსახურებოდა. აგრეთვე უნდა გაირკვეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი სხვა მოტივს. კერძოდ, თუ მკვლელობა ყაჩაღური თავდასხმის დროს ნივთის დაუფლების საშუალებას წარმოადგენს. მაგალითად, ნ-მ მოკლა ბ. ნივთის დაუფლების მიზნით თავდასხმის დროს, რადგან ბ. შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია მისთვის. ასეთი მკვლელობის განხილვა, როგორც ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით განხორციელებული მკვლელობისა არ შეიძლება. ვინაიდან, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის I ნაწილის „დ“ პუნქტში მითითებულია მკვლელობის ჩადენაზე „სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით“, რომელიც გულისხმობს, რომ მკვლელობა ხდება დანაშაულის გაადვილების მიზნით, ე. ი., როგორც ვხედავთ, დანაშაული დამთავრებული არ უნდა იყოს (თუ დანაშაული დამთავრებულია, მაშინ მისი ჩადენის გაადვილება საჭირო არ არის-რ. კ.), ხოლო ყაჩაღობის დროს დანაშაული დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, ამდენად აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი აქვს ყაჩაღობას და ანგარებით მკვლელობას, ე. ი. კვალიფიკაცია იქნება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე და 109-ე მუხლის III ნაწილის „გ“ პუნქტი. ამ საკითხზე შეიძლება შემოგვედაონ და ჩამოყალიბდეს განსხვავებული მოსაზრებაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოსაზრება სწორია.

ყაჩაღობის დროს დანაშაულის გაადვილების მიზნით მკვლელობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მკვლელობა მოხდება ყაჩაღურ თავდასხმამდე. ასე მაგალითად, მცველის მოკვლა და შემდეგ დაცვის ობიექტზე თავდასხმა. ხოლო თუ ყაჩაღებმა და-

102 ვ. ა. ვლადიმიროვის დას. ნაშრომი. გვ. 204-205.

ზარალებული სიცოცხლეს გამოასალმეს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა შეიცნო მათი ვინაობა, მკვლელობა ჩაითვლება ყაჩაღობის დაფარვის მიზნით ჩადენილად. მიუხედავად იმისა, რომ აქ ადგილი არა აქვს დანაშაულის გაადვილების მიზნით ჩადენილ მკვლელობას, ქმედება მაინც დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე და 109-ე მუხლის I ნაწილის „დ" პუნქტებით, ვინაიდან, ახალ კოდექსში მკვლელობის ჩადენა დანაშაულის დაფარვის, ისე მისი ჩადენის გაადვილების მიზნით განთავსებულია ერთი მუხლის ერთ პუნქტში ერთად. მაგრამ პროცესუალურ დოკუმენტებში უნდა ჩაიწეროს (სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის I ნაწილის „დ" პუნქტი - განზრახ მკვლელობა: დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით).

დ). ყაჩაღური თავდასხმის გზით განსაკუთრებული ღირებულების ნივთების დაუფლება და მისი კვალიფიკაცია

სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთი საგნების დაუფლებას, როგორიცაა განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთი ან დოკუმენტი.

ამ დანაშაულის უშუალო ობიექტია მესაკუთრის ან მფლობელის მიერ განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ მუხლში არაფერია ნათქვამი ნივთის დაუფლების ხერხზე. ამიტომ ის შეიძლება მოხდეს ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, გამოძალვის, თაღლითობისა და ა. შ. ფორმით.

იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად, უნდა დადგინდეს შემდეგი გარემოებები:

ნივთი ან დოკუმენტი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ან უნდა დაეუფლონ უნდა იყოს:

მოძრავი და ამავე დროს განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების. აქედან ერთ-ერთის არსებობა საკმარისია ქმედების ამ მუხლით

კვალიფიკაციისათვის. მაგალითად, ნივთი შეიძლება იყოს განსაკუთრებული ისტორიული, მაგრამ არ იყოს მეცნიერული ღირებულების.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლი ითვალისწინებს განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მოძრავი ნივთი ან დოკუმენტი, რადგან უძრავი ნივთის დაუფლება შეუძლებელია.

უნდა აღინიშნოს ის, რომ კულტურის მოძრავი ძეგლის გადაადგილება ან დაუფლება არ უკარგავს და არ უცვლის მას იმ თვისებას, რომლის გამოც მას მიენიჭა მოძრავი ძეგლის სტატუსი.

სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნის ჩამონათვალს იძლევა „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის თანახმადაც „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის სულიერი და მატერიალური განვითარების მატიანე, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბების თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია", ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით ხდება მოძრავი ძეგლის კლასიფიკაცია მისი სახეობის, ტიპოლოგიური, ფუნქციური, ქრონოლოგიური, ესთეტიკური და სულიერი მნიშვნელობის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს წარმოადგენს მოძრავი ძეგლები, რომლებიც „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტშია ჩამოთვლილი.

იმისათვის, რომ დაუფლებული ნივთი ჩავთვალოთ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნად აუცილებელია დაინიშნოს ექსპერტიზა, რათა დადგინდეს დაუფლებული ნივთი განეკუთვნება თუ არა გან-

საკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მოძრავ ნივთს ან დოკუმენტს. ასეთ საგნებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განეკუთვნება ისეთი ნივთები, როგორიცაა ანტიკვარული ნივთი, იშვიათი სახის ხელნაწერი, საარქივო, ფოტო, კინო მასალა, საფოსტო მარკები ან ძველი მონეტები ან მეფეების ტანსაცმელი, საბრძოლო მასალა ან სხვა ნივთი, რომლებიც დაცულია მუზეუმებსა და სხვადასხვა ფონდებში.

სუბიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ეუფლება განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მოძრავ ნივთს ან დოკუმენტს და უნდა სურდეს კიდეც აღნიშნული.

თუ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა მოხდება ქურდობით, მაშინ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ამ ნივთების დაუფლების მომენტიდან. ანალოგიურად გადაწყდება საკითხი ნივთის ძარცვის გზით დაუფლების შემთხვევაში.

სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლში არ არის მითითებული განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მოძრავი ნივთის ან დოკუმენტის დაუფლების ფორმები. მაგალითად, დანაშაული ფარულად მოხდა თუ აშკარად. მაგრამ მან დანაშაულის კვალიფიკაციის დროს არ უნდა შექმნას პრობლემა, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 178-, 179-ე, 180-ე, მუხლებში მოცემულია სხვისი ნივთის დაუფლების სხვადასხვა ხერხი, ამასთან მათში მითითებულია არა კონკრეტული რომელიმე ნივთი, არამედ ნებისმიერი საგანი, რომლის დაუფლებაც შესაძლებელია ზემოხსენებული მუხლებით გათვალისწინებული ხერხით. ამიტომ თუ ექნება ადგილი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას და ეს ნივთი იქნება განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მქონე ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით.

პრობლემატურია საკითხი განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების

მოძრავი ნივთის ან დოკუმენტის ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლების შემთხვევაში. როგორც მოგეხსენებათ, ყაჩაღობა დამთავრებულია ნივთის მისაკუთრების მიზნით თავდასხმის მომენტიდან, ამიტომ პრაქტიკაში ძნელი გასარკვევია ამ ქმედების კვალიფიკაციის საკითხი. იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ყაჩაღური თავდასხმის გზით განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მოძრავი ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს ზემოხსენებული ნივთების ან დოკუმენტის დაუფლების მომენტიდან. თუ თავდასხმის შედეგად ვერ მოხერხდა ნივთების დაუფლება, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობით.

ამ საკითხზე ანალოგიური მოსაზრება აქვთ გამოთქმული მ. ლეკვეიშვილსა და გ. მამულაშვილს. ისინი წერენ „განსაკუთრებული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლება მისაკუთრების მიზნით დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ სუბიექტი ფაქტობრივად დაეუფლა და თავის ან სხვა პირთა სარგებლობაში მოაქცია ეს ნივთები, ხოლო თუ ყაჩაღური თავდასხმა არ დამთავრდა ნივთის დაუფლებით, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობა და არა დამთავრებული დანაშაული.“[103] ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ზ. წულაიასაც.[104]

ამ საკითხზე პროფ. ზ. წულაია აღნიშნავს, რომ „სხვისი ქონების დანაშაულებრივი დაუფლების (დატაცების) მუხლთა სანქციების შედარებითი შეპირისპირება ცხადად გვიჩვენებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით ყაჩაღობის არა მარტო ტოლფასოვანი, არამედ ცოტათი მეტიცაა.

---

103 მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი-პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი) თბ. 1999 წ. გვ. 54

104 ზ. წულაია- ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი. თბ. 2001 წ. გვ. 104

სწორედ ამიტომაა, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ფორმულირების დროს კანონმდებელი საგანგებოდ არ მიუთითებს დატაცების ხერხებს, რითაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იმ საგნების დატაცება, რომლებიც განსაკუთრებული ფასეულობის მქონეა, უნდა დაკვალიფიცირდეს ერთნაირად დამოუკიდებლად დატაცების ხერხისა. ყაჩაღობასთან მიმართებაში გამოკვეთილად უნდა ითქვას, რომ 183-ე მუხლის შემადგენლობით შთაინთქმება ყაჩაღობა და დამატებითი კვალიფიკაცია დატაცების ხერხის გათვალისწინებით საჭირო არ არის."[105]

ავტორთა მიერ ზემოთ მოყვანილი მსჯელობა, ჩვენი აზრით, არის სადავო, რადგან ყაჩაღობა თუ ითვლება დამთავრებულად ნებისმიერი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმის მომენტიდან, მაშინ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნის დაუფლების მცდელობისას ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ორი მუხლის ერთობლიობით სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით, როგორც დამთავრებული ყაჩაღობა და სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლის მცდელობით. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ ყაჩაღობამ გარდა საკუთრებისა შეიძლება ხელყოს ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ამიტომ პირზე თავდასხმას, რომელსაც თან ახლდა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა უნდა მიეცეს ყაჩაღობის კვალიფიკაცია, სხვა შემთხვევაში ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა რჩება სამართლებრივი შეფასების გარეშე. ამასთან მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლში მითითებული სიტყვათა წყობა „სხვისი მოძრავი ნივთი" მოიცავს განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლებასაც, მაგრამ ეს ნივთები გათვალისწინებულია სპეციალური მუხლით და ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის საგნად მათი გამოყენების შესაძლებლობა მცირდება. გარდა ამისა, პროფ. ზ. წულაიას

105 ზ. წულაია- ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი. თბ. 2001 წ. გვ. 103-104

მსჯელობა თითქოს 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით ყაჩაღობის არა მარტო ტოლფასოვანი, არამედ ცოტათი მეტიცაა დიდი ვერაფერი საბუთია ზემოთ მოყვანილი მისი არგუმენტის განსამტკიცებლად. ასეთ დასკვნამდე პროფ. ზ. წულაია ამ ორი დანაშაულის სანქციების შედარების საფუძველზე მივიდა. უნდა ითქვას, რომ მარტო სანქციის მიხედვით არ უნდა განისაზღვროს დანაშაულის საშიშროება. მართალია, კანონმდებელი საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინების საფუძველზე ურჩევს დანაშაულს შესაბამისი სიმძიმის სანქციას, მაგრამ ეს ყოველთვის იმას არ ნიშნავს, რომ კანონმდებლის შეხედულება და ობიექტური გარემოებები ყოველთვის ემთხვეოდეს ერთმანეთს. ამიტომ პროფ. ზ. წულაიას მსჯელობა, თითქოს სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლის შემადგენლობით შთაინთქმება ყაჩაღობა, არის არადამაჯერებელი და მეცნიერული თვალსაზრისით მიუღებელი.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მოძრავი ნივთის ან დოკუმენტის ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლების შემთხვევაში ამ ნივთებზე უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევებში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით და 183-ე მუხლის მცდელობით. თუ ნივთი იქნა გატაცებული, მაშინ კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე და 183-ე მუხლების ერთობლიობით.

ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკის კომენტარის ავტორები აღნიშნავენ, რომ „ეს ის საკითხია, რაც ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებს. ძნელია, სამართლებრივი დასაბუთება მოუძებნო იმას, რომ თავდასხმა ჩვეულებრივი ნივთის დაუფლების მიზნით, დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, ხოლო, განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლების მიზნით თავდასხმა, ვიდრე მისი საბოლოო დაუფლება არ მოხდება, თავდასხმის მომენტში წარმოადგენს მხოლოდ დანაშაულის მცდელობას. ეს საკითხიც

საკანონმდებლო მოწესრიგებას საჭიროებს."[106]

ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა არის საკანონმდებლო დამატების განხორციელება. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილს, ჩვენი აზრით, უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ" პუნქტი. ყაჩაღობა ჩადენილი: „განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მოძრავი ნივთის ან დოკუმენტის დაუფლების მიზნით."

ჩვენი აზრით, 179-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 179. ყაჩაღობა.

1. განსაკუთრებით საშიში ძარცვა ანუ ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით,_

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით -------- წლამდე.

2. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით;

ბ) ჯგუფურად;

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით - წლამდე.

3. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) ბინაში უკანონო შეღწევით

გ) იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით;

დ) დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით,_

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით --------- წლამდე.

4. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მოძრავი ნივთის ან დოკუმენტის დაუფლების მიზნით;

გ) სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის დაუფლების მიზნით;

---

106 სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკის კომენტარები. თბ. 2004 წ. გვ. 196.

დ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასა-მართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისა-კუთრებისათვის ან გამოძალვისათვის,_

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით --------- წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ პუნქტის ჩამოყალიბება გამოიწვია პრაქტიკასა და თეორიაში არსებულმა დავამ, რომელიც ეხება სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემებს. ვფიქრობთ, მუხლის ასეთი ფორმულირება გამოასწორებს ამ ხარვეზს და წერტილს დაუსვამს ამ საკითხზე გამართულ მეცნიერულ დავას.

§2. დაუმთავრებელი დანაშაული

ა). ყაჩაღობის მომზადება და მისი მცდელობის პრობლემა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად: „1. დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. 2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების, აგრეთვე ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 194[1] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 202-ე მუხლის პირველი ნაწილით, 221-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 339[1] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 365-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით და 372-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების მომზადებისათვის. 3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ მუხლზე მითითებით.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად: „1. დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმე-

დება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. 2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდელობისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ მუხლზე მითითებით."

სისხლის სამართლის კანონი იცნობს ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებს, სადაც დანაშაულის შემდგომ სტადიას დამთავრებული დანაშაული წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, გამოძალვა და ყაჩაღობა.

ფორმალური შემადგენლობის დანაშაულების შესწავლის დროს მნიშვნელოვანია, მისი ჩადენის სტადიების გარკვევის საკითხი. ამიტომ ქვემოთ ვიმსჯელებთ ყაჩაღობის მომზადებისა და მცდელობის საკითხებზე.

მოქმედი კანონმდებლობა სასჯელს იყენებს დანაშაულის ჩასადენად მზადებისათვის. დანაშაულებრივი საქმიანობის პირველ დასჯად სტადიას მოსამზადებელი მოქმედება წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა." აქედან გამომდინარე, ქმედება ყაჩაღობის მომზადებად რომ დაკვალიფიცირდეს, ეს უნდა იყოს გამოკვეთილად ასახული პროცესუალურ დოკუმენტებში, რომ თავდასხმას ადგილი არა აქვს და ქმედება მზადების ფარგლებს არ გაცილებია. ეს იმას ნიშნავს, რომ პირმა ყაჩაღობის ჩასადენად შექმნა პირობები. მაგალითად, შეიძინა იარაღი, ჩაუსაფრდა, გადაკეტა სავალი ნაწილი და ა. შ. აღნიშნულ შემთხვევაში აშკარაა დანაშაულთა ჩასადენად საშუალების გამონახვაც და პირობების შექმნაც, რომელთაგან ერთ-ერთის დადგენა მაინც საჭიროა ქმედების დანაშაულის ჩადენისათვის მზადებად დაკვალიფიცირებისათვის.

მაგალითად, პირთა ჯგუფმა გადაწყვიტა ოჯახის დაყაჩაღება, შეიძინეს იარაღი და ღამით შეიჭრნენ ოჯახში, მაგრამ იქ არავინ არ დახვდათ. ამიტომ ისინი ფარულად დაეუფლნენ სახლში არსებულ ნივთებს და მიიმალნენ. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ყაჩაღობის მომზადებას და ქურდობას.

ყაჩაღობის ცნებიდან გამომდინარე, მისთვის აუცილებელია

სამივე ნიშნის არსებობა, მხოლოდ პირველი და მეორე ნიშნის არსებობის შემთხვევაში მხოლოდ ირკვევა, რომ თავდამსხმელს ჰქონდა ნივთის მისაკუთრების მიზანი, მაგრამ ძალადობა ან ძალადობის მუქარა ჯერ არ იყო გამოყენებული. ამიტომ ქმედება ყაჩაღობად ვერ დაკვალიფიცირდება.

მაგალითად, ქუჩაში მიმავალ ავტომანქანას წინ გადაუდგა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული და გააჩერა ის.

ამ შემთხვევაში ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს ყაჩაღობად, ვინაიდან, თავდამსხმელს არ მოუთხოვია ნივთი და არც ძალადობას ჰქონია ადგილი. ამიტომ ძნელი დასადგენია ჰქონდა თუ არა პირს მისაკუთრების მიზანი. თუ დადგინდა, რომ მას ჰქონდა ნივთის მისაკუთრების მიზანი, (მაგალითად, აღიარა ჩადენილი ქმედება) მაშინ მისი ქმედება დაკვალიფიცირდება ყაჩაღობის მომზადებად.

კანონში ჩანერილია, რომ თავდასხმას ნივთის მისაკუთრების მიზნით თან უნდა ახლდეს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა ან ძალადობის მუქარა. ამდენად, მარტო თავდასხმა ნივთის მისაკუთრების მიზნით არ შეიძლება ჩაითვალოს ყაჩაღობის, ე. ი. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად.

ადვილი შესაძლებელია, ზემოხსენებულ მაგალითში თავდამსხმელმა თავისი მოქმედებით (თავდასხმითა და ავტომანქანის გაჩერებით) ხელი შეუწყოს სხვა დანაშაულის ჩადენას და პროცესის მწარმოებელი ორგანოს ყურადღება გადაიტანოს სხვა მიმართულებით.

ამდენად, თუ დადგინდა, რომ პირს მართლაც ჰქონდა ასეთი მიზანი, ის დაისჯება, როგორც დამხმარე, რომლის ქმედებაც იყო ფიზიკური დახმარება, რაც გამოიხატება დანაშაულის ჩადენის დაბრკოლების აცილებაში.

ახლა ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა ზემოხსენებულ მაგალითში აღნიშნული ქმედება შეიცავდეს ყაჩაღობის ჩადენის მცდელობის ნიშნებს და საერთოდ, შეიძლება თუ არა ყაჩაღობას ჰქონდეს მცდელობა? ჩვენი აზრით, არა, ვინაიდან, სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ, მიმართული იყო დანაშაულის ჩასადე-

ნად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი."

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად დანაშაულის მცდელობად ითვლებოდა განზრახი მოქმედება, რომელიც უშუალოდ, მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამ მუხლის მიხედვით დანაშაულის მცდელობად ითვლებოდა ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ მხოლოდ რაღაც გარემოებების გამო (სიგნალიზაციის ჩართვა, პოლიციის მოსვლა, ძაღლის გამოდევნება, გამვლელების ან მესაკუთრის გამოჩენა და ა.შ.) მოხდა მისი შეწყვეტა და დამნაშავის შეჩერება არ იყო დაკავშირებული ამ უკანასკნელის ნებასთან თვითონ, თავისი სურვილით შეეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება.

ახალმა კოდექსმა კი მცდელობის ცნება ჩამოაყალიბა განსხვავებულად და მისგან ამოიღო შემდეგი წინადადება „დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო" ამ შემთხვევაში კი დანაშაულის მცდელობად ითვლება ქმედება იმის მიუხედავად დამნაშავემ თვითონ შეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება თუ ქმედების შეწყვეტა მოხდა მისი ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, თუ კი დამნაშავე თვითონ საკუთარი ნებით აიღებს ხელს დანაშაულის ჩადენისაგან, ის მაინც ითვლება მცდელობად, რადგან ქმედების შეწყვეტა მოხდა მცდელობის სტადიაზე. განა შეიძლება პირის მიერ ჩადენილი ქმედება დარჩეს შეფასების გარეშე? მაგალითად, პირმა ქურდობის მიზნით გატეხა ბინის კარი, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, მოხურა კარები და წავიდა. ამ შემთხვევაში პირმა გარკვეული ქმედება განახორციელა გარკვეული მიზნით, მაგრამ თვითონ აიღო ხელი მის დამთავრებაზე. ასეთ შემთხვევაში უსამართლო იქნებოდა, რომ კანონმდებელს არ წაეხალისებინა ის პირი, რომელმაც საკუთარი ნებით შეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება. ამიტომ კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლში გაითვალისწინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი - დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით

„პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი.“ ამასთან, ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.“ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში პირის ქმედება შეიცავს, მხოლოდ სხვისი ქონების დაზიანების ნიშნებს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის პირველ ნაწილში არსებული ცვლილების თაობაზე არაერთი რეკომენდაციაა შემოთავაზებული ქართველ მეცნიერთა და ასევე ჩემ მიერაც, მაგალითად, ჩვენ მაშინ მიგვაჩნდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაში სიტყვა „არ“-ს ნაცვლად უნდა ჩაწერილიყო სიტყვა „ვერ“ ან დისპოზიციას დაემატებოდა წინადადება - „დანაშაულის ჩამდენის ნებისგან დამოუკიდებელი ვითარების გამო“, მაგრამ შემდგომმა კვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ მოთხოვნა აშკარად გამართლებული არ იყო.

ზემოხსენებულ ზოგიერთ ქართველ მეცნიერს მიაჩნია, რომ არსებობს დაუმთავრებელი დანაშაულის სამი სახე: დანაშაულის მომზადება, დანაშაულის მცდელობა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკითხის ასე დასმა არასწორია და ეს გამოწვეულია სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მუხლის უადგილო ადგილას განთავსებით, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის VI თავს, სადაც სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლია განთავსებული ჰქვია დაუმთავრებელი დანაშაული და სწორედ ამიტომ მიაჩნიათ ის დანაშაულის ერთ-ერთ სტადიად. ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის შინაარსი უნდა იქნეს გადატანილი სისხლის სამართლის კოდექსის XIII თავში, სადაც საუბარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებზე.

როგორც ვიცით, მცდელობა მოიცავს მზადებას და განსხვავდება მისგან განვითარების უფრო მაღალი დონით, დანაშაუ-

ლებრივ შედეგთან უფრო მიახლოებით, მზადების შემდგომ ქმედების უფრო განვითარებით. სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში განასხვავებენ დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობას. კანონი ასეთ დეფინიციას არ იძლევა. მცდელობის შემთხვევაში შეიძლება ქმედება ვერ იქნეს მიყვანილი ბოლომდე ან იგი მიყვანილ იქნას ბოლომდე, მაგრამ შედეგი ვერ იქნეს მიღწეული მიუხედავად დანაშაულის შემსრულებლის სურვილისა და სწრაფვისა, მაგრამ ყველა შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩამდენი რეალიზაციას გაუკეთებს თავის დანაშაულებრივ განზრახვას, გამოიყენებს მზადებით შექმნილ გარემოებებს, მაგრამ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ვერ მიაღწევს მიზანს, დანაშაულებრივ შედეგს ან თავისი ნებით შეწყვეტს მას, აშკარაა დანაშაულის ჩადენის მცდელობა. ეს ის არის, რაც საკმარისია დანაშაულებრივი ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით დაკვალიფიცირებისათვის. გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადგილი აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას.

რაც შეეხება დანაშაულზე ხელის აღებას იგი შესაძლებელია, როგორც მომზადების, ისე მცდელობის სტადიაზე. იურიდიულ ლიტერატურაში მცდელობის დროს ერთმანეთისაგან არჩევენ დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის შემთხვევებს. დაუმთავრებული მცდელობის დროს ხელის აღება დანაშაულზე გამოიხატება სუბიექტის პასიურობით, პირი აღარ აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას.

დამთავრებული მცდელობის დროს ხელის აღება გამოიხატება, როგორც აქტიური ისე პასიური მოქმედებით. თუმცა უნდა ითქვას, რომ მცდელობის დაყოფა დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად არ მიგვაჩნია სწორად.[107]

მზადების შემდეგ დანაშაულის განვითარებამ შეიძლება მიაღწიოს ორი შედეგიდან ერთ-ერთს: მცდელობას (ამ შემთხვევაში თუ პირმა ხელი აიღო დანაშაულის დამთავრებაზე, მაშინ ის

---

107 დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის საკითხზე იხილეთ ო. გამყრელიძის ნაშრომი „დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის საკითხისათვის" კრებული „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები" 2006 წ. გვ. 15-23.

გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან) ან დამთავრებულ დანაშაულს. ეს ორივე ალტერნატიული შედეგია. მათგან მხოლოდ ერთის არსებობაა შესაძლებელი ერთ ქმედებაში. როგორც ვნახეთ, ქმედება უშუალოდ მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ჩასადენად. აქედან გამომდინარე, განსახილველ მაგალითში, აგრეთვე, დასადგენია, იყო თუ არა პირის ქმედება მიმართული დანაშაულის, კონკრეტულად ყაჩაღობის ჩასადენად, რისი დადგენაც თითქმის შეუძლებელია.

განსხვავებულად იყო განხილული საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში მცდელობის საკითხი. იქ აღნიშნულია, რომ „თუ დამნაშავემ ვერ მოასწრო ძალადობის ან მუქარის განხორციელება, ის პასუხს აგებს ყაჩაღობის მცდელობისათვის.“[108]

მიუხედავად დადგენილების გამოყენების ვალდებულებისა (სასამართლოებისათვის) ჩვენ ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ ფორმულირებას და დამატებით მოვიყვანთ ერთ მაგალითს: წულაძე, რომელიც არის მუნჯი, პოლიციამ დააკავა მაშინ, როცა მან შეიარაღებულმა ყაჩაღობის ჩადენის მიზნით შეაღწია ბახტაძის სახლში, მაგრამ მან ვერ მოასწრო ჟესტით ეჩვენებინა ბახტაძისათვის ნივთის გადაცემის მოთხოვნა. თუ უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებას დავეყრდნობით, აღნიშნულ შემთხვევაში წულაძის ქმედება იქნება ყაჩაღობის მცდელობა.

ჩვენი აზრით, ეს არ არის სწორი, ვინაიდან, მართალია წულაძეს ჰქონდა ნივთის დაუფლების მიზანი და უკანონოდ შეაღწია სახლში, მაგრამ, როგორც დაზარალებულისათვის, ისე პოლიციისათვის სახლში შეღწევის მიზანი უცნობია. ამდენად, წულაძემ თავისი ქმედებით შეასრულა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალიწინებული დისპოზიციის ერთი ნიშანი. ისე, საინტერესოა შეძლებს კი სასამართლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში წულაძის განზრახვის დადგენას, ხომ შეიძლება მას ჰქონოდა ბახტაძის შეშინების ან თუნდაც მოკვლის მიზანი.

თუ ქმედება შეიცავს სამივე ნიშანს, ის დამთავრებული ყაჩაღობაა, ხოლო თუ მარტო ადგილი აქვს მხოლოდ მსხვერპლთან შეხვედრას მოთხოვნის წაყენების გარეშე ნივთის მისაკუთრების

108 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1996 წლის 2 აპრილის №2 დადგენილება

მიზნით, მაშინ ის შეიძლება იყოს ყაჩაღობის მომზადება ან მასში უნდა ვეძებოთ სხვა დანაშაულის ნიშნები, თუნდაც იარაღის უკანონო ტარება და ა.შ.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ყაჩაღობას, როგორც ფორმალური შემადგენლობის დანაშაულს არა აქვს მცდელობა, იგი შეიძლება მზადებით დაიწყოს და ყოველგვარი მცდელობის გარეშე პირდაპირ დამთავრებულ დანაშაულად იქცეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის მომზადებისათვის, მიუხედავად ამისა, 2006 წლის 29 დეკემბრამდე სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადებისათვის, პირს ვერ მივცემდით სისხლის სამართლის პასუხისგებაში შემდეგი გარემოების გამო.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილით, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული იყო მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის" ამავე კოდექსის მე-12 მუხლის მეოთხე ნაწილით კი „განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა", ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, ხოლო II ნაწილი - ექვსიდან ცხრა წლამდე.

ამდენად, როგორც უკვე ვთქვით, პირს ხსენებული მუხლის ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადებისათვის, პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა. ეს დებულება, კანონის კონსტრუქციიდან გამომდინარეობდა და სავსებით უჩვეულო შემთხვევა გახლდათ.

მაგალითად: ინჯიამ შეიტყო, რომ ვაზ 2106 მარკის ავტომანქანას აეროპორტიდან ერთ-ერთ ბანკში უნდა გადაეტანა 3000 აშშ. დოლარი. ის შეიარაღდა, (გლუვლულიანი სანადირო თოფით) ჩაჯდა საკუთარ ავტომანქანაში და დაიწყო იმ სავარაუდო მარშუტით მოძრაობა, სადაც ფულიან ავტომანქანას უნდა გამოეცლო. მიუხედავად მთელი დღის ძებნისა, ამ მანქანას ვერ

მიაგნო. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, საღამოს ის დააკავა პოლიციამ.

საინტერესოა, როგორი იქნებოდა ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება? ჩვენი აზრით, ეს არის ყაჩაღობის მომზადება და აქვე გავიმეორებთ იმას, რომ ხსენებულ მაგალითში ჩადენილი ქმედების გამო, ინჯიას პასუხისგებაში მიცემის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა. (სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის I ნაწილის „ბ" პუნქტი) მაშინ, რა ღონისძიებები უნდა ყოფილიყო გატარებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რათა თავიდან აეცილებინათ ასეთი დანაშაულების ჩადენა? თუ დანაშაული მზადების სტადიაზე არ იქნებოდა აღკვეთილი, მაშინ შეიძლებოდა მიგვეღო ძალიან მძიმე შედეგი. ამ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები იძულებული იქნებოდნენ დაემკვიდრებინათ არასწორი და ფაქტიურად დანაშაულებრივი პრაქტიკა (იგულისხმება დანაშაულის პროვოკაცია ან იარაღის ჩადება, ასევე ნებისმიერი არაკანონიერი გზით დამნაშავის მოცილება).

2006 წელს ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ წიგნში ,,ყაჩაღობასთან ბრძოლა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა" კანონმდებელს შევთავაზეთ რეკომენდაცია სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლში საკანონმდებლო შესწორების შეტანის თაობაზე, კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ქმედება თუ არა II ნაწილით გათვალისწინებული მაინც უნდა გამოცხადდეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად, რათა პირის ქმედება მისი მზადების პროცესში იქნას აღკვეთილი და პირი კი დასჯილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დღეს არსებული კანონით, სამართალდამცავი ორგანოები იძულებულნი არიან, დაკვირვება აწარმოონ დანაშაულის მზადებაში ეჭვმიტანილ პირზე და სანამ ის არ ჩაიდენს ხსენებული მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ ქმედების პირველ ნიშანს. (თავდასხმას სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რასაც იგი გამოხატავს დაზარალებულისათვის უეცრად მოთხოვნის წაყენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაცია კანონმდებელმა გაითვალისწინა სისხლის სამართლის კოდექსის არა მარტო 179-ე მუხლთან მიმართებაში, არამედ სხვა მუხლებთან მიმართება-

შიც და ცვლილება შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, კერძოდ: მე-18 მუხლში, რომელშიც ჩაიწერა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების, აგრეთვე ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 194[1] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 202-ე მუხლის პირველი ნაწილით, 221-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 339[1] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 365-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით და 372-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების მომზადებისათვის."

§1. თანამონაწილეობის ცნება

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული ხშირად ხასიათდება საშიშროების მაღალი ხარისხით, რადგან რამდენიმე პირის მიერ ერთობლივად განხორციელებული მოქმედება ყოველთვის მიმართულია ისეთი სიკეთის წინააღმდეგ, რომელთა დაცვა ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრიორიტეტია.

იურიდიულ ლიტერატურაში დავაა თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისა და სხვა მზგავს დანაშაულთა კვალიფილაციის პრობლემებზე. თანამონაწილეობა განსხვავდება დანაშაულის სხვა სახეობებისაგან და მას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თვისებები.

იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ თანამონაწილეობას აქვს ორი ძირითადი თვისება: ერთი ეს არის დანაშაულის ერთობლივად ჩადენა და მეორე განზრახვა - თანამონაწილის შეგნება, რომ ის მოქმედებს სხვა პირებთან ერთად კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად.

დანაშაულის ერთობლივ ჩადენაში იგულისხმება, რომ თანამონაწილეები ეხმარებიან ერთმანეთს და დანაშაულებრივი შედეგი დგება ყველა მონაწილის მოქმედებათა ერთობლიობით. თუმცა თანამონაწილეთა ერთობლივ მოქმედებასაც აქვს ორი ფორმა:

ა) თანაამსრულებლობის ფორმა;

ბ) თანამონაწილეობის ფორმა სიტყვის თვისობრივი მნიშვნელობით. აქ იგულისხმება წაქეზება, დახმარება, ორგანიზატორობა.

თანაამსრულებლობისას ყველა მონაწილე მოქმედებს ერთდროულად და უშუალოდ ჩადიან იმ კონკრეტულ ქმედებას, რაც აუცილებელია მათი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. მაგალითად, ჯგუფური ხულიგნობა, ჯგუფური მკვლელობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ყველა ერთად ურტყამს დანას ან ერთი აკავებს და მეორე ესვრის ტყვიას და სხვ.

რაც შეეხება, სუბიექტურ ელემენტს - განზრახვას, ამ შემთხვევაში აუცილებელია ყველა თანამონაწილის მოქმედება მო-

ცული იყოს ერთიანი განზრახვით.

დანაშაულში თანამონაწილეობა გულისხმობს მონაწილეთა თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე ურთიერთშეთანხმებით მათ მიერ ერთიანი განზრახვით ქმედების ჩადენას. ურთიერთშეთანხმება კი გამორიცხავს ერთ-ერთი მონაწილის მიერ თანხმობის არ არსებობას, თუმცა არის გამონაკლისიც იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ თანამონაწილეობისას შეთანხმება შეიძლება ყოფილიყო ცალმხრივი. მაგალითად, პროფ. ნ. ტაგანცევი აღნიშნავს, რომ „შეთანხმება შეიძლება ცალმხრივიც იყოს: მაგალითად, დამხმარემ იარაღი დაუდო ამსრულებელს, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს თუ ვინ დაუდო იარაღი. ამიტომ შეთანხმება მოცულობის მიხედვით შეიძლება ეხებოდეს მთლიანად ქმედებას ან მის რომელიმე ნაწილს, უკანასკნელი განსაკუთრებით შესაძლებელია, როდესაც თვით დანაშაულებრივი ქმედება რთულია."[109] ამ საკითხზე უფრო დეტალურად ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამ საკითხზე საინტერესოდ მსჯელობს პროფ. ო. გამყრელიძე „თანამონაწილეობისათვის დამახასიათებელია ერთიანი უმართლობის განხორციელება ყველა თანამონაწილის მიერ, რაც შეუძლებელია იმ შემთხვევაში, როცა მათ ობიექტურ მომენტთან (მიზეზობრიობა) ერთად, სუბიექტური ელემენტიც არა აქვთ საერთო. უმართლობის სუბიექტური ელემენტი, რომელიც საერთო უნდა იყოს ყველა თანამონაწილისათვის, არის მიზანი. მიზანი კი ობიექტურ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა დელიქტი ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენი თვალსაზრისის მიხედვით თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის ყველა მონაწილე მოქმედებს პირდაპირი განზრახვით."[110]

იურიდიულ ლიტერატურაში თანამონაწილეობის სუბიექტუ-

---

109 Н. С. Таганцев. Русское уголовное право, часть общая, том 1 (полное переиздание), изд. «Автограф» Тула 2001 г. стр. 579

110 გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომცემლობა. „მეცნიერება", თბ., 1989, გვ. 173-174.

რი მხარის კვლევისას ზოგიერთი ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ თანამონაწილეობა თანაბრალეულობასაც გულისხმობს. ამ მხრივ საინტერესოა ირაკლი დვალიძის მიერ წარმოდგენილ სადოქტორო დისერტაციაში[111] განხილული ამ საკითხის დეტალური მსჯელობა. უდავოა, რომ ავტორი საკმაოდ განსწავლულია თანამონაწილეობის საკითხში, მაგრამ მიმაჩნია, რომ მისი მოსაზრება ამ თვალსაზრისით სწორი არაა. ი. დვალიძე აღნიშნავს, რომ „ო. გამყრელიძემ **ბრალის ნორმატივისტული თეორიის** თვალსაზრისით მართებულად გადაჭრა თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველთან დაკავშირებული პრობლემა. მისი ნაშრომებიდან თანმიმდევრულად გამომდინარეობს შემდეგი: ის, ვინც აღიარებს, რომ თანამონაწილეობა აქსცესორული ბუნებისაა და დანაშაულის ერთპიროვნული ამსრულებლობისა და თანამონაწილეობისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ერთი და იგივეა, მან თანმიმდევრულად უნდა აღიაროს ერთ დანაშაულში თანამონაწილეობა, რაც იგივე თანაბრალეულობაა იმდენად, რამდენადაც დანაშაული ბრალის გარეშე წარმოუდგენელია. ვინაიდან, ბრალი ბრალის ნორმატივისტული თეორიის მიხედვით პერსონალური გაკიცხვაა, მაშინ შეუძლებელია სისხლის სამართალში საერთოდ თანაბრალეულობის ცნების გამოყენება.

თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მართალია, ბრალი გასაკიცხაობის მომენტს გაულისხმობს, მაგარამ ბრალის ნორმატივისტული თეორია მთლიანად დასაბუთებული არაა."[112] ი. დვალიძე იზიარებს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ავტორთა კოლექტივის მოსაზრებას, რომელიც ეხება თანამონაწილეობისას თანაბრალეულობის საკითხს. ისინი აღნიშნავენ, რომ „...სისხლისსამართლებრივი უმართლობა ერთიანი განზრახვის პირობებში ხორციელდება. თუ განზრახვა არის ბრალის ერთ-ერთი ფორმა, მაშინ ცხადია, რომ დანაშაულში თა-

111 ი. დვალიძე. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე" გვ. 96-97.

112 ი. დვალიძე. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე" გვ. 96.

ნამონაწილეთა ბრალის ერთიანობაც სახეზეა. იგულისხმება, რომ დანაშაულში თანამონაწილე ფართო გაგებით, ამავე დროს თანაბრალეულია. თანაბრალეულობა ეხება არამარტო თანაამსრულებლობას, არამედ თანამონაწილეობას ფართო გაგებითაც... ბრალის პერსონიფიკაცია (ხაზგასმა ჩემია - ი. დ.) ხდება ერთიანი თანაბრალეულობის ფარგლებში საერთო დანაშაულში თითოეული თანამონაწილის ობიექტური როლის, წვლილის შესაბამისად, ერთიანი ბრალის ფარგლებში საკუთარი ბრალისათვის და არა სხვისი ქმედებისა და ბრალისათვის."[113] აღნიშნული მოსაზრების განხილვის შემდეგ ი. დვალიძე აღნიშნავს, რომ „მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით, „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში." მეორე, სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში მოცემული განზრახვის ორივე სახის განსაზღვრების მიხედვით განზრახვა ბრალის ფორმად გვევლინება, რადგან პირდაპირი განზრახვისა და არაპირდაპირი განზრახვის განსაზღვრებებში მითითებულია მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამგვარი განზრახვა უკვე უარყოფითი ნიშნითაა დაღდასმული და განზრახვა ბრალის ფორმაა. მაშასადამე, ეს ორი არგუმენტი ნათელყოფს, რომ თანამონაწილეობა თანაბრალეულობასაც გულისხმობს."[114]

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ განზრახვა და განუზრახველობა ბრალის ფორმებს აღარ წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ამისა განზრახვის ინტელექტუალური მომენტი მოიცავს პირის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებასაც. ეს უკანასკნელი კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით წარმოადგენს ბრალის ნიშანს. განზრახვა არ წარმოადგენს ბრალის ფორმას, რადგანაც ბრალი არის შეფასებითი კატეგორია, ხოლო განზრახვა შეფასების ელემენტს არ უნდა შეიცავდეს. მაგალითად სისხლის სამართ-

113 სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 223.

114 ი. დვალიძე. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე" გვ. 97.

ლის კოდექსის 34-ე მუხლის მიხედვით „...მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის", როგორც ვხედავთ, „ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება" ბრალის ნიშანია. ამიტომ პირის მიერ თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერების საკითხის გარკვევა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა და ის უნდა დადგინდეს ბრალის ხარისხის შეფასებისას. ამიტომ აუცილებლად უნდა მოხდეს განზრახვისაგან შეფასებითი ელემენტის ჩამოცილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საკითხზე სწორად მსჯელობს პროფ. ო. გამყრელიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ „საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი განზრახვას ბრალის ფორმად აღარ მიიჩნევს, ყოველ შემთხვევაში, ამაზე პირდაპირი მითითება კოდექსში არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, მე-9 მუხლის მიხედვით განზრახვის ინტელექტუალური მომენტი მოიცავს არა მარტო ქმედებისა და შედეგის ფაქტობრივი ხასიათის, არამედ შემადგენლობის ამ ნიშნების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გაცნობიერებასაც, მაგრამ „ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება" განზრახვის კი არა, ბრალის ნიშანია."[115]

ჩვენი აზრით, ავტორთა მიერ თანამონაწილეობისას ერთიანი ბრალის არსებობის დასაბუთება სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში დაშვებული შეცდომის შედეგია, რადგან მასში განზრახვა ბრალის ფორმადაა აღიარებული. მაგრამ თუკი ჩვენ საკითხს სწორად განვიხილავთ და სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის დისპოზიციაში შესწორებას შევიტანთ, მაშინ ძალიან სწორად და საინტერესოდ გადავჭრით თანამონაწილეობისას თანაბრალეულობის შეუძლებლობის შემთხვევას.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ ზოგიერთ მეცნიერთა მიერ საკითხის შესწავლისას შეიმჩნევა პრობლემის

115 ო. გამყრელიძე-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 96.

გადაჭრის მიმართ ცალმხრივი მიდგომა. მაგალითად, როცა ი. დვალიძე აღნიშნავს, რომ „სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში მოცემული განზრახვის ორივე სახის განსაზღვრების მიხედვით განზრახვა ბრალის ფორმად გვევლინება, რადგან პირდაპირი განზრახვისა და არაპირდაპირი განზრახვის განსაზღვრებებში მითითებულია მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამგვარი განზრახვა უკვე უარყოფითი ნიშნითაა დაღდასმული და განზრახვა ბრალის ფორმაა.“ საინტერესოა თუ რატომ არ ინტერესდება ავტორი იმ გარემოებით, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მიხედვით „...მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის“ ამ მუხლის მიხედვით კი „ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება“ ბრალის ნიშანია.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.“ ამ მუხლიდანაც ნათლად ჩანს, რომ საქმე გვაქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთიანი უმართლობის ჩადენის გამო თითოეული პირის საკუთარი ბრალის ფარგლებში.

ამ საკითხზე საინტერესოდ მსჯელობს პროფესორი ო. გამყრელიძე იგი წერს: „თანამონაწილისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა ერთ საერთო საფუძველს ემყარება. ეს საფუძველია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული „მართლსაწინააღმდეგო ქმედება“ ანუ, უფრო მოხერხებულად,

რომ ვთქვათ, „სისხლისსამართლებრივი უმართლობა".[116]

„უმართლობა – აღნიშნავს პროფესორი ო. გამყრელიძე - არის დასჯადობის ობიექტური საფუძველი, ურომლისოდაც თანამონაწილის პასუხისმგებლობა წარმოუდგენელია. მაგრამ იმისათვის, რათა თავი დავაღწიოთ კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპს, საჭიროა თითოეულმა თანამონაწილემ პასუხი აგოს პირადი, „საკუთარი ბრალისთვის". პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპია.[117]

ვინაიდან, ჩვენი შესწავლის საგანს თანამონაწილეობით ჩადენილი ყაჩაღობის კვალიფიკაცია შეადგენს, დავიწყებთ ამ მნიშვნელოვანი პრობლემის განხილვას და ვეცდებით პასუხი გავცეთ კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს.

§2. ამსრულებელი (თანაამსრულებელი), შუალობითი ამსრულებელი

თანამონაწილეთა მოქმედებას შეიძლება სულ სხვა ხასიათი ჰქონდეს. ამის მიხედვით, როგორც დღეს მოქმედი კანონმდებლობა, ისე თეორია განარჩევს თანამონაწილეობის ოთხ სახეს, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თანამონაწილეთა რიცხვს არ აკუთვნებს ამსრულებელსა და თანაამსრულებელს. ვინაიდან, დღეს მოქმედი კანონმდებლობა თანამონაწილეობას გულისხმობს ვიწრო გაგებით.

სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულია რომ „ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხადობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა." ამ მუ-

116 ო. გამყრელიძე-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წ. გვ. 202.

117 ო. გამყრელიძე-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წ. გვ. 202.

ხლის მიხედვით არსებობს ამსრულებელი, თანაამსრულებელი და შუალობითი ამსრულებელი.

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში ამსრულებელი ძირითად სუბიექტს წარმოადგენს და მასზეა დამოკიდებული დანაშაულის შემადგენლობის შესრულება, „თუ არ არსებობს ამსრულებელი, არც არის დანაშაული, მაგრამ თუ არ არის დანაშაული, განა შეიძლება ვილაპარაკოთ დანაშაულში თანამონაწილეობაზე, ე. ი. მონაწილეობაზე იმაში, რაც სინამდვილეში არ არსებობს." - აღნიშნავს მ. ი. კოვალიოვი.[118] მაშასადამე, ამსრულების მოქმედებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის. იგი წარმოადგენს ძირითად რგოლს მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში, რომელმაც დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია. ამსრულებლის მოქმედებაში მოცემულია დანაშაულის შემადგენლობის უშუალო განხორციელება.[119]

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში მოხსენიებულია ასევე თანაამსრულებელი, ხსენებული მუხლიდან ირკვევა, რომ თანაამსრულებელი არის ის, ვინც ამსრულებელთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში, „ამრიგად, თანაამსრულებლობა გულისხმობს დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობას. ამიტომ, თანაამსრულებლად არ ჩაითვლება ის, ვინც მონაწილეობას იღებდა წინასწარ მოსამზადებელ მოქმედებაში და ამით შექმნა პირობა დანაშაულის ჩასადენად. აგრეთვე ის, ვინც შემოუერთდა დამნაშავეს დანაშაულის დამთავრების შემდეგ".[120]

პროფ. თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობა უნდა გავიგოთ, როგორც მონაწილეობა ისეთ მოქმედებაში, რომლითაც ხორციელდება დანაშაულის შემადგენლობა. არ ჩაითვლება თანაამსრულებლად ის პირი ვინც, თუმცა დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედებს, მაგრამ დანაშაულის შემადგენლობას არ ახორციელებს. ამიტომ თანაამსრულებელთა წრიდან უნდა გამოვრიცხოთ ის ვინც და-

---

118 М. И. Ковалев. Соучастие в преступлении. часть I. 1960 г. стр.99.

119 თ.წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ.1965. გვ.112.

120 თ.წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ.1965. გვ.132.

ნაშაულის ჩადენის მომენტში სადარაჯოზე დგას, ან ის, ვინც დანაშაულის ჩადენის მომენტში დაბრკოლებას აცილებს უშუალო ამსრულებლებს და ამით აძლევს მათ შესაძლებლობას ბოლომდე მიიყვანონ დანაშაული.[121]

„თანაამსრულებლობა, - რამდენადაც იგი ფართო მნიშვნელობით გაგებული თანამონაწილეობის ფორმას წარმოადგენს აუცილებლად განზრახ ბრალს გულისხმობს. ამიტომ თუ რამდენიმე პირის მოქმედებით დანაშაულებრივი შედეგი გაუფრთხილებლობითაა გამოწვეული თითოეული დამნაშავე პასუხს აგებს, როგორც დამოუკიდებელი დამნაშავე და არა როგორც თანაამსრულებელი."[122]

თანამონაწილეობის საკითხის გადაჭრა დიდ სირთულეს შეიცავს რთული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში; ხშირია შემთხვევები, როდესაც დანაშაული რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ამ საკითხზე მხარდაჭერას იმსახურებს თ. წერეთლის მოსაზრება; „თუ დანაშაულის შემადგენლობა ორი აქტისაგან შედგება, თანაამსრულებლობა გვექნება არა მარტო მაშინ, როცა დამნაშავენი ორივე აქტის განხორციელებაში იღებენ მონაწილეობას, არამედ მაშინაც, როცა ისინი სხვადასხვა აქტს ასრულებენ" და მას მოჰყავს ასეთი მაგალითი „თუ ყაჩაღობის დროს ერთი თანამონაწილე დანას ჩასცემს დაზარალებულს, ხოლო მეორე ააცლის მას ოქროს საათს, ამ მოქმედებათა იზოლირებული განხილვის შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებოდით იმ დასკვნამდე მივსულიყავით, რომ პირველი დამნაშავის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც სხეულის დაზიანება, ხოლო მეორე პირის მოქმედება – როგორც ქურდობა. მხოლოდ ამ ორი მოქმედების ერთობლივად განხილვის შემთხვევაში გვეძლევა შესაძლებლობა დავაკვალიფიციროთ ჩადენილი დანაშაული, როგორც ყაჩაღობა."[123]

ჩვენი მხრიდან დავსძენთ იმას, რომ ორი მოქმედების ერთობლივად განხილვას დამნაშავეების საერთო განზრახვა უნდა ედოს საფუძვლად. ვინაიდან, ორი პირის მიერ დანაშაულის ჩადენისას, თუ ერთი ახორციელებს მხოლოდ პირველ ნაწილს და

---

121 თ.წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ.1965. გვ.132.

122 თ.წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ.1965. გვ.142.

123 თ.წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ.1965. გვ.139-140.

მეორე მეორე ნაწილს პირველთან შეთანხმებით. ამასთან პირველის მოქმედება არ მოიცავდა მეორის განზრახვას, მაშინ ამ უკანასკნელის მოქმედება უნდა განვიხილოთ თანამონაწილეობად მეორე ნაწილში და არა პირველში.

საინტერესო მოსაზრებას ავითარებს გერმანელი მეცნიერი ველცელი, იგი აღნიშნავს, რომ თუ პირველმა ამსრულებელმა უკვე განახორციელა შენადგენი დანაშაულის განსაზღვრული ნაწილი, ხოლო მეორე დამნაშავე შემდგომ შეუერთდა მას და მონაწილეობა მიიღო დანაშაულის დამთავრებაში, ეს მეორე პირი პასუხს აგებს მთელი შენადგენი დანაშაულისათვის, ვინაიდან, მან იცის დამამძიმებელი გარემოების შესახებ (მხედველობაშია ქურდობა შემტვრევით) და იწონებს მას.[124] ამდენად, ჰ. ველცელის აზრით, მეორემ აუცილებლად უნდა იცოდეს პირველ ნაწილში შესრულებული ქმედების შესახებ, მაგრამ, თუ არ იცის? ხომ არსებობს ისეთი შენადგენი დანაშაულები, რომელთა ნაწილის განხორციელება შეიძლება მეორე პირისათვის არ იყოს ცნობილი. მაგალითად, კ-ამ მოკლა ბ-ე, რა დროსაც მასთან შემთხვევით მოვიდა კ-ას ნაცნობი ი. და ორივემ გაძარცვეს ბ. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ი. არის თანამონაწილე ქურდობაში და არა ანგარებით მკვლელობაში.

ჰ. ველცელის მოსაზრებას იზიარებს მ. კოვალიოვი. მას მოჰყავს მაგალითისათვის ყაჩაღობა. იგი თვლის, რომ თუ ერთმა პირმა ჩაიდინა ძალადობა, ხოლო შემდგომ მისი ნაცნობი შემთხვევით აღმოჩნდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე და აღმოუჩენს პირველს დახმარებას დაზარალებულის ქონების გატაცებაში, ის ამხანაგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც ყაჩაღობის თანამონაწილე.[125] კოვალიოვი უფრო სწორი იქნებოდა, რომ დაეშატებინა ასეთი წინადადება – იმ შემთხვევაში თუ ყაჩაღობა ამ უკანასკნელის განზრახვასაც მოიცავდა, მაგრამ მან ამის შესაძლებლობა დასაწყისშივე გამორიცხა, როდესაც დანაშაულის ჩადენის ადგილზე ამხანაგის შემთხვევით მოსვლა დაუშვა, ვინაიდან, შემთხვევით მოსვლა, წინასწარ შეთანხმებით მოსვლისაგან არსებითად განსხვავდება.

---

124 Welzel. Das Deutsche strafrecht. 1960. s.s. 95-96 ნასარგებლია თ. ნერეთლის ნაშრომიდან თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ.1965 წ.

125 М. И. Ковалев. Соучастие в преступлении. часть II. Свердловск. 1962 г. стр.119.

მ. კოვალიოვის მოსაზრების კომენტირებისას თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ „ასეთი შეხედულება ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს. თითოეულმა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმისთვის, რაც მან ობიექტურად გააკეთა და რისი განზრახვაც მას ჰქონდა. შემდგომი მონაწილეობა ვერ შეავსებს მიზეზობრივ კავშირს, რომელიც მეორე დამნაშავის ქმედებასა და ძალადობის აქტს შორის არ არსებობს. იგი ვერ შეავსებს ბრალსაც, ვინაიდან, განზრახვა არის ფსიქიკური დამოკიდებულება მიმართული მომავლისაკენ და არა წარსულისაკენ.

ამიტომ ზემოთ მოტანილ შემთხვევაში ყაჩაღობისათვის ან ძალმომრეობითი გაძარცვით გატაცებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ პირველი ამსრულებელი, ხოლო მეორე პირი პასუხს აგებს იმისათვის, რაც მან პირადად შეასრულა და რისი ბრალიც მას ჰქონდა, ე. ი. - ქურდობისთვის.

სულ სხვაა - აგრძელებს თ. წერეთელი, - როდესაც თანაამსრულებლები წინასწარ შეთანხმდებიან როლების განაწილების შესახებ. ასეთი შემთხვევაში არსებობს მიზეზობრივი და ბრალეული კავშირი ერთობლივი შედეგის მიმართ, თითოეული, თუნდაც იგი შემადგენლობის მხოლოდ ერთ ნაწილს ასრულებდეს, განამტკიცებს მეორე თანაამსრულებლის განზრახვას და ამით მიზეზობრივ კავშირშია არა მარტო იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც უშუალოდ ასრულებს, არამედ იმ ნაწილის მიმართაც, რომელსაც მეორე თანამონაწილე ასრულებს. მას აქვს აგრეთვე ბრალი, მიმართული მთლიანი დანაშაულის ერთობლივად განხორციელებაზე. როგორც მართებულად აღნიშნავს ბულგარელი კრიმინალისტი კ. ლიუტოვი „მონაწილეობა ნივთის გატაცებაში თავისთავად არ ახდენს არავითარ ობიექტურ ზეგავლენას ძალადობის ან მუქარის გამოყენებაზე, არც აზიანებს და არც აშინებს დაზარალებულს. საჭიროა ცალკეული მოქმედება – იძულებისადმი შეგულიანება და იძულებაში დახმარება, რათა არსებობდეს იმის ობიექტური საფუძველი, რომ დამნაშავე დავსაჯოთ იძულებისთვის და ამასთან ერთად მთლიანად შენადგენი დანაშაულისათვის.

თანამონაწილეობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ის, რომ თითოეული დამნაშავის მოქმედება მიზეზობრივ კავშირში

იყოს შედეგთან და თითოეული მათგანი უშუალოდ მონაწილეობას იღებდეს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში, არამედ ამასთან ერთად საჭიროა განსაზღვრული ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგთან."[126]

როგორც ვნახეთ, გარკვეული თავისებურებით ხასიათდება თანაამსრულებლობა შენადგენ დანაშაულებში, მათი შემადგენელი მოქმედებები, ცალ-ცალკე აღებული შეიძლება ქმნიდნენ სულ სხვა დანაშაულის შემადგენლობას, ამიტომ ისინი ერთმანეთთან კავშირში უნდა განვიხილოთ.

მაგრამ არსებობს სხვა განსხვავებული შემთხვევები, რომლებსაც თავისებურად მიდგომა ესაჭიროება, რათა მოვახდინოთ ქმედების სწორი კვალიფიკაცია.

ამგვარ საკითხზე თავისი მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ო. გამყრელიძეს, რომელიც არ ეთანხმება იმ ავტორებს, რომლებიც მიიჩნევენ რომ შეკვეცილ (ყაჩაღობა) დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია მაშინაც, როცა ეს დანაშაული დაწყებულია, მაგრამ ფაქტიურად ჯერ არ დამთავრებულა, ანუ როგორც ზემოთ ვისაუბრეთ მ. კოვალიოვის აზრით, ის, ვინც დაეხმარება ყაჩაღს თავდასხმის შემდეგ, მაგრამ ქონების დაუფლებამდე, არის ყაჩაღობის თანამონაწილე.[127] ამ საკითხზე მხარდაჭერას იმსახურებს პროფ. ო. გამყრელიძის მოსაზრება, მისი აზრით: „ყაჩაღობა, ისევე როგორც ყოველი შენადგენი დანაშაული, ორი ისეთი მოქმედებისაგან შედგება, რომლებიც ცალ-ცალკე აღებული დამოუკიდებელ შემადგენლობებს ქმნიან. ამიტომ იმან, ვინც დაეხმარება ყაჩაღს მხოლოდ ქონების დაუფლებაში, პასუხი უნდა აგოს ქურდობასა და ძარცვაში თანამონაწილეობისათვის, ხოლო თუ პირი თვითონ უშუალოდ მონაწილეობდა ქონების დაუფლებაში, იგი პასუხს აგებს შესაბამისად ქურდობის ან ძარცვის ამსრულებლობისათვის. შენადგენი დანაშაულის პირველი აქტისათვის პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს იმას, ვის მოქმედებასა და ამ პირველ აქტს

126 თ.წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ.1965. გვ.141-142.

127 М. И. Ковалев. Соучастие в преступлении. часть II. Свердловск. 1962 г. стр.119.

შორის, არც მიზეზობრივი და არც ბრალეული კავშირი არ არსებობდა."[128]

სისხლის სამართლის კოდექსი ამსრულებლის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევს შუალობით ამსრულებელს.

შუალობითი ამსრულებლის არსებობის შემთხვევაში დანაშაულის ფიზიკური შემსრულებელი ფაქტიურად არ სჩადის დანაშაულს, იგი მხოლოდ იარაღია სხვის ხელში, ვისი მოქმედებაც მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან და ამდენად, იგი წარმოადგენს კიდევაც დანაშაულის შუალობით ამსრულებელს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში ამსრულებლის ცნების განსაზღვრისას საუბარია ისეთ პირზე, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხადობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ე. ი. აქ იგულისხმება შუალობითი ამსრულებელი.

„სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად შუალობითი ამსრულებლის მოქმედებასა (წაქეზება, დახმარება) და დანაშაულებრივ შედეგს შორის შუალედ გროლად ჩართულია იმის მოქმედება, ვისაც „ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა." ამ ტექსტის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს „ცოცხალი იარაღი" არასოდეს აგებს პასუხს. მაგრამ აქ კანონმდებლის აზრი უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ. ზოგჯერ „ცოცხალი იარაღი" პასუხს აგებს, თუმცა არა იმ უმართლობისთვის, რომელსაც შუალობითი ამსრულებელი სჩადის. მაგალითად, ვინმე აქეზებს ნაცნობს, ესროლოს ბუჩქს, სადაც თითქოს კურდღელი ზის. სინამდვილეში იქ წამქეზებლის მტერია, რომელსაც მოხვდა ტყვია და მოკვდა. წამქეზებელი (აქ იგულისხმება არა წამქეზებელი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, არამედ პირი, რომელმაც აღუძრა მეორე პირს დანაშაულის ჩადენის სურვილი) პასუხს აგებს განზრახი მკვლელობის უმართლობისთვის, ხოლო „ცოცხალი იარაღი" დაისჯება გაუფრთხილებლობითი მკვლე-

128 ო. გამყრელიძე. დას. ნაშრომი. გვ.116.

ლობისთვის. (სიცოცხლის მოსპობისთვის - რ.კ.)"[129]

შუალობითი ამსრულებლობა ყოველთვის განზრახი მოქმედებაა. განზრახვა ამ შემთხვევაში მხოლოდ პირდაპირია.

მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებშიც დანაშაული ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში მითითებული „სხვა გარემოებების გამო."

მაგალითად, ავალიშვილმა უთხრა ბერიძეს ესროლე, დათვიაო. ბერიძე დაუფიქრებლად ისვრის და კლავს ცერცვაძეს. ავალიშვილს შეგნებული ჰქონდა ჩადენილი ქმედების ხასიათი და სურდა ცერცვაძის მოკვლა ბერიძის ხელით. ავალიშვილი იქნება განზრახ მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი, ხოლო ბერიძე დაისჯება სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის, თუ მისი შეცდომა მიუტევებელია, ხოლო როდესაც შეცდომა მისატევებელია, ანუ მისი თავიდან აცილება შეუძლებელია, მაშინ ბერიძე არ დაისჯება.

როგორც ვხედავთ, თუ უშუალო ამსრულებელი მოქმედებს ბრალის გარეშე და სხვა პირის ნაქეზებით ის ჩაიდენს დანაშაულს, ამ შემთხვევაში წამქეზებელი გამოდის, როგორც დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი.

შუალობითი ამსრულებლობის წინააღმდეგ გამოდის უცხოელი კრიმინალისტი ვ. ზაუერი. მისი აზრით, შუალობითი ამსრულებლის ფიგურა ცხოვრებისათვის უცხო კონსტრუქციაა, იგი არაბუნებრივი ხელოვნური ცნებაა.[130]

შუალობითი ამსრულებლობის ცნებას ის ავტორებიც არ უარყოფენ, რომლებიც თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას ეწინააღმდეგებიან.

„როგორც უკვე ითქვა, შუალობით ამსრულებლობას მაშინ აქვს ადგილი, როცა დამნაშავე სხვა ადამიანს იყენებს დანაშაულის ჩადენის იარაღად. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მეორე პირი მისთვის იარაღია დასახული მიზნის მიღწევის გზაზე და მეტი არაფერი. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ წამქეზებელი თვითონ განიხილება ამსრულებლად. სახელდობრ შუალო-

129 ო. გამყრელიძე – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ 2008 წ. გვ. 191

130 W. Sauer. Allgemeine strafrechtslehre. Berlin. 1955. s.202. ნასარგებლია ო. გამყრელიძის. დას. ნაშრომიდან. გვ.52.

ბით ამსრულებლად."[131] მაგრამ წამქეზებელმა იცის თუ არა ის, რომ პირი, რომელსაც ის აქეზებს, არის შეურაცხადი და აუცილებელია თუ არა ამის ცოდნა მისთვის? ჩვენი აზრით არა, რადგან „ცოცხალი იარაღი" – ობიექტურად უნდა იყოს შეურაცხადი. მაგ:, ნ-მ ნათესავი ბიჭი, რომელიც მისი ბიჭის თანაკლასელი იყო და მისი წარმოდგენით შერაცხადი, ე. ი. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ეგონა, ყაჩაღობაზე დაიყოლია და გამოიყენა მეზობლის სახლიდან თავდასხმის გზით ძვირფასი ნივთების გამოტანაში. სინამდვილეში იგი შეურაცხადი იყო, რის შესახებაც არ იცოდა ნ-მ. მიუხედავად ამისა ნ. დაისჯება, როგორც დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი, ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვით, ობიექტურად შეურაცხადი პირი გამოიყენა დანაშაულის ჩასადენად.

ობიექტური მხრივ შუალობითი ამსრულებლობა უმრავლეს შემთხვევაში გამოიხატება ისეთი პირის წაქეზებაში, რომელიც შერაცხვისუუნაროა, მოქმედებს იძულებით ან შეცდომით და სხვა.

ვინაიდან, ჩვენი მიზანი ყაჩაღობის დროს შუალობითი ამსრულებლობის შესაძლებლობის დასაბუთებაა, მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, მეზობლის გ-ს წაქეზებით, დ. ყაჩაღურად თავს დაესხა კ-ს. და მას წაართვა ფული და სხვა ძვირადღირებული ნივთები. სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით დ-მ ეს ქმედებები ჩაიდინა შეურაცხად, კერძოდ ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის მდგომარეობაში. ამდენად, დ-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ არა ბრალეული ქმედება, ამიტომ გ-პასუხს აგებს ყაჩაღობის შუალობითი ამსრულებლობისათვის.

როგორც ვნახეთ, დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს, როგორც ერთმა პირმა, ისე რამდენიმემ ერთობლივად. ასეთი დანაშაულის ჩადენის დროს, კავშირი დამნაშავეთა შორის შეიძლება იყოს ზერელეც და მჭიდროც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დანაშაული განიხილება, როგორც ყველა მონაწილის საერთო დანაშაულებრივი ქმედება, ხოლო თვით მონაწილენი როგორც

131 ო. გამყრელიძე. დას. ნაშრომი. გვ.52-53.

ერთი დანაშაულის თანამონაწილენი და ისინი პასუხს აგებენ ამ ერთიანი დანაშაულისათვის. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში." საქართველოს სისხლის სამართლის ძველი (1960 წლის) კოდექსის მიხედვით „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავდა ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში." როგორც ვხედავთ, ძველ კოდექსში განზრახი დანაშაულის ჩადენაზე არ იყო მითითებული, მიუხედავად ამისა, იმ განსაზღვრებიდან ირკვეოდა, რომ მაშინდელი კანონმდებლობა არ ცნობდა გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობასა და, ამავე დროს, განზრახ თანამონაწილეობას გაუფრთხილებლობით დანაშაულში. თუ ორი ან მეტი პირი განზრახ ერთობლივად მონაწილეობენ დანაშაულის ჩადენაში ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაული, რომლის ჩადენასაც თანამონაწილეები ცდილობდნენ არის განზრახი, ვინაიდან, გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენა განზრახ ერთობლივი მონაწილეობით შეუძლებელია. ამდენად, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლში სიტყვა „განზრახი"-ს მითითება არ იყო აუცილებელი. კანონის მითითება, რომ თანამონაწილეობა არის განზრახი მონაწილეობა, ეხება ამსრულებელსაც, როგორც თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახეს, მაგრამ თუ ამსრულებელი განზრახ უნდა მოქმედებდეს, ეს თავისთავად გამორიცხავს თანამონაწილეობას გაუფრთხილებელ დანაშაულში.

საბჭოური პერიოდის სისხლის სამართალში კრიმინალისტთა უმრავლესობა უარყოფდა გაუფრთხილებელ თანამონაწილეობას, მაგრამ ზოგიერთი იურისტი იზიარებდა გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის შესაძლებლობას. მაგალითად, პროფ. ა. ტრაინინს და პროფ. ზ. შარგოროდსკის დასაშვებად მიაჩნდათ გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა.[132]

პროფ. ზ. შარგოროდსკის მიაჩნდა, რომ მის მიერ წამოყენებული მოსაზრება არ ეწინააღმდეგებოდა კანონში მითითებულ

132 А. Н. Траинин. Учение по соучастии. М. 1941 г. ст. 111-118. М. Д. Шаргородский. Вопросы общей части уголовного права. Л. 1955 г. ст. 142-243.

დისპოზიციას, რადგან იქ ჩაწერილი არ იყო თანამონაწილეობაზე განზრახ დანაშაულში. როგორც ვნახეთ, ამ ერთმა სიტყვამ პროფესორი შარგოროდსკიც დააბნია და მიაღებინა ისეთი გადაწყვეტილება, როგორიცაა გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის დასაბუთების მცდელობა. ის რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა ავსებს ამ „ხარვეზს", არ უნდა ჩაითვალოს შარგოროდსკის მიერ წამოყენებული მოსაზრების გაბათილების საშუალებად. ვინაიდან, ეს მოსაზრება თავიდანვე იყო განწირული მისი უსაფუძვლობის გამო, როგორც ო. გამყრელიძე ასაბუთებს, ამაოა ყოველგვარი ცდა გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის დასაბუთებისა.[133]

კანონის კონსტრუქციიდან გამომდინარე, ამსრულებელი და თანამონაწილე განზრახ უნდა მოქმედებდნენ. „ამიტომ თუ დანაშაულის უშუალო ამსრულებელი მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, წამქეზებელი ან დამხმარე, რომელიც განზრახ მოქმედებდა, პასუხს აგებს როგორც შუალობითი ამსრულებელი და არა როგორც თანამონაწილე. წამქეზებელი და დამხმარე (ან ორგანიზატორი) მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებიან თანამონაწილეებად, თუ ამსრულებელი ჩაიდენს განზრახ დანაშაულს."[134]

თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ თანამონაწილეობა გულისხმობს დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე პირის ერთიანობას. ეს ერთიანობა შეეხება დანაშაულის, როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ შემადგენლობას, ე. ი. როდესაც ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან. ობიექტური შემადგენლობის ერთიანობა გამოიხატება იმაში, რომ ყოველი თანამონაწილის მოქმედება არის დანაშაულებრივი შედეგის აუცილებელი პირობა, რომ შედეგი ამ მოქმედების გარეშე არ განხორციელდება.

რაც შეეხება თანამონაწილეობას, დარჩა სამი სახე, სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად:

---

133 ო. გამყრელიძე. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამონაწილეობა. თბ.1974. გვ. 116-120.

134 ო. გამყრელიძე. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამონაწილეობა. თბ.1974. გვ. 4.

1. ორგანიზატორია – ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

2. წამქეზებელია – ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

3. დამხმარეა – ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

§3. ორგანიზატორი

თანამონაწილეებიდან ერთ-ერთ მთავარ და საშიშ სუბიექტს წარმოადგენს ორგანიზატორი, რადგან იგი გახლავთ დამნაშავეთა ჯგუფის ხელმძღვანელი და ამდენად, მისი სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით დახასიათება აუცილებელ პირობად მიგვაჩნია.

ორგანიზატორად კანონის მიხედვით ითვლება ის, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მას. მან შეიძლება შექმნას დანაშაულებრივი ჯგუფი, შეიძლება მოამზადოს დანაშაული ან ხელმძღვანელობდეს დანაშაულის ჩადენას მისი აღსრულების მომენტში. მან შეიძლება შეასრულოს წამქეზებლისა და დამხმარის ფუნქციებიც, მაგრამ მთავარი მის საქმიანოში არის ის, რომ იგი აერთიანებს სხვა თანამონაწილეთა ძალღონეს და წარმართავს მათ დანაშაულებრივ საქმიანობას. მიუხედავად ამისა, ის ხშირ შემთხვევაში შეუმჩნეველი და ძნელად მისაგნებია სამართალდამცავი ორგანოებისათვის. როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კოდექსით მოცემულია ორგანიზატორის უფრო ფართო განმარტება, ვიდრე ეს იყო ძველ კოდექსში. ჯერ კიდევ 1959 წელს გამოქვეყნებულ წიგნში პ. ი. გრიშაევი და გ. ა. კრიგერი წერდნენ, რომ მაშინდელი საფუძვლები მეტად ვიწროდ განსაზღვრავდნენ ორგანიზატორის ცნებას და განმარტავდნენ, რომ მასში არ იყო მითითებული ორგანიზატორი, როგორც თვით დანაშაულებრივი ორგანიზაციის შემქმნელი და მისი საქმიანობის ხელმძღვანელი.

„ორგანიზატორის პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია - აღნიშნავს თ. წერეთელი – იმ ობიექტური და სუბიექტური პირობების არსებობა, რაც საერთოდ თანამონაწილეთა პასუ-

ხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს. მაშასადამე, ორგანიზატორის მოქმედება უნდა იყოს მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირში დანაშაულის ჩადენასთან. მიზეზობრივი კავშირის დადგენა რაიმე სპეციალურ საკითხებს არ წარმოშობს ორგანიზატორის მიმართ."[135]

ნ. დურმანოვის მიერ გამოთქმული იყო შეხედულება, რომ „...ორგანიზატორი განხილული უნდა იქნეს, როგორც დანაშაულის თავისებური ამსრულებელი."[136] ამ შეხედულებას იზიარებდა პროფ. მ. შარგოროდსკი, მისი აზრით, ორგანიზატორის მოქმედება გამოიხატება თვით დანაშაულის ორგანიზაციაში, რაც დანაშაულის შესრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ამიტომ დანაშაულის ორგანიზატორი, თუნდაც იგი დანაშაულის შემადგენლობაში შემავალ მოქმედებას ფაქტიურად პირადად არც კი იდენდეს, განხილული უნდა იქნეს არა როგორც თანამონაწილე, არამედ როგორც დანაშაულის ამსრულებელი.[137]

ამ შეხედულებას იზიარებდა მაშინდელი სასამართლო პრაქტიკა, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1946 წლის 29 ივნისის განჩინება, სადაც მოროზოვის ქმედება დაკვალიფიცირდა ამსრულებლობად. საქმის ვითარება იყო ასეთი: მოროზოვმა შექმნა შეიარაღებულ ყაჩაღთა ჯგუფი დაზარალებულ დობრიაკოვას გასაძარცვად და შეადგინა ამისათვის ბინის გაქურდვის გეგმა, თუმცა თვითონ გაძარცვაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, რადგან დაზარალებულის მეზობელი იყო და ეშინოდა რომ ისინი იცნობდნენ.[138]

ნათელია, რომ ზემოხსენებული ავტორების მოსაზრება და სასამართლო პრაქტიკა მცდარ გზაზე იდგა, ვინაიდან, ქმედების

---

135 თ.წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ. 1965. გვ. 148.

136 Н. Дурманов. Вопросы соучастия судебной практики Верховного Суда СССР (Социалистическая законность) 1947. №8. ст.17.

137 М. Д. Шаргородский. Вопросы общей части уголовного права. Л.: 1955. ст.148.

138 Судебная практика Верховного Суда СССР. 1946. вып.VI. ст.14-17

ასეთი კვალიფიკაცია არ შეესაბამება დანაშაულის ამსრულებლის ცნებას.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით. მაგალითად, თ. წერეთელს მიაჩნია, რომ ორგანიზატორი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს იმ დანაშაულის მიმართ, რომელსაც ის აწყობს, ხოლო ევენტუალური განზრახვით იმ დანაშაულის მიმართ, რომელსაც ის ითვალისწინებს და რომელიც შეიძლება ჩაიდინოს ამსრულებელმა. ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: თუ ვინმემ დაიქირავა მეორე პირი კაცის მოსაკლავად, იგი იმასაც ითვალისწინებს და უშვებს, რომ დაქირავებულმა მკვლელმა დაზარალებული შეიძლება გაძარცვოს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით მკვლელობის მიმართ და ევენტუალური განზრახვით გაძარცვის მიმართ.[139]

პროფ. თ. წერეთლის ასეთი მოსაზრება არ მიგვაჩნია სწორად, რადგან თანამონაწილეთა მოქმედებას ერთიანი განზრახვა უდევს საფუძვლად, ამიტომ თანამონაწილეთა შორის ერთიანი განზრახვის არსებობის შემთხვევაში შეუძლებელია მათ შორის განზრახვის სხვადასხვა ფორმის არსებობა.

თუკი ჩვენ თ. წერეთლის მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ დანაშაულის ექსცესის დროს ამსრულებლის მოქმედება შეიძლება შეურაცხოთ ორგანიზატორს მხოლოდ იმიტომ, რომ მას შეიძლება გათვალისწინებული ჰქონოდა ამსრულებლის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენა. ვინაიდან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით თანამონაწილეობა გულისხმობს ერთიანი განზრახვითა და ერთიანი მიზნით დანაშაულის ჩადენას, მაშინ თანაამსრულებელთან ან თანამონაწილესთან შეუთანხმებლად სხვა დანაშაულის ჩადენა განიხილება, როგორც დანაშაულის ექსცესი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა.“ ხოლო

139 თ. წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ.1965. გვ.149.

იმავე მუხლის მეორე ნაწილით „ამსრულებელის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება." აქედან გამომდინარე, ორგანიზატორს არ შეიძლება შეერაცხოს ბრალად იმ დანაშაულის ჩადენა, რომელიც მას შეთანხმებული არ ჰქონდა ამსრულებელთან. საერთოდ აღნიშნული საკითხის განხილვა და მისი დასაბუთება ძალიან მარტივია ორმაგი ბრალის მქონე დანაშაულების მაგალითზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამონაწილეთა ერთ-ერთი გამაერთიანებელი სუბიექტური ნიშანი არის დანაშაულის ჩადენის მიზანი. აქედან ნათელია, რომ თანამონაწილეებს აქვთ შედეგის მიმართ ერთიანი განზრახვა, რომელიც მიმართულია ერთი კონკრეტული შედეგის მიღწევისაკენ. მაგალითად, პირებმა განიზრახეს მოქალაქის ჯანმრთელობის განზრახ მძიმედ დაზიანება. ამსრულებელმა განახორციელა შესაბამისი ქმედება, მაგარამ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა. მიღებული დაზიანებების შედეგად პირი გარდაიცვალა. აქ ნათელია, რომ თანამონაწილეებს დამდგარი შედეგის დადგომის მიზანი არ ჰქონდათ, ამიტომ ორგანიზატორს არ შეერაცხება ბრალად დამდგარი შედეგი და ის დაისჯება ჯანმრთელობის განზარხ მძიმე დაზიანების ორგანიზატორობისათვის, ხოლო ამსრულებელი პასუხს აგებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით).

ო. გამყრელიძე მიუთითებს, რომ „... ისეთი „ფინალური" ბუნების დელიქტები, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და სხვ. მხოლოდ პირდაპირ განზრახვას მოითხოვენ და შეუძლებელია მათი ჩადენა ევენტუალური განზრახვით... წარმოუდგენლად მიმაჩნია იმის დასაბუთება, რომ ძარცვის თანამონაწილე შეიძლება ევენტუალური განზრახვით მოქმედებდეს."[140]

ორგანიზატორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასმისას მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის შინაარსის განმარტება, სადაც აღნიშნულია, რომ „თუ ამსრულებელს დანაშაული არ

140 გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. "მეცნიერება", თბ. 1989, გვ. 116.

დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად."

ამდენად, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, ორაგანიზატორი ერთ-ერთი საშიში ფიგურაა. ჩვენ მიერ შესწავლილი საქმეების უმრავლესობა, რომლებშიც ჯგუფური ყაჩაღური თავდასხმები იყო განხილული, ორგანიზატორის როლი თითქმის არსად არ ჩანდა, უფრო მეტიც, მართლმსაჯულებისათვის ეს სუბიექტი ხშირად უცნობი რჩებოდა და რჩება დღესაც, ვინაიდან, უშუალო ამსრულებლები არ ასახელებენ მათ ვინაობას სხვადასხვა მიზეზის გამო.

§4. წამქეზებელი

სულ სხვა ფუნქციებით არის აღჭურვილი წამქეზებელი, იგი დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს სხვისი მეშვეობით. მის მიერ წაქეზებული ადამიანი მოქმედებს შეგნებულად და თვითონაა თავისი მოქმედების ბატონ-პატრონი. წაქეზება გულისხმობს სხვა ადამიანში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების აღძვრას და მის დაყოლიებას დანაშაულის ჩასადენად. წაქეზების საშუალებად შეიძლება იქნეს გამოყენებული: მოსყიდვა, დაპირება, დარწმუნება, თხოვნა, მოწოდება, ბრძანება, მუქარა. მუქარის გამოყენების შემთხვევაში დანაშაულებრივი მოქმედება შეიძლება გამოწვეული იყოს უკიდურესი აუცილებლობით, ან მუქარის ისეთი ინტენსივობით, რომ სავსებით გამორიცხული იყოს პირის მოქმედების თავისუფლება. წაქეზება შეიძლება მოხდეს ზეპირად, წერილობით, ჟესტით, მიმიკით. იგი გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას ფსიქიკაზე. წაქეზება შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ განზრახ. გამორიცხულია მისი გამოწვევა უმოქმედობით, ან გაუფრთხილებლობით, ან ვინმეს საერთო ამორალური ზემოქმედებით. იგი გულისხმობს

პირის დაყოლიებას კონკრეტულად განსაზღვრული ქმედების ჩადენაზე.

წაქეზება გვაქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე თავისი მოქმედებით ცდილობს აღძრას სხვა პირში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, თანაც წამქეზებლის განზრახვა უნდა მოიცავდეს იმ კონკრეტულ დანაშაულს, რომლის განხორციელებაც მას სურს და რომლის ჩადენაზეც ამსრულებელს იყოლიებს, იგი შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

წინათ ზოგიერთი ქვეყნის (მაგ:, ბელგიის 1867 წლის სისხლის სამართლის კოდექსის, ჩილეს 1874 წლის სისხლის სამართლის კოდექსის) კანონმდებლობა არ გამოყოფდა წამქეზებელს, როგორც თანამონაწილეს, არამედ მას აერთიანებდა ამსრულებელთან.

ასეთი შეხედულება მცდარი იყო და, ბუნებრივია, რომ მას ბევრი ავტორი არ იზიარებდა. „წამქეზებელი კი დანაშაულის მონაწილე ხდება არა იმით, რომ მონაწილეობა მიიღო დანაშაულის უშუალო შესრულებაში, არამედ იმით, რომ აღუძრა სხვა პირს დანაშაულის ჩადენის განზრახვა და ამ მეორე პირის მეშვეობით განახორციელა თავისი ჩანაფიქრი, ამიტომ მისი მონაწილეობა დანაშაულში თვისობრივად სხვა ხასიათისაა, ვიდრე ამსრულებლის. ეს გაპირობებულია წამქეზებლის მოქმედების მიზეზობრივი კავშირის თავისებურებით."[141]

წაქეზების ობიექტური მხარე გამოიხატება იმაში, რომ წამქეზებელი ამსრულებელს აღუძრავს დანაშაულის ჩადენის სურვილს, რასაც იგი შემდგომ ახორციელებს.

სამართალმცოდნეობაში არსებობს ისეთი შეხედულება, რომლის მიხედვითაც, თითქოს წამქეზებელი და ფსიქიკური დამხარე უნდა გაერთიანდეს ინტელექტუალური თანამონაწილეობის ერთ სახედ.[142]

ჩვენ ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან ფსიქიკურ დახმარებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ამსრულებელს მიღებული აქვს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და დამხმარე

141 თ.წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ. 1965. გვ. 153.

142 R. Hergt. Die Lehre von der Teilahme am verbrechen. Heidelberg. 1909. s.98 ნასარგებლია თ.წერეთელის ნაშრომიდან. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ. 1965.

მას ეხმარება იმაში, თუ როგორ უნდა აიცილოს პასუხისმგებლობა, ან როგორ გაიადვილოს დანაშაულის ჩადენა და სხვა.

რაც შეეხება ნაქეზებას, ამ შემთხვევაში წამქეზებელი არა თუ ეხმარება მიზნის განხორციელებაში, რჩევა-დარიგებით, არამედ თვითონ აღუძრავს დანაშაულის ჩადენის სურვილს და თვითონ მიაღებინებს გადაწყვეტილებასაც.

ამ საკითხზე მხარდაჭერას იმსახურებს თ. წერეთლის მოსაზრება, მისი აზრით, წამქეზებელი და ფსიქიკური დამხმარის მოქმედებანი ერთმანეთისაგან ფსიქიკური ზემოქმედების სხვადასხვა ინტენსივობით განსხვავდება. წამქეზებელი ქმნის დანაშაულებრივი გადაწყვეტილების წარმოშობისათვის გადამწყვეტ მოტივს, ხოლო ფსიქიკური დახმარების როლი ისაა, რომ ფსიქიკური დამხმარე განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას, ჩაიდინოს დანაშაული, ასეთი გადაწყვეტილება კი ამსრულებელმა დამოუკიდებლად მიიღო. ფსიქიკური დამხმარე აძლიერებს იმ მოტივებს, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, და ასუსტებს იმ მოტივებს, რომლებიც მას აფერხებენ.

ნაქეზება შეიძლება მხოლოდ განზრახ (აქ იგულისხმება მხოლოდ პირდაპირი განზრახვა - რ. კ.).

თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ნაქეზება შეიძლება ევენტუალური განზრახვითაც. ამ მხრივ, თავისი აზრი გამოთქვა ნ. ტაგანცევმა. იგი წერს – „თუ ვინმე გაუზიარებს სხვებს რაიმე არტისტული თაღლითობის გეგმას, მაგრამ განზრახვა არა აქვს აღძრას ამ მოთხრობით სხვა პირში დანაშაულის ჩადენის სურვილი, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს წამქეზებლად, თუნდაც ვინმემ დამსწრეთაგან ისარგებლოს ამ გეგმით და განახორციელოს იგი."[143] პროფ. ნ. ტაგანცევი ასევე აღნიშნავს, რომ „თუ ვინმე, განსაზღვრული ქმედობის ჩადენისას, ან განსაზღვრული ამბის მოყოლის დროს ითვალისწინებს, რომ მისი ნაამბობის შედეგად, რომელიმე მსმენელმა შეიძლება მის მიერ აღწერილი დანაშაულებრივი ქმედობა ჩაიდინოს და გულგრილად ეკიდება ამას, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია შევურაცხოთ მას სხვა პირის მიერ ჩადენილი დანა-

143 Н.С.Таганцев. Лекции. 1902. ст.765.

შაული იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც ვურაცხავთ ასეთი გულგრილობის შედეგს უშუალო ბრალეულს."[144] ამ მოსაზრებას სავსებით სამართლიანად არ იზიარებს პროფ. ო. გამყრელიძე. იგი წერს, რომ „სუბიექტური მხრივ წაქეზება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება. ... გარდა ამისა, არაპირდაპირი განზრახვით წაქეზების დადგენა პროცესუალური საშუალებით ძლიერ ძნელი საქმეა."

გაუფრთხილებელ წაქეზებას გადაჭრით უარყოფს თ. წერეთელი და მას მაგალითად მოჰყავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება გორდეევის საქმეზე და ამით ასევე ასაბუთებს მაშინდელი სასამართლო პრაქტიკის მიერ გაუფრთხილებელი წაქეზების უარყოფას. საქმის ვითარება არის შემდეგი: გორდეევი პასუხისგებაში იყო მიცემული, როგორც ყაჩაღური თავდასხმის წამქეზებელი. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ მიუთითა, რომ თუმცა გორდეევმა თავისი მონაყოლით აღუძრა ზარახოვს და სხვებს სახლის პატრონის გაძარცვის განზრახვა, მაგრამ თვით გორდეევს, რომელიც ბინის პატრონის შეძლებაზე ლაპარაკობდა, არ მიუცია მათთვის დანაშაულის ჩადენის წინადადება, მას არც ჰქონია მიზანი აღეძრა მათში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და თვით მსმენლებსაც არ აღუქვამთ გორდეევის ნაამბობი, როგორც წაქეზება დანაშაულისაკენ, ამიტომ კოლეგიამ უარყო გორდეევის თანამონაწილეობა ყაჩაღურ თავდასხმაში.[145]

§5. დამხმარე

საინტერესოა ასევე, ყაჩაღობაში თანამონაწილეთა შორის დამხმარის როლის საკითხის შესწავლა. დამხმარე არ იღებს უშუალო მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში.

დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული იყო შეხედულება, რომ დახმარების ასეთი ზოგადი განსაზღვრა, მისი ამომწურავი ფორმების ჩამოუთვლელად, მიზანშეუწონ-

144 Н.С.Таганцев. Лекции. 1902. ст.768.

145 თ. წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბილისი 1965. გვ.159-160.

ლად უნდა ჩაითვალოს. სახელდობრ, პ. გრიშაევი და გ. კრიგერი ამტკიცებენ, რომ „წინააღმდეგ წამქეზებლობისა, რომლის მეთოდები და საშუალებანი შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ან თუნდაც ზოგადი ფორმით მივუთითოთ კანონში, დახმარების კონკრეტული სახეები და ფორმები, როგორც ეს სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, სავსებით შეიძლება ამომწურავად იქნას განსაზღვრული"[146] ზოგადი ფორმით დახმარების ცნების განსაზღვრა – წერს თ. წერეთელი – პ. ი. გრიშაევს და გ. კრიგერს იმ მხრითაც მიაჩნიათ შეუწყნარებლად, რომ ეს „ფართო გასაქანს იძლევა, რათა დახმარებას ნებისმიერად ისეთი ქმედებანი მიეკუთვნოს, რომლებიც თუმცა წინ უსწრებენ დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მაგრამ სულაც არ განაპირობებენ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას, არამედ მხოლოდ გარეგნულად ან მეტად შორეულად არიან დაკავშირებული დანაშაულის მომზადებასთან ან ჩადენასთან."[147]

პ. გრიშაევისა და გ. კრიგერის შიში, რომ დახმარების ზოგადი განსაზღვრებით იქმნება საშიშროება დახმარებისათვის ისეთი მოქმედების მიკუთვნებისა, რომელიც დანაშაულთან მიზეზობრივ კავშირში არ არის, თ. წერეთლის აზრით, მოკლებულია საფუძველს. იგი წერს: „დახმარების ცნების ყველა განსაზღვრებაში, იმის მიუხედავად, ზოგადი ფორმით არის იგი მოცემული, თუ ამომწურავი სახითაა ჩამოთვლილი, ხაზგასმულია მიზეზობრივი კავშირის მომენტი, ვინაიდან, ყველგან მითითებულია, რომ დახმარება ხელს უნდა უწყობდეს დანაშაულის ჩადენას. მეორე მხრივ, ამომწურავ ჩამოთვლას ის ნაკლი აქვს, რომ სასამართლომ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ყოველთვის, როდესაც ჩადენილია ერთ-ერთი მოქმედება, ამ ჩამონათვალში მითითებული, დახმარებას აუცილებლად აქვს ადგილი. პირიქით, თუ კანონში სანიმუშო ჩამოთვლა იქნება მოცემული, აქ პირველ ადგილზე მიზეზობრივი კავშირის საკითხი წამოიწევს. სახელდობრ, მოსამართლის ყურადღება კონცენტრირებული იქნება იმაზე, რომ ეს მოქმედება შედეგის აუცილებელ პირობას

146 П. И. Гришаев, Г. А. Кригер. Соучастие по уголовному праву. 1959 г. с. 155

147 თ. წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბილისი 1965. გვ. 171-172.

უნდა წარმოადგენდეს. დამხმარე ისჯება არა იმიტომ, რომ მან რჩევა ან დარიგება მისცა ამსრულებელს, არამედ იმიტომ, რომ ეს რჩევა-დარიგება ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენასა და დამხმარეც სწორედ იმ მიზნით მოქმედებდა, რომ დანაშაულის ჩადენისათვის ხელი შეეწყო."[148]

თ. წერეთლის აზრით, მიზანშეწონილია, თუ სისხლის სამართლის კანონის მსჯელობაში მოცემული იქნება დახმარების საშუალებათა არა ამომწურავი ჩამონათვალი, არამედ სანიმუშო, როგორც ამას აკეთებდნენ ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსები. კერძოდ, მას მიზანშეწონილად მიაჩნია დახმარების ასეთი განსაზღვრება: „დამხმარედ ჩაითვლება ის, ვინც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას იარაღის ან სხვა საშუალების მიწოდებით, დაბრკოლების აცილებით, რჩევა-დარიგებით, განზრახვის განმტკიცებით, დაპირებით, რომ აღმოუჩენს დახმარებას დანაშაულის ჩადენის შემდეგ ან სხვა საშუალებით."

ამრიგად, თ. წერეთელი ფიქრობს, რომ დამხმარის მოქმედებათა ზუსტად შემოფარგვლა ორი გარემოებით უნდა ხორციელდებოდეს: 1) იგი უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულთან და 2) ჩადენილი უნდა იქნეს განზრახი ბრალით.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თ. წერეთელის შეხედულება კანონში სანიმუშო ჩამონათვალის გათვალისწინების მხარდაჭერას იმსახურებს.

ამდენად, დამხმარის მოქმედება შეიძლება გამოიხატებოდეს ფიზიკური და ფსიქიკური ანუ ინტელექტუალური ფორმით.

ფიზიკურ დახმარებას წარმოადგენს: ა) დანაშაულის ჩასადენად საშუალების მიცემა. ბ) დანაშაულის ჩადენის დაბრკოლების აცილება.

ფსიქიკური ანუ ინტელექტუალური დახმარება შეიძლება გამოიხატებოდეს: ა) რჩევა-დარიგების, მითითების მიცემაში, ბ) წინასწარ დაპირებაში, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღს, დანაშაულის კვალს, დანაშაულებრივი გზით შეძენილ ნივთებს, ფსიქიკური დახმარება განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას, ჩაიდინოს დანაშაული. იგი ეხმარე-

148 თ. წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბილისი 1965. გვ. 172.

ბა მას განსაზღვროს თუ სად, როდის, როგორ, რა საშუალებით, მოახერხოს დანაშაულის ჩადენა.

დანაშაულში თანამონაწილეობა გულისხმობს მონაწილეთა თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე ურთიერთშეთანხმებით მათ მიერ ერთიანი განზრახვით ქმედების ჩადენას. ურთიერთშეთანხმება კი გამორიცხავს ერთ-ერთი მონაწილის მიერ თანხმობის არ არსებობას, თუმცა არის გამონაკლისიც. იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ თანამონაწილეობისას შეთანხმება შეიძლება ყოფილიყო ცალმხრივი. მაგალითად, პროფ. ნ. ტაგანცევი აღნიშნავს, რომ „შეთანხმება შეიძლება ცალმხრივიც იყოს: მაგალითად, დამხმარემ იარაღი დაუდო ამსრულებელს, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს თუ ვინ დაუდო იარაღი. ამიტომ შეთანხმება მოცულობის მიხედვით შეიძლება ეხებოდეს მთლიანად ქმედებას ან მის რომელიმე ნაწილს, უკანასკნელი განსაკუთრებით შესაძლებელია, როდესაც თვით დანაშაულებრივი ქმედება რთულია."[149] აქედან ნათელია ის, რომ დამხმარემ განახორციელა ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გარკვეული შედეგი, რომლის მიმართ მას ამ ვითარებაში არ შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი განზრახვა, თუმცა პირდაპირი განზრახვის არსებობაც არ არის გამორიცხული, ხოლო სხვა შემთხვევაში გამოდის რომ დამხმარეს უნდა ჰქონდეს რაღაც შედეგის მიმართ ევენტუალური განზრახვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ტაგანცევის მოსაზრება არ იქნება სწორი, თუკი დამხმარეს არ ექნება პირდაპირი განზრახვა შედეგის მიმართ. თუკი ჩვენ დაუშვებთ იმას, რომ თანამონაწილეობისას ადგილი აქვს თანამონაწილეთა შორის შეთანხმების არსებობას, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ შეთანხმება იგივე გარიგებაა, რაც გულისხმობს ორმხრივი ნების გამოხატვას, რადგან ნებისმიერ საკითხზე ერთიანი განზრახვის არსებობა და მისი მიღწევის მიზნით გარკვეულ ქმედებათა განხორციელება გულისხმობს შეთანხმების, გარიგების მომენტს, რაც გარკვეული სახის შედეგის მიღწევისკენაა მიმართული.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუკი ჩვენ დაუშ-

149 Н.С. Таганцев. Русское уголовное право, часть общая, том 1 (полное переиздание), изд. «Автограф» Тула 2001 г. с. 579

ვებთ ნ. ტაგანცევის მიერ მოყვანილ მაგალითში ცალმხრივად შეთანხმების შესაძლებლობას, მაშინ ჩვენ უეჭველად უნდა ვაღიაროთ ამ მაგალითში და, საერთოდ, დამხმარის მიერ ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის შესაძლებლობა, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია.

ნ. ტაგანცევის მიერ მოყვანილ მაგალითში, თუ პირი იარაღს დებს იმ მიზნით, რათა იცის, რომ პირი აპირებს ადამიანის მოკვლას და სურს კიდეც მაშინ ადგილი ექნება დახმარებას მკვლელობაში. ხოლო თუ შემთხვევით დატოვა და პირმა მოკლა სხვა პირი, მაშინ ადგილი ექნება იარაღის დაუდევრად შენახვას და ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლით.

ვინაიდან ჩვენი შესწავლის საგანს ყაჩაღობა წარმოადგენს, განვიხილავთ დახმარების საკითხს თავდასხმის ანუ ძალადობის განხორციელების მომენტიდან. აქ უნდა განვასხვაოთ ორი შემთხვევა: თუ დამხმარე წინასწარ შეუთანხმდა ამსრულებელს, რომ იგი ხელს შეუწყობს მას ნივთის გატაცებაში ან გატაცებული ნივთების დამალვაში, ასეთი დაპირება განხილული უნდა იქნეს, როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში (ყაჩაღობაში). ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 9 ოქტომბრის განჩინებას ჯ.-ს საქმეზე. რომელიც თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" პუნქტებით. საქმის გარემოება არის შემდეგი: ჯ. დანაშაულებრივად დაუკავშირდა ზ.-ს და ძიებით დაუდგენელ 3 პირს. მათ გადაწყვიტეს ქარელის რაიონის ტერიტორიაზე გამავალ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე დაეყაჩაღებინათ ლილოს ბაზრობისაკენ მიმავალი ავტობუსის მგზავრები და ნაყაჩაღარი მიეტანათ ჯ.-სთან, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა თ-ს სახლი. მათ გაინაწილეს ფუნქციები. მეორე დღეს, ორი ავტომატური და ერთი „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტით შეიარაღებული, სახეზე ნილაბაფარებული ზ. და ძიებით დაუდგენელი პირები ავტომანქანით გადაუდგნენ ბათუმიდან თბილისის მიმართულებით მიმავალ ავტობუსს, გააჩერეს, ავიდნენ ავტობუსში, მგზავრთა შესაშინებლად გაისროლეს ჭერში, და მოკვლის მუქარით

მოთხოვეს მათ ფულისა და ძვირფასი ნივთების გადაცემა. მგზავრებმა თავდამსხმელებს გადასცეს ფული და სხვა ნივთები.

თავდასხმის შემდეგ ჯ. მობილური ტელეფონით დაუკავშირდა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს, რომლებიც მივიდნენ ჯ.-ს მიერ მითითებულ თ.ს სახლში და გაინაწილეს გატაცებული ქონება. ჯ.-ს მისცეს წილად 500 ლარი, დანაშაულის ჩადენის იარაღები, 3 ნიღაბი და ხელთათმანები. ჯ.-მ აღნიშნული ნივთები შეინახა თ.-ს სახლში.

10 დღის შემდეგ ზ. და 3 ძიებით დაუდგენელი პირი კვლავ დაუკავშირდა ჯ.ს შეთანხმებისამებრ. ჯ.-მ თავისი ავტომანქანით გადაიტანა ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა, ნიღბები და ხელთათმანები. ზემოხსენებული პირები რკინიგზის პლატფორმასთან თავს დაესხნენ ქალაქ ხაშურიდან ლილოს ბაზრობაზე მიმავალ ავტობუსს. მოკვლის მუქარით აიძულეს მგზავრები გადაეცათ მათთვის ფული და ნივთები.

ყაჩაღობის შემდეგ ზ. მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ჯ.-ს, რომელმაც ავტომანქანით მიიყვანა ისინი თ.-ს სახლში, სადაც გაინაწილეს ნაყაჩაღარი.

ზემოთ აღნერილი ქმედების ჩადენისათვის ჯ.-ს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 9 ივლისის განაჩენით ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" პუნქტებით და 236-ე მუხლის I და III ნაწილით, რისთვისაც შეეფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

ქმედების ასეთი კვალიფიკაცია არასწორად მიიჩნია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ და მოტივირებული განჩინებით შეცვალა კვალიფიკაცია და შეამცირა სასჯელის ზომა.

პალატამ განჩინებაში აღნიშნა, რომ „საქმის მასალები უტყუარად არის დადგენილი და რაიონული და სააპელაციო სასამართლოებიც განაჩენებში დადასტურებულად თვლიან იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებული ჯ. წინასწარ შეუთანხმდა ზ.-ს და ძიებით დაუდგენელ 3 პირს, რათა 11 და 31 ოქტომბერს თავს დასხმოდნენ ლილოს ბაზრობისაკენ მიმავალი ავტობუ-

სის მგზავრებს. საქმის მასალებიდან გამომდინარე ბრალდების არც ერთ ეპიზოდში ჯ.-ს უშუალო მონაწილეობა თანამზრახველებთან ერთად ყაჩაღურ თავდასხმაში არ მიუღია. პირველ ეპიზოდში, როგორც განაჩენით არის დადგენილი, მისი როლი იმით შემოიფარგლა, რომ ყაჩაღურ თავდასხმაზე შეთანხმებისას ჯ.-მ თავდამსხმელებს შესთავაზა თავისი ნათესავის თ.-ს სახლი გატაცებული ქონების მისატანად. განაჩენით ასევე დადგენილია, რომ ბრალდების პირველ ეპიზოდში ჯ. შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა, ის ამსრულებლებს ელოდებოდა ნათესავის ბინაში.

ბრალდების მეორე ეპიზოდში ლილოს ავტობუსზე თავდასხმისას განაჩენით ასევე დადგინდა, რომ ჯ.-ს თავდასხმაში უშუალოდ მონაწილეობა არ მიუღია. მისი როლი განისაზღვრა მხოლოდ ავტომანქანით სხვა დამნაშავეთა გადაყვანასა და იარაღის გადატანაში, შემდეგ კი კვლავ იარაღის შენახვასა და მისი ნათესავის ბინაში გატაცებული ქონების განაწილებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ ჯ. მისთვის ბრალად წარდგენილ დანაშაულთა ჩადენაში მონაწილეობდა დამხმარის სახით. იგი ბრალდების ორივე ეპიზოდში დახმარებას უწევდა ამსრულებლებს დანაშაულის ჩადენაში, ამიტომ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით. ამასთან პალატამ დაადგინა, რომ ჯ.-სთვის შეფარდებული სასჯელი შემცირდეს 4 წლით.“[150]

თუ წინასწარ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია და მეორე პირი შემთხვევით აღმოჩნდა დანაშაულის ჩადენის ადგილას მას შემდეგ, როდესაც ძალადობის აქტი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ნივთის გატაცების დამთავრებამდე, და მან ხელი შეუწყო ამსრულებელს გატაცების აქტის განხორციელებაში, იგი დაისჯება იმ დანაშაულისათვის, რის შესრულებასაც მან ხელი შეუწყო.

თუ პირი წინასწარი შეთანხმების გარეშე დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულის გზით ნაპოვნ საგნებს, იგი დაისჯება არა სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, არამედ დანაშაულის დაფარვისათვის,

150 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. თბილისი 2002 წ. №1, გვ.35-40

რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით. ამდენად, იმისათვის, რომ პირის ქმედება ჩაითვალოს დახმარებად აუცილებელია არსებობდეს წინასწარი შეთანხმება ამსრულებელსა და დამხმარეს შორის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ბოლოს დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის შემთხვევაში ყოველთვის ისე არ ხდება მისი დამთავრება, როგორც დაგეგმილი ჰქონდათ ორგანიზატორსა და მთელს დანაშაულებრივ ჯგუფს. ზოგჯერ ამსრულებელი ვერ აღწევს შედეგს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ზოგჯერ თანაამსრულებელი ვერ ასრულებს დავალებას, რაც განაპირობებს შედეგის მიუღწევლობას, ზოგჯერ ამსრულებელს ისეთი დანაშაულის ჩადენა უხდება, რომელიც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს არ ჰქონდას გათვალისწინებული. დანაშაულის ჩადენის მსვლელობაში, მისი განვითარების რომელიმე სტადიაზე შეიძლება რომელიმე თანამონაწილემ ხელი აიღოს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ან მოხდეს სხვა შეთხვევა.

იმ შემთხვევაში, როცა სხვა თანამონაწილეების განზრახვის საწინააღმდეგოდ ამსრულებელმა ნებაყოფლობით ხელი აიღო, არც კი დაიწყო მისი შესრულება, ეს პირი უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან არ ჩაიდინა და ამით უზრუნველყო დანაშაულებრივი შედეგის აცილება. ასეთ გადაწყვეტილებას მოითხოვს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი. რაც შეეხება სხვა თანამონაწილეებს, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, მათ პასუხი უნდა აგონ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მათ მიერ განზრახული ყაჩაღობისათვის, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლზე მითითებით, თუ ამსრულებელმა უარი განაცხადა ყაჩაღობის ჩადენაზე და არ შეუდგა მის შესრულებას, არ დაიწყო იგი, თანამონაწილეები, ამსრულებლის გარდა პასუხს აგებენ მათ მიერ განზრახული დანაშაულის მზადებისათვის, ხოლო, თუ ამსრულებელმა დაიწყო დანაშაულებრივი ხელყოფის შესრულება, რითაც დაამთავრა ყაჩაღობა, რასაც მოიცავდა თანამონაწილეთა განზრახვა, რომლებიც ნივთის დაუფლებას მოელოდნენ, პასუხი

უნდა აგონ იმ ყაჩაღობაში თანამონაწილეობისათვის, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა.

დანაშაულის ამსრულებელმა დაგეგმილ დანაშაულთან ერთად სხვა დამოუკიდებელი დანაშაულიც თუ ჩაიდინა, ამ უკანასკნელი დანაშაულისათვის პასუხს აგებს მარტო თვითონ ამსრულებელი, ხოლო საერთო განზრახვით მოცული დანაშაულისათვის პასუხისმგებელია ყველა თანამონაწილე მათი მონაწილეობის მიხედვით. ორგანიზატორი პასუხს აგებს ორგანიზატორობისათვის, წამქეზებელი - წამქეზებლობისათვის, დამხმარე კი დახმარებისათვის.

ამსრულებლის მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენას, რომელსაც თანამონაწილეთა განზრახვა არ მოიცავდა, ამსრულებლის ექსცესი ეწოდება (მუხ. 26). ექსცესი იწვევს მხოლოდ ამსრულებლის, ე. ი. დანაშაულის უშუალოდ ჩამდენის პასუხისმგებლობას. ამრიგად, ორგანიზატორსა და დამხმარეს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ხელის აღება შეუძლიათ როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ამსრულებელს ეს შეუძლია უმოქმედობით, ხოლო წამქეზებელს კი მოქმედებით. ეს ყველაფერი, თუ არ იქნა გათვალისწინებული, ისე შეუძლებელია თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის სწორად დაკვალიფიცირება.

სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ ამსრულებლის ექსცესის ორ სახეს: რაოდენობრივ ექსცესს და თვისობრივ ექსცესს.

რაოდენობრივ ექსცესად ითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც ამსრულებელმა ჩაიდინა იმავე გვარის დანაშაული, რომელიც მოცული იყო თანამონაწილის განზრახვით, მაგრამ უფრო მძიმე. მაგალითად, თანამონაწილენი შეთანხმდნენ, რომ ჩაედინათ ქურდობა, ამსრულებელმა კი ჩაიდინა ყაჩაღობა.

თვისობრივ ექსცესად ითვლება ისეთი შემთხვევა, როცა ამსრულებელმა ჩაიდინა არაერთგვაროვანი, არამედ თვისობრივად სხვა დანაშაული, მაგ: ორგანიზატორმა ორგანიზება გაუკეთა ყაჩაღობის ჩადენას, ხოლო ამსრულებელმა ამის მაგივრად ჩაიდინა გაუპატიურება.

ვინაიდან, ექსცესი ის ქმედებაა, რომელიც არ მოიცავდა თანამონაწილეთა განზრახვას, ისინი პასუხს არ აგებენ ამსრულებლის ქმედებისათვის, რადგან, როგორც ვ. ი. კოვალიოვი ამტ-

კიცებს, „ამსრულებელი გადაწყვეტს დანაშაულის ჩადენას უკვე წამქეზებლისა და დამხმარის გარეშე, საკუთარი მოსაზრებების გამო, რომლებიც მეტად დაშორებულნი არიან, ზოგჯერ კი სავსებით ეწინააღმდეგებიან იმ მოსაზრებას, რასაც მას თანამონაწილენი უნერგავდნენ."[151]

რაოდენობრივი ექსცესის დროს თანამონაწილე პასუხს აგებს იმ უფრო მსუბუქ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომელიც მის განზრახვას მოიცავდა.

151 М. И. Ковалев. Соучастие в преступлении. Часть II. 1962 г. ст. 179

თავი V. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი

§1. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

ა). ყაჩაღური თავდასხმის მართლწინააღმდეგობა (უმართლობა)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დანაშაულის მეორე ნიშანს წარმოადგენს ქმედების მართლწინააღმდეგობა. ამავე კოდექსში არ არის გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის პოზიტიური გაგება, ამის გამო მართლწინააღმდეგობის დადგენა ხდება ნეგატიურად. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, თუ არ არსებობს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მართლსაწინააღმდეგო იქნება ადამიანის ნებისმიერი ქმედება, როგორ ფსიქიკურ მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს ის ჩადენილი, განზრახ თუ გაუზრახველად.[152]

ბ). ჩადენილი თავდასხმის უმართლობის ხარისხის დადგენის კრიტერიუმები

ყაჩაღობის ჩადენისას ყურადღება უნდა მიექცეს ჩადენილი უმართლობის ხარისხს, რომელიც განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის ზოგადი და სპეციალური ნორმებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის რაოდენობითა და მათი შინაარსითაც. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა გაცილებით უფრო მძიმე ხარისხის უმართლობაა, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსის

152 ო. გამყრელიძე- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 83.

179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების.

ბრალის ხარისხის ზრდა დამოკიდებულია უმართლობის ხარისხის ზრდასთან, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბრალის ხარისხი შეიძლება მეტი იყოს და უმართლობის ხარისხი იგივე. ამ საკითხზე პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „ზოგჯერ დამნაშავეს ჩადენილი უმართლობა შეიძლება გაძლიერებულად ან შემცირებულად (შეზღუდულად) შეერაცხოს, ესე იგი მისი ბრალის ხარისხი მეტი ან ნაკლები იყოს ისე, რომ ეს მეტ ნაკლებობა ბრალისა არ იყოს დამოკიდებული უმართლობის ხარისხზე."[153]

გ). აუცილებელი მოგერიების უფლების წარმოშობა

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა ქმედება ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ არ არის დანაშაულებრივი. ასეთ ქმედებებს კანონი დანაშაულად არ ცნობს. უკეთ რომ ვთქვათ, გარეგნულად დანაშაულის მსგავსი ქმედებები შეიძლება არ წარმოადგენდეს დანაშაულს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი განსაზღვრავს აუცილებელი მოგერიების ცნებას, რომელიც არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება.

ყაჩაღური თავდასხმისას აუცილებელი მოგერიების საკითხს ეხება თ. დონჯაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ „სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის თანახმად, ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან, მაგრამ აუცილებელი მოგერიების ვითარება არ შეიძლება (წარმოიქმნას) თავდასხმის მომენტში."[154] მართალია, ყაჩაღობა იურიდიულად დამთავრებულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, გაგრძელდეს პირის მიმართ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, რომლისგანაც დაცვის გარანტიებს იძლევა სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე

153 ო. გამყრელიძე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წ. გვ. 90

154 თ. დონჯაშვილი-საქართველოს სისხლის სამართალი. გვ. 300.

მუხლი. აქედან გამომდინარე, დაზარალებულს უფლება აქვს აუცილებელი მოგერიებისა, თუკი მის მიმართ არსებობს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის საფრთხე. მაგალითად, თავდამსხმელმა იარაღის მუქარით მძღოლისა და იქ მყოფი პირებისაგან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით მოითხოვა ფული და სხვა ძვირფასეულობა. ამ შემთხვევაში ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება, მაგრამ არსებობს ამ ხალხის მიმართ ძალადობის მუქარის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა ამიტომ სანამ თავიდან არ იქნება აცილებული საფრთხე, მანამდე დაზარალებულს აქვს იურიდიული უფლება თავის დაცვისა და ხელმყოფის მოგერიების.

დაზარალებულს უფლება აქვს ასევე ნივთის დაბრუნების მიზნით დააზიანოს ხელმყოფი.

ამ საკითხზე სწორად მსჯელობს პროფ. ო. გამყრელიძე იგი წერს: „ყაჩაღობა დამთავრებულია ნივთის დაუფლების მომენტიდან, მაგრამ ყაჩაღის მხრიდან ნივთის დაუფლება დაზარალებულს მოგერიების უფლებას არ უსპობს. ხელმყოფის დაზიანება მართლზომიერი იქნება იმ შემთხვევაშიც, თუკი ეს წართმეული ნივთის დაბრუნებას ემსახურება."[155]

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ქურდი, მძარცველი ან ყაჩაღი ნივთის შენარჩუნების მიზნით აზიანებს დაზარალებულს. სასამართლო პრაქტიკაში ასეთ ქმედებებს დამატებითი კვალიფიკაცია არ ეძლევა. მაგალითად, განაჩენით გ. ჩიგოგიძეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ე. ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წ. 26 ივლისს გ. ჩიგოგიძემ ქ. ბათუმში, ...ქუჩაზე, დროებითი სარგებლობის მიზნით, მობილური ტელეფონი გამოართვა ნაცნობ ვ. დავითაძეს. შემდეგ სთხოვა სამი დღით ეთხოვებინა და როცა პატრონისგან უარი მიიღო, ტელეფონი გაიტაცა და

---

155 ო. გამყრელიძე არ ეთანხმება თ. დონჯაშვილის ასეთ მოსაზრებას. „თუ თ. დონჯაშვილს დავეთანხმებით გამოდის, რომ თავდასხმის მომენტში ყაჩაღის დაზიანება დანაშაული ყოფილა. „აუცილებელი მოგერიების უფლების ასეთი შეზღუდვა გაუმართლებელია." იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008წ. გვ. 223-229.

გამოძიებით დაუდგენელ თანმხლებ პირთან ერთად გაიქცა. მას დაედევნენ ვ. დავითაძე და მისი მეგობარი კ. ტყაბლაძე. ეს უკანასკნელი წამოეწია და შეეცადა მის დაკავებას, მაგრამ გ. ჩიგოგიძემ ჯიბიდან ამოიღო საკეცი დანა, იქნევდა მას და კ. ტყაბლაძეს აფრთხილებდა, არ მისულიყო მასთან ახლოს. ამ დროს დანა კ. ტყაბლაძეს მოხვდა მკერდის არეში, რითაც მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება.

ბათუმის რაიონული პროკურორის თანაშემწე ტ. ნიკურაძე საკასაციო საჩივრით ითხოვდა გ. ჩიგოგიძის მიმართ განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გადააკვალიფიცირა გ. ჩიგოგიძის ქმედება ყაჩაღობიდან ძარცვაზე, რადგან მან სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, განახორციელა თავდასხმა, რომელიც დაკავშირებული იყო დაზარალებულის ჯანმრთელობის საშიშ ხელყოფასთან.

პალატამ მოუსმინა პროკურორს, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს სახელმწიფო ბრალმდებლის საკასაციო საჩივრის მოტივს იმის თაობაზე, რომ გ. ჩიგოგიძის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს ყაჩაღობას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ჩიგოგიძეს ვ. დავითაძისთვის მობილური ტელეფონი ყაჩაღობის გზით არ წაურთმევია, მან კ. ტყაბლაძეს დაზიანება მიაყენა მას შემდეგ, რაც ფაქტობრივად დაეუფლა ტელეფონს და ჩაიდო ჯიბეში, მის მიერ დანის გამოყენება მიზნად ისახავდა დადევნებული პირებისგან თავის დახსნას. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ გ. ჩიგოგიძემ ვ. დავითაძის კუთვნილი ტელეფონი გაიტაცა თანმხლებ პირთან ერთად.

ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა და მისი ქმედება სწორად დააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ჩვენი აზრით, პირს აქვს უფლება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანოს ხელმყოფი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გ. ჩიგოგიძის მიმართ განხორციელებული ქმედება არ იყო მართლსაწინააღმდეგო, რადგან ის გატაცებული ნივთის უკან დაბრუნებას ემსახურებოდა, ამიტომ ვ. დავითაძის ქმედება იყო მართლზომიერი.

ყაჩაღური თავდასხმისას პრაქტიკულად გამორიცხულია თავდამსხმელის მიერ განხორციელებული თავდასხმის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი თუნდაც ერთი გარემოების არსებობისა.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში ჩადენილ თავდასხმად შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულის მიერ განხორციელებული თავდასხმა, რომელიც გატაცებული ნივთის დაბრუნებას ემსახურება.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ასეთ შემთხვევებს ეწოდება ყაჩაღური ქურდობა. „ყაჩაღურ ქურდობა"-დ ითვლება შემთხვევა, როცა ამსრულებელი, „დაკავებულია ქურდობის დროს და იყენებს ძალადობას პირის საწინააღმდეგოდ, ან ემუქრება სიცოცხლის ხელყოფით, მოპარული ქონების შენარჩუნების მიზნით... ."

აუცილებელი მოგერიების უფლების მინიჭება მოქალაქისთვის ნიშნავს მისი უფლების დაცვის ერთ-ერთ საშუალებას და ხელს უწყობს მართლწესრგის განმტკიცებას.

ჩვენი აზრით, ყაჩაღობის დროს აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილად ჩაითვლება თავდამსხმელის ნებისმიერი ხასიათის ხელყოფა თუ:

-თავდასხმა ან თავდასხმის საფრთხე იყო რეალური და არა მოჩვენებითი, თუმცა მოჩვენებითმა მოგერიებამაც შეიძლება ზოგჯერ გამორიცხოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ არსებული ვითარება მომგერიებელს აძლევდა საკმარის საფუძველს იმისას, რომ ევარაუდა რეალური თავდასხმის არსებობა და მას შეგნებული არ ჰქონდა ამ ვარაუდის უსაფუძვლობა და მცდარობა.

თავდასხმის რეალურობასთან დაკავშირებით პროფ. მ. ტურავას მოჰყავს საინტერესო მაგალითი. იგი წერს „ა.-მ მოკლა ც., რომელსაც უნდოდა ა.-ს მხოლოდ შეშინება, თუმცა მომგერიე-

ბლის წარმოდგენით იგი რეალურ თავდასხმას ახორციელებდა (ე. წ. მოჩვენებითი მოგერიება). ასეთი შემთხვევა არ წარმოადგენს აუცილებელ მოგერიებას, ვინაიდან, თავდასხმა არ იყო რეალური, ობიექტური, არამედ მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში არსებობდა. მოჩვენებითი თავდასხმის მომგერიებელი არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა იყო მისატევებელი. თუ შეცდომა მისატევებელია, მაშინ იგი დაისჯება მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, ხოლო თუ შეცდომა არ დაუშვა და იცოდა, რომ ც. ხუმრობით ან შეშინების მიზნით დაესხა თავს, ა.-ს ქმედებაში იქნება განზრახი მკვლელობის ნიშნები."[156]

ამ საკითხზე პროფ. ზ. წულაია აღნიშნავს, რომ „მკვლელობა მოჩვენებითი მოგერიებისას განიხილება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის საერთო წესის მიხედვით."[157] ამ აზრს არ ეთანხმება პროფ. ო. გამყრელიძე და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „რაც შეეხება მოჩვენებით მოგერიებას, ასეთი შემთხვევა შეცდომის პრინციპის მიხედვით უნდა გადაწყდეს. თუ მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფს შეცდომა არ ეპატიება, მან პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობისათვის."[158]

- თავდასხმის ან თავდასხმის საფრთხე უნდა იყოს საშიში მომგერიებლის ან სხვისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან სხვა სიკეთისათვის.

- თავდასხმის მოგერიებისას ზიანი უნდა მიადგეს მხოლოდ თავდამსხმელს (ხელმყოფს). უნდა აღინიშნოს ის, რომ კანონით დაზიანება შეუზღუდავია ვინაიდან, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლში დაზიანების არანაირ შეზღუდვაზე საუბარი არ არის. ამ საკითხზე პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს რომ „სიტყვები „ხელმყოფის დაზიანება" ფართო ცნებაა და მასში ყოველგვარი დაზიანება, მათ შორის სიცოცხლის მოსპობაც

---

156 მ. ტურავა – სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2006 წ. გვ. 94-95

157 ზ. წულაია _ სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი. თბ. 2000 წ. გვ. 98.

158 ო. გამყრელიძე _ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 216

უნდა ვიგულისხმოთ."[159]

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა ამ საკითხზე პროფ. ალ. კვაშილავა იგი წერს: „შეიძლება განსხვავებული აზრი წარმოიშვას ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის თაობაზე სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მაგრამ აღნიშნულ კანონში მითითებული დაზიანება მოიცავს სიცოცხლის მოსპობასაც. . ."[160]

-თავდაცვა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. კანონი, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდასხმის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან." მაგრამ იმისათვის, რომ სწორად გადაწყდეს თავდასხმის მოგერიების შესაბამისობის საკითხი, უნდა გავითვალისწინოთ საქმის კონკრეტული გარემოებები, საშიშროების ხარისხი და ხასიათი, თავდასხმისა და თავდაცვის ინტენსივობის თანაფარდობა. ბუნებრივია, რომ მომგერიებელი თავდასხმის შედეგად ხშირად სულიერი აღელვების მდგომარეობაშია და შესაძლოა ვერ განსაზღვროს თავდასხმის საშიშროების ხასიათი და შეარჩიოს თავდაცვის სრულიად შეუსაბამო საშუალება. რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ძალიან მძიმე შედეგი, მიუხედავად ამისა მომგერიებელმა შეიძლება პასუხი მაინც არ აგოს.

ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია აქვს ზოგიერთ ქართველ მეცნიერს მაგ:, პროფ. ზ. წულაია აღნიშნავს, თითქოს „აფექტის დროს ადგილი აქვს ძლიერ სულიერ აღელვებას, ხოლო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობისას მომგერიებელი იმყოფება ჩვეულებრივი სულიერი აღელვების მდგომარეობაში."[161] ეს მოსაზრება საკმაოდ დასაბუთებულად უარყო პროფ. ო. გამყრელიძემ. მან აღნიშნა, რომ „ეს აზრი სრულიად მიუღებელია. როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში მომგერიებელი იყოს „ჩვეულებრივი სულიერი აღელ-

159 ო. გამყრელიძე - საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 222.

160 პ. დაუთაშვილი, ალ. კვაშილავა - სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ. 2003 წ. გვ. 109.

161 ზ. წულაია - სისხლის სამართალი. პირველი ტომი, თბ. 2000 წ. გვ. 101.

ვების მდგომარეობაში," როცა მას თავდამსხმელთან სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა აქვს გამართული და მისი სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია."[162] ის, რომ მომგერიებელი არ შეიძლება იმყოფებოდეს ჩვეულებრივ მდგომარეობაში ამას ამტკიცებს პროფ. მ. ტურავაც.[163]

ჩვენი აზრით, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მომგერიებელი არ იმყოფება მშვიდად, რადგან მას არა აქვს პირდაპირი განზრახვა სხეულის დაზიანების ან მკვლელობის მიმართ. თუ პირმა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადააჭარბა პირდაპირი განზრახვით, ანუ მან იცოდა რომ ხელმყოფის დაზიანება ან მოკვლა აუცილებელი არ იყო, მაგრამ სურდა მისი დაზიანება ან მოკვლა და დააზიანა ან მოკლა კიდეც ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით (ეს შეიძლება იყოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე, 108-ე, 109-ე, 111-ე მუხლები და ა. შ.).

სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები პირს არ ავალდებულებს თავი დაიცვას თავდასხმისაგან, ის მხოლოდ უფლებას ანიჭებს მას თავი დაიცვას მიუხედავად იმისა შეუძლია თუ არა მას თავი დაიცვას ან საშველად მოუხმოს სხვას. მას უფლება აქვს გაიქცეს და თავი აარიდოს შესაძლებლობის ფარგლებში შესაძლო თავდასხმას, თუმცა მას კანონი არ ავალდებულებს ასე მოიქცეს. მაგრამ აქ არის ერთი საინტერესო რამ, მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ პირს უფლება აქვს დააზიანოს ხელმყოფი თავისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად და მას შეუძლია არ დააზიანოს და გაიქცეს, მაგრამ ამ ნაწილში საუბარია ასევე სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვაზეც. ამ შემთხვევაში მას ამ მუხლის მიხედვით არა აქვს ვალდებულება სხვისი სიკეთის დაცვის მიზნით დააზიანოს ხელმყოფი, მას მხოლოდ უფლება აქვს და მან შესაძლოა არ გამოიყენოს ეს უფლება. მაგრამ მაშინ დადგება პირის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი სისხლის სამართ-

162 ო. გამყრელიძე - საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსის განმარტება. თბ. 2005 წ. გვ. 225.

163 მ. ტურავა-სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2006 წ. გვ. 95.

ლის კოდექსის 128-ე და 129-ე მუხლებით. ამიტომ ეს ორი ნორმა ურთიერთსაწინააღმდეგოა ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვათა წყობა „ან სხვისი“ და დანარჩენი დარჩეს უცვლელად.

§2. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი

ა). ყაჩაღური უმართლობის შერაცხვა, როგორც ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დანაშაულის მესამე ნიშანს წარმოადგენს ბრალი. ამავე კოდექსში ბრალის დადგენა ხდება ნეგატიურად. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ბრალად შეერაცხება პირს თუ არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.

ბ). ბრალის შერაცხვის საფუძვლები

თუ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, ეს იქნება ბრალის სრულად შერაცხვის საფუძველი, მაგრამ თუ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე, მესამე ან მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, მაშინ გვექნება ბრალის გაძლიერებულად შერაცხვის საფუძველი.

2007 წლის 5 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადებისა და საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელო წინადადებების განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი კომისია, რომელმაც შეიმუშავა სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, ამ სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულია ბევრ პრობლემატურ საკითხზე სისხლის სამართლის კოდექსის ნორმათა ერთგვაროვანი გამოყენების რეკომენდა-

ციები, რომელიც 2007 წლის 25 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.

ზემოხსენებული რეკომენდაციის თანახმად, „პირის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის რამდენიმე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, უნდა დაკვალიფიცირდეს და სასჯელი განისაზღვროს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით.

მაგალითად, თუ ჩადენილია დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით), ამავე მუხლის III ნაწილის „გ" ქვეპუნქტით (ყაჩაღობა დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით) და ამავე მუხლის IV ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ორგანიზებული ჯგუფის მიერ) განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში, ქმედების კვალიფიკაცია და სასჯელის დანიშვნა უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ა" ქვეპუნქტით."[164]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი ეხება სასჯელის დანიშვნას დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს. აღნიშნული მუხლის თანახმად:

1. დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისათვის.

2. დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს.

3. დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ანდა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება. ამასთანავე, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს.

164 სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. თბ. 2007 წ. გვ. 87

გ). ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი.

აქედან ნათელია, რომ ყაჩაღობა ბრალად არ შეერაცხება პირს თუ მას არ შესრულებია თოთხმეტი წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყაჩაღობისათვის სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს პასუხისმგებლობას 14 წლის ასაკიდან.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლისამართლებრივ მეცნიერებაში დანაშაულის სუბიექტი ორ სახედ იყოფა. არის საერთო სუბიექტი და სპეციალური სუბიექტი (ამსრულებელი). საერთო სუბიექტი წარმოადგენს, კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს (14, 16, 18) მიღწეული, ფიზიკური, შერაცხადი პირი, რომელიც არის აღჭურვილი ცალკეული დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელი უფლებით ან საშუალებით და შეუძლია ჩაიდინოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, გარდა იმ დანაშაულებისა, რომელთა ჩადენა შეუძლია მხოლოდ სპეციალურ ამსრულებელს.

სპეციალური სუბიექტია (ამსრულებელი) პირი, რომელიც აკმაყოფილებს საერთო სუბიექტისათვის კანონით წაყენებულ მოთხოვნებს და აღჭურვილია ცალკეული დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელი უფლებებით ან საშუალებით. მაგ. სამოხელეო დანაშაული: სამსახურებრივი სიყალბე, ქრთამის აღება შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა, მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით.

უნდა აღინიშნოს ის, რომ არასრულწლოვნება წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებულ გარემოებას და ნარმოადგენს შემცირებული შერაცხვის საფუძველს, ხოლო მცირეწლოვნობა კი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის

გამომრიცხავ გარემოებას და ის არ არის სუბიექტის ნიშანი. ეს განპირობებულია იმით, რომ არასრულწლოვნებს არასაკმარისად აქვთ გაცნობიერებული დანაშაულის ჩადენის მომენტი, რაც ერთი მხრივ დაკავშირებულია ინტელექტუალური განვითარების დაბალ დონესთან და მეორე მხრივ ფსიქიკურ პროცესთან, რომელიც თავისებურად მიმდინარეობს.

იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა ნაწილს ასაკი სუბიექტის ნიშნად მიაჩნია, აღნიშნული დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში იმის მითითებით, რომ „დანაშაულის სუბიექტია 14 წელს მიღწეული და შერაცხადი პირი"[165] აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ შერაცხადობა უკვე ნიშნავს პირის მიერ კოდექსით გათვალისწინებული ასაკის მიღწევას. ამდენად შერაცხადობასთან ერთად ასაკის მითითება ზედმეტია. მაგრამ ასაკის მიღწევა ყოველთვის არ ნიშნავს პირის შერაცხადობას, რადგან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ბრალის შერაცხვას გამორიცხავს.

გარდა ამისა, თუ ჩვენ ზემოხსენებულ ავტორთა მოსაზრებას გავიზიარებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ასაკის არ არსებობის შემთხვევაში არ გვეყოლება მისი ჩამდენი სუბიექტი, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია. დანაშაულს ყოველთვის ჰყავს სუბიექტი, რადგან ის ჩადენილია ადამიანის მიერ, ხოლო ამ ადამიანს დაეკისრება თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია მის შერაცხვაუნარიანობაზე. ამ საკითხზე სწორად მხჯელობს პროფესორი ო. გამყრელიძე, იგი აღნიშნავს, რომ „ზოგჯერ სისხლის სამართლის კოდექსით აღწერილი ქმედება, თუმცა მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ ეს ქმედება ამა თუ იმ გარემოების გამო ბრალად არ შეერაცხება მის ჩამდენს. სწორედ ბრალის გამომრიცხველ ერთ-ერთ ასეთ გარემოებას წარმოადგენს ასაკი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლითაა გათვალისწინებული. ამით კანონმდებელი პირდაპირ ადგენს, რომ ასაკი, ესე იგი მცირეწლოვანება, ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა და არა დანაშაულის სუბიექტის ნიშანი, როგორც ეს მიღებულია იურიდიულ ლიტერა-

---

165 პ. დაუთაშვილი, ალ. კვაშილავა, ზ. წულაია, ჯ. ბაბილაშვილი, თ. ფანჯიკიძე, თ. დონჯაშვილი და სხვ.

ტურაში."[166]

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ბრალდებულთა დამცველები სასამართლო პროცესზე წარმოადგენენ ხოლმე დაბადების მოწმობას, რითაც ამტკიცებენ დაცვის ქვეშ მყოფი პირის არასრულწლოვნობას. ასეთ შემთხვევებში გულდასმით უნდა იყოს შესწავლილი ყველა დოკუმენტაცია, რათა სასამართლო არ შეცდეს.

მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ საქმის განხილვისას ერთ-ერთი განსასჯელის ადვოკატმა სასამართლო პროცესზე წარმოადგინა დაბადების მოწმობა. მის სიყალბეზე მიუთითებდა შემდეგი გარემოებები: ამ მოწმობის მიხედვით განსასჯელი ა. დაბადებულია 1982 წლის 20 ივნისს, დაბადების მოწმობის გაცემა მოხდა 1982 წლის 15 ივლისს. თვით ამ მოწმობის ბლანკი კი ტიპოგრაფიული წესით დაბეჭდილია 1984 წელს, ე. ი. გამოდის, რომ ბლანკი შეივსო და გაიცა ორი წლით ადრე, ვიდრე თვით ეს ბლანკი დამზადდებოდა.[167]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მიხედვით „ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

აგრეთვე, თუ დანაშაული შერაცხადმა ჩაიდინა, მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში."

კანონმდებლის მიერ შეტანილი ცვლილებით ყურადღება არ

166 ო. გამყრელიძე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წ. 242.

167 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან

ექცევა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ არსებულ ფსიქიკურ მდგომარეობას. თუ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა მას შეუფარდებენ სასჯელს, რომელიც გამოჯანმრთელებამდე უნდა მოიხადოს სამედიცინო დაწესებულებაში. კანონმდებლის ასეთი პოზიცია არ მიგვაჩნია სწორად, რადგან ამით ვერ მიიღწევა, კანონმდებლის მიერ დადგენილი სასჯელის მიზანი.

სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „1. სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. 2. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულისა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია საქართველოს თავისუფლების აღკვეთის შესახებ კანონმდებლობით. 3. სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.“

ახლა ისმის კითხვა: შეუძლია თუ არა პირს განიმსჭვალოს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, რომელსაც ფსიქიკური დაავადების გამო არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას? რა თქმა უნდა, არა. ადამიანს არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას და კანონმდებელი მას აკისრებს სასჯელს, რომელსაც ახორციელებს ზემოქმედებით, რათა ის განიმსჭვალოს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. ასეთი მიდგომა ყოვლად დაუშვებელია და არალოგიკური. ის მეცნიერულად დაუსაბუთებელია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

როგორც ვნახეთ, კანონმდებელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად აცხადებს შერაცხად პირს.

შერაცხადობა – არის პირის ფსიქიკის ისეთი მდგომარეობა, რომელიც არ უკარგავს მას უნარს დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიგნოს თავისი ქცევის საშიში ხასიათი და წარმართოს იგი. ვისაც ეს უნარი არ გააჩნია, იგი კანონმდებლის მიერ შეურაცხადად არის აღიარებული. მაგრამ გასათვალისწინებელია ის

გარემოებაც, რომ შერაცხადობა ყოველთვის ფსიქიკასთან როდია დაკავშირებული. სავსებით შესაძლებელია შესაბამის ასაკს მიღწეულმა, ფსიქიკურად ჯანმრთელმა პირმა ჩაიდინოს დანაშაული, მაგრამ მას ქმედება არ შეერაცხოს ბრალად გარკვეული გარემოებების გამო, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს ქმედების არაბრალეულობის პირობებს.

პირის ფსიქიკური მდგომარეობის გარკვევის მიზნით აუცილებელია დაინიშნოს სტაციონარული ან ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ექსპერტის წინაშე ისმება რამდენიმე კითხვა: ა). როგორია პირის ფსიქიკური მდგომარეობა დღეისათვის, კერძოდ, დაავადებულია თუ არა იგი რაიმე ფსიქიკური დაავადებით? თუ დაავადებულია, როგორ ხასიათს ატარებს დაავადება და რა სახის მკურნალობა ესაჭიროება მას? ბ). შეუძლია თუ არა პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო სწორი ჩვენების მიცემა და საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის მიღება? გ). მოსალოდნელია თუ არა ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა კვლავ ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება? დ). შეეძლო თუ არა პირს ბრალად შერაცხული დანაშაულის (მართლსაწინააღმდეგო ქმედების) ჩადენის დროს გაეცნობიერებინა ან სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის კომენტირებისას პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „34-ე მუხლში მოცემულია იმ ფსიქიკურ დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც გამორიცხავენ მოქმედებისათვის ჩადენილი სისხლისსამართლებრივი უმართლობის ბრალად შერაცხვას. აქ მოცემულია ამ დაავადებათა მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალი. ასეთი დაავადებებია, მაგალითად, ქრონიკული ფსიქიკური დაავადება, ესე იგი დაავადება, რომელსაც ქრონიკული ანუ მუდმივი ხასიათი აქვს, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობა, ჭკუასუსტობა და სხვ.“[168]

სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ასევე შეზღუდულ შერაცხადობას (მუხლი 35). ამ მუხლის თანახმად: „1. სისხლის-

168 ო. გამყრელიძე- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წ. გვ. 246.

სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულიად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის. 2. შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს. 3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში."

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა პირი იმყოფება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, მიუხედავად ამისა ის არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ასეთ შემთხვევას კანონი ითვალისწინებს და სასჯელის დანიშვნისას იღებს მხედველობაში. ეს გარემოება შეიძლება გახდეს სასჯელის შემსუბუქების საფუძველი. მაგრამ თუკი საკითხი ეხება არასრულწლოვანს, რომელიც იმყოფება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში სასამართლოს უფლება აქვს ის გაათა-ვისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ეს გაპირობებულია იმით, რომ ფაქტიურად არასრულწლოვნობა შეზღუდული შერაცხვის საფუძველია, ამას ემატება ფსიქიკური დაავადება, რის გამოც სრულად ვერ აცნობიერებს თავისი ქმედების ფაქტობრივ ხასიათს ან მართლწინააღმდეგობას და ა.შ., რამაც შეიძლება ფაქტიურად გამორიცხოს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ საკითხზე პროფესორი ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „აქ შერაცხადობის ორმაგ შეზღუდვასთან გვექნება საქმე. არასრულწლოვანება, როგორც ზემოთ ვთქვით, შერაცხადობას თავისთავად ზღუდავს. იმ შემთხვევაში კი, როცა ამას ფსიქიკური დაავადებაც ემატება, შერაცხადობის ორმაგ შეზღუდვას ვიღებთ. ამ გარემოების გამო კანონმდებელი სასამართლოს უფლებას აძლევს მთლიანად გა-

ათავისუფლოს არასრულწლოვანი პასუხისმგებლობისაგან."[169]

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ბრალის გამომრიცხველი ისეთი გარემოებები, როგორიცაა შეცდომა, ბრძანების ან განკარგულების შესრულება და პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება. ასევე სხვა არაბრალეული ქმედების დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება ქმედების ჩადენა სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც თუმცა სისხლის სამართლის კოდექსში სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების არაბრალეულობის პირობებს.

169 ო. გამყრელიძე- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2008 წ. გვ. 252-253.

§1. ყაჩაღობის დამატებითი მაკვალიფიცირებელი ნიშნების ზოგადი დახასიათება

დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი არის ის გარემოება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციითაა გათვალისწინებული და შეიძლება ამძიმებდეს ან ამსუბუქებდეს პასუხისმგებლობასა და სასჯელს.

ყველა დანაშაულის განმსაზღვრელი დისპოზიცია შეიცავს თავის მაკვალიფიცირებელ ნიშანს. ამ ნიშნებისა და ფაქტიურად ჩადენილი ქმედების ნიშნების შეფასებისას ირკვევა კონკრეტულად რომელი დანაშაულია ჩადენილი.

ჩვენი აზრით, მაკვალიფიცირებელი ნიშნების დაყოფა შესაძლებელია ორ ჯგუფად: ძირითად ანუ (ზოგადი შემადგენლობა) და დამატებით ანუ (სპეციალური შემადგენლობა) მაკვალიფიცირებელ ნიშნებად.

ზოგადი შემადგენლობა მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაში ანუ ზოგად ნორმაში, რომელიც აღწერს ან ასახელებს დანაშაულებრივ ქმედებას ან მიუთითებს კანონზე, ნორმატიულ აქტზე, რომელიც იძლევა ქმედების აღწერილობას.

სპეციალური შემადგენლობა დამატებითი მაკვალიფიცირებელი ნიშნების სახით გადანაწილებულია მუხლის სხვა ნაწილებში ანუ სპეციალურ ნორმებში და მათი გამოყენება ხდება, მაშინ, როცა პირველ ნაწილში მოცემული დისპოზიცია არასაკმარისად აღწერს ქმედებას. მაგალითად, ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით. როგორც ვხედავთ, ამ ნაწილში არ არის მითითებული თავდამსხმელთა რაოდენობა, თუ ყაჩაღობა ჩაიდინა ორმა ან მეტმა პირმა, მაშინ უნდა გამოვიყენოთ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ან IV ნაწილის „ა“ პუნქტი, ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში

მოთავსებული მაკვალიფიცირებელი ნიშნების შესწავლისას დავრწმუნდი, რომ დამატებით მაკვალიფიცირებელ ნიშნებს ახასიათებს გამოყენების სპეციფიკურობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი გამოყენება გარკვეული სახის გარემოების დადგენის გარეშე შეუძლებელია.

1). მაგალითად, ა) ყაჩაღობა ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით; ბ) ყაჩაღობა ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით. ამ შემთხვევაში დამნაშავის დადგენის გარეშეა შესაძლებელი იმის დადგენა, თავდამსხმელმა შეაღწია თუ არა ბინაში, ანუ ნივთი ბინიდან თუ იქნა გამოტანილი, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა" პუნქტით. თუ ბინაში ჰქონდა შეღწევას ადგილი, მაშინ III ნაწილის „ბ" პუნქტით. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ნივთის დაუფლების განზრახვა პირს შესვლამდე ჰქონდა თუ მერე აღეძრა.

2). თავდამსხმელის პიროვნების დადგენის ან დაკავების გარეშე შეუძლებელია გარკვეულ გარემოებათა შესწავლა. მაგალითად: ა) ყაჩაღობა ჩადენილი არაერთგზის. ამ შემთხვევაში აუცილებელია ვიცოდეთ თუ ვინ ჩაიდინა დანაშული, ასევე უნდა გაირკვეს აქვს თუ არა მას წინათ ჩადენილი ის დანაშაული და ნასამართლევია თუ არა მისთვის, რომელიც მოგვცემს ყაჩაღობის არაერთგზის ჩადენად დაკვალიფიცირების საშუალებას. ბ) ყაჩაღობა ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის. აქაც აუცილებელია ყაჩაღობის ჩამდენი პირის დადგენა.

3). ზოგიერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი არ გამოიყენება პირის განზრახვის (მიზანი) დადგენის გარეშე. მაგალითად: ა) ყაჩაღობა ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით – ეს ნიშანი ბრალის შერაცხვის დროს გამოსაყენებული ნიშანია, მისი გამოყენება არ შეიძლება გატაცებული ნივთების ღირებულების დადგენით. აქ აუცილებელია გაირკვეს დანაშაულის სუბიექტური მხარე ანუ დამნაშავის მიზანი, ამდენად, როგორც ვნახეთ ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის გამოყენება შეუძლებელია მანამ, სანამ, პროცესუალური მოქმედებებით არ დადგინდება ნივთის დიდი ოდენობით მისაკუთრების მიზანი. ქმედება

დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „გ" პუნქტით. გამორიცხული არ არის წინასწარი გამოძიების დროს პროცესუალურ დოკუმენტებში აისახოს თავდამსხმელის მიერ დიდი ოდენობით ნივთის მისაკუთრების მიზანი, მაგრამ ეს შეერაცხება თუ არა მას ბრალად უნდა გადაწყდეს ბრალის შერაცხვის სტადიაზე. ბ) ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად – ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის გამოსაყენებლად არის აუცილებელი დამნაშავის დადგენა - დაკავება, მართალია, თავდამსხმელთა რაოდენობის გაგება შეიძლება დაზარალებულის და მოწმის ჩვენებით, ანუ, თუ თავდამსხმელი ერთზე მეტი იყო, მაშინ პირის დადგენამდე ან დაკავებამდე შესაძლებელია ქმედების დაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II-ნაწილის „ბ" ან IV ნაწილის „ა" პუნქტით, როგორც ეს ხშირად ხდება პრაქტიკაში. მაგრამ ასეთი კვალიფიკაცია არ იქნება სწორი, რადგან სისხლისსამართლებრივად ჯგუფის არსებობის დადგენა შეიძლება მხოლოდ ქმედების ბრალად შერაცხვის სტადიაზე. თუ წინასწარი გამოძიებისას ქმედება დაკვალიფიცირებულია ჯგუფის მიერ ჩადენილად, მაშინ სასამართლოს მიერ პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში უნდა გაირკვეს პირის შერაცხადობა. მაგ:, თუ ყაჩაღობა ჩადენილია ორი პირის მიერ და აქედან ერთი დაკავებულია, ხოლო მეორე მიმალვაშია და მისი პიროვნება დაუდგენელია, მაშინ არ შეიძლება პირველის დამნაშავედ ცნობა ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენაში.

§2 სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები

ა). ყაჩაღობა ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა" პუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ყაჩაღობისათვის სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით, ხოლო ამავე მუხლის III ნაწილის „ბ" პუნქტი ბინაში უკანონო შეღწევისათვის.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასჯელი უფრო მკაცრია, ამდენად, კანონმდებელმა ცვლილების შეტანით სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევა დააცილა ბინაში უკანონოდ შეღწევას და ცალკე პუნქტად ჩამოაყალიბა. ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შეღწევისას დანაშაულის სტადიაზეც არის ყურადღება გამახვილებული სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე არსებულ სახელმძღვანელო წინადადებებსა და რეკომენდაციებში, სადაც აღნიშნულია, რომ თუ ბინაში, სადგომში ან საცავში შეღწევისას მოხდა ნივთის ფაქტობრივი დაუფლება, მაგრამ პირი არ გასცდენია ბინის, სადგომის ან საცავის ფარგლებს, არის ქურდობის მცდელობა, ხოლო თუ პირი გასცდა ბინის, სადგომის ან საცავის ფარგლებს - არის დამთავრებული დანაშაული. ქურდობის სხვა შემთხვევაში, მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის განსაზღვრა ხდება ნივთის დაუფლებით, მისი ადგილსამყოფლის ფაქტობრივი მოცილების მიხედვით.[170]

სადგომში ან სხვა საცავში, უკანონოდ შეღწევა, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშანი გულისხმობს იმას, რომ პიროვნება იქ უნდა შევიდეს კარიდან, ფანჯრიდან ან უარეს შემთხვევაში, კედელი შეანგრიოს. ქართული განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულში (გვ. 499) იგი ასეა ახსნილი: „შეღწევა სახელი, შეაღწიეს-ზმნა, მოქმედება, შეღწეული ვინც, რამაც შეაღწია" აქედან ნათელია, რომ პირმა ბინაში, ოთახსა თუ საცავში შიგნით უნდა შეაღწიოს, ან შეიძლება არ შევიდეს, მაგრამ რაიმე საშუალებით (მაგ:, ჯოხით) ფანჯრიდან შეაღწიოს და ნივთი ან ნივთები გარეთ გამოიტანოს.

ფანჯრიდან შეღწევას, ჯოხითა და სხვა საშუალებით, ადგილი უმრავლეს შემთხვევაში აქვს ქურდობის დროს, ხოლო ყაჩაღობის შემთხვევაში პირი ან პირთა ჯგუფი პირადად უნდა შევიდეს შიგნით და განახორციელოს თავდასხმა.

თუ ყაჩაღობა ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, არ არის აუცილებელი, რომ ყველა თანაამსრულებელი შევიდეს სადგომში ან სხვა საცავში. საკმარისია, რომ მათგან თუნდაც ერთი შევიდეს შიგნით და ეს ფაქტი სხვა თანამონაწილეთა

170 სახელმძღვანელო. წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. თბ. 2007ნ. გვ. 15

განზრახვითაც იყოს მოცული, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ამსრულებლის ექსცესი.

სადგომში ან სხვა საცავში უკანონოდ შეღწევის ნიშნით ქურდობის კვალიფიკაციისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ „შეღწევა" გულისხმობს დაბრკოლებათა გადალახვით ან მის გარეშე ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში დამნაშავის ფარულ შესვლას.

თუ ყაჩაღობისას ნივთის დაუფლების მიზანი პირს სადგომში ან სხვა საცავში ყოფნისას წარმოეშვა, ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი არ გამოიყენება.

სადგომად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი სახის ნაგებობა, რომელშიც ინახება მატერიალური ფასეულობა ან შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის სამყოფელს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში იგი ასეა ახსნილი: „შენობა ან ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა სამყოფელს ან განკუთვნილია მატერიალურ ფასეულობათა შესანახად".

„სხვა საცავი"-არის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც დაცულია ტექნიკური ან სხვა საშუალებით და განკუთვნილია მატერიალურ ფასეულობათა შესანახად (სეიფი, ავტოფარეხი და სხვა).

„საცავი" - წერს პროფ. ალ. კვაშილავა - ნებისმიერი ადგილია, რომელიც ქონების შესანახად არის გამოყენებული. მასში შედის მანქანის ნებისმიერი (კაპიტალური, არაკაპიტალური) ფარეხი, სამშენებლო მასალის შესანახი დროებითი ნაგებობა ან თუნდაც რუბეროიდით შემოფარგლული ადგილი ცემენტის შესანახად, მშენებარე ობიექტის შემოღობილი ეზო და სხვა მისთ."[171]

მაგალითად, თუ ადამიანი ცხოვრობს (დაბინავებულია) ავტოფარეხში, სადაც შექმნილი აქვს მისთვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობა, იგულისხმება ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით. ამასთან, თუ პირი საცხოვრებელ ფართს ან მის ნაწილს (მაგალითად ბინას ან მის რომელიმე ოთახს), რომელიც

171 ალ. კვაშილავა- დანაშაულის კვალიფიკაციის თეორიული პრობლემები და სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2002 წ. გვ. 287-288.

ჩვეულებრივ მოიაზრება როგორც საცხოვრებელი ფართი, იყენებს საწყობად - იგულისხმება ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით.[172]

ბ). ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად

ყაჩაღობის ჩადენა ჯგუფურად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია, რომელიც ამძიმებს სასჯელს ამ დანაშაულისათვის და არის გაძლიერებული შერაცხვის საფუძველი.

მუხლში ამ დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინება მეტყველებს ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენის უფრო საშიშროებაზე, ვიდრე ეს შეიძლება იყოს ყაჩაღობა ჩადენილი ერთი პირის მიერ. აღნიშნული მაკვალიფიცირებელი ნიშანი გულისხმობს ყაჩაღობის ჩადენას ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაც.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის I ნაწილის თანახმად „დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი"

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის II ნაწილის თანახმად „დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად."

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ" პუნქტი გულისხმობს თანაამსრულებლობის ორ შემთხვევას: 1). როცა ორი ან მეტი ამსრულებელი წინასწარ შეუთანხმებლად მოქმედებდა ყაჩაღობის ჩასადენად. ამ შემთხვევაში გამორიცხულია თანაამსრულებლობის გარდა სხვა ფორმის არსებობა, რადგან მუხლში საუბარია ორ ან მეტ ამსრულებელზე. 2). როცა ორი ან მეტი პირი წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ყაჩაღობის ჩასადენად. ორივე ამ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ" პუნქტით. პრაქტიკაში მეორე შემთხვევის დროს კვალიფიკაციისას არ აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას რომ აქ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს თანამონაწილეობის

172 სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. თბ. 2007წ. გვ. 15

იმ ფორმას, სადაც იგულისხმება ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე, რადგან მუხლის კონსტრუქცია იძლევა იმის საშუალებას, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს ჯგუფურად ან თანამონაწილეობით, რადგან ყაჩაღობის ჩადენისას შესაძლებელია მონაწილენი შეთანხმდნენ დანაშაულის ჩასადენად და თანაამსრულებლები იყვნენ ან ასევე შეთანხმებულთაგან ერთმა ჩაიდინოს და დანარჩენები იყვნენ თანამონაწილეები. ამიტომ კვალიფიკაციისას უნდა გაირკვეს მონაწილე პირთა როლი დანაშაულის ჩადენისას. თუმცა კვალიფიკაციის დროს ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, სადაც აღნიშნულია, რომ „ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ამავდროულად დანაშაულის თანაამსრულებლები იყვნენ.

ახლა გავარკვიოთ, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს იმ პირის ქმედება, რომელმაც ყაჩაღობა ჩაიდინა ჯგუფთან ერთად, მაგრამ გამოძიებამ ვერ დაადგინა სხვა თანაამსრულებელთა და თანამონაწილეთა ვინაობა.

აღნიშნულ საკითხს ეხებიან სასამართლო პრაქტიკის კომენტარის ავტორები და სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, რომ „პირს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს ჯგუფური დანაშაულისათვის, იქნება ეს ყაჩაღობა, ქურდობა თუ სხვა, თუ ჯგუფის ორი წევრიდან ერთი იმალება ან რაიმე მიზეზით სამართალში მიცემული არ ყოფილა."[173]

ანალოგიურად მსჯელობს პროფ. ო. გამყრელიძე. მას მიაჩნია, რომ თუ ყაჩაღური თავდასხმის ორი მონაწილიდან ერთი იმალება და მისი ვინაობა დაუდგენელია, მაშინ მეორემ არ უნდა აგოს პასუხი ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ" პუნქტი), რადგან არა გვაქვს მონაცემები გამოძიების მიერ დაუდგენელი პირის შერაცხვაუნარიანობის შესახებ. პროფ. ო. გამყრელიძეს პირის მსჯავრდება ხსენებული პუნქტით მიზანშეწონილად არ

173 სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაულები). თბ. 2004. გვ. 102.

მიაჩნია მაშინაც, როცა მიმალვაში მყოფის ვინაობა ცნობილია და იგი შერაცხვაუნარიანია, რადგან ამ უკანასკნელის მიმართ ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. მას აღიარებენ ჯგუფური დანაშაულის მონაწილედ და ე. ი. დამნაშავედ ისე, რომ გასამართლებული არ არის.[174] ასეთი მსჯელობა სავსებით ლოგიკურია და სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისითაც მისაღები, რადგან თანაამსრულებლები უნდა მოქმედებდნენ ერთობლივად და ერთიანი განზრახვით, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა თანამონაწილე და მათ შორის თანაამსრულებელი უნდა იყოს შერაცხადი.

თუ ყაჩაღობა ჩადენილია ორი პირის მიერ, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია შერაცხადი, მაშინ შეუძლებელია ამ უკანასკნელმა პასუხი აგოს ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენისათვის, რადგან ასეთია სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მოთხოვნა.

მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საქმეების შესწავლისას ჩვენ აღმოვაჩინეთ ერთ-ერთი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც გამოტანილია სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევით.

საქმე მდგომარეობს შემდეგში:

განსასჯელი ბახტაძე (გვარები შეგნებულად არის შეცვლილი) ნათესავებთან ჯოჯუასთან, ვეკუასთან და იმნაძესთან ერთად იმყოფებოდა ქალაქ №-ში. დაახლოებით 18 საათზე ისინი ჩასხდნენ შონიას კუთვნილ ავტომანქანაში და გაემგზავრნენ სოფელში... გზაზე მათ მანქანა გააჩერეს ნაცნობ ბიჭებთან, რა დროსაც ყველამ დალია ერთი ბოთლი არაყი. სოფელში მისვლისას ვეკუა და იმნაძე გადმოვიდნენ მანქანიდან, ხოლო ბახტაძე და ჯოჯუა გამობრუნდნენ უკან ქალაქ №-ში. გზაში შეურაცხადმა ჯოჯუამ მძღოლს მოსთხოვა საჭესთან დაჯდომა, რაზედაც შონიამ უარი განაცხადა, მაშინ ჯოჯუამ დანის გამოყენებით ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას, ემუქრებოდა დანით, დაჭრა თავში, მარცხენა მკლავში, ზურგსა და მარჯვენა ბარძაყში, რითაც შონიას მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება (ამ სახის დაზიანებების მსუბუქი ხარისხის დაზიანე-

174 ო. გამყრელიძე - სასამართლო პრაქტიკის ერთი საკითხის განმარტებისათვის "მართლმსაჯულების მაც-ნე" 1998 წ. № 4. გვ. 37-39.

ბად შეფასება საეჭვოდ მიგვაჩნია - რ. კ.). ძალადობის გამოყენებით ჯოჯუამ შეძლო საჭესთან დაჯდომა მძღოლი გვერდით ეჯდა, მაგრამ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ჯოჯუამ ვერ შეძლო ავტომანქანის მართვა და ღობეს შეეჯახა, რის შემდეგ საჭეს მიუჯდა ასევე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბახტაძე. მათ გზაზე რამდენჯერმე გააჩერეს მანქანა, რადგან ძრავაში წყალი ადუღდა.

მანქანიდან ბახტაძის ჩამოსვლის შემდეგ ჯოჯუამ ძალადობისა და მუქარის გზით შონიას ჯიბიდან ამოუღო 28 ლარი... ქალაქში ჩასვლის შემდეგ პოლიციის ქვეგანყოფილების შენობასთან შონიამ შეძლო მოძრავი ავტომანქანიდან გადმოხტომა და მომხდარის შესახებ აცნობა პოლიციას.

ჯოჯუა და ბახტაძე 2 საათსა და 30 წუთზე დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. ჯოჯუას პირადი ჩხრეკისას ჯიბეში აღმოაჩნდა დასაკეცი დანა, ხოლო ბახტაძეს 5,7 გრამი მარიხუანა. ბახტაძის ქმედება წინასწარ გამოძიებაში დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა" პუნქტით (ძველი რედაქცია).

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ საქმის მასალათა ერთობლიობით დადასტურებულად ჩათვალა, რომ ბახტაძემ ჩაიდინა ავტომობილის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ჯგუფურად, დროებით გამოყენების მიზნით...

განაჩენში აღნიშნულია "ნაცვლად იმისა, რომ ბახტაძეს გაეჩერებინა მანქანა, მან ისარგებლა აღნიშნული გარემოებებით და განაგრძო მოძრაობა, რითაც შეურაცხად ჯოჯუასთან ერთად მართლასწინააღმდეგოდ დაეუფლა ავტომობილს დროებით გამოყენების მიზნით ე. ი. მის მიერ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის II ნაწილის „ა" პუნქტით. როგორც ჩანს, სასამართლომ მანამდე ჩადენილ ქმედებებს არ მისცა სამართლებრივი შეფასება.

სასამართლომ განაჩენში ასევე აღნიშნა, რომ ბახტაძეს საბრალდებო დასკვნით ბრალი ედებოდა ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენაში, რაც სასამართლო გამოძიებით, ასევე წინასწარი გამოძიებით არ დადასტურდა. მის მიერ ჩადენილია ავტომობილის მართლასწინააღმდეგო დაუფლება ჯგუფურად, დროებით გამოყენების მიზნით, რისთვისაც ბახტაძის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა"

პუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის II ნაწილის „ა" პუნქტზე[175] (ძველი რედაქცია).

იმის გამო, რომ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვის ფაქტზე ბახტაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ (დაახ. 5 თვით ადრე ამ განაჩენის გამოტანამდე), ხოლო შეურაცხად ჯოჯუას მიმართ გამოიტანეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების დადგენილება. სასამართლომ ბახტაძე დამნაშავედ ცნო მარტო სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის II ნაწილის „ა" პუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

როგორც ვნახეთ, სასამართლომ შეურაცხად პირთან დანაშაულის ჩამდენი დამნაშავედ ცნო დანაშაულის ჯგუფურად ჩადენაში, არადა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჯგუფი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით არ არსებობდა.

ამდენად სასამართლომ სრულიად უსაფუძლოდ ცნო დამნაშავედ ბახტაძე დანაშაულის ჯგუფურად ჩადენაში.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თუ ყაჩაღობა ჩადენილია ჯგუფის მიერ და დაკავებულია ერთი მონაწილე, ხოლო დანარჩენი დაუდგენელია ან თუნდაც დადგენილი იყოს მისი ვინაობა, მაინც არ შეიძლება ეს პირი ვცნოთ დამნაშავედ ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენაში, მანამ სანამ ამ პირთა შერაცხადობის საკითხი არ გაირკვევა.[176] მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის I ნაწილით, ხოლო დანარჩენ პირთა მიმართ უნდა გამოეყოს საქმე და გაგრძელდეს გამოძიება. შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც გამოძიებისათვის ცნობილია, რომ დანაშაული ჩადენილია ერთი პირის მიერ, მაგრამ რეალურად დანაშაული ჩაიდინა რამოდენიმემ ერთობლივად.

თუ პირს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის პერიოდში ან მის შემდეგ დადგინდა სხვა მონაწილეთა ვი-

175 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს არქივიდან. საქმე №1/246.

176 ანალოგიურად მსჯელობს ამ საკითხზე თ. ებრალიძე - ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის. კრებული „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები." თბ. 2006 წ. გვ. 137.

ნაობა, რითაც გამოიკვეთა, რომ მან ჯგუფთან ერთად ჩაიდინა დანაშაული და ამასთან დაკავებულები არიან ისინიც, მაშინ უნდა მოხდეს განაჩენის გადასინჯვა განაჩენის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების მიზნით ახლადაღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე. ახლადგამოვლენილ გარემოებად უნდა ჩაითვალოს სხვა თანამონაწილეთა დადგენა და დაკავება, რომელიც სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენას. ასეთ დროს, მას შემდეგ, რაც გაირკვევა ამ პირთა მონაწილეობა ჩადენილ დანაშაულში და მათი ბრალეულობა მსჯავრდებულს უნდა დაუმძიმდეს სასჯელი. განაჩენის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების საფუძვლად დაედოს ეს ახალი გარემოება, რომლისთვისაც თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ" პუნქტი, რომელშიც საუბარია ისეთ ზ) წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო." აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც, როცა პირი მოიხდის სასჯელს ჩადენილი დანაშაულისათვის და მერე გამოვლინდება, რომ მას ის დანაშაული ჩაუდენია უფრო მძიმე ხარისხში და მივცემთ პასუხისგებაში ხელახლა, ეს გამოვა პირის ორჯერ მიცემა პასუხისგებაში ერთი და იმავე დანაშაულისათვის. გარდა ამისა პირი მდგომარება არ უნდა დამძიმდეს. მართალია, წინათ, რისთვისაც იგი იყო გასამართლებული წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის I ნაწილით, გათვალისწინებულ დანაშაულს, ახლა კი სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილით, გათვალისწინებულს, მაგრამ აქ მხოლოდ განსხვავება შერაცხვის ხარისხშია, ხოლო თვით ფაქტი ერთი და იგივეა.

თუ პირი მიცემულია პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ" პუნქტით, მაგრამ შემდგომ გამოვლინდა, რომ მას დანაშაული ჩადენილი ჰქონია შეურაცხად პირებთან ერთად (თუ ზემოთ მითითებულ ნესს დავიცავთ ასეთი შემთხვევა გამორიცხულია). ამ შემთხვევაშიც უნდა გადაისინჯოს განაჩენი და უნდა მოხდეს მისი ქმედების გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის I ნაწილზე, ხოლო თუ მას მოხდილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი, მაშინ ამ ნაწილში ის უნდა გამართლდეს და მის მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა ვცნოთ უკანონოდ. ამდენად, მას უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუ დადგენილი არ არის იმ პირთა ვინაობა და მათი შერაცხადობის საკითხი, მაშინ კვალიფიკაციისას არ უნდა იქნეს გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დამატებითი ნაწილები.

ასეთი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით სასამართლოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ არ შეიძლება პირი ვცნოთ ყაჩაღობის ან თუნდაც სხვა დანაშაულის ჯგუფურად ჩადენაში, როცა სხვა თანამონაწილეები დაუდგენელია ან დადგენილია მათი ვინაობა, მაგრამ უცნობია მათი შერაცხვაუნარიანობა.

გ). ყაჩაღობა ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „გ" პუნქტს გააჩნია შემდეგი მაკვალიფიცირებელი ნიშანი: ყაჩაღობა ჩადენილი, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ყაჩაღობა, ჩადენილია სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. თუმცა კანონმდებელმა ეს შინაარსი მთლიანად დახვეწილად ვერ გადმოსცა, რადგან იქ საუბარია ყაჩაღობის ჩადენაზე სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ და არა სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმაზე. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ სატრანსპორტო

საშუალება ან მისი ნაწილი ყოფილა არა ყაჩაღობის (სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმა) საგანი, არამედ „დაზარალებული." ეს კი აბსურდია და არ შეიძლება სწორი იყოს, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილი „გ" პუნქტის კოსტრუქცია ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით: „ყაჩაღობა ჩადენილი, სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით." ამით შენარჩუნებული იქნებოდა მისი ფორმალური ხასიათი, რომელიც, ჩვენი აზრით, თვითონ რეკომენდაციის ავტორებს წინადადებების შემუშავებისას არ გაუთვალისწინებიათ, რაც ასახულია კიდეც შემდეგ წინადადებაში „სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ყაჩაღობად ითვლება არა მარტო სატრანსპორტო საშუალების დაუფლება, არამედ ასევე სატრანსპორტო საშუალების ნაწილის (აქსესუარის) დაუფლება."

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო წინადადებებსა და რეკომენდაციებში სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე აღნიშნულია, რომ სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ყაჩაღობად ითვლება არა მარტო სატრანსპორტო საშუალების დაუფლება, არამედ ასევე სატრანსპორტო საშუალების ნაწილის (აქსესუარის) დაუფლება. მაგალითი I: თუ თავდასხმის შედეგად დაეუფლნენ ავტომანქანას, – ჩადენილია ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. მაგალითი II: თუ თავდასხმის შედეგად დაეუფლნენ ავტომანქანის სარკეს (საბურავს ან სხვა), - ჩადენილია ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.[177] რეკომენდაციაში ასევე აღნიშნულია, რომ „სატრანსპორტო საშუალებიდან სხვა მოძრავი ნივთის ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლება არ გულისხმობს ყაჩაღობას ჩადენილს საცავში ან სადგომში უკანონო შეღწევით." თუმცა არ არის მითითებული ასეთი შემთხვევა წარმოადგენს თუ

177 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. 2007 წელი. გვ. 88.

არა ისეთ ყაჩაღობას, რომელიც მიმართულია სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. რეკომენდაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი ამას მიიჩნევს მხოლოდ ყაჩაღობად. გარდა ამისა, განსახილველი მუხლის პუნქტის კოდექსში ამ ფორმით ჩამოყალიბება, ჩვენი აზრით, განპირობებულია მისთვის ფართო მნიშვნელობის მინიჭების მცდელობით, თუმცა ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული რედაქციაც ამ მნიშვნელობას სულაც არაა მოკლებული, ამასთან გრამატიკულადაც უფრო გამართულია.

§3. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები

ა). ყაჩაღობა ჩადენილი არაერთგზის

სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში 2007 წლის 4 ივლისს შეიტანეს ცვლილება, რომლის მიხედვით „არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას...“ ყაჩაღობის ჩადენა არაერთგზისად, ნიშნავს ნასამართლევი პირის მიერ მის ჩადენას მინიმუმ ერთჯერ მაინც, გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულია ერთგვაროვანი დანაშაულების ჩადენისას არაერთგზისობის საკითხის გადაწყვეტის სხვა გზაც. შენიშვნაში განმარტებულია, რომ „ამ კოდექსის 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.“ აქედან ირკვევა, რომ თუკი ჩადენილია იდენტური ქმედებები, მაშინ აუცილებელია ნასამართლობის ნიშანი. მაგალითად, პირმა თუ ჩაიდინა ყაჩაღობა, მაშინ მისი ქმედების არაერთგზისად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ მას წინათ ჩადენილი ჰქონდეს ყაჩაღობა და იყოს ამის გამო ნასამართლევი. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწი-

ნებულია ერთგვაროვანი და ამავე დროს ზოგიერთ შემთხვევაში იდენტური დანაშაულების ჩადენისას არაერთგზისობის საკითხის გადაწყვეტის სხვა გზაც. შენიშვნის მიხედვით თუ პირს ჩადენილი აქვს ყაჩაღობა, მაშინ მისი ქმედება არაერთგზისად დაკვალიფიცირდება თუ მას წინათ ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 177-186-ე, 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია ამ მუხლების ჩადენისათვის პირი იყოს ნასამართლევი.

ამ ცვლილების თანახმად, თუ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევი პირი ჩაიდენს ყაჩაღობას მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ პუნქტით და ამ პუნქტს არ დაემატება კიდევ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „ა“ პუნქტი (ყაჩაღობა ჩადენილი არაერთგზის), ვინაიდან, კანონის კონსტრუქციიდან გამომდინარე დანაშაულის ჩადენა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ პუნქტით გაცილებით მეტი დატვირთვის მატარებელი სპეციალური ნორმაა, ამიტომ ეს არ იძლევა ქმედების დამატებით სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „ა“ პუნქტითაც დაკვალიფიცირების საფუძველს.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში აღნიშნულია, რომ „ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.“

სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის II ნაწილის თანახმად „დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.“

ამდენად, დანაშაული არაერთგზის ჩადენილად რომ ჩაითვალოს, პირი, რომელმაც წინათ ჩაიდინა ამგვარი დანაშაული,

უნდა იყოს ნასამართლევი და ნასამართლობა არ უნდა ჰქონდეს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

ბ). ყაჩაღობა ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „ბ" პუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ყაჩაღობისათვის ბინაში უკანონო შეღწევისათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა" პუნქტთან შედარებით სასჯელი უფრო მკაცრია, ამდენად, კანონმდებელმა ცვლილების შეტანით სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევა დააცილა ბინაში უკანონოდ შეღწევას და ცალკე პუნქტად ჩამოაყალიბა.

ბინაში უკანონოდ შეღწევა, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშანი გულისხმობს იმას, რომ პირმა ბინაში თუ ოთახში შიგნით უნდა შეაღწიოს, ან შეიძლება არ შევიდეს, მაგრამ რაიმე საშუალებით ფანჯრიდან გარეთ გამოიტანოს ნივთი.

თუ ყაჩაღობა ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, არ არის აუცილებელი, რომ ყველა თანაამსრულებელი შევიდეს ბინაში. საკმარისია, რომ მათგან თუნდაც ერთი შევიდეს შიგნით და ეს ფაქტი სხვა თანამონაწილეთა განზრახვითაც იყოს მოცული, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ამსრულებლის ექსცესი.

ბინაში უკანონოდ შეღწევის ნიშნით ქურდობის კვალიფიკაციისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ „შეღწევა" გულისხმობს დაბრკოლებათა გადალახვით ან მის გარეშე ბინაში დამნაშავის ფარულ შესვლას.

თუ ყაჩაღობისას ნივთის დაუფლების მიზანი პირს ბინაში ყოფნისას წარმოეშვა, ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი არ გამოიყენება.

„ბინა"-ამ ცნების განსაზღვრისა და ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის სასამართლოები ხელმძღვანელობდნენ „პირადი ქონების ქურდობის საქმეებზე" უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1993წლის 22 დაკემბრის მე-10 დადგენილებით, რომლის მიხედვით ბინა იყო მოქალაქეთა მუდმივი ან დროებითი (სასტუმროს ოთახი, სააგარაკო სახლი და სხვა) საცხოვრებელი, ასევე სხვა დანიშნულებისათვის განკუთვნილი ბინის განუყოფელი ნაწილი. ამჟამად არსებული სახელმძღვანელოს მიხედვით

ბინა არის, ის სადაც ადამიანი ცხოვრობს (დაბინავებულია) მუდმივად ან დროებით.

მაგალითად, თუ ადამიანი ცხოვრობს (დაბინავებულია) ავტოფარეხში, სადაც შექმნილი აქვს მისთვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობა, იგულისხმება ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით. ამასთან, თუ პირი საცხოვრებელ ფართს ან მის ნაწილს (მაგალითად ბინას ან მის რომელიმე ოთახს), რომელიც ჩვეულებრივ მოიაზრება როგორც საცხოვრებელი ფართი, იყენებს საწყობად - იგულისხმება ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით.[178]

ბინად არ ჩაითვლება მოქალაქეთა გადაადგილების საშუალებები (ავტომანქანა, მატარებელი, გემი, თვითმფრინავი და სხვა), გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი გამოყენებულია საცხოვრებლად.

გ). ყაჩაღობა ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით

როგორც მოგეხსენებათ, ყაჩაღობა განეკუთვნება იმ დანაშაულთა რიცხვს, რომელიც საკუთრების წინააღმდეგაა მიმართული.

საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა თავში დიდ ოდენობად ითვლება, ნივთის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით. ამდენად, ყაჩაღობის დროს თავდამსხმელს შეიძლება ჰქონდეს დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზანი. იგი წაიღებს თუ არა დიდ ოდენობას ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ე. ი. პროცესუალური მოქმედებით უნდა დადგინდეს ნივთის დიდი ოდენობით მისაკუთრების განზრახვა. მაგრამ არის სხვა შემთხვევაც, როცა პირს არა აქვს დიდი ოდენობით ნივთის მისაკუთრების განზრახვა. მაგალითად, შელია ითვალისწინებს რა, რომ ავტომანქანა, რომლის გატაცებასაც ყაჩაღური თავდასხმის გზით ის აპირებს არის 2000-დან 3000 ლარამდე ღირებულების. სინამდვილეში მისი ღირებულება არის 20 000 ლარი. ამ შემთხვევაში შელია არ შეიძლება მივცეთ პასუხისგებაში დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჩადენი-

178 სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. თბ. 2007წ. გვ. 15

ლი ყაჩაღობისათვის, რადგან კანონმდებელმა ყაჩაღობის დროს თავდასხმის მიზნად გაითვალისწინა დიდი ოდენობა. ამდენად, შელიას წინასწარი განზრახვით უნდა ჰქონოდა დიდი ოდენობით ნივთის მისაკუთრების მიზანი. მაგრამ პრაქტიკაში საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები პირის მიზანს არ ითვალისწინებენ. მთავარი შეფასების კრიტერიუმი არის ის, რომ პირმა წაიღო დიდი ოდენობით ნივთი და მათთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, დამნაშავეს ჰქონდა თუ არა ამის მიზანი. ანუ შელია დაისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „გ" პუნქტით.

პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობის დროს გასარკვევია დიდი ოდენობით ნივთის მისაკუთრება ყველას განზრახვას მოიცავდა თუ არა. თუ არ მოიცავდა ყველას განზრახვას და მხოლოდ ერთმა მოითხოვა დიდი ოდენობით ნივთი, მაშინ ადგილი ექნება ამსრულებლის ექსცესს.

§4. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები

ა). ყაჩაღობა ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ

ყაჩაღობის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია, რომელიც ამძიმებს სასჯელს ამ დანაშაულისათვის და არის გაძლიერებული შერაცხვის საფუძველი.

მუხლში ამ დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინება მეტყველებს ყაჩაღობის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენის უფრო საშიშროებაზე, ვიდრე ეს შეიძლება იყოს ყაჩაღობა ჩადენილი ერთი პირის მიერ.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის III ნაწილის თანახმად „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირ-

დაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება."

სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფის მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაშიც ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის III ნაწილის თანახმად ყაჩაღობის ჩამდენი ჯგუფისათვის ორგანიზებულობის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აუცილებელია რამდენიმე პირობის არსებობა: 1). ჯგუფი უნდა არსებობდეს დროის განსაზღვრულ პერიოდში; 2). ჯგუფი უნდა მოქმედბდეს შეთანხმებულად და 3). უნდა იყოს სტრუქტურული ფორმის მქონე. ამასთან აუცილებელია, რომ ჯგუფის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

განსაზღვრულ პერიოდში ჯგუფის არსებობა გულისხმობს რომ სულაც არაა აუცილებელი მისი მუდმივად არსებობა, ის შეიძლება დაიშალოს ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგაც კი. ამიტომ ის არ არის მყარი.

ორგანიზებული ჯგუფისათვის არ არის აუცილებელი ფორ-

მალურად იყოს როლები განაწილებული, კანონი არც ჯგუფის წევრობის უწყვეტობას ითხოვს.

ბ). ყაჩაღობა ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მისაკუთრების ან გამოძალვისათვის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით „მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას."

ყაჩაღობის შემადგენლობაში ნასამართლობა გათვალისწინებულია მაკვალიფიცირებელ ნიშნად. ამიტომ მნიშვნელოვანია გაირკვეს, ნასამართლობა მოხსნილი აქვს თუ არა პიროვნებას. ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული პირის ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ" პუნქტით.

ის, ვინც ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევია ქურდობის, ძარცვის, თაღლითობის, მითვისების და ყაჩაღობისათვის იწოდება ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევად სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის. ამის შემდეგ, თუ ის ჩაიდენს ყაჩაღობას, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ" პუნქტით.

ნასამართლობა შეიძლება მოეხსნას პირს ამნისტიისა და შეწყალების საფუძველზე. ნასამართლობის გაქარწყლების წესსა და ვადებს დაწვრილებით იხილავს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნა-წილები და მე-100 მუხლი.

ზემოხსენებული მაკვალიფიცირებელი ნიშანი სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ" პუნქტში მითითებულია ისეთი მაკვალიფიცირე-

ბელი ნიშანი, როგორიცაა დანაშაულის ჩადენა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის. ამ მუხლის შესაბამისი პუნქტით ყაჩაღობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია სულ მცირე ორჯერ მაინც ნასამართლობა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის.

თავი VII. ყაჩაღობის შემადგენლობის მსგავსი დელიქტების მიმოხილვა

§1. ბანდიტიზმისაგან ყაჩაღობის გამიჯვნის პრობლემა

ბანდიტიზმისაგან ყაჩაღობის გამიჯვნის პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როცა საკითხი ეხება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმას. ამიტომ აუცილებელია ამ ორ ქმედებათა გამიჯვნა ერთმანეთისაგან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მიხედვით ბანდიტიზმი ეს არის „მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე ასეთ ჯგუფში (ბანდაში) ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა."

კანონში პირდაპირ არ არის მითითებული პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზანი. ზ. მჟავანაძის აზრით: ბანდიტიზმის „ობიექტური მხარე გამოიხატება სხვისი ქონების უკანონოდ ხელში ჩაგდებაში"[179] ჩვენ ვერ დავეთანხმებით ზ. მჟავანაძის მოსაზრებას ვინაიდან არ შეიძლება ბანდიტიზმის ობიექტური მხარე მარტო ქონების ხელში ჩაგდება იყოს. ბანდიტური თავდასხმა გათვლილია უფრო შორს გამიზნულ და მასშტაბურად დიდ გეგმებზე. ასეთი შეიძლება იყოს ორგანიზაციის ფუნქციონირების შეწყვეტა თანამშრომლებზე თავდასხმის და დაშინების გზით, ასევე ისეთი ქმედებების ჩადენა, რომლებიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებასა და წესრიგს.

გარდა ამისა, ბანდის ყველა წევრს თუ არა, ერთს მაინც უნდა ჰქონდეს იარაღი ანუ ბანდა უნდა იყოს შეიარაღებული. ასევე ბანდა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

ა). მონაწილეთა რაოდენობა, ბანდა შედგება ორი ან მეტი წევრისაგან;

ბ). ბანდის წევრების ერთმანეთთან კავშირის სიმყარე. იგი შეკრულია დიდი ხნის განმავლობაში.[180] შესაძლებელია არ იყოს

179 ზ. მჟავანაძე – სისხლის სამართალი (კერძო ნანილი, კომენტარები). ქუთაისი – 2000. გვ 282.

180 იგივე აზრია გამოთქმული გ. კაკულიას ნაშრომში ყაჩაღობა და მასთან ბრძოლა. ჟურ. "სამართალი" №4 2002 წ. გვ. 20.

დიდი ხნის განმავლობაში შეკრული. ამასთან ჯგუფი მყარია მაშინ, როცა ჯგუფში მყოფ ადამიანების აქვთ გარკვეულ ტერიტორიაზე რამდენიმე დანაშაულის ჩადენის მიზანი.

ჯგუფური დანაშაულების საშიშროება მეტად მაღალია და შესაბამისად კოდექსში მაკვალიფიცირებელ გარემოებად არის დასახელებული.

ბანდასა და ორგანიზებულ ჯგუფს შორის დიდი განსხვავება არაა, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ყაჩაღობის ჩადენისათვის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობა რადიკალურად განსხვავდება ბანდიტიზმისაგან.

ჯერ ერთი, ყაჩაღობის დროს ჯგუფის მიზანი არის ნივთის მისაკუთრება და სწორედ ამ მიზნით არის ის ორგანიზებული, ხოლო ბანდის ან მისი შექმნის მიზანი არის პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმა. მართალია, ყაჩაღობის დროს ნივთის მისაკუთრება ხდება თავდასხმის გზით, მაგრამ შეიძლება ეს ორგანიზებული ჯგუფი არ იყოს შეიარაღებული და შეიძლება ჯგუფის წევრები ფლობდნენ ადამიანზე ფიზიკური ზემოქმედების ისეთ ილეთებს და საშუალებებს, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მეორე, ორგანიზებული ჯგუფის შექმნა ნივთის მისაკუთრების მიზნით, არის ყაჩაღობის მომზადება, ხოლო ბანდის შექმნა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით არის ბანდიტიზმი.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბანდას შეიძლება ქონდეს ორგანიზებულობის ნიშანი, ანუ ის იყოს გარკვეული დარგის სპეციალისტთა, სპეციალურად შერჩეულ დამნაშავეთა და სტრუქტურულად მართვად ადამიანთა ჯგუფი.

§2. ძარცვის სისხლისსამართლებრივი დახასიათება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად ძარცვაა სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება არის პირის მიერ მესაკუთრისათვის ან მფლობელისათვის ხელმიუწვდომელ ადგილას ნივთის გადატანის (გადაადგილების) ან სხვა ნებისმიერი გზით მისი (ნივთი) ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პრაქტი-

კული შესაძლებლობის მართლსაწინააღმდეგოდ წართმევა და მოპოვება.

ძარცვისას ნივთის აშკარად დაუფლება ნიშნავს ნივთის დაუფლებას მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირის თანდასწრებით, ამასთან აუცილებელია მძარცველს შეგნებული ჰქონდეს თავისი ქმედების აშკარა ხასიათი. „თუ დანაშაულის თვითმხილველს არა აქვს შეგნებული ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან თუ იგი წარმოადგენს დამნაშავის თანაამსრულებელს (თანამონაწილეს), ან თანამოაზრეს, ან ახლობელს, აშკარაა არა ძარცვა, არამედ ქურდობა."[181]

თუკი ძარცვისას ნივთის მფლობელმა ან მესაკუთრემ ხელი შეუშალა დაუფლებას და მძარცველმა მის მიმართ გამოიყენა ძალადობა, რომელიც არის საშიში სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ქმედება დაკვალიფიცირდება ყაჩაღობად.

ობიექტური მხრივ ძარცვა გამოიხატება სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებაში. ძარცვა ისევე, როგორც ქურდობა, დამთავრებულია იმ მომენტიდან, როცა პირი რეალურად დაუფლებულია სხვის მოძრავ ნივთს და აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ამ ნივთით ან განკარგოს იგი თავისი შეხედულებისამებრ.

სუბიექტური მხრივ ძარცვის ჩადენა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების (სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლების) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის (მფლობელის ან მესაკუთრის დაზიანების) შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუალობას.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები ძარცვის ყაჩაღობად და ყაჩაღობის ძარცვად დაკვალიფიცირებისა. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან. ყაჩაღობასა და ძარცვას შორის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ძალადობის ინტენსივობის ხარისხი. თუ ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია

181 სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული) თბ. 2004 წ. გვ. 32-33

სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარის ფაქტის დადგენა. ძარცვისას ასეთი სახის ძალადობის გამოყენების დადგენის აუცილებელობა არ არის, რადგან ძარცვის დისპოზიცია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას არ ითვალისწინებს.

ყაჩაღობისას აუცილებელია თავდასხმის არსებობა, ხოლო ძარცვისას არა. თუმცა ზოგ შემთხვევაში ძარცვა შეიძლება თავდასხმის ფორმითაც. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ამასთან ძარცვა მატერიალური დანაშაულია და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დამთავრებულად ითვლება სხვისი ნივთის აშკარა დაუფლების შემდეგ, ხოლო ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, რადგან ეს უკანასკნელი ფორმალური შემადგენლობის დანაშაულია.

ძარცვისა და ყაჩაღობის საერთო ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ორივე დანაშაულის გვარეობითი ობიექტია საკუთრება, უშუალო ობიექტი კი მესაკუთრის ან მფლობელის მიერ ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა, ხოლო საგანი სხვისი მოძრავი ნივთი.

ძარცვა ყაჩაღობას ემსგავსება მაშინ, როცა მისი ჩადენა ხდება ძალადობით, ან ძალადობის გამოყენების მუქარით, მაგრამ მათი განსხვავება შესაძლებელია ძალადობის ინტენსივობისა და საშიშროების ხარისხის მიხედვით. ისე ხშირ შემთხვევაში ძარცვის კლასიკური მაგალითია, როცა მძარცველი ხელიდან გამოსტაცებს ჩანთას დაზარალებულს ან ჩამოგლეჯს ყელსაბამს, საყურეს და სხვა ნივთს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

ძარცვის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, როგორც უკვე ვთქვით, წარმოადგენს მისი ჩადენა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ძარცვის ძალადობით ჩადენილად აღიარებას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ მძარცველის ქმედებას ნივთის დაუფლებისას თან ახლავს ძალადობა, რომელიც მიმართულია არა მარტო საკუთრების წინააღმდეგ, არამედ თვითონ დაზარალებულის წინააღმდეგაც, მაგრამ ძალადობა ძარცვისას არ აღწევს იმ ინტენსივობას, რომელიც დამახასიათებელია ყაჩაღობისათვის.

ობიექტური მხრივ ძალადობრივი ძარცვა გამოიხატება სხვისი მოძრავი ნივთის აშკარად დაუფლებაში ძალადობის გამოყენებით, რომელიც არ არის საშიში მესაკუთრის ან მფლობელის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის.

ძარცვისას ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური და ფსიქიკური. ფიზიკური ძალადობის ქვეშ იგულისხმება ადამიანის დაზიანება ან საფრთხის შექმნა, უშუალოდ მის გარეგან ან შინაგან ორგანოებზე ან ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების გზით.

ძარცვისას გამოყენებულმა ძალადობამ არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე დაზიანება. ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემაში ან სხვაგვარ ძალადობაში, რომელიც დაზარალებულს ტკივილს განაცდევინებს. მაგალითად, ხელის გადაგრეხა და სხვა ილეთების გამოყენება, ფეხის გამოდებით პირის წაქცევა, ქალისათვის საყურის მოგლეჯა და სხვა.[182]

არასწორად მიგვაჩნია გ. მამულაშვილისა და მ. ლეკვეიშვილის მსჯელობა, როცა ისინი აღნიშნავენ, რომ „ძარცვისას საუბარია ისეთ ძალადობაზე, რომელიც არ ქმნის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანების დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან, ამ დროს არ ხდება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან საერთოდ შრომის უნარის უმნიშვნელო არამყარი დაკარგვაც კი.“[183]

ამ საკითხზე სწორად მსჯელობს პროფ. მ. ტურავა, იგი წერს: „ძალადობა, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა გულისხმობს მსუბუქ დაზიანებას ან ფიზიკურ, ან ფსიქიკურ ძალადობას ასეთი დაზიანების გარეშე. მთავარია არა რეალური შედეგი, არამედ დამნაშავის განზრახვა და დაზარალებულის მიერ ძალადობის ან ძალადობის მუქარის შინაარსის რეალური აღქმა.“[184]

---

182 გ. მამულაშვილი, მ. ლეკვეიშვილი-პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის გვ. 28.

183 გ. მამულაშვილი, მ. ლეკვეიშვილი-პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის გვ. 28.

184 სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული) 2004 წ. გვ. 45

ჩვენი აზრით, სხეულის მსუბუქი დაზიანება, რომელიც მიყენებულია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების გარეშე და რომელსაც არ გამოუწვევია ჯანმრთელობის შერყევა და არ მოჰყოლია შრომისუნარიანობის უმნიშვნელო დაკარგვაც კი, მაშინ მათი მიყენება ან მუქარა მსგავსი ქმედებისა ნივთის დაუფლების მიზნით ქმნის ძალადობრივი ძარცვის ნიშნებს.

მედიცინაში ცნობილია, რომ სხეულის მსუბუქი დაზიანება არის ორი სახის: ჯანმრთელობის მოშლით და ჯანმრთელობის მოუშლელად. თუკი ცემისას პირმა მიიღო განაკაწრი, ნაჭდევი, მცირე ზომის სისხლნაჟღენთი, ის არ განეკუთვნება სხეულის მსუბუქ დაზიანებას და ჩაითვლება ძალადობრივი ძარცვის ნიშნად.

ამდენად, მსუბუქი დაზიანება შეიძლება ჩაითვალოს ძალადობრივი ძარცვის ნიშნად, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ძალადობის გამოყენება ყოველთვის არ გულისხმობს რაიმე შედეგის განხორციელებას.

ძალან საინტერესოა ერთი გარემოება, რომელიც იკვეთება ყაჩაღობისა და ძარცვის დისპოზიციების შესწავლის შედეგად. ყაჩაღობის დროს აუცილებელია თავდასხმა, ხოლო ძარცვის დროს არა, რადგან იქ ჩაწერილია ნივთის აშკარა დაუფლებაზე და ამას ასე განმარტავენ მთელი საბჭოთა პერიოდისა და დღეს მოქმედი იურისტები. მაგრამ ამასთან თუ თავდასხმისას ძალადობა არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ის დაკვალიფიცირდება, როგორც ძარცვა ძალადობით, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. არადა დასაწყისში ყაჩაღობა და ძარცვა ასეთ შემთხვევაში ერთნაირი ხერხით ხდება.

კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობს ძარცვის სამი შემთხვევა:

1). როცა პირი იტაცებს ნივთებს მესაკუთრის ან მფლობელის თანდასწრებით, მაგრამ არანაირი ფიზიკური ან სხვა სახის შეხება მასთან არა აქვს.

2). როცა პირი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სტაცებს ხელთ არსებულ საგნებს მფლობელს.

3). როცა პირი უშუალოდ ესხმის თავს დაზარალებულს და ითხოვს ნივთს. მაგრამ იყენებს ძალადობას ან ძალადობის მუ-

ქარას, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ძარცვის ამ სამი ფორმიდან მხოლოდ მესამეს აქვს მსგავსება ყაჩაღურ თავდასხმასთან, რადგან ზუსტად ამ ფორმით ხდება ყაჩაღობის ჩადენაც. განსხვავება არის მხოლოდ ძალადობის ხარისხში. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ ძარცვის დროსაც აქვს ადგილი თავდასხმას, რადგან კვალიფიკაციის დროს ყურადღება ექცევა მხოლოდ იმას, იყო თუ არა ძალადობა საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში. სხვა ავტორები ამ დასკვნამდე არ მისულან, რადგან მათთვის თავდასხმა თითქმის გაიგივებულია ძალადობასთან, მაგრამ ეს საკითხი ნაშრომში მარტივი დასანახია თავდასხმის ცნების წაკითხვისას, რომელიც ზემოთ განმარტებულია, როგორც მოთხოვნის წაყენება ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ და რომელსაც თან ახლავს ძალადობა, ხოლო ძალადობის ხარისხი განარჩევს ერთმანეთისაგან ყაჩაღურ თავდასხმასა და ძარცვის დროს ჩადენილ თავდასხმას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდნარე შეიძლება ითქვას, რომ სულაც არ არის აუცილებელი ყაჩაღობისა და ძარცვის მუხლები ცალცალკე იყოს ჩამოყალიბებული, მაგრამ სანამ ამ საკითხზე ვიმსჯელებდე მანამ მინდა ყურადღება გავამახვილო იმ პრობლემაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ ორი დისპოზიციის გაერთიანების შედეგად.

ცნობილია, რომ ყაჩაღობა ფორმალური შემადგენლობის დანაშაულია და ის დამთავრებულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან ე. ი. მოთხოვნის წაყენებიდან ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ, ხოლო ძარცვა მატერიალური შემადგენლობის დანაშაულია და ის დამთავრებულად ითვლება, როცა პირი რეალურად დაუფლებულია სხვის მოძრავ ნივთს და აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ამ ნივთით ან განკარგოს იგი თავისი შეხედულებისამებრ. ამდენად, ფორმალური და მატერიალური დანაშაულის ერთ დისპოზიციაში გაერთიანება ძნელია, ამიტომ ისინი სხვადასხვა მუხლში უნდა მოთავსდეს.

მუხლი 178. მარტივი ძარცვა.

1. მარტივი ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით,_

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ---------- წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ---------- წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

ბ) ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით,_

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ---------- წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) ბინაში უკანონო შეღწევით;

დ) სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის დაუფლებით,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით წლამდე.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის,_

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ---------- წლამდე.

მუხლი 178[1]. რთული ძარცვა.

1. რთული ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა წართმევა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით,_

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ---------- წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

ბ) ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით,_

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ---------- წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ნინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) ბინაში უკანონო შეღწევით;

დ) სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის დაუფლებით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით --- წლამდე.

3. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის,_

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით -------- წლამდე.

მუხლი 178². საშიში ძარცვა.

1. საშიში ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა წართმევა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით,_

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ------ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

ბ) ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით,_

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ---- წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) ბინაში უკანონო შეღწევით;

დ) სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის დაუფლებით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ----- წლამდე.

4. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის,_

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით -------- წლამდე.

178-ე მუხლის დისპოზიციაში მოთავსებულ მარტივ ძარცვაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა პირი იტაცებს ნივთებს მესაკუთრის მფლობელის ან სხვა პირთა თანდასწრებით, მაგრამ არანაირი ფიზიკური ან სხვა სახის შეხება მათთან არა აქვს.

178^1-ე მუხლის დისპოზიცია გულისხმობს, როცა პირი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სტაცებს ხელთ არსებულ საგნებს მფლობელს.

178^2-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა პირი უშუალოდ ესხმის თავს დაზარალებულს და ითხოვს ნივთს. ამასთან იყენებს ძალადობას ან ძალადობის მუქარას, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

§3. გამოძალვის სისხლისსამართლებრივი დახასიათება

სისხლის სამართლის კანონი იცნობს ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებს, სადაც დანაშაულის შემდგომ სტადიას დამთავრებული დანაშაული წარმოადგენს. ასეთია მაგ., გამოძალვა და ყაჩაღობა.

გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები.

გამოძალვა აშკარად წააგავს ყაჩაღობას, რადგან ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან. თავდასხმა კი გულისხმობს ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის მოთხოვნას.

გამოძალვის დისპოზიციაც პირდაპირ უთითებს, რომ გამოძალვა არის სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა.

როგორც ვხედავთ, ორივე დანაშაული დამთავრებულია მოთხოვნის წაყენებისთანავე. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ყაჩაღობის საგანს წარმოადგენს სხვისი მოძრავი ნივთი,

ხოლო გამოძალვისას კი ქონებრივი უფლება ან ქონებრივი სარგებლობა.

გარდა ამისა, განსხვავებაა იმაშიც, რომ ყაჩაღობის დროს ძალადობის გამოყენების მუქარა გულისხმობს ძალადობის განხორციელებას დაუყოვნებლივ, ხოლო გამოძალვისას კი მომავალში.

იურიდიულ ლიტერატურაში შემოთავაზებული იყო გამოძალვის მატერიალურ დანაშაულად გამოცხადების რეკომენდაციები, მაგრამ ეს არაფრით გამართლებული არ იყო.

ჩვენი აზრით, გამოძალვა ისევე, როგორც ყაჩაღობა, ფორმალურ დანაშაულად უნდა დარჩეს.

ნაწილი მეორე

ყაჩაღობის გამოძიების მეთოდიკა და ტაქტიკა

თავი I. ყაჩაღობის ფაქტზე დასადგენი გარემოებები

§ 1. ყაჩაღური თავდასხმის კრიმინალისტიკური დახასიათება

დანაშაულის კრიმინალისტიკურ დახასიათებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის შემდგომი გამოძიებისათვის. ის განსხვავდება დანაშაულის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათებისაგან და საშუალებას აძლევს გამომძიებელს განსაზღვროს დანაშაულთა გამოძიების ტაქტიკა და მეთოდიკა; სწორად იქნას შერჩეული გამოძიების მიმდინარეობის პროცესში გამოსაყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ტაქტიკური ხერხები.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ზოგად პრობლემებზე ერთ-ერთმა პირველმა ყურადღება გაამახვილა ა. ნ. კოლესნიჩენკომ, თავის სადოქტორო დისერტაციაში:- „დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეცნიერული და სამართლებრივი საფუძვლები," სადაც მან დანაშაულთა ზოგადი კრიმინალისტიკური დახასიათება დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის აუცილებელ ელემენტად მიიჩნია. ამასთან ეხებოდა რა კრიმინალისტიკური დახასიათების მნიშვნელობას, და აღნიშნავდა, რომ დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება საშუალებას გვაძლევს სწორად და სრულად განვსაზღვროთ საქმეზე მნიშვნელობის მქონე დასადგენი გარემოებების წრე, კერძოდ ის, თუ რა საკითხები და მათი როგორი თანმიმდევრობით გადაწყვეტა უწყობს ხელს გამოსაძიებელი შემთხვევის ზუსტი კვალიფიკაციის დადგენას: რომელი საკითხების გადაწყვეტაა მთავარი დანაშაულის გახსნისათვის, როგორია გამოძიებით დასადგენ გარემოებათა ურთიერთკავშირი, ერთი გარემოების მეორეზე ადრე გახსნის შესაძლებლობა ან სიძნელე, დაყოვნების შემთხვევაში როგორია ამა თუ იმ საკითხის ახსნის დაკარგვის

შესაძლებლობა.[185]

ვინაიდან ჩვენი მსჯელობის საგანი ყაჩაღური თავდასხმის კრიმინალისტიკური დახასიათებაა, აქ შევჩერდებით კრიმინალისტიკური დახასიათების ცნების განსაზღვრის საკითხზე.

სანამ კონკრეტულად მოგახსენებდეთ ყაჩაღური თავდასხმის კრიმინალისტიკურ დახასიათებას, მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია კრიმინალისტიკური დახასიათების ზოგადი ცნების ჩამოყალიბება.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება არის გამოძიების დაწყების მომენტისათვის გამომძიებლის გამგებლობაში არსებულ გამოსაძიებელ შემთხვევასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმის (დანაშაულის მომზადების, ჩადენისა და დანაშაულის კვალის დაფარვის), დანაშაულის ჩამდენი პირის (ან მასში მონაწილე პირების) მიზნისა და მოტივის, დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგთან მისი (ან მათი) ფსიქიკური დამოკიდებულებისა და მისთვის (ან მათთვის) დამახასიათებელი ნიშნების შესახებ მოპოვებული ის ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა დასაბუთებული მეცნიერული ანალიზი და ოპტიმალური გამოყენება, სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის გათვალისწინებით, ხელს უწყობს საქმეზე საგამოძიებო ვერსიების აგებას, საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკასა და გამოძიების მეთოდიკის სწორად განსაზღვრას და ამით გამოსაძიებელი საქმის სწრაფ, სრულ გახსნას და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.[186]

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ამუშავებენ და აყალიბებენ ძარცვისა და ყაჩაღობის გამოძიების ერთიან მეთოდიკას. ეს განპირობებულია მათ შემადგენლობაში არსებული უამრავი სტრუქტურული ელემენტის მსგავსებით.

კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში ყაჩაღობისა და ძარცვის განხორციელების ხერხები, რომელთა განსხვავება საფუძვლად უდევს ამ ორ ანგარებიან ძალადობრივი დელიქტების

185 მსჯელობა მოტანილია წიგნიდან "კრიმინალისტიკა" ტ. II.1995წ. გვ.170-171

186 კრიმინალისტიკა თბ.1995წ.ტ II გვ.177

დიფერენციაციას, თავის შინაარსში შეიცავს ბევრ საერთო მომენტს. გარდა ამისა, ძარცვისა და ყაჩაღობის ინტეგრირებული ზოგადი ჯგუფური დახასიათება მნიშვნელოვნად აფართოებს საძიებო შესაძლებლობებს, ვინაიდან ამ დანაშაულთა სუბიექტები ძალზედ ხშირად ახორციელებენ ორივე ხსენებულ დელიქტს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ცალკე განვიხილავთ ყაჩაღობის კრიმინალისტიკურ დახასიათებას, რომლის სტრუქტურულ ელემენტს მიეკუთვნება:

1. ყაჩაღური თავდასხმის ადგილები. შენობები (საცხოვრებელი, სამსახურებრივი და სხვა), ღია ადგილები (ქუჩა, ტყის მასივები და სხვა), ტრანსპორტი (რკინიგზის, საავტომობილო გზა და სხვა).

ყაჩაღური თავდასხმის ადგილების დახასიათებისას აუცილებელია გაირკვეს ყველა გარემოება, რომელიც მნიშვნელოვანია ქმედების კვალიფიკაციისათვის.

მაგალითად, წყლის ხომალდზე ან სხვა მცურავ საშუალებაზე თავდასხმა სხვისი ნივთის დასაუფლებლად, მისი მართლსანინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით არის არა ყაჩაღობა, არამედ მეკობრეობა.

მას გამოძიების განსხვავებული მეთოდი სჭირდება.

2. დროის თვალსაზრისით, როგორც ეს პრაქტიკამ გვიჩვენა ყაჩაღობა ქუჩაში და ბინებში ხშირად ხდება საღამო და ღამის საათებში. თუმცა ბინის დაყაჩაღების ფაქტები ყოფილა დღისითაც.

3. ყაჩაღობის ჩადენის ხერხი გამოირჩევა განსაკუთრებული სისასტიკითა და თავხედობით. თავდამსხმელთა მხრიდან ხშირად ადგილი აქვს უმისამართო სროლას, რითაც ისინი ახდენენ დაზარალებულთა დაზიანებას და მკვლელობასაც კი.

ყაჩაღობის ჩადენისათვის აუცილებელია მისი მაღალი სიზუსტით მომზადება, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

ა) ობიექტის შერჩევა. ის შეიძლება იყოს კერძო სახლი, ბინა, სავაჭრო შენობა, საბანკო დაწესებულება და სხვა.

არსებობს ობიექტის შერჩევის სხვადასხვა გზა:

1. ინფორმატორების დასმენით - როდესაც პირები, თანამშრომლობენ დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან, სპეციალურად სწავლობენ და შემდეგ აწვდიან ინფორმაციას დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის, საცხოვრებლის,

გადაადგილების მარშრუტის შესახებ.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოცხადებული განცხადებების მეშვეობით - მაგალითად: ტელევიდეო და აუდიო აპარატურის, კომპიუტერული ტექნიკის გაყიდვის ან ყიდვის შესახებ და სხვა.

3. შემთხვევითი გარემოება - მაგალითად: ქუჩაში მიმავალი ქალბატონის შემთხვევით ნახვა, რომელსაც ყელზე უკეთია ძვირფასი სამკაული, ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში უცნობი ადამიანის მიერ ამბის მოყოლით და სხვა.

ბ) ობიექტის შერჩევის შემდეგ მნიშვნელოვანია თავდამსხმელთა მხრიდან ობიექტისა და იმ გარემოების შესწავლა, რომელშიც მათ მოუწევთ მოქმედება. ამ გარემოებათა შესწავლის მიზნით ყაჩაღობის ამსრულებელი ან მისი თანამონაწილე გარკვეული საბაბით აღწევენ ბინებში (მაგ. ისინი ბინის მფლობელებს თავს აცნობენ, როგორც ინკასატორები, კავშირგაბმულობის, სამედიცინო დაწესებულების სფეროს მუშაკები) და არკვევენ: თუ რა ქონების მფლობელია იქ მცხოვრები პირები, ნივთების შენახვის ადგილს, ოჯახის წევრთა განრიგს და სხვა.

თავდასხმის ობიექტზე ვიზუალური დაკვირვება და მისი შესწავლა იძლევა საფუძველს მოიძებნოს ყველაზე ხელსაყრელი და უსაფრთხო, როგორც შეღწევის, ასევე იქედან გასვლის გზა, რაც თავდამსხმელს აძლევს საშუალებას სწრაფად და შეუმჩნევლად დატოვოს შემთხვევის ადგილი.

თავდამსხმელები ობიექტის შესწავლის შემდეგ თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, აზიანებენ დაცვის საშუალებებს. მაგ, სიგნალიზაციას, ჭრიან სატელეფონო კაბელს, იპარავენ გასაღებს და შემდგომ ამზადებენ ობიექტის შესასვლელი კარის გასაღების ტვიფარს.

გ) იარაღისა და მისი შემცვლელი სხვა საგნების მომზადება, რომლებიც ესაჭიროება თავდამსხმელს დაზარალებულის მხრიდან შესაძლო წინააღმდეგობის დათრგუნვის მიზნით. ჩვენს მიერ შესწავლილი საქმეების უმრავლესობა, სადაც ყაჩაღური თავდასხმები იყო გამოძიებული, თავდასხმა ხდებოდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით.

აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ თუ მანამდე იარაღად იყენებდნენ ძირითადად სანადირო ან ხელით დამზადებულ ია-

რაღებს, ბოლო პერიოდში (15 წელი) შეიმჩნევა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ზრდის ტენდენცია.

თავდამსხმელები, თავდასხმის ადგილთან მისასვლელად და გატაცებული ნივთის გადასატანად იყენებენ ავტომანქანებს, რომლებსაც ისინი იტაცებენ ან ქირაობენ. მაგალითად, ტაქსის გამოძახება და ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ნივთების გადატანა და სხვა.

დ) წინასწარი შეთანხმება თავდამსხმელთა შორის. (დამახასიათებელია შემთხვევითი არამყარი დანაშაულებრივი დაჯგუფებისათვის). მაგალითად, ყაჩაღობის ჩადენა ჯგუფურად და წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

მეორე როლების მკაფიო განაწილება ორგანიზებული დაჯგუფების წევრებს შორის (ახასიათებს მყარ, ორგანიზებულ და ბანდიტურ დაჯგუფებებს).

ე) ყაჩაღური თავდასხმის ფაქტისა და კვალის დამალვის ხერხის შერჩევა:

გატაცებული ნივთის გამოტანა, გადაზიდვა, დამალვა ან გასაღება;

-თავდამსხმელთა მხრიდან ისეთი ფაქტების გარკვევა, რომლებიც წარმოადგენენ მაკომპრომატირებელ მასალას დაზარალებულისათვის, თუ ეს უკანასკნელი შეეცდება განაცხადოს ყაჩაღობის შესახებ.

-თავდამსხმელის ამოცნობის შემდეგ დაზარალებულის მკვლელობა დანაშაულის დაფარვის მიზნით.

-თავდამსხმელთა გარეგნობის შეცვლა.

-მონაწილეთა ალიბის უზრუნველყოფა. მაგალითად, თავდამსხმელები წინასწარ ურიგდებიან თავიანთ ახლო ნათესავებს, რომ დაადასტურონ მათთან ყოფნის ფაქტი, დროის იმ მონაკვეთში რა დროსაც მოხდა ან უნდა მოხდეს თავდასხმა.

თავდამსხმელები განსაკუთრებულად ემზადებიან ისეთ ობიექტებზე თავდასხმისათვის, როგორიცაა ბანკები, ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები, ფულის გადამტანი ავტომანქანები, ინკასატორები და სხვა:

ასეთ თავდასხმებში ხშირ შემთხვევებში მონაწილეობენ ის პირები, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ სამსახურებრივ იარაღთან, რითაც იქმნიან ალიბს. მაგალითად, ზ. მსახურობდა სა-

ქართველოს შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთი ბანკის დაცვის პოლიციის განყოფილების პოლიციელად. მან ყაჩაღობის ჩადენის მიზნით, ისარგებლა რა აღნიშნული სამსახურის მუშაკების მიერ ტაბელური იარაღის შენახვისადმი დაუდევარი დამოკიდებულებით, მოატყუა მოლარეები ლ. და ნ. არ ჩააბარა „მაკაროვის" სისტემის იარაღი, ხუთი საბრძოლო ვაზნით, სამსახურის დამთავრებისთანავე და უნებართვოდ გამოიტანა ბანკის ფილიალის ტერიტორიიდან.

იმავე დღეს, დაახლოებით 20:00 სთზე ზ. მივიდა ქ. თბილისის რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში, შეაღწია შიგნით და ვალუტის გადამცვლელ ა-ს გასტაცა 14000 ლარი, 12230 რუსული რუბლი და 11350 აშშ დოლარი.[187]

ხშირია შემთხვევები, როდესაც თვითონ ინკასატორები თანამშრომლობენ თავდამსხმელეთან, აწვდიან ინფორმაციას თავიანთი გადაადგილების დროის და მიმართულების შესახებ. ასეთ საქმეთა გამოძიების დროს პირველ რიგში განხილულ უნდა იქნეს ეს ვერსია, ყურადღება უნდა მიექცეს დაზარალებულების მიმართ გამოყენებული ძალადობის ხასიათს, დაზიანების ხარისხს და სხვა გარემოებებს, რადგან ასეთ შემთხვევებში თავდამსხმელები არ აყენებენ მათ სერიოზულ დაზიანებას და უფრო არაბუნებრივად იქცევიან, რაც ეჭვს ბადებს თავდასხმის ინსცენირებაზე.

ყაჩაღობის კრიმინალისტიკური დახასიათებისას მნიშვნელოვანია და დიდ ინტერესს იწვევს საცხოვრებელში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევის ხერხების დახასიათება.

საცხოვრებელში უკანონო შეღწევის ხერხები დაყოფილია ორ ძირითად ჯგუფად:

1. თავდამსხმელის ფარული შეღწევა საცხოვრებელში, რომელსაც თან ახლავს დაბრკოლების გადალახვა (ნგრევით ან მის გარეშე) და შემდგომი თავდასხმა დაზარალებულზე.

2. ბინაში შეღწევა გამოგონილი საბაბით და უეცარი თავდასხმა დაზარალებულზე.[188]

---

187 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან.

188 руководство для следователей. М.1997г.- стр. 468

პირველ ჯგუფში შედის საცხოვრებელში ფარული შეღწევა შესასვლელი კარისა და მისი ჩამკეტი მოწყობილობების გატეხვით. აგრეთვე შეღწევა შეიძლება მოხდეს ფანჯრიდან ან კედლიდან გატეხვით (შენგრევით).

ბინაში შესაღწევად იყენებენ სავენტილაციო, საკანალიზაციო და სხვა სახის არხებს.

პირველ ჯგუფში აღწერილ შეღწევას ხშირად ადგილი აქვს ქურდობის დროს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ქურდობა გადაიზრდება უფრო მძიმე დანაშაულებრივ ქმედებაში მაგ. ძარცვაში, ყაჩაღობაში.

პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა ბინაში შესულ პირს მოუსწრებს ბინის მფლობელი და მათ შორის იმართება ხელჩართული ბრძოლა, რა დროსაც დაზარალებულს აყენებენ სხვადასხვა სახის და სიმძიმის დაზიანებას. გამორიცხული არ არის თავდამსხმელის დაზიანებაც და უარეს შემთხვევაში მკვლელობაც კი.

არის შემთხვევები, როცა თავდამსხმელი იპარება ბინაში და უცდის ბინის პატრონს, რათა მოახდინოს მასზე თავდასხმა და წაართვას მას ის ნივთები, რომლის ადგილსამყოფელი თავდამსხმელისთვის უცნობია.

მეორე ჯგუფში განსაზღვრავენ ისეთ ხერხებს, როდესაც თავდამსხმელი აღწევს ბინაში გამოგონილი საბაბით.

იმისათვის, რომ პირს შეერაცხოს ბინაში შეღწევით ჩადენილი ყაჩაღობა, ამისათვის აუცილებელია არსებობდეს წინასწარი განზრახვა ანუ პირს თავდასხმის განზრახვის განხორციელებამდე უნდა ჰქონდეს შეგნებული ბინაში შეღწევის აუცილებლობა და წინასწარ უნდა ემზადებოდეს მისთვის.

ბინაში გამოგონილი საბაბით შეღწევას ხშირად აქვს ადგილი ჩვენს პრაქტიკაში. ასე მაგალითად, მ. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ჩამოვიდა თბილისში და გადაწყვიტა, სტუმრად მისულიყო ვარკეთილში მცხოვრებ ნათესავ კ-სთან. ვინაიდან სახლში არავინ დახვდა, ავიდა სახლის მეცხრე სართულზე და იქ მცხოვრებ ეს სთხოვა, ნება მიეცა მისი აივნიდან ჩასულიყო მერვე სართულზე მცხოვრებ კ-ს აივანზე. ე-მ აივნიდან ჩასვლის უფლება არ მისცა და მიასწავლა, რომ კ-ს ბინის გასაღები შეიძლება ჰქონოდა მეხუთე სართულზე მცხოვრებ გ-ს. ამ უკანასკნელმა მ-ს

კარი გაუღო რის გამოც იგი კვლავ დაბრუნდა ე-სთან და სთხოვა ტელეფონით სარგებლობის ნებართვა. ამ მიზეზით მ. შეაღწია ე-ს ბინაში. სამზარეულოში შესულმა მაგიდაზე შენიშნა დანა, აიღო იგი, ყელზე მიაბჯინა ე-ს და მოკვლის მუქარით მოსთხოვა ფული და ძვირფასეულობა. ე. უწევდა რა წინააღმდეგობას, ძალის გამოყენებით ყურიდან ჩამოგლიჯა ერთი ცალი ოქროს საყურე. ძალადობის დროს დაზარალებულს მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანება.[189] ასეთი ხერხის გარდა თავდამსხმელები მიმართავენ ისეთ ქმედებებს, რითაც ისინი დაზარალებულს თავს აცნობენ, როგორც პოლიციის მუშაკები, ფოსტალიონები და სხვა.

რეგისტრირებულ ყაჩაღობათა შორის მრავალია კერძო პრაქტიკით დაკავებულ ექიმებზე თავდასხმის ფაქტები. მათ შორის კბილის ექიმებზე თავდასხმები. ასეთ შემთხვევაში ექიმის ან მისი ოჯახის წევრის ყვირილი არ აღიქმება მეზობლების მიერ რაიმე დახმარების თხოვნად და არ აქცევენ მას ყურადღებას, რადგან თვლიან, რომ აღნიშნული ხმა პაციენტისაა. ასეთ შემთხვევაში თავდამსხმელებს უადვილდებათ თავდასხმის განხორციელება და ისინი გაცილებით უფრო თავხედურად იქცევიან, ვიდრე ეს ოდესმე გაუკეთებიათ.

განსაკუთრებული საშიშროებით ხასიათდება ჯგუფური თავდასხმები, რადგან თავდამსხმელთა რაოდენობა ერთი მხრივ ხელს უწყობს მათი ქმედების სითამამეს და გაბედულობას და მეორე მხრივ, ასევე ხელს უწყობს დაზარალებულთა შეშინებას.

თავდამსხმელთა მხრიდან გამოყენებული ძალადობის ხასიათი განპირობებულია დაზარალებულთა ასაკით, სქესით, ფიზიკური ძალით და სხვა გარემოებებით.

იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული ან (დაზარალებულები) ნივთის გატაცების წინააღმდეგია, მაშინ თავდამსხმელები მიმართავენ ფიზიკური ძალადობის ხერხებს.

საშუალება, რომლითაც შესაძლებელია მიყენებულ იქნას დაზიანება, შეიზლება იყოს: 1. სპეციალური დაზიანების ან თავდაცვის დანიშნულების მქონე იარაღები; 2. ყოფაცხოვრებასა და წარმოებაში არსებული სხვადასხვა სახის საგნები - ქვა, ჯოხი

189 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან.

და სხვ.[190]

უმრავლეს შემთხვევაში ტრავმის მიყენება ხდება დარტყმით ან ზეწოლით, მაგრამ დაზიანებები შესაძლებელია განვითარდეს გაჭიმვის, მოგრეხის, გასკდომისა და სხეულის სხვადასხვა ნაწილის მოწყვეტითაც.

დაზიანება შეიძლება მიყენებულ იქნეს მკვრივი საგნის მოქმედებით (ჩაქუჩი, მუშტი, ფეხი), მახვილი კიდისა და წვერის მქონე საგნის (მჩეხავი, მჭრელი. მჩეხავმჭრელ, მჩხვლეტავი) ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით.

ყაჩაღური თავდასხმის დროს თავდამსხმელები იყენებენ აგრეთვე ძალადობის ისეთ მეთოდებს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მექანიკური ასფიქსია. ან ადგილი ჰქონდეს ასფიქსიის[191] მცდელობას. ისინი იყენებენ მექანიკური ასფიქსიის შემდეგ ფორმებს:

1. სტანგულაციური ჩამოხრჩობა, მარყუჟით მოხრჩობა, ყელში ხელის ჩაჭერა.

2. კომპრესიული (გულმკერდისა და მუცლის ერთდროული ჩაჭერა) და სხვა.[192]

უკანასკნელი წლების პრაქტიკა მოწმობს, რომ ყაჩაღური თავდასხმის დროს ადგილი აქვს დახვეწილი წამების ფაქტებს. მაგ. ელექტროდენის შეერთებით, უთოს გამოყენებით. ფეხით, თავით ქვემოთ დაკიდებით და სხვა.

თავდამსხმელმა შეაღწია თუ არა საცხოვრებელში დაბრკოლების გადალახვით, ამაზე მოწმობს იქ დატოვებული კვალი, კერძოდ: ფეხის, ხელის, სისხლის, იარაღის, სიგარეტის ნამწვავები და თავდამსხმელის მიერ დატოვებული სხვა კვალი და ნივთები.

საცხოვრებელში გამოგონილი საბაბით შეღწევას ადასტურებს შემდეგი მტკიცებულებები:

დაზარალებულის ჩვენება, შემთხვევის ადგილზე მოპოვებული მატერიალური კვალები. ასეთი კვალების აღმოჩენის სავარაუდო ადგილებია ის საგნები, რომელსაც ხელთათმანების გარეშე (ან ხელთათმანებით) დაზარალებულის თანდასწრებით

190 თ. გორდელაძე-სასამართლო მედიცინა. თბ.1998 წ. გვ.105

191 ასფიქსია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სულის ხუთვას ჟანგბადის ნაკლებობის გამო.

192 თ. გორდელაძე-სასამართლო მედიცინა. თბ.1998 წ. გვ.75

ეხებოდა თავდამსხმელი.

ასეთი საგნები შეიძლება იყოს: კარის სახელური, ტელევიზორი (თუ ის არ არის წაღებული), სკამები, მაგიდები, კარადის მინები და სხვა ნივთები.

ფიზიკური ძალადობის გამოყენებაზე მოწმობს დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანებები: სისხლნაჟღენთი, ნაჭდევი, ჭრილობა, ამოვარდნილობა, მოტეხილობა, გასრესა, სხეულის დანაწევრება. აგრეთვე სტანგულაციური ღარი ან ხელის თითების კვალი თუ დახრჩობას ჰქონდა ადგილი.

საცხოვრებელში შეღწევის ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ხერხები და ყაჩაღობის ჩადენის შედეგად დარჩენილ დაზიანებათა ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, რადგან ყაჩაღობის ჩადენის ხერხები და საშუალებები საკმაოდ მრავალფეროვანია.

ყაჩაღობის ჩადენის ხერხებისა და საშუალებების ტიპიურ ჩამონათვალში ასევე შეიძლება შევიდეს: თავსაფრების, ყელსაბამების, საყურეების ჩამოგლეჯა, ჩანთებისა და სხვა ნივთების (მაგ: მობილური ტელეფონების) წართმევა დაზარალებულთა ხელიდან. აგრეთვე დაზარალებულის ორგანიზმში ძლიერმოქმედი შხამიანი ან ნარკოტიკული ნივთიერების შეყვანა და სხვა.

4. ყაჩაღური თავდასხმის საგანი ძალზედ მნიშვნელოვანია და მრავალფეროვანი. თავდასხმის შედეგად ძირითადად იტაცებენ ფულს, ოქროს, ტელერადიო და აუდიო აპარატურას, ავტომანქანებს და სხვადასხვა სახის პროდუქტებს.

ყაჩაღური თავდასხმის შედეგად შეიძლება გატაცებულ იქნას შინაური ცხოველები. მაგალითად, ერთ პერიოდში საქართველოში მთიან რაიონებში, ცხვრის გადასარეკ ტრასებზე გახშირდა ყაჩაღური თავდასხმები. ამის გამო შსს სისტემაში შეიქმნა სპეციალური ე. წ. „საძოვრების მილიცია“, რომელსაც დაევალა დაეცვა, როგორც ცხვრის ფარა, ასევე მწყემსების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

5. ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დაზარალებულები შეიძლება იყვნენ მოხუცები, ბავშვები, ქალები, უმწეო ან ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირები, ტაქსის მძღოლები. აგრეთვე მდიდარი ადამიანები, კერძოდ ბანკის მმართველები, მაღაზიის გამყიდველები, კერძო კოლექციონერები, რომლებსაც გააჩნიათ ძვირადღირებული ნივთები.(საიუველირო ნაკეთობები და სხვა.)

6. ყაჩაღობის კრიმინალისტიკური დახასითებისას მნიშვნელოვანია მის ჩამდენ პირთა ნიშნების აღწერა.

რუს მეცნიერთა მონაცემებით ყაჩაღთა დიდ რაოდენობას შეადგენს მამაკაცები (97%ზე მეტი), ქალები მხოლოდ 3%. პროფ. ლ. ი. დრაპკინის მონაცემების მიხედვით დამნაშავეთა დიფერენციაცია ძირითადი ასაკობრივი ნიშან-თვისების მიხედვით შემდეგნაირია. არასრულწლოვანები შეადგენენ 10%ს, 18-25 ასაკის პირები 33%ს, 26-40 წლის ასაკის პირები შეადგენენ 24%ს, 41 წლის და მეტი ასაკის პირები შეადგენენ 3%ზე მეტს.[193]

ჩვენს მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით, 2000 წელს ყაჩაღობის ჩადენისათვის მსჯავრდებულთა რაოდენობის 5,5%ს შეადგენენ არასრულწლოვნები, 2001 წელს 5,4% 2002 წელს 5,9%, 2004 წელს კი 8,5%.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ყაჩაღური თავდასხმები ხშირად ხდება 23 კაციანი ჯგუფის მიერ. ამასთან 2004 წელს ყაჩაღობისათვის მჯავრდებულთა (269 პირი) შორის არც ერთი არ ყოფილა რეციდივისტი.

§ 2. ყაჩაღობის გამოძიებისას დასადგენი გარემოებები და მათი დადგენის ხერხები. (ყაჩაღობის გახსნისთვის, ასევე მისი კვალიფიკაციისთვის აუცილებელ გარემოებათა და ნიშანთა წრის დადგენა)

ყაჩაღობის გამოძიების პროცესში, საჭიროა და აუცილებელია განისაზღვროს იმ დასადგენ გარემოებათა წრე, რომლებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ყაჩაღური თავდასხმის გახსნისა და მისი სწორად კვალიფიკაციისათვის.

საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ბრალდებულის, როგორც მამხილებელი ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობის და ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების ან სასამართ-

193 руководство для следователей. М.1997г.- стр. 470

ლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევის თაობაზე გულდასმით უნდა შემოწმდეს.

იმისთვის, რომ მოხდეს ჩადენილი ქმედების ზუსტი შესაბამისობის დადგენა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებთან, აუცილებელია სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული გარემოება, რომელიც საქმესთან არის დაკავშირებული.

თუ არ დადგინდა ფაქტიურად ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ასევე მისი ყველა გარემოება, თუ არ გვექნება მისი კრიმინალისტიკური დახასიათება, მაშინ ფაქტიურად ჩადენილი ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის დადგენაზე ლაპარაკი ზედმეტია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების დადგენისათვის აუცილებელია, იმ გარემოებების დადგენა, რომელიც ნათელს მოჰფენს ჩადენილ ფაქტს.

იმისთვის, რომ ვაწარმოოთ ყაჩაღური თავდასხმის გამოძიება, აუცილებელია დადგინდეს ყაჩაღობის ჩადენის ფაქტი.

ჩვენი აზრით, ყაჩაღობის გამოძიების პროცესში დასადგენი გარემოებები უნდა დავყოთ **ორ ჯგუფად: *პირველ ჯგუფში*** უნდა შევიდეს ყაჩაღობის ფაქტის დამადასტურებელი გარემოებები. ***მეორე ჯგუფში*** კი ყაჩაღობის გახსნისათვის აუცილებელი გარემოებები. ჩვენი აზრით, პირველ ჯგუფში შესული გარემოებები არის შემდეგი:

ჰქონდა თუ არა ადგილი ყაჩაღური თავდასმის ფაქტს.

აქ დეტალურად უნდა გაირკვას შემდეგი:

- ჰქონდა თუ არა ადგილი მოთხოვნის წაყენებას ნივთის დაუყონებლივ გადაცემის შესახებ;

- მოთხოვნას თან ახლდა თუ არა ძალადობა ან ძალადობის მუქარა;

- თუ ძალადობას ჰქონდა ადგილი, მაშინ უნდა გაირკვეს: იყო თუ არა ძალადობა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში;

- ამ გარემოებათა დადგენა სავსებით საკმარისია ქმედების ყაჩაღობად შეფასებისათვის.

ამის შემდეგ უნდა გაირკვეს მეორე ჯგუფის გარემოებები:

- სად ჰქონდა ადგილი ყაჩაღურ თავდასხმას.

ამ გარემოებების გარკვევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისთვის, რადგან ყაჩაღობის ჩადენის ადგილის დათვალიერებით შეიძლება ნათელი მოეფინოს ბევრ ფაქტს, აგრეთვე დიდი შესაძლებლობაა იქ მოპოვებულ იქნას ისეთი მტკიცებულებები, რომელიც საქმის გახსნას დაედება საფუძველად.

- როდის იყო ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმა (წელი, თვე, რიცხვი, დღის დროის მონაკვეთი);

- როგორია ყაჩაღობის ჩადენის ხერხები, მზადებითი ქმედების შინაარსი და ხასიათი, თავდასხმის განხორციელება და მისი კვალის დაფარვა;

- იყო თუ არა თავდასხმა შეიარაღებული და რა იარაღი იქნა გამოყენებული;

- ვინ არიან ის პირები, რომლებსაც გააჩნიათ გამოძიებისათვის საინტერესო ინფორმაცია ყაჩაღური თავდასხმის და მის ჩამდენ პირთა შესახებ;

- ვინ ჩაიდინა ყაჩაღური თავდასხმა, ერთმა პირმა თუ რამდენიმემ;

- ვინ შედიოდა თავდასხმაში მონაწილე პირთა შემადგენლობაში და რაში გამოიხატებოდა თითოეული მათგანის მონაწილეობა, კერძოდ: მონაწილეობდენენ თუ არა ისინი უშუალოდ თავდასხმაში, კვალის დაფარვაში, დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნაში. ასევე უნდა დადგინდეს დაჯგუფების შექმნის მიზანი, ჯგუფური საქმიანობის ტიპი და ხასიათი. ჰქონდა თუ არა ადგილი წინასწარ მოლაპარაკებას თანამონაწილეთა შორის და როლების განაწილებას. დასადგენია, თუ ვინ შეიძლება იყოს ორგანიზატორი და ვინ შედის დანაშაულებრივი დაჯგუფების აქტივში. ასევე, ყველა ის საკითხი, რაც დაკავშირებულია ორგანიზებული დაჯგუფების საქმიანობასთან:

- როგორია თავდამსხმელის დამახასიათებელი მონაცემები, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, (მათ შორის არის თუ არა ნასამართლევი).

- ვინ არის თავდასხმის მსხვერპლი (დაზარალებული), აქვე გასათვალისწინებელია მისი მატერიალური მდგომარეობა და დანაშაულებრივი ჩანაფიქრის წარმოქმნისა და რეალიზაციის მიზეზები.

- რა არის გატაცებული თავდასხმის შედეგად. ვის ეკუთვნის გატაცებული ქონება (დასახელება, რაოდენობა გატაცებული ნივთის ღირებულება და სხვა).

მაგალითად, თუ ავტომანქანაა გატაცებული, გამოძიების დაწყების დროს დეტალურად აღინიშნება მონაცემები. ამ შემთხვევაში დასადგენია შემდეგი: ავტოტრანსპორტის მარკა, მოდელი, მოდიფიკაცია, სახელმწიფო ნომერი, ტექნიკური პასპორტი, გამოშვების წელი, რეგისტრაციის თარიღი, ძრავის, შასის, ძარის და საიდენტიფიკაციო ნომერი, მფლობელის (მინდობილობით მფლობელის) გვარი, სახელი ან უწყების დასახელება.

თუ გატაცებულია იარაღი, მაშინ ირკვევა:

1. იარაღის ტიპი:

- გლუვლულიანია;
- ხრახნიანია თუ კომბინირებული.

2. სახეობა - სპორტული, პისტოლეტი, რევოლვერი. მცირე კალიბრიანი შაშხანა, კარაბინი, ავტომატი, ტყვიამფრქვევი, სანადირო. მათი მარკა (მოდელი), კალიბრი, ნომერი, სერია, გამოშვების წელი, მფლობელი სახელი, გვარი, მამის სახელი ან ორგანიზაცია.

ნარკოტიკების შემთხვევაში: ჰეროინი, ოპიუმი და მისგან წარმოებული კოკაინი, კანაფი და მისგან წარმოებული, სინთეტიკური ნარკოტიკები და სხვა.

- სად არის თავდასხმის შედეგად გატაცებული ნივთები, როგორია მისი გასაღების არხები;
- რა ზომების მიღებაა საჭირო დაზარალებულის მიმართ გამოყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით.
- როგორი არის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო დაზარალებულის ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შეღწევას და ამ უკანასკნელზე თავდასხმის განხორციელებას.
- რა კონკრეტული ზომებია მისაღები ანალოგიური დანაშაულების გამოვლენილი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრისათვის.

ზემოთ ხსენებული გარემოებების ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა საფუძველს აძლევს გამოძიების მწარმოებელ ორგანოს კანონის სრული დაცვით განახორციელოს თავისი ფუნქციები. ამასთან ის საშუალებას იძლევა დროულად და

სწრაფად იქნას გახსნილი ყაჩაღური თავდასხმა, დადგენილ იქნას მისი ჩამდენი პირი ან პირთა ჯგუფი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვალიფიკაციის შეცვლის შესაბამისად იცვლება დასადგენ გარემოებათა წრე.

მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა" და „ბ" პუნქტით გათვალისწინებული ქმედების (ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით) გამოძიება მოითხოვს შემდეგ გარემოებათა დადგენას:

შეესაბამება თუ არა ყაჩაღობის ჩადენის ადგილი ბინას, სადგომს ან სხვა საცავს.

- ჰქონდა თუ არა ადგილი თავდასხმელთა მხრიდან ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევას;

- ჰქონდა თუ არა დაზარალებულზე ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის ანდა ასეთი სახის ძალადობის მუქარას;

- დანაშაულის ჩამდენთა სიმრავლე, ე. ი. ყაჩაღობა განახორციელა ორმა თუ მეტმა პირმა, რომლებსაც აქვთ დანაშაულის სუბიექტის იურიდიული თვისებები;

- თითეული თავდამსხმელის მონაწილეობა ისეთ ქმედებაში, რომლებიც მოიცავენ ყაჩაღური თავდასხმის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს.

- სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მოტივი და მიზანი.

- იყო თუ არა წინასწარი მოლაპარაკება ყაჩაღობის ჩადენაზე ჯგუფის წევრებს შორის.

ამ ფორმითა და მეთოდებით დგინდება კვალიფიციური ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშნები.

პირი, რომელიც ახდენს ქმედების (ყაჩაღობის), კვალიფიკაციას და აწარმოებს გამოძიებას, ვალდებულია იცოდეს:

თავდასხმის ცნება, ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის ცნება და მნიშვნელობა, ბინის, სადგომის ან სხვა საცავის ცნება, შეღწევის ცნება.

ამ საკითხების ცოდნის გარეშე ყაჩაღობის გამოძიება და მისი კვალიფიკაცია შეუძლებელია.

თავი II. ყაჩაღობის გამოძიების მიმართულება საგამოძიებო სიტუაციებში და ვერსიების აგება

§1. საგამოძიებო სიტუაციის ცნება და ზოგადი დახასიათება

დანაშაულის გამოძიების მეთოდების სტრუქტურაში მნიშვნელოვანია საგამოძიებო სიტუაციისა და ვერსიების ცნების საკითხის განხილვა.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში საუბარია ***საგამოძიებო სიტუაციისა და დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებას*** შორის არსებულ მჭიდრო კავშირზე. ძირითად მსგავსებად მიჩნეულია ის, რომ ორივე მათგანი არის გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ მიღებული კრიმინალისტიკური მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, რომელთაგან **კრიმინალისტიკური დახასიათება** ემყარება და გამომდინარეობს საქმეზე მიღებული იმ პირველადი ფაქტიური მონაცემებიდან, რომელთა მიღების წყაროები კრიმინალისტიკური დახასიათების ფარგლებს გარეთაა, სცილდება მის შინაარს და ადასტურებს გამოსაძიებელი ფაქტებისა და გარემოებების არსებობას და ამ მიმართებით ეხმარება და ხელს უწყობს გამოძიებას მიღებული მონაცემების უტყუარობის საკითხის გადასაწყვეტად.

საგამოძიებო სიტუაცია კი საქმეზე მიღებული ინფორმაციის წყაროსაც მოიცავს, რაც იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის შესახებ არსებული ინფორმაციის წყაროებიც სხვადასხვაა.

„სიტუაცია" ფრანგული სიტყვაა "situation" და ნიშნავს შექმნილი პირობების ერთობლიობას, გარემოებას, მდგომარეობას.

ჩვენი აზრით, საგამოძიებო სიტუაციის შეფასებისას უნდა იქნეს გამოყენებული მტკიცებულებების საფუძველზე არსებული ინფორმაცია, რაც მოგვცემს სიტუაციის ობიექტურად შეფასების საშუალებას. ამასთან, გამომძიებლის მიერ შემუშავებული ვერსიები არ შეიძლება დაედოს საფუძვლად საგამოძიებო სიტუაციის შეფასებას, რადგან ის ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ამიტომ მიგვაჩნია, საგამოძიებო სიტუაცია ვუწოდოთ გამოძიების მომენტში არსებულ ისეთ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა-

თა დაცვით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებათა საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებებით, რაც იძლევა მდგომარეობის ობიექტურად შეფასების საშუალებას.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნება საგამოძიებო სიტუაციის ობიექტური შეფასება, თუმცა სავსებით შესაძლებელია გამომძიებელმა და პროკურორმა წინდახედულობის ნორმით განჭვრიტოს ან სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით შეავსოს საქმეზე არსებული მდგომარეობა და შეაფასოს ის, მაგრამ ეს არ იქნება ობიექტური შეფასება.

საგამოძიებო სიტუაციის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, რაც გამორიცხავს გამოსაძიებელ საქმეზე არსებულ ხელის შემშლელ გარემოებათა არსებობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთისაგან ანსხვავებენ შემდეგ საგამოძიებო სიტუაციებს: ***ზოგადი, კერძო, მარტივი, რთული, ტიპიური და სპეციფიკური.***

ზოგად სიტუაციაში მიჩნეულია დანაშაულის გამოძიების მსვლელობა და მდგომარეობა, საქმეზე მნიშვნელობის მქონე დადგენილ და დასადგენ გარემოებათა ერთიანობა, მათი სირთულე და სხვა ამოცანების გადაწყვეტა გამოძიების მოცემულ მომენტში. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს გამოძიების მიმართულება, შეირჩეს პირველდაწყებითი გადაუდებელი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა კომპლექსი და შემუშავდეს ზოგადი ვერსიები.

კერძო სიტუაცია ეხება გამოძიების ცალკეულ ეპიზოდების მდგომარეობას, გარკვეული გარემოებების ახსნას, მათ მნიშვნელობას, ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პირობებს, ადგილზე არსებულ მატერიალურ მდგომარეობას, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე პირთა ინდივიდუალური ნიშნებით.

რთული საგამოძიებო სიტუაცია იქმნება მაშინ, როცა საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების შესახებ, არსებობს არასრული ინფორმაცია.

§2. ყაჩაღობის ფაქტზე არსებული საგამოძიებო სიტუაციები

ყაჩაღობის გამოძიების მეთოდიკის საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია განხილულ იქნეს ყაჩაღობის საქმეზე არსებული რამდენიმე საგამოძიებო სიტუაცია:

1. თავდამსხმელი დაკავებულია ნივთიერი სამხილით დანაშაულის ჩადენის ადგილზე ან მის შემდეგ.

მაგალითად, თავდასხმის შესახებ შესაბამისმა ორგანოებმა მიიღეს შეტყობინება და თავდამხსმელების მიერ შემთხვევის ადგილის დატოვებამდე მოახდინეს მათი დაკავება. სავსებით შესაძლებელია თვითონ დაზარალებულმა მოიგერიოს და შეიპყროს თავდამსხმელი. ასევე შემთხვევის ადგილის დატოვების შემდეგ პოლიციამ განახორციელა მათი დევნა თავდამსხმელთა შეპყრობისა და გატაცებული ნივთების დაბრუნების მიზნით.

2. თავდამსხმელი დაკავებულია გატაცებული ნივთის გასაღების დროს.

მაგალითად, თავდასხმის შედეგად შეიძლება გატაცებულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალება, კულტურული, მეცნიერული, ისტორიული ღირებულების ნივთები, ხელოვნების ნიმუშები, რომლის გასაღებასაც ეცდება თავდამსხმელი. სწორედ ასეთი ნივთების გასაღების დროს შესაძლებელია დაკავებულ იქნეს იგი.

3. დაკავებულია გატაცებული ნივთის შემსყიდველი ან გამსაღებელი, რომლისთვისაც ცნობილია თავდამსხმელი.

მაგალითად, თავდამსხმელმა გატაცებული ნივთები გადასცა რომელიმე მაღაზიის გამყიდველს ან კერძო პირს გასაღების მიზნით ან მიყიდა სხვა პირებს სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. ასეთი პირების დაკავების შემთხვევაში არსებული სიტუაცია განსხვავებულია პირველისგან და მას გამოძიების განსხვავებული მეთოდი სჭირდება.

4. თავდამსხმელი ამოცნობილია, მაგრამ მიმალვაშია: მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

მაგალითად, დაზარალებულმა ან თვითმხილველმა მოწმემ ამოიცნო თავდამსხმელი და იცის მისი ვინაობა, სახელი, გვარი, მისამართი, სამუშაო ადგილი და ა.შ.

5. თავდამსხმელი უცნობია, მაგრამ არსებობს მასზე არასრული მონაცემები (გარეგნობის ნიშნები, ტანსაცმელი, სახელი, მეტსახელი ე.წ. "кличка", ადგილი სადაც ის ჩნდება).

მაგალითად, დაზარალებულმა ან თვითმხილველმა მოწმემ ვერ ამოიცნო თავდამსხმელი, მაგრამ შეუძლია აღწეროს მისი გარეგნობა, გაიხსენოს თუ როგორ მიმართავდნენ მას თანამზრახველები, რა ეცვა, გაიხსენოს დამახასიათებელი ნიშანი რომელიც ჰქონდა სხეულზე.

6. თავდამსხმელი უცნობია და მასზე არ არსებობს არანაირი მონაცემები.

ზემოთ ჩამოთვლილი საგამოძიებო სიტუაციების ამოსახსნელად ჩვეულებრივ გამოყოფენ რამდენიმე ვერსიებს. სანამ ამ ვერსიებს ჩამოვთვლიდეთ, მანამდე, გვინდა ვიმსჯელოთ კრიმინალისტიკური ვერსიების ცნებაზე, მის არსზე და მნიშველობაზე.

§3. ყაჩაღობის ფაქტზე არსებული საგამოძიებო სიტუაციების შესაბამისი საგამოძიებო ვერსიები

ა) საგამოძიებო ვერსიის ცნება

ხშირად არსებული ცოდნა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ გამოძიების პროცესში წამოჭრილ კითხვებს ცალსახა, მკაცრად დასაბუთებული პასუხები გაეცეს. ასეთ ვითარებაში გამოითქმება ხოლმე ვარაუდი, დაშვება ანუ მიხვედრა.

კონკრეტული საგნობრივი ვითარების ახლა ან მომავალში განხორციელების, ან უკვე განხორციელებული ქმედების ახსნის შესახებ.

მაგალითად, ვარაუდი - გვერდითი ოთახიდან რომ ხმა ისმის, მგონი, ნუგზარისაა - ეს ეხება კონკრეტულ საგნობრივ ვითარების შესაძლებლობას, შემდეგ მსჯელობაში კი გამოთქმულია ვარაუდი გარკვეული ფაქტის ასახსნელად.

ლოგიკის სახელმძღვანელოებში აღნიშნულია, რომ, მაშინაც კი როდესაც ვარაუდი კონკრეტული საგნობრივი ვითარების განხორციელებას ეხება, მას ახსნის სტრუქტურა აქვს, რადგან

ვარაუდი ფარულად თუ აშკარად ყოველთვის მოტივირებული, დაფუძნებული გვაქვს დებულებით (წანამძღვრებით, საბუთებით), რომელთაგანაც ვცდილობთ გამოვიყვანოთ ნავარაუდევი საგნობრივი ვითარების განხორციელების შესაძლებლობა. ვარაუდის ობიექტი ფაქტობრივად ეს წინამძღვრებია, ასახსნელი დებულება მათ შედეგად მიიღება, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ვარაუდი ხსნის ფაქტს, ახლანდელს ან მომავალს, რომ ყოველ ვარაუდს აქვს ახსნის ლოგიკური სტრუქტურა.

„ვერსია" (Version) ფრანგული სიტყვაა და არის რაიმე ფაქტის, ამბის ერთ-ერთი ახსნა ან გადმოცემა (რამდენიმედან).

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორის მიერ საგამოძიებო ვერსიების როლი არასრულად იყო შეფასებული. მაგალითად, გერმანელი კრიმინალისტი გ. შნეიკერტი აკნინებდა ვერსიების როლს დანაშაულის გახსნის საქმეში და მას ფანტაზიის უვარგის ნაყოფს უწოდებდა. საგამოძიებო მასალებზე დაყრდნობით პროფ. გ. შნეიკერტისა და სხვათა ასეთმა შეხედულებამ გარკვეულად შეუწყო ხელი აკადემიკოს ა. ი. შინსკის თეორიაში მსგავსი შეხედულების განვითარებას. იგი გამომძიებელს მოუწოდებდა ნაკლები ეფიქრათ საგამოძიებო ვერსიებსა და პრეზუმციაზე.

პროფ. შ. ფაფიაშვილი აღნიშნავს რომ "ასეთმა მოწოდებამ უარყოფითი როლი შეასრულა საგამოძიებო ვერსიების მეცნიერულ დამუშავებაზე და თითქმის ორი ათეული წლის შემდგომ საგამოძიებო ვერსიებზე კრიმინალისტების მიერ არ დაწერილა არც ერთი სერიოზული ნაშრომი და სპეციალურ ლიტერატურაში იგი განიხილებოდა ზოგადად კრიმინალისტიკის სხვა საკითხებთან ერთად. სწორედ ამიტომ იყო - დასძენს პროფ. შ. ფაფიაშვილი - პროფ. ს. პ. მიტრიჩევი აღნიშნავდა რა, რომ დღემდე საბჭოთა კრიმინალისტიკა ნაკლებ ყურადღებას უთმობდა საგამოძიებო ვერსიების აგება-დამუშავებას. წერდა: „დანაშაულთა გამოძიების და მეთოდიკის არც ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი არ ყოფილა ისე მივიწყებული, როგორც საგამოძიებო ვერსია. საგამოძიებო ვერსია დავიწყებულ იქნა ჯერ პროცესუალისტების, შემდეგ კი კრიმინალისტების მიერო." მოგვიანებით,

საბჭოთა კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში გამოჩნდა საგამოძიებო ვერსიებისადმი მიძღვნილი მრავალი საინტერესო ნაშრომი და საკანდიდატო დისერტაცია.

საგამოძიებო ვერსიის მნიშვნელობის შესახებ წერდა არა ერთი მეცნიერი მაგალითად, გ. ნ. ალექსანდროვი: „ვერსია ეს არის თავისებური საგამოძიებო კომპასი, რომელსაც აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, იგი განსაზღვრავს გამოძიების ყველა მიმართულებას და მათ შორის საგამოძიებო ტაქტიკას."

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ვერსია განმარტებულია, როგორც ჰიპოთეზის ნაირსახეობა და ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნების მეთოდი, არის გამოძიების მიერ გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების ან ფაქტის სავარაუდო ახსნა, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს საქმეზე არსებულ ფაქტობრივ მონაცემებს და აგებული იყოს ლოგიკური კანონების, აზროვნების, კვლევის დედუქციური მეთოდების და ლოგიკური ხერხების, ანალოგიის და სინთეზის გამოყენებით, რაც უნდა შემოწმდეს და დაზუსტდეს გამოძიების პროცესში მიღებული მტკიცებულებებით.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში კვლევის კონკრეტულ ეტაპზე ვერსიების წარმოქმნისდა მიხედვით განასხვავებენ საგამოძიებო, სასამართლო, ოპერატიულ-სამძებრო, საექსპერტო ვერსიებს. ასევე ბრალდებულისა და დაზარალებულის ვერსიებს. გარდა ამისა, გამოსაძიებელი ფაქტის ანუ დანაშაულის შემადგენლობის ან მისი ცალკეული ელემენტების და დანიშნულების შესაბამისად განასხვავებენ შემდეგი სახის საგამოძიებო ვერსიებს: ზოგადს, კერძოს და დეტალურს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საგამოძიებო ვერსიები არის უკვე ჩადენილი ქმედების შემეცნების, მისი გახსნის და ამ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი საშუალება. ვერსიების შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ ის პირები, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას და მათ მიერ წამოყენებული ვერსიების შეჯერების შემდეგ გამოძიება დაადგება ერთ ან რამდენიმე ვერსიას. გამორიცხული არ არის საქმეზე არსებობდეს სისხლის სამართლის პროცესზე სხვა მონაწილეთა ვერსიები. მათ საქმისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბ) ყაჩაღობის ფაქტზე არსებული საგამოძიებო ვერსიები

ვინაიდან ჩვენი შესწავლის საგანს ამ ნაშრომში არ შეადგენს კრიმინალისტიკის თეორიული საკითხები, მსჯელობას აქ ვწყვეტთ და კონკრეტულად ჩამოვაყალიბებთ ყაჩაღობის საქმეზე არსებულ ზემოთ ხსენებულ საგამოძიებო სიტუაციათა ამოსახსნელად ჩვეულებრივ გამოყოფილ შემდეგი სახის ვერსიებს:

1) ყაჩაღობა ჩადენილია ცნობილი კონკრეტული პირის მიერ;

2) ყაჩაღობა ჩადენილია გატაცებული ნივთის გამსაღებლის ან ვინმე სხვა პირის მიერ მისი კავშირების წრიდან;

3) ყაჩაღობა ჩადენილია ანალოგიური ქმედებისთვის ან სხვა დანაშაულისათვის ადრე ნასამართლევი პირის მიერ;

4) ყაჩაღობა ჩადენილია არასრულწლოვნის მიერ, რომელიც იმყოფება აღრიცხვაზე შინაგან საქმეთა ორგანოებში ქონებრივი ან ანგარებით-ძალადობრივი დანაშაულების და აგრეთვე ავტომანქანების გატაცებისათვის;

5) ყაჩაღობა ჩადენილია პირების მიერ, რომლებიც არ არიან ნასამართლევები, მაგრამ ერთხელ ჩადენილი აქვთ ჯერ კიდევ გაუხსნელი ძარცვა და ყაჩაღობა ანალოგიური ხერხების გამოყენებით;

6) ყაჩაღობა ჩადენილია პირების მიერ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არიან უმუშევრები, არ გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი, არიან სპირტიანი სასმელებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლები;

7) ყაჩაღობა ჩადენილია „გასტროლიორის" მიერ;

8) ყაჩაღობა ჩადენილია პირების მიერ „დასმენით"

ყაჩაღობის ისევე, როგორც სხვა დანაშაულის გამოძიების პროცესში, საჭიროა მტკიცედ იქნას დაცული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული საქმეზე წამოყენებული საგამოძიებო ვერსიების შემოწმების შემდეგი წესი:

ა) საქმეზე წამოყენებული ყველა ვერსიის შემოწმება მოხდეს პარალელურად;

ბ) ვერსიების შემოწმების შედეგების მიხედვით გაკეთდეს დასკვნა ვერსიების დადასტურების (სისწორის) ან უარყოფის შესახებ;

გ) ვერსიების შემოწმება დამთავრებულად ჩაითვალოს მას

შემდეგ, რაც მიღებული შედეგების მიხედვით საქმეზე წამოყენებული ვერსიებიდან ჩამოგვცილდება ყველა სხვა არასწორი ვერსია და ბოლოს დაგვრჩება სწორი ვერსია.

ჩვენი აზრით, საქმეზე არსებული რამდენიმე ვერსიის არსებობის შემთხვევაში ტაქტიკური თვალსაზრისით თითოეულ ვერსიაზე უნდა მუშაობდეს თითო ჯგუფი ცალ-ცალკე, ამასთან არ უნდა იცოდეს ერთმა ჯგუფმა მეორე ჯგუფი რომელ ვერსიაზე მუშაობს, რათა გავლენა არ მოახდინონ ერთმანეთზე, ხოლო ვერსიების გადამოწმების შედეგები უნდა იყრიდეს თავს ერთ კონკრეტულ პირთან ან პირთა ჯგუფთან ვინც აწარმოებს გამოძიებას ან ხელმძღვანელობს მას.

§4. ყაჩაღობის ფაქტზე არსებული ვერსიების შემოწმების მიზნით გასატარებელი დეტალური გეგმები და ტაქტიკური ოპერაციები

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვერსიების შემოწმების მიზნით შემუშავებულია გამოძიების დეტალური გეგმები. გამოძიების ყველაზე ოპტიმალური ხერხია ტაქტიკური ოპერაციების ან მათი კომპლექსის თანმიმდევრულად ან პარალელურად გატარება. მაგალითად, **პირველ საგამოძიებო სიტუაციაში,** როდესაც თავდამსხმელი დაკავებულია ნივთიერი სამხილით დანაშაულის ჩადენის ადგილზე ან მის შემდეგ ვერსიების შემოწმების **საგამოძიებო ქმედებების ოპტიმალური სისტემა არის შემდეგი:**

ა) ბრალდებულის დაკავება. დაკავებისას - მისი მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე მოხდეს ბრალდებულის სამედიცინო შემოწმება;

ბ) მისი (ბრალდებულის) პირადი ჩხრეკა და დაკითხვა;

გ) დანაშაულის (შემთხვევის) ადგილის დათვალიერება; გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ თუ თავდამსხმელი გაიქცა თავდასხმის ადგილიდან მაშინ უნდა დათვალიერდეს ის ადგილიც, სადაც დაკავებულ იქნა დევნის ან ადგილსამყოფლის დადგენის შემდეგ. ბინაში, სადგომში ან სხვა ადგილას. თუ ავტომანქანით გაიქცა და მოხდა მისი გაჩერება, მაშინ ავტომანქანაც უნდა დათვალიერდეს და გაიჩხრიკოს.

დ) დაზარალებულის დაკითხვა და მისი გაგზავნა ექსპერტიზაზე სასამართლო-სამედიცინო ექპერტიზის ჩატარების მიზნით, რათა დადგინდეს დაზიანებათა ხარისხი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ე) დაკავებულის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის ჩხრეკა;

ვ) დაკავებულის ან სხვა ობიექტების წარდგენა ამოსაცნობად თუ არის ამის შესაძლებლობა. ხშირ შემთხვევაში თავდამსხმელები არიან ნიღბებში და მათი ამოცნობა ძნელია, მაგრამ შესაძლებელია ამოცნობილ იქნეს სხვა ობიექტები, რომელიც თან ჰქონდა თავდამსხმელს ან თავდამსხმელის ტანსაცმლის რაიმე ინდივიდუალური ნიშნები.

ზ) შესაძლო თვითმხილველების დადგენა და მათი დაკითხვა;

თ) ექსპერტიზების დანიშვნა მოპოვებული ან მოსაპოვებელი სამხილების შესაბამისად. მაგალითად, ბალისტიკური, ოდოროლოგიური, სასამართლო-სამედიცინო, ტრასოლოგიური და სხვ.

ი) მოწმეების დადგენა და მათი დაკითხვა;

რაც შეეხება, ოპერატიულ-სამძებრო ქმედებების ოპტიმალური სისტემა შეიძლება იყოს შემდეგი:

ა) პირის გამოკითხვა. შემთხვევის ან სხვა ადგილზე მყოფი პირების გამოკითხვა სხვა თანამონაწილეთა ან თანაამსრულებელთა ან სხვა გარემოებების დადგენისა და გამოვლენის მიზნით.

ბ) ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი; ეს საჭირო იქნება იმ შემთხვევაში თუ გამოიკვეთა ვინმე პირი, რომელსაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეს დაკავებულთან. პრაქტიკაში არის ხოლმე შემთხვევები როცა დაკავებული ახლობლები ან მეგობრები მიდან შემთხვევის ადგილზე და იქ ისმენენ და არკვევენ ვითარებას. ასეთ პირებზე ვიზუალური კონტროლი აუცილებელია.

გ) საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა;

დ) პიროვნების იდენტიფიკაცია;

ე) დაკავებულის კორესპონდენციის ცენზურა;

ასევე უნდა ჩატარდეს სხვა შემხვედრი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები საქმის გამოძიების მიმდინარეობის დროს არსებული ვითარების შესაბამისად, მაგალითად:

მეორე სიტუაციაში, როცა დაკავებულია გატაცებული ნივთის გამსაღებელი, მაშინ მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებაა:

ა) დაკავებულის პირადი ჩხრეკა და დაკითხვა (თუ გატაცებულია ავტომანქანა ან სხვა დიდი მოცულობის მქონე ნივთი, მაშინ ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მის საცხოვრებელ სახლში ან სხვა სადგომში).

ბ) მისი წარდგენა დაზარალებულისა და მოწმის წინაშე ამოსაცნობად, აგრეთვე გატაცებული ნივთების წარდგენა, რომელიც ამოღებულ იქნა ბრალდებულისგან;

გ) დაკავებულის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის ჩხრეკა;

ყველაზე ეფექტურ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად ითვლება:

ა) ცნობების შეგროვება;

ბ) ბრალდებულისა და მასთან დაკავშირებული პირების მეთვალყურეობის ქვეშ აყვანა (ვიზუალური კონტროლი). თვითმხილველების დადგენა გატაცებული ნივთების გასაღების ადგილებში.

გ) დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა;

დ) დადგენილი წესით დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა;

ე) დადგენილი წესით კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა;

ვ) მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაცის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;

ზ) მოსამართლის ბრძანებით ფარული ვიდეო-და აუდიო-ჩაწერა, კინო- და ფოტოგადაღება; ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება

ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს;

თ) ინტერნეტ ურთიერთობის მონიტორინგი;

თუ დადგენილია გამსაღებელი პირი აუცილებელი არაა მისი დაკავება, შესაძლოა ჩატარდეს ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელიც გამოძიების ორგანოს გაიყვანს თავდასხმის უშუალო შემსრულებელზე.

მესამე სიტუაციაში მყიდეველისა და გამყიდველის დაკავების შემდგომ საჭიროა:

ა) მათთვის პირადი ჩხრეკის ჩატარება;

ბ) დაკავების ადგილის დათვალიერება;

გ) დაკავებულების დაკითხვა;

დ) ამის შემდეგ უნდა ჩატარდეს საცხოვრებლისა და სამუშაო ადგილის ჩხრეკა; საგამოძიებო და ოპერატიული გზით უნდა დადგინდეს მყიდველისა და გამყიდველის კავშირები.

ამ მიზნით უნდა ჩატარდეს შემდეგი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები:

ა) პირის გამოკითხვა. შემთხვევის ან სხვა ადგილზე მყოფი პირების გამოკითხვა სხვა თანამონაწილეთა ან თანაამსრულებელთა ან სხვა გარემოებების დადგენისა და გამოვლენის მიზნით.

ბ) ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი;

გ) საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა;

დ) პიროვნების იდენტიფიკაცია;

ე) დაკავებულის კორესპონდენციის ცენზურა;

ასევე შეიძლება ჩატარდეს სხვა **ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები** საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად,

ა) დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა;

ბ) დადგენილი წესით დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა (ჩანერგვა);

გ) დადგენილი წესით კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა;

დ) მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაცის მოხსნა და ფიქსაცია,

კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;

ე) მოსამართლის ბრძანებით ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება; ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს;

ვ) ინტერნეტ ურთიერთობის მონიტორინგი;

თუ არსებობს საფუძველი, უნდა მოხდეს ბრალდებულის ქონებაზე და კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებულ გზავნილზე ყადაღის დადება. ეს ხდება ნებისმიერ სიტუაციაში საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის დადგენის შემდეგ (რომელმაც გაყიდა ან გადასცა გატაცებული ნივთები) უნდა მოხდეს მისი დაკავება, ჩხრეკა, დაკითხვა და სხვა პირველადი საგამოძიებო ღონისძიებები. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუ სხვა თანამონაწილეები არ არიან დადგენილი და არსებობს მონაცემები ყაჩაღობაში მონაწილე სხვა პირების შესახებ მაშინ უნდა გაგრძელდეს ბრალდებულზე თვალთვალი და შესაძლო პირთა დადგენა.

ამასთან გამოძიების ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქცონ იმ გარემოებას, რომ შესაძლოა გატაცებული ნივთების ნაწილი იყოს ამოღებული და დანარჩენი ასევე გამოძიებისთვის უცნობი პირებისთვის ბრალდებულის მიერ გადაცემული, ამიტომ მნიშვნელოვანია დადგინდეს იმ პირთა ვინაობაც და გაგრძელდეს ბრალდებულის დაკავების გარეშე საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

ასეთ სიტუაციაში შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბრალდებულის მხრიდან შესაძლო გაქცევის მიმალვის თავიდან აცილება.

პრაქტიკაში ძალიან გავრცელებულია **მეოთხე საგამოძიებო სიტუაცია,** როდესაც თავდამსხმელი ცნობილია, მაგრამ

მიმალვაშია და მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ასეთ დროს ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი არის დრო, ამისათვის გამომძიებელთა და ოპერატიულ მუშაკთა მოქმედებები უნდა იყოს გადაუდებელი.

აუცილებელია მათ უზრუნველყონ სამძებრო ექსპრეს ინფორმაციის შეგროვება. დაზარალებულთა და თვითმხილველ მოწმეთა გამოკითხვით მიიღონ ინფორმაცია თავდამსხმელთა რაოდენობის, პიროვნების ინდივიდუალური ნიშნების (გვარი, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილი, გარეგნული ნიშნები), თავდამსხმელთა მიმართულების და ადგილის, (სადაც მიიმალნენ). გატაცებული ქონების (ნივთის) განმასხვავებელი ნიშნების შესახებ.

მაგალითად, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ყაჩაღური თავდასხმის მიმდინარეობის პროცესში გამოიძახეს პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე ნახეს და ამოიცნეს თავდამსხმელი. ასეთ დროს უნდა მოხდეს თავდასხმელთა დევნა „ცხელ კვალზე". (თუ არის ამის შესაძლებლობა). ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში თავდამსხმელებმა მძევლად აიყვანეს ოჯახის დიასახლისი, რის გამოც პოლიციის თანამშრომლებს გაუძნელდათ, (ფაქტიურად ვერ შეძლეს) მათი დევნა.

მიმალვაში მყოფ თავდამსხმელთა აღმოჩენის მიზნით საჭიროა დაიწყოს როგორც წესი, ძებნა ერთდროულად რამდენიმე ადგილზე, როგორც საცხოვრებელ, ასევე სიტუაციით განპირობებულ სხვა ადგილებზეც.

ამასთანავე მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს რამდენიმე ოპერატიული ჯგუფი პოლიციის თანამშრომელთა ჩართვით და აგრეთვე დაზარალებულის და თვითმხილველი მოწმეების დახმარებით, ამ უკანასკნელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფით. ყველა შემთხვევაში თავდამსხმელის პიროვნებასა და მის მიერ გატაცებული ნივთის შესახებ აუცილებლად უნდა იყოს ინფორმირებული პოლიციის ტერიტორიული ქვედანაყოფები, რომლებიც აწარმოებენ მეთვალყურეობას თავდამსხმელის შესაძლო გამოჩენის ადგილებზე, რათა აღკვეთონ გატაცებული ქონების (ნივთის) გასაღება ან გადამალვა.

ბრალდებულის (ფიგურანტი) ადგილსამყოფლის დადგენის

შემთხვევაში დაუყონებლივ უნდა მოხდეს:

ა) მისი დაკავება. დაკავებისას - მისი მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე მოხდეს ბრალდებულის სამედიცინო შემოწმება;

ბ) ჩატარდეს პირადი ჩხრეკა;

გ) ჩხრეკა საცხოვრებელ ადგილზე, სამსახურში;

დ) დაკითხვა.

თუკი შემთხვევის ადგილზე ბრალდებული პირი ვერ იქნა ნაპოვნი, მაშინ უნდა მოხდეს აღნიშნული ადგილის დათვალიერება, მოწმეთა გამოკითხვა, რეკომენდირებულია მათი დაკითხვა შემთხვევის ადგილზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ დროს მიღებული მტკიცებულებები და საორიენტაციო ინფორმაცია ყოველმხრივ უნდა შეფასდეს შემდგომი საგამოძიებო და ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებათა კომპლექსის კორექტირებისათვის, რომელთა დაუყონებლივ განხორციელება განპირობებულია წინასწარ საგამოძიებო შედეგებით. (მაგალითად, საქმეში ჩახედული სხვა პირის გამოვლენა და დაკითხვა, სასამართლო ექსპერტიზების დანიშვნა) თუკი ამის შედეგადაც ვერ მოხერხდა ყაჩაღობის ჩამდენი პირის ადგილსამყოფლის დადგენა, შესაძლებელია ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას.

თუ განაჩენი იქნა გამოტანილი, მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მსჯავრდებულის ძებნისა და მოყვანის შესახებ.

პარალელურად ოპერატიულ დანაყოფებს უნდა მიეცეს შესაბამისი დავალება მიმალვაში მყოფი პირის ძებნის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული საგამოძიებო საქმიანობის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანების მისაღწევად, კერძოდ ასეთი ამოცანა შეიძლება იყოს:

1. იმ პირის ძებნა, ადგილსამყოფელის დადგენა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში წარდგენა, რომელიც ემალება გამოძიებას სასამართლოს;

2. დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად ქონების ძებნა და დადგენა;

ამის უზრუნველსაყოფად უნდა ჩატარდეს შემდეგი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები:

ა) პირის გამოკითხვა;

ბ) ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი;

გ) საკონტროლო შესყიდვა;

დ) კონტროლირებადი მიწოდება;

ე) საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა;

ვ) პიროვნების იდენტიფიკაცია (გაიგივება);

ზ) დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა;

თ) დადგენილი წესით დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა;

ი) დადგენილი წესით კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა;

კ) მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაცის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;

ლ) მოსამართლის ბრძანებით ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება; ელექტრული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს;

მ) ინტერნეტ ურთიერთობის მონიტორინგი;

ამ შემთხვევაში ოპერატიულ სამსახურს ეძლევა კონკრეტული დავალებები, ძებნილის ადგილსამყოფელის დასადგენად.

დაუშვებელია ოპერატიულ სამსახურზე ზოგადი და არაფრის მთქმელი დავალებების მიცემა. ამასთან უნდა შესრულდეს სხვა შემხვედრი და აუცილებელი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნება თავდამსხმელ პირთა დაკავება და გატაცებული ნივთების ამოღება.

მეხუთე სიტუაციაში - საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ოპტიმალური კომპლექსი მნიშვნელოვნად ფართოვდება.

უნდა აღინიშნოს ის, რომ ყაჩაღობის გამოძიება მიზანშეწონილია დაიწყოს შემთხვევის ადგილის დათვალიერებით, დაზარალებულთა და მოწმეების დაკითხვით. საგამოძიებო ღონისძიებებთან ერთად უნდა ჩატარდეს შესაბამისი ტაქტიკური ოპერაციები: დევნა, "ცხელ კვალზე" თავდასხმელთა მიმალვის გზების გადაკეტვა, ეზოსა და ბინების შემოვლა და სხვა.

ყაჩაღობის გამოძიების პროცესში უნდა იქნას გამოყენებული მონაცემები თავდამსხმელის გარეგნობის შესახებ, რომელსაც ხშირ შემთხვევაში იძლევიან დაზარალებული ან თვითმხილველები.

გამოძიების პროცესში უნდა მოხდეს მონაცემების გამოქვეყნება თავდამსხმელის საორიენტაციო ნიშნების შესახებ. ამ შემთხვევაში გამოიყენება ფოტოალბომები (ფოტო და ვიდეოთეკები), ფოტო რობოტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

საგამოძიებო პრაქტიკა მოწმობს, რომ აუცილებელია გამოძიების პროცესში გათვალისწინებულ იქნას კრიმინალისტური, ოპერატიულ-სამძებრო და ოპერატიულ-საცნობარო აღრიცხვის შესაძლებლობები და შესაბამისი ელექტრონული ბაზები. მაგალითად, ყაჩაღური თავდასხმის დროს სახეზეა დატოვებული ხელის თითების ანაბეჭდი, უნდა დაიგეგმოს და დაუყონებლივ უნდა მოხდეს მისი შემოწმება კართოტეკაში, ეს შესაძლებლობას მოგვცემს გამოვავლინოთ ამ თავდამსხმელთა მიერ ჩადენილი სხვა გაუხსნელი დანაშაულობები. გამოძიების პროცესში აუცილებელია დაზარალებულისაგან აღებული იქნას ხელის თითების ანაბეჭდი, ეს საჭიროა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითის კვალთან შესადარებლად, რათა მოძებნოს თავდამსხმელთა თითის კვალი. ასეთ მოქმედებებს ხშირად არ ასრულებენ გამომძიებლები, რაც აფერხებს საქმის გახსნას. ამგვარ ხარვეზს ავსებს ხოლმე ზემდგომი ინსტანციის მიერ მიღებული წერილობითი მითითებები.

მაგალითად, ყაჩაღობის საქმის შესწავლის შემდეგ სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის ერთ-ერთმა პროკურორმა გამომძიებლისათვის მიცემულ წერილობით მითითებაში სავსებით საფუძვლიანად მიუთითა და აღნიშნა: „სასამართლო დაქტილოსკოპიური ექსპერტიზით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითის კვალებიდან

ორი კვალი ვარგისია იდენტიფიკაციისათვის, მაგრამ დღემდის არ არის დაზარალებულების და ოჯახის სხვა წევრისაგან ხელის თითის ანაბეჭდები აღებული რათა გარკვეულიყო მათ ხომ არ ეკუთვნოდათ ამოღებული კვალები. საჭიროა დადგენილებათა და სათანადო ოქმით აღებული იქნას ნიმუშები, დაინიშნოს და ჩატარდეს სასამართლო დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა."

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა შემოწმდეს ყაჩაღური თავდასხმის ადგილიდან ამოღებული მასრები, ტყვიები, ასევე უნდა მოხდეს ე. წ ნომრიანი „ნივთების" (საათი, მაგნიტოფონის) გატაცების შემთხვევაში მათი შემოწმება და საქართველოს შსს საინფორმაციო ცენტრში აღრიცხვაზე აყვანა და სხვა.

მეექვსე სიტუაციაში, როცა თავდამსხმელი უცნობია და მასზე არ არსებობს არავითარი მონაცემები საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შინაარსი მეხუთე სიტუაციის ანალოგიურია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამ შემთხვევაში არ მოგვეპოვება მონაცემები გარეგნული ნიშნების შესახებ. ასეთ სიტუაციაში აუცილებელია შემუშავდეს დანაშაულის გახსნის ეფექტური, მკაფიო მიმართულებები. კერძოდ, „ცხელ კვალზე" თავდამსხმელის ძებნა. ეზოებისა და ბინების შემოვლა, თავდამსხმელის შესახებ მონაცემების მოპოვება და თვითმხილველების გამოვლენა, აღრიცხვაზე მყოფი პირების შემოწმება, რაც უნდა ჩატარდეს ყოველგვარი გახმაურების გარეშე.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე ოპერატიულ სამსახურს მიეცა ასეთი სახის დავალება:

„გაცნობებთ, რომ ჩემს წარმოებაშია სისხლის სამართლის #00002121 საქმე, მ. კ.-ს საცხოვრებელი სახლიდან მისი მეუღლისათვის - ნ. ც-სათვის განკუთვნილი ნარკოტიკული საშუალების-მორფინის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების ფაქტზე.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2008 წლის № თებერვალს დაახლოებით 15 საათსა და 15 წუთზე ქ. №-ში მდებარე მ. კ.-ს სახლში მივიდა გამოძიებით დაუდგენელი გოგონა, რომელიც ძალადობის გამოყენებით მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ნ. ც.-სათვის განკუთვნილ ნარკოტიკულ საშუალება მორფინს (10 მილიგრამი). დაზარალებულის ჩვენებით ირკვევა, რომ ნარკოტიკული საშუალება სახლში მიტანილი

იყო თავდასხმამდე რამდენიმე წუთით ადრე, ამასთან თავდამსხმელმა კარგად იცოდა ნარკოტიკული საშუალების შენახვის ადგილი, რაც გამოძიებას აძლევს ეჭვის საფუძველს, რომ თავდამსხმელი შეიძლება ყოფილიყო ამ ოჯახთან ახლო ურთიერთობაში მყოფი პირი ან ასეთის პირის მიერ გამოგზავნილი.

აღნიშნული ფაქტის გამოძიებისა და ჭეშმარიტების დადგენის მიზნით აქტიურად ვაწარმოებთ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს. მაგრამ მიგვაჩნია, რომ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დამნაშავე პირთა დადგენა-დაკავების მიზნით უნდა ჩატარდეს რაიონული სამმართველოს პირადი შემადგენლობის ერთობლივი ძალისხმევით.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:

1. დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ სამსახურებს გაატარონ კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მ. კ.-ს სამეზობლო და სამეგობრო წრის დადგენის და მათი პიროვნებების შესწავლის მიზნით;

2. მ. კ.-ს სამეზობლო და სამეგობრო წრის დადგენის შემდგომ გაირკვეს ხომ არ არის მათ შორის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, დადებით შემთხვევაში მეთვალყურეობის ქვეშ იქნას ისინი აყვანილი და მათ მიმართ გატარდეს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები;

3. ინფორმირებულ იქნას რაიონული სამმართველოს საუბნო განყოფილების უბნის ინსპექტორები, რომლებიც აწარმოებენ პატრულირებას № გამზირზე, რათა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ყურადღება გაამახვილონ მ. კ-ს ოჯახში ხშირად ან სტუმრად მისულ პირებზე;

თქვენს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, გთხოვთ, გვაცნობოთ წერილობით გონივრულ ვადაში."

თავი III. ყაჩაღობის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების ტაქტიკის თავისებურებანი

§1. ყაჩაღობის საქმეზე ღია საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკა

ა). შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება და ზოგადი დახასიათება

ყაჩაღობის გამოძიების ყველა შემთხვევაში აუცილებელია ჩატარდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რადგან ეს საგამოძიებო მოქმედება იძლევა შესაძლებლობას მიღებულ იქნას ინფორმაცია დანაშაულებრივი ქმედებისა და მისი ჩამდენი პირის (პირების) და მათ მიერ გამოყენებული საშუალებების შესახებ.

უნდა აღინიშნოს ის, რომ დათვალიერება არის მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და გამოკვლევის ერთ-ერთი საშუალება. მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში.

სწორედ შემთხვევის ადგილის სწორად და საფუძვლიანად დათვალიერება ხდება ხშირ შემთხვევაში საქმის გახსნის საწინდარი.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურში დათვალიერებას, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ჯერ კიდევ 1935 წელს პროფ. ი. ნ. იაკიმოვი (თავის მიერ გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში ერთმანეთისგან განასხვავებდა დათვალიერების ისეთ სახეებს, როგორიცაა, შენობის, ადგილმდებარეობის, დანაშაულის იარაღის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და პატარა ნივთების დათვალიერებას.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრების კომენტირებისას ქართველი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ „თითოეული სახის დათვალიერება მათი ჩატარების ტაქტიკური თვალსაზრისით ურთიერთისგან განსხვავდება, მაგრამ დათვალიერების ასეთი კვალიფიკაცია, ჩვენი აზრით, არასწორი იყო, რადგან მასში, ჯერ ერთი, არა-

ფერი იყო ნათქვამი თვით შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ. აქ გვამის დათვალიერებაც ცალკე სახედ არ იყო მოხსენიებული, მაშინ როცა იგი არსებითად განსხვავდება ყველა სახის საგნისა და ობიექტის დათვალიერებისაგან. მეორეც, არ შეიძლება დათვალიერების კვალიფიკაცია ვაწარმოოთ მარტოდენ ცალკეული საგნებისა და ობიექტების ნიშან-თვისებათა მიხედვით, ამასთან, თუ ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და პატარა ნივთების დათვალიერებას ცალკე სახედ გამოვყოფთ, მაშინ რატომ არ შეიძლება ასევე დათვალიერების დამოუკიდებელ ცალკე სახედ მივიჩნიოთ შემთხვევის ადგილზე დარჩენილი კვლების (ხილვადი, ლატენტური და სხვა) დათვალიერებაც?"[194]

ვიზიარებთ ქართველ მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რადგან საგნების ფორმის ან სხვადასხვა სახელწოდების მიხედვით მათი დათვალიერების ჩატარების ტაქტიკის ერთმანეთისაგან განსხვავება იმ ფორმით, რა ფორმითაც ის წარმოდგენილი იყო რუს მეცნიერთა შრომებში, არასწორად მიგვაჩნია.

მართალია, ნებისმიერი დათვალიერების ჩატარება ტაქტიკური თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ამ სახით დათვლიერების ობიექტებად დაყოფა არსებითად არასწორია. გასათვალისწინებელია ის, რომ დათვალიერების სახეების უფრო დახვეწილი ჩამოთვლა მოგვცა პ. ი. ტარასოვ-როდინოვმა თავის ნაშრომში „წინასწარი გამოძიება", რომელშიც დათვალიერება დაყოფილი იყო შემდეგ სახეებად:

1) შემთხვევის ადგილის დათვალიერება;

2) გვამის დათვალიერება, რაც დაკავშირებული არ იყო მკვლელობის, თვითმკვლელობის ან უბედური შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან;

3) კვალებისა და ლაქების დათვალიერება, რაც ასევე ცალკეულ შემთხვევაში დაკავშირებული არ იყო შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან;

4) ნივთიერდამამტკიცებელი საბუთების დათვალიერება;

5) დოკუმენტის დათვალიერება.

დათვალიერების სახეების კლასიფიკაციის შესახებ მცირეო-

194 შ. ფაფიაშვილი, თ. ინაიშვილი - შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ბათუმი 2002 წ. გვ. 6.

დენ სხვა მოსაზრებას გამოთქვამდა პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი. მისი აზრით, დათვალიერების სახეებია: დანაშაულის ადგილის დათვალიერება, ამოღებისა და ჩხრეკის დროს ჩამორთმეული საგნების - ნივთიერ-დამამტკიცებელი საბუთების დათვალიერება, გვამის დათვალიერება. დათვალიერების ცალკე სახედ მიიჩნევდა აგრეთვე საგამოძიებო ექსპერიმენტს. მისი აზრით, შემოწმებაც დათვალიერების ნაირსახეობაა.

"ავტორის ასეთი მოსაზრება - აღნიშნავს პროფ. შ. ფაფიაშვილი არასწორია და იგი გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს არც ისაა სწორი, რომ პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი ერთმანეთთან აიგივებს შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერების ცნებას"

ჩვენი აზრით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება განსხვავდება დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერების ცნებისაგან და მოიცავს ამ უკანასკნელს.

სავსებით შესაძლებელია შემთხვევის ადგილი და დანაშაულის ჩადენის ადგილი დაემთხვეს ერთმანეთს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი იდენტური არიან. მაგალითად, თბილისში მოწამლეს ბახტაძე, რომელიც მიემგზავრებოდა ბერლინში, სადაც ჩასვლისთანავე გარდაიცვალა. გვამის აღმოჩენის ადგილი შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევის ადგილად. ხოლო დანაშაულის ჩადენის ადგილად ის ადგილი, სადაც განხორციელდა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. (მოწამლვა)

ამდენად შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ, როგორც დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერება, ასევე ყველა იმ ადგილმდებარეობის დათვალიერება, სადაც მომზადდა ან ჩადენილ იქნა დანაშაული, ასევე ის ადგილები, სადაც დამალული ან აღმოჩენილ იქნა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნები და ობიექტები, დანაშაულის ნიშნები და სხვა სახის მტკიცებულებები.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნების შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ავტორთა ერთი ჯგუფი შემთხვევის ადგილის დათვალიერებას მიიჩნევს ისეთ საგამოძიებო მოქმედებად, რომელიც მიმართულია მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის გარემოების დადგენის მიზნით დანაშაულის ჩადენის მექანიზმის შესწავლის,

შემთხვევის გარემოების ფიქსაციისა და საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგნის აღმოჩენა-გამოკვლევისაკენ.

დ. ა. ტურიჩინი ავითარებს შეხედულებას, რომლითაც შემთხვევის ადგილის დათვალირების საბოლოო მიზნად მიჩნეულია სათანადო ინფორმაციის შეკრება დანაშაულის ჩადენისა და დამნაშავე პირის შესახებ. ზოგიერთი ავტორი კი ცდილობს, რაც შეიძლება მეტად გააფართოვოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება და შემთხვევის დათვალიერებას მიიჩნევს საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებათა კომპლექსად. ასეთი მსჯელობა, ჩვენი აზრით, არ არის სწორი. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებას ზოგჯერ შეიძლება თან სდევდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, მაგრამ ის არ ჩაითვალოს მის შემადგენელ ელემენტად. ამ საკითხზე სავსებით სწორად აღნიშნავენ შ. ფაფიაშვილი და თ. ინაიშვილი, რომ "შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნების ასეთი გაფართოება და მასში სხვა საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებათა ელემენტების შეტანა მაინც არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს, რადგან შემთხვევის ადგილის დათვალიერება საგამოძიებო მოქმედებიდან არ შეიძლება გადავაქციოთ საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებათა კოპლექსად."[195]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევის მიზნით მხარეს უფლება აქვს, დაათვალიეროს **შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, სათავსო, გვამი, საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.**"

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლით დათვალირების დამოუკიდებელ სახეებად მიჩნეულია:

1. შემთხვევის ადგილის დათვალიერება;
2. გვამის დათვალიერება; .
3. საცავის, სადგომის, სათავსოს დათვალიერება.

195 შ. ფაფიაშვილი, თ. ინაიშვილი - შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ბათუმი 2002 წ. გვ. 50-51.

4. საგნის დათვალიერება;

5. დოკუმენტის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალიერება.

კანონში ასევე მითითებულია კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის დათვალირებაზე.

აღსანიშნავია, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გახსნის საქმეში. გაუხსნელი საქმეების ანალიზი მოწმობს, რომ მათი 90% შემთხვევის ადგილის ზერელე დათვალირების შედეგია. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა შემთხვევის ადგილის დათვალიერებას საერთოდ არ ატარებენ, ან ჩატარებული დათვალიერება არ არის სრული, რაზეც მეტყველებს კონკრეტული საქმეებიდან მოპოვებული მონაცემები.

მაგალითად, ერთ-ერთ ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ ჩატარდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რომლის შედეგად ამოღებულ იქნა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი 5 ცალი მასრა. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, გამომძიებლის მიერ შემთხვევის ადგილი დათვალიერებულ იქნა არასრულად და დილეტანტურად, რაზეც მოწმობს გამოძიების პროცესში დაზარალებულის მიერ პერიოდულად მასრების ნარმოდგენის ფაქტი (დაახ.26 ც.) ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია შემთხვევის ადგილზე იყო რამდენიმე პიროვნება და გასროლა განხორციელდა რამდენიმე იარაღიდან. ამდენად რაც მეტი მასრა იქნება ამოღებული შემთხვევის ადგილიდან მით მეტი შესაძლებლობაა იმის დასადგენად თუ ვინ იყვნენ თავდამსხმელები, ასევე მათ მიერ გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი კიდევ ფიგურირებს თუ არა სხვა საქმეში, ან შესაბამის ბაზაში გვაქვს თუ არა მონაცემები ასეთი ტიპის იარაღის შესახებ. სავსებით შესაძლებელია ამოღებული 5 მასრიდან ხუთივე ყოფილიყო ერთი იარაღიდან გასროლილი, ხოლო დაზარალებულის მიერ წარმოდგენილი მასრები სხვა იარაღიდან. ასეთ შემთხვევეაში ფართოვდება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების არეალი, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საქმის გახსნას.

ბ). ყაჩაღური თავდასხმის ადგილის დათვალიერების ტაქტიკის თავისებურებანი

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ყაჩაღობის საქმეზე წარმოადგენს გადაუდებელ პირველდაწყებით საგამოძიებო მოქმედებას, რომლის დროსაც აღმოჩენილი მტკიცებულებები იძლევა ნოყიერ ნიადაგს საგამოძიებო ვერსიების და გამოძიების მიმართულების აგებისა და წინასწარი გამოძიების მიმართულების სწორად განსაზღვრისათვის.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მტკიცებულებათა მოპოვება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მცოდნე და გამოცდილი გამომძიებელი და სპეციალისტი აწარმოებენ მას. მტკიცებულებათა აღმოჩენის, მისი ამოღების შეუძლებელობა სხვა ობიექტურ ფაქტორთან ერთად დამოკიდებულია შემთხვევის ადგილის დამთვალიერებელ სუბიექტის პროფესიონალიზმზე.

თავის დროზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების მნიშვნელობა ხაზგასმული იყო საქართველოს გენერალური პროკურორის სპეციალური ბრძანებით შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში პროკურორის მონაწილეობის შესახებ, ასევე შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 10 აგვისტოს №1008 ბრძანებით „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარ გამოძიებაზე უფლებამოსილი დანაყოფების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 335–ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლის გამკაცრების შესახებ“, რომელიც გამოცემულია შემთხვევის ადგილის სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური დათვალიერების, არსებულ კვალთა და სხვა ნივთიერ მტკიცებულებათა დაზიანებისა და განადგურების თავიდან აცილების, ადგილზე სპეციალისტთა საქმიანობისათვის ხელის შემშლელი გარემოებების აღმოფხვრის, გამოძიების სწორი მიმართულებით წარმართვისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

მიუხედავად ამისა, ხშირად ბრძანების მოთხოვნა არ სრულდება. მაგალითად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ იქნა მოქალაქე მ-ს გვამი, რომელსაც სხეულზე მიყენებული ჰქონდა მრავალი ჭრილობა. დათვალიერება ჩაატარა გამომძიებელმა გ-მ სპეციალისტის, პროკურორის და დამსწრე პირების მონაწი-

ლეობის გარეშე. დათვალიერების ოქმზე კი თვითონ მოაწერა ხელი. საქმე უმოძრაოდ იდო და იგი გაიხსნა დამნაშავის ბრალის აღიარებით გამოცხადების შედეგად.

ასეთი საქმეები პრაქტიკაში უამრავია და ისინი არაერთხელ გამხდარა საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიის განხილვის საგანი.

საკმარისია მოვიყვანოთ ხომასურიძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და ამ უკანასკნელის განზრახ მკვლელობის ფაქტი, სადაც ამ მძიმე დანაშაულის შემთხვევის ადგილი პროკურორის მონაწილეობის გარეშე დაათვალიერა სტაჟიორ-გამომძიებელმა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებაზე მსჯელობისას არ შეიძლება არ შევეხოთ დათვალიერების მიზანს და ამოცანებს.

საქართველოს სსსკ-ის 125-ე მუხლის თანახმად, დათვალიერების მიზანია დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევა.

როგორც ვხედავთ, სსსკ-ში დათვალიერების მიზანი ამომწურავი არ არის. შემთხვევის ადგილის დათვალირების მიზანი, ჩვენი აზრით, ასევე არის დათვალიერების შედეგების ფიქსაცია. მოპოვებული მასალების საფუძველზე საგამოძიებო ვერსიების აგება და შემოწმება, საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტობრივი გარემოებებისა და დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა შესახებ საჭირო მონაცემების მიღება, დამნაშავეთა ცხელ კვალზე დევნა და სხვა.

შემთხვევის ადგილის დათვალირების ამოცანების დასაბუთებულ ჩამოთვლას იძლევა ი. მასკუტოვი თავის ნაშრომში „შემთხვევის ადგილის დათვალიერება." მისი აზრით, შემთხვევის ადგილის დათვალირების ძირითადი ამოცანაა:

1) კვალებისა და სხვა დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენა და გამოკვლევა;

2) შემთხვევის ადგილის გარემოების გამოკვლევა;

3) დათვალიერების დროს აღმოჩენილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების ფიქსაცია;

4) საქმის ფაქტიური გარემოებისა და მის მონაწილეთა შესახებ ვერსიების აგება და შემოწმება.

5) ახალი მტკიცებულებების მიღების წყაროებისა და სამძებრო მოქმედებათა წარმოებისათვის საჭირო მონაცემების გამოკვლევა და დადგენა.[196]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-128-ე მუხლების თანახმად დათვალიერების ჩატარების მოთხოვნით სასამართლოში შუამდგომლობით მიმართვის და უშუალო დათვალიერების უფლება აქვს მხარეებს.

ჩვენი აზრით, ისეთი მნიშვნელოვანი საგამოძიებო ქმედება, როგორიცაა შემთხვევის ადგილის დათვალირება, უნდა აწარმოოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირმა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს პრაქტიკის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები.

საქმეები, სადაც შემთხვევის ადგილი დათვალიერებულ იქნა არაპროფესიონალის მიერ, ძნელად გასახსნელ საქმეთა რიცხვს უნდა მიეწეროს, რადგან საგამოძიებო მოქმედებათა ნაწილი უკანონოდ ან დილეტანტურად იქნა შესრულებული, რამაც გამოიწვია მტკიცებულების განადგურება ან სასამართლოს მხრიდან დაუშვებელ მტკიცებულებად გამოცხადება.

შემთხვევის და სხვა ადგილის დათვალირების წესს არეგულირებს სსსკ-ის 127-ე მუხლი, რომლის თანახმად, „1. შემთხვევის ადგილის დათვალიერება ტარდება იქ, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი. დათვალიერების დამთავრებამდე შემთხვევის ადგილი დაცული უნდა იყოს.

1[1]. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) და 281-ე (ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, როდესაც არსებობს მტკიცებულების განადგურების, დაკარგვის ან დაზიანების საშიშროება, შემთხვევის ადგილის დაცვის უზრუნველმყოფ უფლებამოსილ თანამდებობის პირს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაწყებამდე შეუძლია მტკიცებულების ფიქსაცია ტექნიკური საშუალების გამოყენებით და შენახვა.

2. საცხოვრებელ, სამსახურებრივ სადგომში ან დახურულ

196 შ. ფაფიაშვილი, თ. ინაიშვილი - შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ბათუმი 2002 წ. გვ. 54.

ტერიტორიაზე დათვალიერების მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში მხარე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს. სასამართლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას დათვალიერების ჩასატარებლად გამოაქვს განჩინება. განჩინება ხელმოწერით უნდა გააცნონ პირს, რომლის ბინაშიც ტარდება დათვალიერება, ხოლო თუ დათვალიერება ტარდება იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში – მის ხელმძღვანელს ან წარმომადგენელს.

3. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება შესაძლოა ჩატარდეს ამ კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული წესით.

ყაჩაღური თავდასხმის ადგილის დათვალირება მიზანშეწონილია დაწყებული იქნას უშუალო თავდასხმის ადგილიდან, მაგრამ გასათვალისწინებელია ყაჩაღობის ჩადენის ადგილი, რადგან მის შესაბამისად იცვლება დათვალიერების საწყისი ადგილი და წესი. თუ ყაჩაღობა ჩადენილია ღია ადგილზე, მაშინ დათვალიერება იწყება უშუალო თავდასხმის ადგილიდან, ხოლო თუ თავდასხმა ჩადენილია შენობაში, მაშინ დათვალიერება პერიფერიიდან ცენტისაკენ. გამომძიებელმა ან პროკურორმა აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება აწარმოონ ფოტო და კინოგადაღება, ხმის ჩაწერა, ვიდეო ჩაწერა, შეადგინონ გეგმა, სქემა, ნახაზი. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი იქნება ფეხის კვალი დაგდებული ან დავარდნილი იარაღი, გასროლილი მასრები, თავდამსხმელის მიერ დატოვებული მისი ტანსაცმელი ან მისი ნაწილები, სხვა საგნები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას სასურველია მოწვეულ იქნას ექსპერტი და აგრეთვე დაზარალებული (თუ ამის შესაძლებლობებას იძლევა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა). თავდასხმის უშუალო ადგილის დათვალიერების შემდეგ უნდა გაფართოვდეს დათვალიერების ზონა და უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერება დატოვებული ყოველნაირი კვალის (ფეხსაცმლის ნაკვალევი, ხელის, დანაშაულის იარაღის, სისხლის ლაქების ნაკვალევი). თავდამსხმელის კუთვნილი სხვადასხვა საგნებისა და მათი ნაწილების აღმოსაჩენად.

გამომძიებელმა უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა დაადგინოს სხვა ნივთიერი მტკიცებულებები, რომლებიც მეტყველებენ შემთხვევის ადგილზე თავდამსხმელის ყოფნის შესახებ.

დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგნები თუ დოკუმენტები მათ ამოღებამდე უნდა წარუდგინონ დათვალიერების მონაწილეებს.

ამასთან უნდა მოხდეს მხოლოდ საქმესთან დაკავშირებული საგნის, დოკუმენტის, კვალის, ტვიფრის ან ანაბეჭდის ამოღება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების სუბიექტებმა დათვალიერება უნდა აწარმოონ კრიმინალისტიკის მიერ დამუშავებული საერთო ტაქტიკური წესების მიხედვით.

ზოგიერთი თავისებურება განპირობებულია კონკრეტული ადგილითა და ხელყოფის წესით. მაგალითად, ღია ადგილზე თავდასხმის შემთხვევაში ზუსტად უნდა იქნეს შესწავლილი და დათვალიერებული ის ადგილები, სადაც შეიძლებოდა დამალულიყო თავდამსხმელი თავდასხმამდე, რადგან ჩასაფრებაში ყოფნის დროს თავდასხმელები არ იქცევიან ფრთხილად და სხვადასხვაგვარ კვალს და ზოგიერთ კვალს ტოვებენ მათ მიერ შერჩეულ ადგილზე.

თუ შემთხვევის ადგილი მატარებლის ვაგონია, მაშინ თავდასხმის ადგილის ზუსტ გამოკვლევასთან ერთად საჭიროა დათვალიერდეს ვაგონის კუპე, საპირფარეშო ოთახი და სხვა. აგრეთვე უნდა დათვალიერდეს გზისპირა თხრილები, რადგან იქ შეიძლება აღმოჩენილ იქნას ფეხის ნაკვალევი, თავდამსხმელის მიერ დაკარგული ან დაზარალებულის სპეციალურად გადაგდებული ნივთები და ა.შ

როცა მიმდინარეობს ტაქსის მძღოლებზე ყაჩაღური თავდასხმის საქმეების გამოძიება, მაშინ აუცილებელია დათვალიერდეს არა მარტო ავტომანქანა, არამედ ის ადგილებიც, სადაც თავდამსხმელები ჩასხდნენ ავტომანქანაში და ადგილი სადაც დატოვეს ავტომანქანა. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს თავდამსხმელთა ადგილსამყოფელის დადგენას.

როდესაც ხდება ბინაში ან საცხოვრებელში ყაჩაღური თავდასხმის ადგილის დათვალირება, აუცილებლად უნდა დადგინდეს თავდამსხმელის მიერ ბინაში შეღწევის გზა და ხერხი. დათვალიერება უნდა დავიწყოთ საცხოვრებლის მისადგომებიდან.

(სადარბაზო, კიბე, შესასვლელი). შემდეგ კი ოთახები, სადაც შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთი ნიშნები, რომლებიც მოწმობენ თავდამსხმელთა რაოდენობის შესახებ. ასეთი შეიძლება იყოს:

- სხვადასხვა დაბრკოლებები (შესასვლელი კარი, ჩამკეტი მოწყობილობები, კარადების კარები), რომელთა გადალახვა და დაზიანება მოუწიათ თავდამსხმელებს ნივთების დაუფლების, გადაადგილების მიზნით.

- ის უშუალო ადგილები, სადაც მდებარეობდა დაუფლებული ნივთები და აგრეთვე საგნები, რომელთა პირვანდელი (საწყისი) მდგომარეობა დარღვეულ იქნა თავდამსხმელთა მიერ.

- თავდამსხმელთა ყოფნის ადგილების დათვალირებისას უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ თავდამსხმელები ხშირად ისეთ მოქმედებებს მიმართავენ, რაც არ არის დანაშაულებრივი (მაგალითად, ჭამენ, სვამენ, ეწევიან) მაგრამ უკავშირდება და ადასტურებს მათ ყოფნას ბინაში.

ბინის დათვალიერებისას გამომძიებელმა ან პროკურორმა უნდა შეამოწმოს ფანჯრის ყველა ნაწილი და იქიდან ამოღებული მინა ან მინის ნატეხები, რათა მასზე აღმოაჩინოს ხელის თითების ან ფეხის კვალი და სხვა. ასეთი საგნების დათვალირება უნდა მოხდეს ფრთხილად, რადგან არ ჰქონდეს ადგილი ჩვენს მიერ თითების კვალის დატოვებას ან იქ არსებულის დაზიანებას. მინაზე დარჩენილი თითის უჩინარი კვალის აღმოჩენის მიზნით მინის ნატეხი უნდა დავიკავოთ კიდეებით და გავხედოთ გამჭოლ სინათლეზე, ან მასზე სინათლის წყარო დავანათოთ 25-30 გრადუსიანი კუთხით, ან გამოვიყენოთ სხვა სპეციალური სამეცნიერო ტექნიკური საშუალებები. ასეთ დროს აუცილებელია ექსპერტის მოწვევა, რომელიც უფრო კომპეტენტურია ამ ფუნქციების შესასრულებლად.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს შეიძლება აღმოჩნდეს სიგარეტის ნამწვავები ან სიგარეტები, რომლებსაც გააჩნიათ (ან არ გააჩნიათ) ფილტრი. გამომძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას თუ როგორია სიგარეტის ნამწვავზე კბილების კვალი, ან როგორ არის ის ჩანაქრობი. (მაგალითად, ზოგი აგდებს ნამწვავს ჩაუქრობლად, ზოგი აქრობს მას ფეხის დაჭერით, ზოგი კი - რაიმე საგანზე მიბჯენით.)

ნამწვავები ამოიღება და იგზავნება სასამართლო-ბიოლო-

გიურ ექსპერტიზაზე, სადაც უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები:

-არის თუ არა დატოვებული ნერწყვი.

-რამდენი პირის მიერ არის მოწეული სიგარეტი.

კბილის კვალი რჩება ცალკეულ საგნებზე, რომელთაც აქვთ რბილი ზედაპირი (მაგალითად, შოკოლადი, კარაქი, ყველი, ვაშლი, სიგარეტი და ა.შ) გარდა პროდუქტებისა და საგნებისა კბილის კვალი რჩება ადამიანის სხეულზე (როგორც დაზარალებულის, ასევე შეიძლება ბოროტმოქმედის ტანზე).

იმ შემთხვევაში, როდესაც კბილის კვალი დატოვებულია ადამიანის სხეულზე, მისი გამოკვლევა შეადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციას, კერძოდ კი სტომატოლოგიური ექსპერტიზის შესწავლის საგანს. სხვადასხვა სახის საგნებზე კბილის კვალის გამოკვლევას აწარმოებს ექსპერტ-ტრასოლოგი, გარკვეულ შემთხვევაში კბილი კვალის მიხედვით პიროვნების იდენტიფაკაციის საკითხის გადასაწყვეტად ინიშნება კომპლექსური (სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზა).

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თავდამსხმელები შემთხვევის ადგილზე სჩადიან ისეთ ქმედებებს, როგორიცაა საჭმლის ჭამა, დალევა, სხვადასხვა ხილის (ვაშლის, მსხლის) მოკბეჩა. აღნიშნული ნივთების (პროდუქტების) ნარჩენების ამოღება და ექსპერტიზაზე გაგზავნა მისი შემდგომი გამოკვლევის მიზნით იძლევა პიროვნების იდენტიფიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ შესაძლებელია შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდეს ისეთი პროდუქტები, რომლებიც არის მალფუჭებადი, ამიტომ უნდა მოხდეს ტვიფარის დამზადება, სასურველია დაამზადოს სპეციალისტ-კრიმინალისტმა ან სპეციალისტ მედიკოსმა.

იმ შემთხვევაში, როცა თავდამსხმელი შემთხვევის ადგილზე ტოვებს ტანსაცმელს ან სხვა ნივთს, ძალიან დიდ როლს თამაშობს თავდამსხმელის ინდივიდუალური ისეთი ნიშან-თვისება, როგორიცაა სუნი.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამოღებული ნივთიერების ჰერმეტიზაცია და ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენახვა. (დაახლოებით სამი წლის მანძილზე) აუცილებელია ამ ნივთიერების და დანაშაულის იარაღის პოლიეთილენის პაკეტში

მოთავსება, შემდგომში მათი გამოყენება შესაძლებელია ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩატარების დროს.

გარდა ამისა, ძალიან ეფექტურია სამედიცინო შპრიცების დახმარებით ხელის, ფეხის, გატეხის იარაღის ზედაპირიდან აღებული ჰაერის სინჯების მოთავსება ჰერმეტულად დახურულ ტევადობაში, ანაბეჭდებიდან სუნის დასაგროვებლად რეკომენდირებულია სტერილური ბამბის ან მარლის ტამპონების გამოყენება. გაწვრთნილი ძაღლი უტყუარად ამოარჩევს სუნით (რომელიც ამოღებულია შემთხვევის ადგილზე) თავდასხმის მონაწილეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფური ყაჩაღური თავდასხმის გამოძიების დროს.

პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ყაჩაღური თავდასხმები უმრავლეს შემთხვევაში პირთა ჯგუფების მიერ არის ჩადენილი, ასეთ შემთხვევაში დანშაულის გახსნისათვის და ყველა თანამონაწილის გამოვლენისათვის აუცილებელია ისეთი ნივთიერი მტკიცებულებების ამოღება და გამოკვლევა, როგორიცაა მიკროკვალი და მიკრონაწილაკები.

კრიმინალისტიკაში მიკრო ნაწილაკები ეწოდება მყარ მატერიალურ სხეულს, რომლის ზომა არ აღემატება 1 მმ, ხოლო მიკრო კვალი არის სხვადასხვა სითხეების შედეგად დატოვებული კვალი რომლის წონა არ აღემატება 1 მგ.

მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელები ზოგჯერ ძალიან პროფესიონალურად იქცევიან და მალავენ, ან ანადგურებენ თავიანთ მიერ დატოვებულ სხვადასხვა კვალს, ისინი მაინც ვერ მოსპობენ ისეთი სახის მტკიცებულებებს (კვალებს), რომელთა შესახებ მათ არ იციან და რომც იცოდნენ, ისინი ვერ შესძლებენ მათ განადგურებას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შეღწევა და პირთა დაყაჩაღება უკავშირდება გარკვეული სახის დაბრკოლებების გადალახვას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გატეხვის ადგილი წარმოადგენს მიკრო ობიექტების კომპლექსური თავმოყრის ერთ-ერთ ძირითად ადგილს, ამიტომ მათი დეტალური გამოკვლევა აუცილებელია.

არსებობს ბინის შესასვლელი კარის გატეხვის სხვადასხვა ხერხი. მაგალითად, მძიმე საგნებით, ფეხის დარტყმით, რამდენიმე თადამსხმელის ხელის, ბეჭის დარტყმით ან იარაღით შემ-

ტვრევა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ თავდამსხმელები, გატეხვის იარაღები, გატეხილი, დაზიანებული დაბრკოლებები, მისი გადალახვის მომენტში იმყოფებიან ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში რაც წარმოადგენს მიკრო ობიექტების წარმოქმნის წყაროს. ბინაში შეღწევის დროს კარის ჩარჩო და კარი არის ისეთი მიკრო ობიექტის წყარო, როგორიცაა ბათქაშის, ან საღებავის ნაწილები.

ყაჩაღობის გამოძიების პროცესში გატეხვის იარაღთა და ხელსაწყოთა კვალის მიხედვით შეიძლება დადგინდეს ისეთი ფაქტები და გარემოებები, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ჩადენილი დანაშაულის გახსნისათვის. კერძოდ, გატეხვის იარაღის კვალთა მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ თავდამსხმელის ფიზიკურ შესაძლებლობებზე, მის პროფესიულ ჩვევაზე, პირთა რაოდენობაზე, შეღწევის ხერხზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გატეხვის ობიექტი სხვადასხვაა, ამიტომ მათი ამომწურავი ჩამოთვლა შეუძლებელია. ყაჩაღური თავდასხმების დროს გვხვდება გატეხვის ისეთი ობიექტები როგორიცაა; ბოქლომები, საკეტები, სეიფები, ფანჯრები, კარები და ა.შ.

თავდამსხმელები თავის მხრივ არიან ისეთი მიკრო ობიექტების წყაროები, როგორიცაა ქსოვილის ბოჭკოები, თმა, სისხლი, ნერწყვი, ოფლი, და სხვა ბიოლოგიური გამონაყოფი. ასეთი მიკრო კვალი და მიკრო ნაწილაკები შეიძლება აღმოჩენილ იქნას გადალახულ დაბრკოლებებზე, იატაკზე და საგნებზე, რომელსაც თავდამსხმელები ეხებოდნენ, დაგდებულ ან შემთხვევით დავიწყებულ ნივთებზე გატეხვის დროს გამოყენებულ იარაღზე. გატეხვის იარაღიდან შეიძლება ჩამოცვივდეს ლითონის ან მისი შენადნობის, საღებავის ან სხვა საფარის ნაწილები, რომლებიც შეიძლება მოხვდნენ თავდამსხმელის ტანსაცმელზე, თმაზე და ა.შ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყაჩაღობის დროს ხშირად გარდაუალი ხდება თავდამსხმელისა და დაზარალებულის კონტაქტი, როცა მათ შორის მიმდინარეობს ბრძოლა, რაც თავისთავად წარმოქმნის მიკრო ობიექტებს თავდამსხმელზეც და დაზარალებულზეც. ასეთი მიკრო ობოექტების აღმოჩენის და

ამოღების მიზნით შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აუცილებელია მოწვეულ იქნას ექსპერტ-კრიმინალისტი. ყოველი მიკრო კვალი და მიკრო ნაწილაკი შემთხვევის ადგილზე, ადამიანის სხეულზე, ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე აღმოჩნდება ან ვიზუალური წესით, ანდა ტექნიკური და ოპტიკური ხელსაწყოების გამოყენებით (გამადიდებელი მინა, მიკროსკოპი, ულტრაისფერი, ინფრაწითელი და რენტგენის სხივები და ა.შ.) ყაჩაღური თავდასხმის ადგილის დათვალირებისას შეიძლება აღმოჩენილ იქნას დაზარალებულის ან რომელიმე თავდამსხმელის სისხლის კვალი. აღმოჩენილი სისხლის კვალი თავის ფორმითა და ოდენობით სხვადასხვა შეიძლება იყოს. ის შეიძლება შეგვხვდეს წვეთის, ნაცხის, შხეფის, ლაქისა და გუბის სახით.

გამომძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა საგანს, თვალით შეუმჩნეველ და დაფარულ ადგილს. (იატაკის ღრიჭოებს) სააბაზანოს და იქ განლაგებულ ნივთებს და ა.შ.

სისხლის კვალის გამოკვლევის დროს სასამართლო-ბიოლოგიური ექსპერტიზის წინაშე შეიძლება დაისვას შემდეგი კითხვები:

1. არის თუ არა სისხლი გამოსაკვლევი ობიექტი.
2. თუ სისხლია, ადამიანისაა თუ ცხოველის.
3. თუ ცხოველისაა, კონკრეტულად, რომელი სახის ცხოველს ეკუთვნის.
4. თუ ადამიანისაა, მისი ჯგუფი და ტიპი.
5. მამაკაცისაა თუ ქალის.
6. მოზრდილი ადამიანისაა თუ ბავშვის.
7. სხეულის რომელი ნაწილიდანაა (რეგიონული წარმოშობა)
8. სისხლის კვალის ხანდაზმულობა.
9. სისხლის კვალის რაოდენობის განსაზღვრა.
10. სისხლი მენსტრუალური წარმოშობისაა თუ არა.
11. სისხლი ხომ არ ეკუთვნის ორსულს.
12. სისხლის კვალი ცოცხალისაა თუ გვამის.
13. სისხლის კვალის წარმოშობის მექანიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელები ცდილობენ მოსპონ სისხლის კვალი, შემთხვევის ადგილზე მაინც რჩება გარკვეული სახის მიკრო კვალი, ამიტომ ზემოთ ნახსენები ადგილების დათვალირება აუცილებელია.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ყაჩაღური თავდასხმების უმრავლესობა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ხდება, ამიტომ გამომძიებელმა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გულდასმით უნდა მოძებნოს მასრა, ტყვია, საფანტი და სხვა საგნები, რომელზეც შესაძლოა დარჩენილიყო მისი გამოყენების კვალი, მასრისა და ტყვიების მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს იარაღის სახეობა, სისტემა და კალიბრი.

შემთხვევის ადგილიდან მასრებისა და ტყვიების ამოღება გამოძიებას აძლევს შესაძლებლობას მოძიებულ იქნას იარაღი და აგრეთვე ის პირები, რომლებმაც ის გამოიყენეს ყაჩაღური თავდასხმის დროს.

უნდა აღინიშნოს ის, რომ ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ დაზიანებებს ეკუთვნის სხეულზე არსებული ისეთი დაზიანებები, რომლებიც ვითარდება საბრძოლო საშუალებების, ფეთქებადი ნივთიერებების და ჭურვის აფეთქების შედეგად.

ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული დაზიანებების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ძალიან რთულია, რადგან არსებობს მრავალი ნაირსახეობა. ყაჩაღური თავდასხმების დროს ხშირად გამოიყენება ხელით სახმარი ცეცხლსასროლი იარაღები, რომლებიც დანიშნულების მიხედვით იყოფა:

1. საბრძოლო - რევოლვერები, შაშხანა, ავტომატ-კარაბინი, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, პისტოლეტი, კარაბინი.

2. სპორტული - მცირე კალიბრიანი შაშხანები და პისტოლეტები, რომელთა კალიბრი 5,6 მმ.

3. სანადირო თოფები - გლუვლულიანი საფანტის თოფები (საფანტის, კარტეჩის[197] ან სპეციალურად დამზადებული ტყვიების სასროლად), ტყვიის (ხრახნულიანი) და თოფები (ტყვიის და საფანტისათვის)

გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ სანადირო თოფებს შეიძლება ჰქონდეთ ერთი, ორი, სამი ან ოთხი ლულა. სანადირო თოფის კალიბრი სხვადასხვაა: 10 მმ-დან 32 მმ-მდე, შედარებით გავრცელებულია 12 მმ და 16 მმ კალიბრიანი სანადირო თოფები.

აღსანიშნავია ის, რომ ცეცხლსასროლი იარაღები თავისი

197 ახლო მანძილზე სროლისათვის განკუთვნილი საარტილერიო ჭურვი, რომელიც გატენილია მრგვალი ტყვიებით.

პირდაპირი ფუნქციით მხოლოდ ვაზნების საშუალებით ტოვებს საჭირო კვალს. ვაზნა წარმოადგენს ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალას, რაც ორ ჯგუფად იყოფა: ვაზნა ხრახნიანი იარაღებისათვის და ვაზნა გლუვლულიანი იარაღებისათვის. რაც შეეხება ტყვიას, ის ფორმის მიხედვით არის ნახევრად სფეროსებური, წაგრძელებული, კონუსის მაგვარი და ბრტყელი თავის, ყაჩაღობის გამოძიების პროცესში, როცა შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღის მასრები და დაზარალებულზე მიყენებულია დაზიანება, მაშინ აუცილებელია დაინიშნოს, როგორც სასამართლო-სამედიცინო, ისე ბალისტიკური ექსპერტიზა.

გ). დაზარალებულის დაკითხვა.

დაკითხვა ტარდება დაუყოვნებლივ შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ, ცალკეულ შემთხვევაში (როდესაც დანაშაულის მომენტიდან გაივლის დიდი დრო) შესაძლებელია ჩატარდეს მანამდეც. დაზარალებულის დაკითხვა შეიძლება გადაიდოს, ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის გამო.

ყაჩაღობის შედეგად დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკური თავისებურებები განისაზღვრება რიგი ფაქტორებით, რომელთაც უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნება: კონკრეტული საგამოძიებო სიტუაცია, დაზარალებულს შეიძლება გააჩნდეს მონაცემები თავდამსხმელის შესახებ, დაზარალებულს შეიძლება ახასიათებდეს ან არ ახასიათებდეს ვიქტიმური ქცევა.

თუკი შემთხვევის ადგილას გადის საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი, არის შესაძლებლობა ვაწარმოოთ დაზარალებულის დაკითხვა დათვალიერებასთან ერთად. დაკითხვის შედეგად მიღებული ცნობები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს გამომძიებელსა და თანამშრომლებს, რომლებიც ატარებენ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს. ზოგიერთ შემთხვევაში დაკითხვის უმნიშვნელო დაყოვნებაც კი უარყოფითად აისახება გამოძიების შედეგებზე, მაგალითად, დაზარალებულზე ამ მომენტში შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ბრალდებულმა.

დაზარალებულის დაკითხვის დროს ნებისმიერ შემთხვევაში

აუცილებელია გაირკვეს შემდეგი რამ:

1) სად, როდის და რა გარემოებებში მოხდა ყაჩაღური თავდასხმა;

2) როდის და რასთან დაკავშირებით აღმოჩნდა დაზარალებული შემთხვევის ადგილზე;

3) ცნობილია თუ არა მისთვის ის გარემოებები, რომლებიც წინ უსწრებდა ყაჩაღურ თავდასხმას;

4) კიდევ ვინ იმყოფებოდა თავდასხმის დროს შემთხვევის ადგილზე;

5) თავდამსხმელთა რაოდენობა და ყოველი მათგანის გარეგუნული ნიშნების მაქსიმალური, დაწვრილებითი აღწერა;

6) თითოეული თავდამსხმელის მხრიდან ძალადობრივი ქმედებების და მუქარის ხასიათი და თანმიმდევრობა;

7) იარაღის არსებობა, მისი დახასიათება და გამოყენების გარემოება;

8) თავდამსხმელებს შორის ერთმანეთთან ურთიერთობის მეთოდები დანაშაულის დამთავრებამდე;

9) შემთხვევის ადგილზე თავდამსხმელის შეღწევის წესი და მათი გასვლის მომართულება;

10) სატრანსპორტო საშუალების არსებობა და დახასიათება, რომლებიც გამოყენებული იყო თავდამსხმელთა მიერ ან მდებარეობდა სიახლოვეში დანაშაულის ადგილთან;

11) დაზარალებულისა და მასთან მყოფი პირების ქმედებების ხასიათი დანაშაულის ჩადენამდე, დანაშაულის ჩადენის დროს და ჩადენის შემდეგ;

12) განათება, ხილვადობა, სმენადობა და აგრეთვე ამინდის პირობები დანაშაულის ჩადენის მომენტში;

13) როგორი დაზიანებები და რა ვითარებაში მიაყენეს დაზარალებულს ან მის ტანსაცმელს დანაშაულის ჩადენის მომენტში;

14) როგორი სახის დაზიანება და კვალი შეიძლებოდა დარჩენილიყო დაზარალებულის სხეულზე ან ტანსაცმელზე დანაშაულის ჩადენის დროს;

15) გატაცებული ნივთების დასახელება, ღირებულება და ინდივიდუალური ნიშნები;

16) მონაცემები დაზარალებულის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ (ავადმყოფობა, მხედველობის, ყურთა სმენის მდ-

გომარეობა, სიმთვრალე) და აგრეთვე მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ თავდასხმის მომენტში;

17) ვის შეიძლებოდა სცოდნოდა დაზარალებულის ამა თუ იმ ფასეულობების შესახებ;

18) ვის მოახსენა პირველად მომხდარის შესახებ დაზარალებულმა და მიიღო თუ არა რაიმე ზომები თავდამსხმელის დევნის თვალსაზრისით;

19) შეუძლია თუ არა დაზარალებულს ამოიცნოს თავდამსხმელი და გატაცებული ნივთები და კონკრეტულად რა ნიშნის მიხედვით შეუძლია ამოიცნოს;

20) სამართალდამცავი ორგანოებისადმი დაგვიანებული მიმართვის მიზეზი;

იმ შემთხვევაში, როდესაც დაკითხული რაიმე მიზეზის გამო ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვას, საჭიროა გაირკვეს ხომ არ მოახდინეს მასზე ზემოქმედება დამნაშავემ და ან სხვა პირებმა ჩვენების შეცვლის მიზნით (მოსყიდვა, შანტაჟი, მუქარა); ხომ არ აქვს დაკითხულს ეჭვი მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით და თუ აქვს რას ეყრდნობა მისი ეჭვი.

ყაჩაღური თავდასხმის ხელშემწყობი ან მისი განხორციელების შემამსუბუქებელი გარემოებების გარკვევისას გამომძიებელმა უნდა მიიღოს პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- დაზარალებულის გარემოცვიდან ვინ მოდიოდა ყველაზე ხშირად ბინაში, ავლენდა ინტერესს ძვირფასი ნივთების არსებობისა და შენახვის ადგილის მიმართ, ოჯახის წევრების დღის განრიგის მიმართ;

- იმყოფებოდა თუ არა ყაჩაღურ თავდასხმამდე დაზარალებულის ბინაში ვინმე უცხო რაიმე საბაბით; თუ იმყოფებოდა, როგორ წარადგინა თავი, რას აკეთებდა, რა იყო საეჭვო მის ქცევაში და როგორი იყო მისი გარეგნული ნიშნები;

- ვისთან ჰქონდა კონფლიქტი დაზარალებულს ან მისი ოჯახის წევრებს და რა იყო ამ კონფლიქტის მიზეზი;

- დაკითხულის აზრით, რა გარემოებამ შეუწყო და გააიოლა თავდასხმა დაზარალებულზე და ვის შეიძლებოდა სცოდნოდა ამ ხელსაყრელი გარემოების შესახებ;

- რატომ არ სარგებლობს დაზარალებული ტექნიკური საშუალებებით, დაცვის სიგნალიზაციით, რომელიც თავსდება

საცხოვრებელში (შენობაში) ავტონომიურად ან შეერთებულია ცენტრალური დაცვის პულტთან;

მოცემული საკითხები არაა ამომწურავი. ისინი შეიძლება იცვლებოდეს ყაჩაღური თავდასხმის კონკრეტული მდგომარეობიდან ან დაკითხვის მომენტისათვის შექმნილი საგამოძიებო სიტუაციიდან გამომდინარე.

ჩამოთვლილი კითხვების ანალოგიური შეკითხვები შეიძლება დასმულ იქნას მოწმე თვითმხილველების მიმართაც.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაზარალებულისა და მოწმე თვითმხილველის ჩვენებების სისრულე და სამართლიანობა ბევრად არის დამოკიდებული რიგ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზე, რომლებიც იწვევენ თავდასხმის გარემოების, ქმედებების ხასიათისა და თავდასხმის მონაწილის გარეგნული ნიშნების აღქმის შესაძლო უზუსტობას. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს: მოვლენის მოულოდნელობა და სწრაფი მიმდინარეობა; დაკითხულის მიერ დანაშაულის პროცესში გადატანილი მწვავე ემოციური მდგომარეობა; არასაკმარისი განათება და ხილვადობა თავდასხმის მომენტში; დაკითხულზე თავდამსხმელთა მხრიდან ზემოქმედება და მისი ხასიათი და ა.შ. როდესაც თავდასხმის დროს დაზარალებულს სხეულზე მიყენებული ჰქონდა მძიმე დაზიანებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის სიკვდილი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემდეგ ექიმის ნებართვითა და თანდასწრებით დაზარალებული დაუყოვნებლივ უნდა დაიკითხოს ან ჩაუტარდეს მოკლე გამოკითხვა გამოძიებისათვის ყველაზე საინტერესო საკითხებზე. გამოკითხვის შედეგები ფორმდება ოქმში გამომძიებლისა და დამსწრე ექიმის ხელმოწერით, უმჯობესია მისი ჩაწერა ვიდეო ან აუდიო ხმის ჩამწერ მოწყობილობაზე.

თუ კი დაზარალებულის დაკითხვა შეუძლებელია, საჭიროა დაიკითხოს მედიცინის მუშაკი, რომელმაც გაუწია მას გადაუდებელი დახმარება, გაირკვეს მასთან (შეძლებისდაგვარად სიტყვა-სიტყვით), რაზე საუბრობდა დაზარალებული, მაგრამ პირებს, რომლებმაც მიიღეს თავის დაზიანება, რასაც საერთოდ მეხსიერების დაკარგვამდე მიჰყავს დაზარალებული (ამნეზია), გონზე მოსვლისა და პასუხებზე გაცემის დროს შეუძლიათ მოგვცენ ჩვენებები, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს (მა-

გალითად, დაასახელოს თავისი ნათესავებისა და ნაცნობების სახელები, რომელთაც არანაირი კავშირი არ აქვთ აღნიშნულ თავდასხმასთან). ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანის ტვინის დაზიანების შემთხვევაში გონზე მოსვლის მომენტში მის მეხსიერებაში ამოტივტივდება მისთვის ყველაზე ნაცნობი ადამიანების სახეები, სახელები და გვარები, წარმოთქვამს ხმამაღლა და არანაირ ანგარიშს არ უწევს ამ დროს საკუთარ თავს.

დ). მოწმეთა დაკითხვა.

მოწმეები შეიძლება დავყოთ ორ დიდ ჯგუფად:

ა) პირები, რომლებიც იძლევიან მართალ ჩვენებებს;

ბ) პირები, რომლების იძლევიან ცრუ ჩვენებებს (ცრუ მოწმეები).

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: მოწმეები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული დანაშაულებრივი საქმის შედეგებით; სამედიცინო დაწესებულების მუშაკები, სადაც მოთავსებული იყო დაზარალებული; დაზარალებული პირის თანამშრომლები ან თანაკურსელები; პირები, რომელთა სამუშაო ან ჩვეული დროის ტარება უკავშირდება მათ საცხოვრებელს ან დამნაშავის გადაადგილების გზას, ესენი არიან პენსიონერები და დიასახლისები, რომლებიც დიდ დროს ატარებენ ბავშვებთან, ძაღლებთან; მეეზოვეები, ახლომდებარე მაღაზიის გამყიდველები, აგრეთვე მოპარული ნივთების მყიდველები, ვაჭრობის, ავტოსერვისის მუშაკები, რომელთა დაკითხვის დროს შეიძლება მივიღოთ ძალზე მნიშვნელოვანი ცნობები დამნაშავეთა რაოდენობისა და ნიშნების შესახებ.

მოწმეთა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: ბრალდებულის ნათესავები, მეგობრები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული მოცემულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში და აგრეთვე დაზარალებულის ზოგიერთი ახლობელი, რომლებიც გამოირჩევიან ვიქტიმური ყოფაქცევით.

პირველი ჯგუფის მოწმეთა დაკითხვის თავისებურებები არ განსხვავდება კეთილსინდისიერი დაზარალებულის დაკითხვისაგან და დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

მეორე ჯგუფის დაკითხვის ტაქტიკას გააჩნია თავისი სპეციფიკა. უპირველეს ყოვლისა გამომძიებელმა უნდა დაადგინოს

ცრუ ჩვენების მოტივი. ეს შეიძლება იყოს შურისძიების, შიში დამნაშავისა ან სხვა პირების მხრიდან, ბრალდებულზე ხელის დაფარება, მოწმედ გამოსვლაზე უარის თქმა.

გამომძიებელი ან მოსამართლე ამ დროს გამოიყენებს რიგ ტაქტიკურ საშუალებებს; **ყველაზე ეფექტურად მიიჩნევა:**

ა) დაკითხული პიროვნების დადებით მხარეებზე ზემოქმედება, ცრუ ჩვენებების მიცემის საზიანო შედეგების განმარტება;

ბ) დაკითხულის ინტერესებისა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეთა შორის არსებული წინააღმდეგობების გამოყენება;

გ) მოწმის ჩვენებების უარმყოფელი მტკიცებულებების წარდგენა.

ე). დაზარალებულის ტანსაცმლის დათვალიერება და დაზარალებულის შემოწმება.

ძარცვის ან ყაჩაღობის განხორციელების მსვლელობისას დაზარალებული ხშირად კონტაქტშია დამნაშავესთან, რის შედეგადაც ამ უკანასკნელის ტანსაცმლის მიკრობოჭკოები შეიძლება მოხვდეს დაზარალებულის ტანსაცმელზე ან პირიქით. გარდა ამისა ტანსაცმელზე შეიძლება აღმოჩნდეს განაჭრელის, განახევის კვალი, რაც აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს.

დათვალიერება და შემოწმება მიმდინარეობს კარგად განათებულ შენობაში, დიდი გამადიდებელი შუშებით და აგრეთვე სპეციალური დასაგების მქონე მტვერსასრუტებით. ამ დროს ფიქსირდება სხეულზე აღმოჩენილი ყველა კვალის სახე, ფორმა და განაწილება (ნაკაწრი, ჩალურჯებული ადგილები, სისხლჩაქცევები, ჭრილობები, მურის კვალი, საღებავის, ტალახის კვალი). შემოწმებაში მონაწილეობას ღებულობს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, ექიმი და უფრო ვიწრო სპეციალისტი.

პირველადი საგამოძიებო ქმედებების ჩატარებასთან ერთად გამომძიებელი შესაბამის ორგანოებს ავალებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მიმართული იქნება დამნაშავისა და მოპარული ნივთების მოსაძებნად. მაგალითად, *გაცნობებთ, რომ ჩემს წარმოებაშია სისხლის სამართლის №212121 საქმე, № რაიონის სოფელ ფ-ში ნ. ნ.-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე, დანაშაული გათვა-*

ლისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" და III ნაწილის "გ" პუნქტებით.

მოცემულ საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო სამხარეო მთავარი სამმართველოდან მიღებული შეტყობინება იმის შესახებ, რომ 2008 წლის № მარტს № რაიონის სოფელ ფ-ში დაყაჩაღებულ იქნა ნ. წ-ს ოჯახი.

წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ 2008 წლის № მარტს დაახლოებით 11 საათზე № რაიონის სოფელ ფ-ში ჯერ-ჯერობით გამოძიებით დაუდგენელი ნიღაბ აფარებული ორი პიროვნება თავს დაესხა ნ. წ-ს ოჯახს, რა დროსაც მის მეუღლეს რ. ა-ს მიაყენეს სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება. სახლიდან გაიტაცეს ოქროს სამი ბეჭედი და მობილური ტელეფონი, რომელშიც მოთავსებული იყო სიმ ბარათი ნომრით №№№ №№ №№ №№. იმავე დღეს რ. ა-ა მოთავსებულ იქნა მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკა"-ს ქირურგიულ დეპარტამენტში დიაგნოზით: გულმკერდის დახურული ტრავმა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა მარცხნივ, თერმული დამწვრობა გულმკერდის წინა ზედაპირზე.

2008 წლის № მარტს რ. ა.-ა მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკა"-ს ქირურგიულ დეპარტამენტში გარდაიცვალა.

დაზარალებულ ნ. წ-ს განმარტებით, თავდამსხმელიდან ერთ-ერთის ამოცნობა შეუძლია. ის იყო მაღალი, ქერა, საშუალო აღნაგობის, მოგრძო სახით.

აღნიშნული ფაქტის გამოძიებისა და ჭეშმარიტების დადგენის მიზნით აქტიურად ვანარმოებთ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დამნაშავე პირთა დადგენა-დაკავების მიზნით უნდა ჩატარდეს №№№№№№№ რაიონული სამმართველოს პირადი შემადგენლობის ერთობლივი ძალისხმევით.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:

1. დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ სამსახურებს გაატარონ კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები № რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფებისა და ნ. წ.-ს ოჯახზე თავდამსხმელ პირთა დადგენის მიზნით;

2. მათი დადგენის შემდგომ მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია აღნიშნული ჯგუფის წევრების დემოგრაფიული და სხვა ოპერატიულად საინტერესო მონაცემების შესახებ, ფოტოსურათების თანდართვით;

3. აღნიშნული დანაშაულის გახსნის მიზნით ინფორმირებულ იქნეს №№№№№№ რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორთა განყოფილების თანამშრომლები;

საქმის კონკრეტული გარემოებებიდან და არსებული ცნობებიდან გამომდინარე, რომელიც მიღებულია გამოძიების საწყის ეტაპზე ასეთი ღონისძიებები შეიძლება იყოს: დამნაშავის დევნა ცხელ კვალზე, შესაძლებელია დაზარალებულის ან თვითმხილველი მოწმის მონაწილეობით, რომლებმაც იციან დამნაშავის ამომცნობი ნიშნები; პოლიციის მუშაკებისა და სამხედრო ან პოლიციის აკადემიის კურსანტების მიერ გარემოს ჩხრეკა მიმალული დამნაშავეების აღმოჩენის მიზნით; დამხმარე-სამძებრო ძაღლის გამოყენება; დამნაშავის შესაძლო გასასვლელი გზების გადაკეტვა; დამნაშავის გამოჩენის შესაძლო ადგილებში ზედამხედველობის დაწესება, მისი მნახველი პირების გამოვლენა; ახლომდებარე დასახლებული პუნქტების პოლიციის ორგანოების ინფორმირება დამნაშავის ამომცნობი და მოპარული ნივთების ნიშნების შესახებ; ზედამხედველობის დაწესება მოპარული ნივთების შესაძლო რეალიზაციის ადგილებში; პირების დაკავება, რომლებიც ყიდიან ასეთ ნივთებს; ხულიგნობისათვის და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ დაკავებულთა შემოწმება, რათა აღმოაჩინონ მოპარული ნივთები და აგრეთვე სისხლის კვალი სხეულსა და ტანსაცმელზე.

ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილე დამნაშავის დაკავების ღონისძიებები საჭიროა ჩატარდეს ოპერატიულ ორგანოებთან ერთად შემუშავებული გეგმის მიხედვით, შენარჩუნებული უნდა იყოს მაქსიმალური სიფრთხილე, წინდახედულობა, ვინაიდან დამნაშავეს შეიძლება აღმოაჩნდეს ცეცხლსასროლი, ცივი იარაღი და აგრეთვე ასაფეთქებელი მოწყობილობები, აეროზოლები, მომწამვლელი ან ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების გაზით. ამიტომ დაკავების მომენტში საჭიროა უეცარი და გაბედული მოქმედებები, რითაც პარალიზებული უნდა იქნას დამნაშავეთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა.

სიტუაციებში, როდესაც გამოვლენილია თავდასხმის ერთი თანამონაწილე, არ არის საჩქარო მისი დაკავება. ტაქტიკური მოსაზრებების მიხედვით მიზანშეწონილია მიღებული იქნას ზომები დანაშაულებრივი ჯგუფის დანარჩენ ბოროტმოქმედთა ადგილსამყოფელის დასადგენად, ვინაიდან ერთის ნაადრევმა დაკავებამ შეიძლება სიგნალი მისცეს სხვებს და ისინი არ დააყოვნებენ გამოძიებისაგან მიმალვას. გამონაკლისს წარმოადგენენ სიტუაციები, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაკარგვა, რომლებიც მდებარეობს სხეულზე, დამნაშავის ტანსაცმელსა და საცხოვრებელში, ან სიტუაციები, როდესაც დამნაშავის თავისუფლებაზე დატოვება წარმოადგენს საფრთხეს გარშემომყოფებისთვის.

შესაძლო ნეგატიური შედეგებისგან თავის არიდების მიზნით, მიზანშეწონილია ჩატარდეს დანაშაულებრივი დაჯგუფების ყველა წევრის ერთდროული დაკავება ან ერთ ადგილზე ან სხვადასხვა ადგილზე. საგულდაგულოდ უნდა მოხდეს ტაქტიკურად დაკავების ყველაზე ხელსაყრელი დროის და ადგილის შერჩევა; უნდა აღიჭურვოს ოპერატიული ჯგუფების შემადგენლობა დაკავშირების საშუალებებით; შერჩეულ უნდა იქნეს საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ყველაზე ეფექტური ხერხები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების მოულოდნელობას, ფარულობას, ოპერატიული ჯგუფის მონაწილეთა და გარშემომყოფთა უსაფრთხოებას; უნდა განისაზღვროს და დაიგეგმოს დაკავებულთა გადაყვანის წესი, დაპატიმრებული ბრალდებულის მოთავსების ადგილი და წესი, რომელიც გამორიცხავს სხვა თანამონაწილეებთან კონტაქტის დამყარებას.

თუ კი დანაშაულებრივი დაჯგუფების დაკავებას წინ უსწრებდა დევნა, საჭიროა ყურადღებით იქნას დათვალიერებული დამნაშავის გადაადგილების ადგილი. ეს განპირობებულია იმით, რომ დაკავების მომენტში ისინი ცდილობენ თავიდან მოიშორონ საგნები, რომლებიც ამხელს მათ დანაშაულებრივ ქმედებაში (იარაღი, მოპარული ნივთები, დოკუმენტები, წიგნაკები). ამიტომ, ასეთი დათვალიერების ჩატარება მიზანშეწონილია ვაწარმოოთ დაკავების ადგილიდან უკუ მიმართულებით დევნის

გზაზე, ვინაიდან ჩვეულებრივ დამნაშავეები ყრიან საგნებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნდებიან, რომ ისინი ვერ მოახერხებენ მიმალვას.

ბრალდებულის დაკავების შემდეგ იქვე გადაყვანის ადგილზე დაუყონებლივ ხორციელდება მისი პირადი ჩხრეკა, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაკავებულიდან იარაღის, საბრძოლო მასალის, პირადი დოკუმენტების და აგრეთვე ნივთების და საგნების ფიქსაციასა და ამოღებას, რომელთაც შეუძლიათ ამხილონ ისინი ყაჩაღურ თავდასხმის მონაწილეობაში. მაგალითად, ისეთი ნივთები, რომლებიც მიუთითებენ მოპარული ნივთების გაყიდვასა და საკომისიო მაღაზიაში ჩაბარებაზე (ლომბარდში, საცავში ჩაბარებაზე). კერძოდ კი, ყურადღება უნდა მიექცეს საკომისიო მაღაზიების, ატელიეებისა და სახელოსნოების ქვითრებს, გირავნობის ბილეთებს, ლომბარდების შენახულ ქვითრებს, ბარგის შესანახი კამერების ჟეტონებს, ფულადი გადარიცხვისა და ამანათების ქვითრებს, შემნახველი სალაროს წიგნაკებს, წერილებს, ჩანაწერებს.

დაკავების ადგილზე ჩხრეკის ჩატარება არ გამორიცხავს დაკავებულის განმეორებით, უფრო საგულდაგულოდ ჩხრეკას სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის შემდეგაც.

ყოველი დაკავებულის გადაყვანის წესისა და აღკვეთის ზომების განსაზღვრის დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოებები რომ არ მოხდეს ყაჩაღური თავდასხმის თანამონაწილეთა შორის ურთიერთობა.

პირადი ჩხრეკის გარდა იწარმოება ბრალდებულის ტანსაცმლის დათვალიერება, აუცილებლობის შემთხვევაში კი მისი შემოწმებაც.

ბრალდებულის ქუდის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის შემოწმების დროს ყურადღება ექცევა კვალს, რომელიც მეტყველებს მათი პატრონის ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობაზე. მაგალითად, ტანსაცმლის დაზიანება, რომელიმე მისი ნაწილების არ არსებობა, სისხლის, საცხოვრებლის შიდა კედლის საღებავის ან გათეთრების ლაქები (დაზარალებულის ან მოწმის ანალოგიური ჩვენებებთან შეფარდებით) შეიძლება გახდეს ჩადენილ თავდასხმაში ბრალდებულის მონაწილეობის დამატებითი მტკიცებულება.

ტანსაცმელის დათვალიერება კიდევ იმიტომ არის საჭირო, რომ რომელიმე თავდამსხმელზე შეიძლება აღმოაჩინეს სხვისი გაძარცვის ან ყაჩაღური თავდასხმის შედეგად მოპოვებული ტანსაცმელი. თუ კი დაკავების მომენტში ოქმში არ იქნა დაფიქსირებული აღნიშნული ნივთების არსებობა დამნაშავესთან, მაშინ მნიშვნელოვანი ნივთმტკიცებულებები კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას ან საერთოდ იკარება, ვინაიდან დაკავებულები ანადგურებენ ასეთ საგნებს ან მათზე არსებულ კვალს ან უცვლიან ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს მათთან ერთად იზოლატორში მოთავსებულ პირს.

თუ კი გამომძიებელს გაუჩნდა ეჭვი, რომ ყაჩაღური თავდასხმის დროს ბრალდებულს სხეულზე შესაძლოა ჰქონდეს დაზიანება, საჭიროა აღნიშნულ პირს ჩაუტარდეს შემოწმება. შემოწმებამ შეიძლება პასუხი გაგვცეს კითხვებზე, რომლებიც უკავშირდება დაზარალებულის სხეულზე აღმოჩენილ ნიშნებს, ამა თუ იმ ნივთების ნაწილებს, რომლებიც დაზარალებულმა წამოიღო ან მიიტანა შემთხვევის ადგილზე, იმისათვის, რომ გაირკვეს რამდენი ხნის წინ აქვს დაზარალებულს მიყენებული ანატომიური და ფიზიოლოგიური ანომალია სხეულზე, მას უნდა ჩაუტარდეს სასამართლო-სამედიცინო შემოწმება.

იმ შემთხვევაში, თუ კი აღმოჩენილი იქნება განსაკუთრებული ნიშნები, სხეულის დაზიანებები ან ანომალიები შემოწმებულ პირზე, მიზანშეწონილია არა მხოლოდ აღნიშვნა ოქმში, არამედ მათი ფოტოგრაფირება, ვინაიდან სასამართლოში საქმის განხილვამდე ისინი შეიძლება გაქრეს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ დაზიანების წარმოქმნის დრო და გარემოებები დაწვრილებით უნდა იყოს გაშუქებული შემოწმებულ პირთა დაკითხვაში.

ბრალდებულის მონაწილეობა მოცემულ დანაშაულში, დამნაშავის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა და აგრეთვე დანაშაულებრივი საქმიანობის დადგენა სრული მოცულობით, მასში მონაწილეების გამოვლენა ხორციელდება შემდეგი გზით:

- ბრალდებულის საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების, მისი კუთვნილის საგნებისა და ფასეულობების აღმოჩენისა და ამოღების მიზნით:

ცეცხლსასროლი იარაღის, ცივი იარაღის, თავდასხმის სხვა იარაღების, ტანსაცმლის, რომელიც ეცვა მას თავდასხმის მომენტში, დოკუმენტების ამოღება, რომლებიც გააიოლებს მოპარული ნივთების მოძებნას (საკომისიო მაღაზიების, ლომბარდის, ბარგის შესანახი კამერების ქვითრები, ფულადი გზავნილებისა და ამანათების ქვითრები);

- ბრალდებულის დაკითხვით.

ვ). ბრალდებულის დაკითხვა.

დაკითვის ტაქტიკა დამოკიდებლია გამომძიებლის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებისა და საქმის ირგვლივ შექმნილი კონკრეტული სიტუაციისგან ჩვეულებრივ დაკითხვა იწყება ვარაუდით ჩადენილ დანაშაულის შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში წარსადგენად შეიძლება გამოყენებული იყოს არსებული მტკიცებულებები. კონკრეტულ სიტუაციაში გამოიყენება დაკითხვის რამოდენიმე ტაქტიკური ხერხი, ფსიქოლოგიური და ლოგიკური ზემოქმედება დაკითხულზე.

ტაქტიკური ხერხების პირველ ჯგუფს მიეკუთვნება:

1) დაკითხულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე, 70[1]-ე მუხლის შინაარსის განმარტება, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ქმედითი მონანიების და ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო.

2) ბრალდებულის (მსჯავრდებულის) პიროვნების დადებითი თავისებურებების მოხმობა;

3) დამნაშავისათვის გადაჭარბებული წარმოდგენის შექმნა გამომძიებლის გათვითცნობიერების შესახებ დანაშაულებრივ მოვლენასთან დაკავშირებით, ცალკეულ ეპიზოდებზე და თანამონაწილეებზე;

4) ბრალდებულისათვის უეცარი კითხვების დასმა და მის საპასუხო რეაქციაზე დაკვირვება;

5) ბრალდებულის ანტიპატიური დამოკიდებულების გამოყენება რომელიმე თანამონაწილის მიმართ;

ტაქტიკური ხერხების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება:

1) ბრალდებულის ჩვენებების დეტალიზაცია, რომლის პროცესში გაირკვევა დამნაშავის მოქმედების წვრილმანები დანაშაულამდე, დანაშაულის დროს და დანაშაულის ჩადენის შემდეგ;

2) წინააღმდეგობების ლოგიკური ანალიზი ბრალდებულის ჩვენებებში;

3) წინააღმდეგობების გამოყენება დაკითხულისა და დანაშაულის სხვა მონაწილეთა ჩვენებებში ამ უკანასკნელთა ჩვენებების ნაწილობრივი ან სრული გაცნობის გზით;

4) გამომძიებელის ხელთ არსებული მტკიცებულებების წარსადგენად დიდი, ზოგიერთ შემთხვევაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია პირველი და მეორე ჯგუფის ტაქტიკური ხერხების ეფექტური გამოყენებისათვის მტკიცებულებითი და საორიენტაციო ინფორმაციის ოპტიმალურ მანევრს.

ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დაკითხვის დროს ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა გავარკვიოთ შემდეგი:

1. როდის, ვისთან ერთად და რასთან დაკავშირებით აღმოჩნდა ის შემთხვევის ადგილზე.

2. ვის შეუძლია დაადასტუროს მისი ჩვენებები ზემოთ მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით.

3. ბრალდებულის დანაშაულის ადგილთან მისვლისა და უკან დაბრუნების გზები.

4. სად, როდის, ვისი ინიციატივით და რა გარემოებებში იყო ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები მოცემული ეპიზოდის მიხედვით.

5. დანაშაულის ჩადენის დროს მყოფი პირების რაოდენობა, მათ შესახებ დადგენილი მონაცემები და მაქსიმალურად ზუსტი ცნობები ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, გარეგნული ნიშნების შესახებ.

6. ბრალდებულთა მხრიდან ძალადობრივი ქმედებებისა და მუქარის თანმიმდევრობა და ხასიათი თითოეული დაზარალებულის მიმართ.

7. დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული იარაღი, მისი გამოყენების გარემოებები, ინდივიდუალური ნიშნები, შეძენის, დამზადების, შენახვის ადგილი დანაშაულის ჩადენამდე და შემდგომში მისი დამალვის ადგილი.

8. თავდამსხმელთა ურთიერთობა დანაშაულის ჩადენამდე, დანაშაულის ჩადენის დროს და დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

9. სატრანსპორტო საშუალებების დახასიათება, რომელიც გამოიყენეს ბრალდებულებმა თავდასხმის ჩადენამდე და მის

შემდეგ.

10. დაზარალებულის და მასთან მყოფი პირების ქმედებების დახასიათება დანაშაულამდე, დანაშაულის ჩადენის დროს და დანაშაულის შემდეგ.

11. განათება, სმენადობა და ხილვადობა, აგრეთვე ამინდის პროგნოზები დანაშაულის ჩადენის მომენტში.

12. რა სახის დაზიანება და რა გარემოებაში მიაყენა ბრალდებულმა დაზარალებულს დაზიანება დანაშაულის ჩადენის დროს.

13. რა სახეობის და რა რაოდენობის იყო გატაცებული ქონება ყაჩაღური თავდასხმის დროს, გატაცებული ნივთების ნიშნები.

14. სად დამალა ბრალდებულმა გატაცებული ნივთები, ვისი დახმარებით, როდის, რა პირობებში გაასაღა მოპარული ქონება.

15. რა მოსამზადებელი ქმედებები ხორციელდებოდა დანაშაულის ჩადენისთვის ან რა პირობები იყო ამისთვის გამოყენებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული უარყოფს ყაჩაღობაში მონაწილეობას, თავდაპირველად უნდა გაირკვეს:

1) ხომ არ ჰქონდა ბრალდებულს ადრე ჩადენილი დანაშაული, თუ კი ჰქონდა რა სახის დანაშაული იყო, სად ჩაიდინა, ვისთან ერთად და ვის მიმართ;

2) იყო თუ არა ადრე მიცემული პასუხისგებაში, თუ კი იყო, მაშინ როდის, რისთვის, რა სახის სასჯელი მიუსაჯეს, სად და რამდენი ხანი იხდიდა სასჯელს;

3) გაირკვეს საცხოვრებელი ადგილის, პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული საგნების კუთვნილება და წყაროები;

შესაძლებელია დანაშაულის ჩამდენი ბრალდებული პირის და აგრეთვე მისგან ჩხრეკის დროს ამოღებული ნივთების წარდგენა ამოსაცნობად, თუ კი დაზარალებულს არ შეუძლია ამოიცნოს დამნაშავე, ბრალდებული კი აღიარებს დანაშაულს და ამტკიცებს, რომ შეუძლია ამოიცნოს დაზარალებული, ამ უკანასკნელს წარუდგენენ ბრალდებულს ამოსაცნობად.

ბრალდებულთა ამოცნობა ხშირად ხდება გარეგნობის ცალკეული ნიშნების მიხედვით და ერთიანი სახით. ზოგიერთ

შემთხვევაში დამნაშავის ამოცნობა შეიძლება მისი დინამიური თვისებების მიხედვით, ხმის თავისებურებებით, სიარულით, მეტყველებით.

ბრალდებულის ამოსაცნობად წარდგენის პროცესში ლიტერატურაში აღწერილი ტაქტიკური ხერხების გარდა მიზანშეწონილია საგამოძიებო პრაქტიკის მიერ შემუშავებული ხერხების გამოყენება. მათ მიეკუთვნება:

1) დაზარალებულისა და თვითმხილველთათვის მათ მიერ ადრე მიცემული ჩვენებების გაცნობა მათ მეხსიერებაში მომხდარი ყველა გარემოების „გაცოცხლების" მიზნით. განსაკუთრებით მიზანშეწონილია ამის გაკეთება მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენის მომენტიდან საგამოძიებო ღონისძიებამდე განვლო დიდმა დრომ.

2) ბრალდებულის დაზარალებულზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამორიცხვა მათი გაუკონტროლებელი ურთიერთობის შესაძლებლობის აღმოფხვრით; ეს ტაქტიკური ხერხი უნდა იქნეს გამოყენებული ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამომცნობი არ არის დარწმუნებული, ეშინია დამნაშავის. ყველანაირად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი რომ არ მოახდინოს ბრალდებულმა და მათმა მხარემ დაზარალებულზე ზემოქმედება.

3) ასეთი საგამოძიებო ღონისძიებებისათვის საჭიროა ოპერატიული მუშაკების ან პოლიციის ინსპექტორის მოწვევა ამოსაცნობი პირის მეთვალყურეობისთვის და აგრეთვე სპეციალისტ-კრიმინალისტის მოწვევა ამოცნობის მსვლელობისა და შედეგების ფიქსირებისათვის.

განხილული საგამოძიებო ღონისძიებების გავრცელებული სახეობაა მოპარული ნივთების, დამნაშავიდან ამოღებული ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ამოცნობა, აგრეთვე დანაშაულის სხვა იარაღების ამოცნობა. ამოცნობის მოცემული ხერხი ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლების შესაბამისად.

ამოცნობის სპეციფიკური სახეობაა ბინაში ყაჩაღობის დროს ამოსაცნობის საცხოვრებელ შენობაში წარდგენა, სადაც მოხდა დანაშაული. ეს საგამოძიებო ღონისძიება ყველაზე ეფექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული გაძარცულია არა საკუთარ საცხოვრებელში, არამედ თავდამსხმელის საცხოვრე-

ბელ ან სხვა ადგილას. მაგალითად, დაზარალებულს მიიწვევენ სტუმრად მის ნაცნობთან და იქ ხდება მასზე თავდასხმა.

დამნაშავის მხილება ხდება ისეთი საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებისას როგორიც არის მოწმეთა დაკითხვა, სასამართლო-სამედიცინო, კრიმინალისტიკური და სხვა საგამოძიებო ექსპერტიზების დანიშვნა, ჩვენებების შემოწმება ადგილზე.

კერძოდ კი, ბრალდებულის ჩვენებების შესამოწმებლად მისი ალიბის შესახებ საჭიროა დაიკითხოს პირები, რომლებზეც ის მიუთითებს და აგრეთვე მისი ახლობლები, ნათესავები, ნაცნობები, თანამშრომლები, რომლებთანაც ჰქონდა მას ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის პერიოდში. აღნიშნული მოწმეები უნდა დაიკითხოს დაუყოვნებლივ, როგორც კი მათ შესახებ გახდება ცნობილი, რათა გამოირიცხოს მათზე საქმის შედეგებში დაინტერესებულ პირთა ზემოქმედება. მიზანშეწონილია მოწმეთა ერთდროული დაკითხვა, რათა გამოირიცხოს მათი ერთმანეთზე არაკეთილსინდისიერი გავლენა. დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმის ჩვენებების მაქსიმალურ დეტალიზაციას, ვინაიდან მათი ჩვენებების ბრალდებულის ჩვენებებთან შედარების გზით შეიძლება გაირკვეს შეესაბამება თუ არა ისინი სინამდვილეს, მხილებულ იქნას ცრუ ალიბი, თუ კი ის შექმნილია დამნაშავისა და მისი ახლობლების მოლაპარაკების საფუძველზე.

დამნაშავის ფიზიკური დაზიანებების შესახებ ჩვენებების შემოწმება ხდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნით, რომლის მეშვეობით შეიძლება დავადგინოთ სხეულის დაზიანებების ხასიათი და სიმძიმე, რამდენად დიდი ხნის მიყენებეული არის ისინი, მათი წარმომავლობა, იარაღის სახეობა, რომლითაც მიყენებული იყო დაზიანებები, მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა ბრალდებული დაზიანების მიყენების დროს.

გასარკვევია, რამდენად შეესაბამება ბრალდებულის განმარტებები სხეულის დაზიანებების შესახებ და დაზარალებულის ჩვენებები.

კრიმინალისტიკური სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დახმარებით გამოიკვლევა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აღმოჩენილი კვალი და ბრალდებულიდან ამოღებული საგნები, იარაღის იდენტიფიცი-

რება ტყვიებისა და მასრის მიხედვით, ბრალდებულის - ხელის, ფეხსაცმლის, სატრანსპორტო საშუალებებზე დატოვებული კვალის, ნაწილების მიხედვით მთლიანის დადგენა, ბრალდებულის ტანსაცმელზე აღმოჩენილი დაზიანებების მექანიზმების განსაზღვრა, მის ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე აღმოჩენილი ნივთიერებების განსხვავება და ერთგვაროვნება, შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის ტანსაცმელზე ან დაზარალებულზე აღმოჩენილი სისხლის ჯგუფი, ტიპი და სქესი, დათვალიერების დროს ნაპოვნ ნამწვავებზე დარჩენილი ნერწყვის ჯგუფი, დანაშაულის იარაღის იდენტიფიცირება მასზე დატოვებული დაზარალებულის ტანსაცმლის ბოჭკოების, მისი სისხლისა და დაზიანებული ორგანოების უჯრედული ელემენტების მიხედვით, იარაღის კუთვნილება განისაზღვრება მსჯავრდებულის ტანსაცმლიდან დანაშაულის იარაღზე მოხვედრილი მიკრო ნაწილაკების მიხედვით; ლითონის შემადგენლობისა და იარაღის ფორმის განსაზღვრა შესაძლებელია მეტალიზაციის უხილავი კვალის მიხედვით, რომელიც დარჩა დაზარალებულის სხეულზე ან ტანსაცმელზე ლითონის საგნით მიყენებული დარტყმის შემდეგ.

ზ). საგამოძიებო ექსპერიმენტი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობდა ჩვენების ადგილზე შემოწმების წესს, როგორც, ერთ-ერთ საგამოძიებო მოქმედებას. დღეს მოქმედი კანონი ასეთ საგამოძიებო მოქმედებას არ იცნობს, თუმცა მსგავსი ფუნქციური დატვირთვა აქვს საგამოძიებო ექსპერიმენტს, რომლის ჩატარების წესს არეგულირებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-130-ე მუხლები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მიზანია მიღებული ინფორმაციის (ჩვენების) და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შემოწმება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესი კი განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 130-ე მუხლში, სადაც აღნიშნულია:

1. საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მიიწვიონ ექსპერტი. საცდელ მოქმედებათა ჩატარებაში შეიძლება ჩააბან სხვა პირები.

2. საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მიიწვიონ პირი, რომლის ინფორმაციაც (ჩვენებაც) უნდა შემოწმდეს. მხარეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ საგამოძიებო ექსპერიმენტში. საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეს უნდა გააცნონ ექსპერიმენტის მიზანი და ჩატარების წესი.

3. თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება გამოსაკვლევი გარემოების აღსადგენად, იგი უნდა შეესაბამებოდეს შესამოწმებელ ინფორმაციას (ჩვენებას) ან ვერსიას. იმ პირს, რომლის მიერ მიცემული ინფორმაციაც (ჩვენებაც) მოწმდება, სთავაზობენ, აღიდგინოს შემთხვევის ვითარება, რომლის მონაწილე ან თვითმხილველიც თავად იყო. საჭიროების შემთხვევაში საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება არაერთგზის.

4. საგამოძიებო ექსპერიმენტი მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული იმ ვითარებასთან, რომელშიც ხდებოდა აღსადგენი შემთხვევა.

5. თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება ინფორმაციის (ჩვენების) ადგილზე შემოწმების მიზნით, მხარე საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილის თანდასწრებით კითხულობს შესამოწმებელ ინფორმაციას (ჩვენებას) და სთავაზობს ინფორმაციის (ჩვენების) მიმცემ პირს, დაადასტუროს ან დააზუსტოს მიცემული ინფორმაცია (ჩვენება), რასაც თან ახლავს გარკვეულ მოქმედებათა დემონსტრირება და მის მიერ მიცემული ინფორმაციის (ჩვენების) დაზუსტება.

6. რამდენიმე პირის ინფორმაციის (ჩვენების) ერთდროულად ადგილზე შემოწმება დაუშვებელია.

7. პირი, რომლის ინფორმაციაც (ჩვენებაც) ადგილზე მოწმდება, განმარტებას იძლევა სხვათა ჩაურევლად, კარნახისა და პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების გარეშე.

8. საგამოძიებო მოქმედების მონაწილეს შეუძლია დასვას კითხვები, მოითხოვოს მოქმედების გამეორება, მონაწილეობა მიიღოს აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტის, კვალის თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალიერებაში და მხარისა და სხვა მონაწილეთა ყურადღება მიაპყროს, მისი აზრით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს.

ასეთი საგამოძიებო ღონისძიების მზადებაში შედის:

ა) პირის დაკითხვა, ვისთან ერთადაც საჭიროა გასვლა დანაშაულის ადგილზე;

ბ) ადგილზე გასვლის დროის განსაზღვრა;

გ) მოძრაობის საწყისი და დასასრული წერტილების და აგრეთვე ამ ღონისძიების საყრდენი წერტილების განსაზღვრა;

დ) ჯგუფის დაკომპლექტება, რომელშიც შევა გამომძიებელი, ოპერატიული მუშაკები, სპეციალისტ-კრიმინალისტები და აგრეთვე ბადრაგი, თუ კი ბრალდებული არის დაპატიმრებული;

მზადების დროს გამომძიებელს უნდა ახსოვდეს, რომ როდესაც ბრალდებული თანხმდებოდა შემთხვევის ადგილზე გასვლაზე, მას შეიძლებოდა ჰქონოდა გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზანი. ყველაზე გავრცელებული ნეგატიური მიზნებია გამოძიების გაჭიანურება და მცდარი მიმართულების მიცემა, თანამონაწილეებთან კავშირის დამყარება, რომლებიც ჯერ კიდევ დაპატიმრებულები არ არიან, მათთვის გარკვეული ინფორმაციის გადაცემა, გაქცევა.

ასეთ შემთხვევაში გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს ყველა შესაძლო ქმედება, რომელიც შეიძლება განახორციელოს ბრალდებულმა, იყოს მაქსიმალურად ფხიზლად. თუ კი ყაჩაღობა ჩადენილია ჯგუფის მიერ და ყველა მონაწილე არ არის დაკავებული, მაშინ ზოგიერთ შემთხვევაში სასურველია არ ვიჩქაროთ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, სანამ არ იქნება დაკავებული მთლიანად დანაშაულებრივი დაჯგუფება. ასეთი საგამოძიებო ქმედების ყველაზე ეფექტური ხერხია მიეცეს საკმაო, მაგრამ კონრტოლირებადი ინიციატივა შემმოწმებელ პირს, რომელსაც ეძლევა თავისუფლება მოძრაობის მარშუტის არჩევაში ყოველგვარი კარნახის გარეშე საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფის წევრებიდან. ადგილზე ჩვენებების შემოწმების სხვა ტაქტიკური ხერხია ის, რომ საყრდენ წერტილებში თხრობა აუცილებლად უნდა შეიცავდეს ჩვენებას. თუ კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემულია რამოდენიმე თანამონაწილე, მაშინ ადგილზე გასვლა უნდა ხორციელდებოდეს ყოველი მათგანის მონაწილეობით.

ბრალდებულის პიროვნების შესწავლის მიზნით მის მიერ ჩადენილი ყველა ფაქტის დადგენისა და თანამონაწილეთა გამოსავლენად საჭიროა:

ბრალდებულის პირადი დოკუმენტების გულდასმით შესწავლა, რისთვის შეიძლება საჭირო გახდეს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დახმარება, მონაცემების შემოწმება მისი წარსული დანაშაულებრივი ქმედებებისა და მისი პიროვნების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების სარეგისტრაციო-სააღრიცხვო მონაცემების მიხედვით, ნათესავების, ნაცნობების დაკითხვა ბრალდებულის ცხოვრების წესის შესახებ.

-პოლიციის ოპერატიული შესაძლებლობების გამოყენებით დადგინდეს და შემოწმდეს ბრალდებულის კავშირი თანამონაწილეებთან, ამისთვის საჭიროა წარედგინოს დაზარალებულს ბრალდებულიდან ამოღებული ფოტოსურათები მის თანამონაწილეთა დასადგენად; წარსულში აღნიშნულ ბრალდებულებთან ერთად დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილე პირთა მოანცემების დადგენა; გაირკვეს, ხომ არ არის ის აღნიშნული დანაშაულის თანამონაწილე;

-შესწავლილი იქნას საგამოძიებო ორგანოებში არსებული გაუხსნელი საქმეები, რათა დადგინდეს არის თუ არა ის ჩადენილი მოცემული დამნაშავის მიერ;

-საჭიროა დადგინდეს ბრალდებულისგან ამოღებული ნივთები დაზარალებულისათვის წარდგენით; ნივთები, რომლებიც არ იქნება ამოცნობილი დაზარალებულის მიერ, გამომძიებელმა უნდა განაცხადოს მოსახლეობაში ადგილობრივი პრესით, ტელევიზიით, რომ იძებნება ამა თუ იმ ნივთის მფლობელი (ამ უკანასკნელის ინდივიდუალური ნიშნების მითითების გარეშე). ეს ნივთები შეიძლება აღმოჩნდეს ადრე ჩადენილი, მაგრამ გაუხსნელი ყაჩაღობის შედეგად მოპოვებული;

-საჭიროა შემოწმდეს დამნაშავიდან ამოღებული იარაღი ტყვიისა და მასრის კარტოთეკის მიხედვით, შემოწმდეს მისგან ამოღებული ნივთები მოპარული ნივთების კარტოთეკის მიხედვით.

ყაჩაღური თავდასხმის საქმეების გამოძიების მსვლელობისას გამომძიებელი იძიებს და ადგენს ამ დანშაულის ხელშემწყობ გარემოებებს. ეს გარემოებები შეიძლება მიეკუთვნებოდეს სამართალდამრღვევი პიროვნების ჩამოყალიბების პირობებს და კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შემამსუბუქებელ ფაქტორებს.

დასკვნა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დისპოზიციის შესწავლამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე:

1. იმისათვის, რომ ქმედება ყაჩაღობად დაკვალიფიცირდეს, ის უნდა შეიცავდეს სამ ნიშანს:

ა). სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი;

ბ). თავდასხმა, რომელიც მოიცავს ორ მომენტს:

-დაზარალებულთან უეცარ, მოულოდნელ, უშუალო შეხვედრას. თვითონ შეხვედრა შესაძლებელია მოხდეს წინასწარ მოფიქრებული გეგმით ან შემთხვევით;

-ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის მოთხოვნის წაყენებას.

გ). სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარას ანდა ასეთ ძალადობას.

ყაჩაღური თავდასხმისას აუცილებელია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარის ან ასეთი ძალადობის გამოყენება. პირველ შემთხვევაში, ძალადობის მუქარა ხდება ადამიანის ფსიქიკაზე უშუალო ზემოქმედების გზით, ხოლო მეორე შემთხვევაში, ძალადობა ხდება უშუალოდ ფიზიკური შეხებით სხეულზე.

აქედან გამომდინარე ყაჩაღურ თავდასხმად შეიძლება ვაღიაროთ ისეთი მოქმედება, რომელიც ხასიათდება დაზარალებულისათვის ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის უეცრად, უშუალოდ მოთხოვნის წაყენებით და რომელსაც თან ახლავს ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა ან ასეთი ძალადობის გამოყენება.

2. ყაჩაღობის ობიექტის კვლევისას გაირკვა, რომ ყაჩაღობა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული (ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა) საკუთრების უფლებას ხელყოფს მფლობელის ან მესაკუთრის მიერ ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობის დროებით პარალიზებით ან სამუდამოდ მოსპობის გზით.

ყაჩაღობის დროს მეორე ობიექტი არის ადამიანის ჯანმრთელობა, რომლის ხელყოფა ხდება ადამიანის სხეულსა და ფსიქიკაზე ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენების გზით.

ყაჩაღობის დროს ფსიქიკური ძალადობის სახე - მოკვლის მუქარა უშუალოდ არ ხელყოფს ადამიანის სიცოცხლეს. ამდენად, ყაჩაღობის ობიექტების სტრუქტურიდან უნდა გამოირიცხოს ადამიანის სიცოცხლე.

3. ყაჩაღობის ჩადენის ხერხის კვლევისას გაირკვა, რომ აუცილებელია არსებობდეს ნივთის დაუფლების ცნების ისეთი განმარტება, რომელშიც იქნება მისი ჩადენის ხერხების არა ამომწურავი, არამედ სანიმუშო ჩამონათვალი.

ჩვენი აზრით, დაუფლების ცნება უნდა მოიცავდეს რამდენიმე პირობას:

ა). მესაკუთრემ ან მფლობელმა დროებით ან სამუდამოდ უნდა დაკარგოს ნივთი ანუ ამ ნივთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობა.

ბ). მესაკუთრის ან მფლობელის მიერ დაკარგული ზემოხსენებული შესაძლებლობები უნდა მოიპოვოს დაუფლების ჩამდენმა.

გ). მესაკუთრისათვის ან მფლობელისათვის ხსენებული შესაძლებლობების მოსპობა და დაუფლების ჩამდენის მიერ მისი მოპოვება უნდა მოხდეს მართლსაწინააღმდეგოდ.

ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე, ქონების დაუფლების ცნება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: დაუფლება არის მესაკუთრისათვის ან მფლობელისათვის მისი (ნივთი) ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობის მართლსაწინააღმდეგოდ წართმევა და მოპოვება, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნეს ხელმიუწვდომელ (უცნობ) ადგილას ნივთის გადატანის (გადაადგილების) გზით. ასევე შესაძლებელია ქურდობისა და ძარცვის დროს არ მოხდეს ნივთის ადგილსამყოფლის შეცვლა, მაგრამ ის მაინც ჩაითვლება დაუფლებად თუ აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს.

4. რაც შეეხება ყაჩაღობისას ფსიქიკურ ძალადობას იგი გამოიხატება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარაში.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა გულისხმობს დაზარალებულზე ფსიქიკურ ზემოქმედებას იმაში დარწმუნების მიზნით, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოკლავენ ან ჯანმრთელობას დაუზიანებენ.

მუქარა, გამოყენებული ყაჩაღობის პროცესში უნდა პასუხობდეს მთელ რიგ პირობებს:

ა). მუქარა თავისი შინაარსით წარმოადგენს დაზარალებულის ინფორმირებას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ფიზიკური ძალადობის გამოყენებაზე, რომელიც განხორციელდება მისი მხრიდან წინააღმდეგობის ან მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ბ). მუქარა, რაც არ უნდა უეცარი იყოს, დაზარალებულმა ის ჯერ უნდა აღიქვას, რაც ნიშნავს იმის გააცნობიერებას, რომ მასზე განხორციელებულია თავდასხმა ნივთის დაუფლების მიზნით.

გ). მუქარა უნდა იყოს რეალური, მუქარა მაშინ არის რეალური, როცა თავდამსხმელი მართლა აპირებს ძალადობის განხორციელებას და დაზარალებულს შეექმნება იმის საშიშროება, რომ მუქარა რეალურად შეიძლება განხორციელდეს, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს თავდამსხმელის მხრიდან პირდაპირი ან არაპირდაპირი მითითება, რომ ის გამოიყენებს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას.

დ). მუქარა უნდა იყოს ამ წუთიერი ანუ ისეთი, რომელიც ქმნის ძალადობის დაუყოვნებლივ გამოყენების საშიშროებას, თუ დაზარალებული არ დააკმაყოფილებს თავდამსხმელის მოთხოვნას.

თუ ნივთის გადაცემის მოთხოვნას თან ახლავს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მომავალში განხორციელების მუქარა, ქმედება დაკვალიფიცირდება გამოძალვად.

მუქარის გამოხატვის ფორმა სხვადასხვა შეიძლება იყოს (სიტყვით, ჟესტით, იარაღის დემონსტრირებით და სხვა).

5. უვარგისი იარაღით ჩადენილი თავდასხმის კვალიფიკაციის საკითხის კვლევისას ჩამოყალიბდა შემდეგი დასკვნები:

ა). თუ ნივთის დაუფლებას არ ჰქონდა ადგილი იმის გამო, რომ მუქარა არ გამოდგა საშიში, რადგან თავდასხმა განხორციელდა უვარგისი იარაღით და დაზარალებულმაც აღიქვა ის როგორც სათამაშო, მაშინ ადგილი ექნება ძარცვის მცდელობას, მაგრამ თუკი თავდამსხმელმა გააგრძელა თავისი ქმედება და დაიწყო დაზარალებულის დაზიანება ან ის დააზიანა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობად;

ბ). თუ თავდასხმისას მოხდა მხოლოდ ჯანმრთელობის ხელყოფა ნივთის დაუფლების მიზნით და არ მომხდარა ნივთის პრაქტიკულად დაუფლება და ვერც დაეუფლებდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნივთი დაზარალებულს არ გააჩნდა და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მისი ხელყოფა. ასეთი ქმედება ყაჩაღობად უნდა დაკვალიფიცირდეს;

გ). თუ უვარგისი იარაღით შეიარაღებული პირის მიერ განხორციელებული ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზიანების მუქარა დაზარალებულმა აღიქვა საშიშად, ქმედება დაკვალიფიცირდება ძარცვად;

6. ყაჩაღობისას ფიზიკური ძალადობის კვლევისას დადგინდა, რომ სისხლის სამართალში მიღებულია დაზარალებულის პიროვნებაზე ზემოქმედების შემდეგი სახეები:

ა). ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ხელყოფა, სხეულის გარეგანი ქსოვილების ანატომიური მთლიანობის დარღვევის გზით. ამ ძალადობის ქვეშ იგულისხმება ადამიანის ორგანოზე, უშუალოდ მის სხეულზე გარემოს ნებისმიერ ფაქტორთა ზემოქმედება. ასეთ ძალადობას შეიძლება მოჰყვეს ფიზიკური სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება და საბოლოოდ სიკვდილი.

ბ). ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა, სხეულის გარეგანი ქსოვილების ანატომიური მთლიანობის დარღვევის გარეშე მის შინაგან ორგანოებზე ან ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების გზით; მოწამვლა, უგონო მდგომარეობაში ჩაგდება, ძლიერმოქმედი ან ნარკოტიკული ნივთიერების შეყვანით და ა.შ. ყაჩაღობის დროს ხსენებული ნივთიერების გამოყენება, ანუ შეყვანა დაზარალებულის ორგანიზმში უნდა ხდებოდეს ძალის გამოყენებით და არა მოტყუებით. თუ მოტყუებით ან ნებაყოფილობით იქნა იგი მიღებული დაზარალებულის მიერ, ის არ ჩაითვლება ყაჩაღობად.

გ). ადამიანის პირადი თავისუფლების დაკარგვა ან შეზღუდვა. თუ ყაჩაღური თავდასხმის დროს დაზარალებულს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება (მაგალითად, ჩაამწყვდიეს სარდაფში და ასეთ მდგომარეობაში მიატოვეს), ქმედება ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის შესაბამისი მუხლების ერთობლიობით დაკვალიფიცირდება. ყაჩაღობის დროს დაზარალებულისათვის გადაადგილების თავისუფლების ისეთი

შეზღუდვა, რომელიც საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით ყაჩაღური თავდასხმისათვის დამახასიათებელი ძალადობის ელემენტია (აქ იგულისხმება გაკოჭვა-რ. კ.), დამატებით კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით აღარ საჭიროებს.

ჯანმრთელობისათვის საშიშია ძალადობა, რომელმაც ჯანმრთელობა რეალურად დააზიანა (სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის თუნდაც ხანმოკლე მოშლით) ანდა, რასაც, მართალია, არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მოშლა, მაგრამ განხორციელების პროცესში შექმნა რეალური შესაძლებლობა ჯანმრთელობის დაზიანებისათვის.

სიცოცხლისათვის საშიშია ძალადობა, თუ მან შექმნა სიკვდილის დადგომის საფრთხე ან ობიექტურად შესაძლებელი გახადა ასეთი შედეგი, ამდენად სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა ყოველთვის არ გულისხმობს სხეულის მძიმე დაზიანებას ან რაიმე სხვა რეალურ შედეგს.

ყაჩაღური თავდასხმის დროს განხორციელებული სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა მხოლოდ ყაჩაღობით იმ შემთხვევაში დაკვალიფიცირდება, როცა ძალადობას სიკვდილი არ მოჰყოლია და ასეთი შესაძლებელი შედეგის მიმართ არაპირდაპირი განზრახვა არსებობდა.

თუ ყაჩაღობისას სასიკვდილო შედეგი დადგა, ანდა, როცა, მართალია, დაზარალებული არ მომკვდარა, მაგრამ დამნაშავეს ძალადობის განხორციელების დროს არა მარტო შეგნებული ჰქონდა სიკვდილის დადგომის შესაძლებლობა, არამედ სურდა კიდეც ასეთი შედეგი, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის შესაბამისი მუხლებით.

რაც შეეხება სხეულის მსუბუქ დაზიანებას, (რომელიც მიყენებულია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების გარეშე) და რომელსაც არ გამოუწვევია ჯანმრთელობის შერყევა და რომელსაც არ მოჰყოლია შრომისუნარიანობის უმნიშვნელო დაკარგვაც კი, მაშინ მათი მიყენება ან მუქარა მსგავსი ქმედებისა ნივთის დაუფლების მიზნით თა-

ვდასხმისას, არ ქმნის ყაჩაღობის შემადგენლობას, რადგან ეს სახე ძალადობისა არ წარმოქმნის საშიშროებას დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის და ამიტომ შეადგენს ძალადობრივი ძარცვის ნიშანს.

7. ყაჩაღობის სუბიექტური შემადგენლობის კვლევისას დადგინდა, რომ, ყაჩაღობის სუბიექტურ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს თავდამსხმელის ფსიქიკური დამოკიდებულება მისი ქმედებისა და შესაძლო შედეგის მიმართ.

ყაჩაღობის დროს განზრახვა მხოლოდ პირდაპირია. ამ დროს ნება მიმართულია მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ. იგი, არა მარტო ითვალისწინებს, არამედ სურს კიდეც ასეთი შედეგის დადგომა. ამ შედეგის განხორციელება პირის მიზანს წარმოადგენს.

განზრახვის კვლევისას ჩამოყალიბდა შემდეგი დასკვნები:

ა). განზრახვა ბრალის ფორმას აღარ წარმოადგენს;

ბ). ბრალი არის შეფასებითი კატეგორია;

გ). განზრახვა შეფასების ელემენტს არ უნდა შეიცავდეს.

ამიტომ პირდაპირი განზრახვით ჩადენილად უნდა ჩავთვალოთ ქმედება, მაშინ, როცა პირი ქმედების ჩადენისას ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვლობას.

ყაჩაღობის სუბიექტური მხარის ფაკულტატიური (ისეთი) ელემენტების შესწავლისას, როგორიცაა: ყაჩაღობის ჩადენის მოტივი და მიზანი გაირკვა, რომ ყაჩაღობისას თავდასხმის მიზანი ნივთის მისაკუთრებაა, ხოლო ნივთის მისაკუთრების მიზნით თავდასხმის ანუ ყაჩაღობის მიზანი შეიძლება იყოს პირადი გამდიდრება, შურისძიება, ანგარება და ა.შ., ხოლო მოტივი შეიძლება იყოს მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და სხვა.

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი ნიშნავს იმას, რომ პირს აქვს მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ნივთის თავის საკუთრებად გადაქცევის მიზანი. ე. ი. მას სურს მოიპოვოს ნივთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის კანონიერი უფლება. ფაქტიურად თავდამსხმელს უნდა, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას კანონიერი სახე მისცეს, რაც თავის მხრივ გულისხმობს ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანსაც.

8. დანაშაულთა ერთობლიობის საკითხის კვლევისას დადგინდა:

ა). თუ ჩადენილია ზოგადი და სპეციალური ნორმებით გათვალისწინებული ყაჩაღობა, მაშინ დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და თავდამსხმელს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური მუხლით. მაგალითად, თუ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი I და II ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს და პროცესუალურ დოკუმენტებში ქმედება უნდა ჩაიწეროს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი II ნაწილით.

ბ). ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირის მიერ ყაჩაღობის ჩადენისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლს დაემატება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

გ). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი არ ითვალისწინებს ისეთი იარაღის შეძენასა და ტარებას, როგორიცაა გლუვლულიანი სანადირო თოფი, ამიტომ, ზემო ხსენებული იარაღის გამოყენების შემთხვევაში არ გვექნება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის გამოყენების საფუძველი. ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით.

დ). იარაღის ტარება და იარაღის გამოყენება არ არის იდენტური ცნებები.

ე). ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების მქონე პირის მიერ ყაჩაღობის ჩადენის შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის გამოყენება არ შეიძლება. ქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი.

ვ). კანონმდებელი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებას ყაჩაღობისას განსაკუთრებულად არ სჯის.

9. ყაჩაღობისას ჯანმრთელობის დაზიანების კვალიფიკაციის კვლევისას გაირკვა:

ა). ყაჩაღობის დისპოზიციაში მითითებული ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენება ყოველთვის არ იწვევს სხეულის მსუბუქ, ნაკლებად მძიმე და მძიმე

დაზიანებას, რადგან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა არის მოქმედება, ხოლო სხეულის (ჯანმრთელობის) მძიმე დაზიანება კი მოქმედების (ძალადობის) შედეგი.

ბ). სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება არ არის იდენტური ცნებები.

გ). ყაჩაღობის დისპოზიცია კვალიფიკაციისათვის არ მოითხოვს ჯანმრთელობის დაზიანების, როგორც მატერიალური შედეგის არსებობას, აქ მხოლოდ საუბარია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტების მსგავს ნიშნებზე.

დ). თუ ყაჩაღობის დროს ადგილი ექნება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, მაშინ ყაჩაღობასთან ერთად გვექნება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილებითა და პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა.

ე). თუ პირმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმისას, დაზარალებულს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, განზრახ ნაკლებად მძიმე ან განზრახ მსუბუქი დაზიანება, პირის ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით.

ვ). თუ სხეულის დაზიანებას სიკვდილი მოჰყვა მაშინ ყაჩაღობას დაემატება შესაბამისი მუხლი (სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისი ნაწილებით. მაგ:, თუ პირს ჰქონდა მიზანი ყაჩაღობის ჩადენის და ამ დროს ძალადობის გამოყენებით დაზიანება მიაყენა დაზარალებულს, მაგრამ შემდგომ სიტუაცია ისე განვითარდა, რომ დაზიანება სიკვდილში გადაიზარდა. ყაჩაღობასთან ერთად სახეზე იქნება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული(ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით).

ზ). ძარცვისას გამოყენებულმა ძალადობამ არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე დაზიანება.

თ). ნივთის დაუფლების მიზნით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების გარეშე სხეულის მსუბუქი დაზიანება, რომელსაც არ გამოუწვევია ჯანმრთელო-

ბის შერყევა და არ მოჰყოლია შრომისუნარიანობის უმნიშვნელო დაკარგვაც კი, ქმნის ძალადობრივი ძარცვის ნიშნებს. ამდენად, მსუბუქი დაზიანება შეიძლება ჩაითვალოს ძალადობრივი ძარცვის ნიშნად.

10. ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია

ა). დამნაშავე ეუფლება სხვის ქონებას, მაგრამ თუ მკვლელს მკვლელობამდე ან მკვლელობის პორცესში არ ჰქონია მსხვერპლის ქონების დაუფლების მიზანი. მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება მკვლელობისა და ქურდობის რეალური ერთობლიობთ.

ბ). ანგარებითი მკვლელობა ნიშნავს იმას, რომ პირს ქონების დაუფლების მიზანი მკვლელობამდე აღმოუცენდება და სწორედ მკვლელობა ხდება მიზნის მიღწევის საშუალება.

გ). ქმედების ანგარებით მკვლელობად დაკვალიფიცირებისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირმა მიაღწია თუ არა მიზანს (ნივთის დაუფლება), რისთვისაც ჩაიდინა დანაშაული (მკვლელობა). მთავარია, დადგინდეს, რომ მკვლელობა ჩადენილია რაიმე მატერიალური გამორჩენის მიზნით.

დ). იურიდიულ ლიტერატურაში სადავოდ ითვლება, ყაჩაღობის დროს ჩადენილი მკვლელობა, მოიცავს თუ არა ანგარებით მკვლელობის ნიშნებს ან პირიქით.

თუ თავდასხმას (ყაჩაღურ თავდასხმაში ჩვენ ვგულისხმობთ უეცრად, მოულოდნელად უშუალოდ წაყენებულ მოთხოვნას ქონების (ნივთის) დაუყონებლივ გადაცემის შესახებ) წინ უსწრებდა მკვლელობა, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ყაჩაღობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ე). ანგარებით მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს, როგორც ღიად ისე ფარულად (მაგ:, ტყვიის სროლა სამალავიდან, მოწამვლა და სხვა), ხოლო ყაჩაღობა ყოველთვის აშკარად განხორციელებულ თავდასხმაში გამოიხატება.

ვ). მთვრალ მდგომარეობაში მყოფი პირის (რომელსაც არა აქვს უნარი აღიქვას მასზე განხორციელებული თავდასხმის შინაარსი) მკვლელობა მისი ქონების უმალვე დაუფლების მიზნით, მოიცავს არა ყაჩაღობის, არამედ ანგარებითი მკვლელობის ნიშნებს.

ზ). იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია, რომ ანგარები-

თი მკვლელობის დროს თვით ქმედებამ უნდა ამოწუროს მიზანი. კვლევამ გვიჩვენა, რომ არის მკვლელობის ისეთი შემადგენლობები, როცა, მართალია, მკვლელობა ანუ სიკვდილის დადგომა ვერ ხდის პირს ქონების მფლობელად, მაგრამ ის მაინც უნდა განვიხილოთ, როგორც ანგარებით ჩადენილი მკვლელობა, რადგან ანგარება – ეს ქონების დაუფლების მიზანია და არ გამორიცხავს ნივთის უმალვე დაუფლებასაც.

თ). ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობის დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ყაჩაღობა და მკვლელობა ანგარებით, რადგან თუ ყაჩაღური თავდასხმის დროს მკვლელობა ნივთის დაუფლების მიზნითაა ჩადენილი, მაშინ მკვლელობის განხილვა, როგორც ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით განხორციელებული მკვლელობისა არ შეიძლება.

ი). ყაჩაღობის შემადგენლობა არ მოიცავს ნივთის დაუფლების მიზნით დაზარალებულის განზრახ მკვლელობას.

კ). ყაჩაღობა, გაერთიანებული დაზარალებულის მკვლელობასთან, უნდა განიხილებოდეს არა როგორც ანგარებით მკვლელობა ან როგორც მხოლოდ ყაჩაღობა, არამედ, როგორც ამ დანაშაულების ერთობლიობა.

ლ). ყაჩაღური თავდასხმისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის მიმართულია მოძრავი ნივთის დაუფლებისაკენ, ანგარებით მკვლელობა შეიძლება იყოს მიმართული ე. წ. უძრავი ქონების (საცხოვრებელი სახლი, აგარაკი და სხვ.) არაკანონიერი დაუფლებისაკენ.

მ). მკვლელობასთან გაერთიანებული ყაჩაღური თავდასხმის თავისებურება, არის ის, რომ განზრახვა დაზარალებულის ქონების მითვისებისა დამნაშავეს უჩნდება თავდასხმამდე და ძალადობის გამოყენებამდე.

ნ). თუ დამნაშავეს ქონების მითვისების სურვილი გაუჩნდა მკვლელობის ჩადენის შემდეგ, მაშინ ყაჩაღობის შემადგენლობა ასეთ ქმედებაში არ არის.

11. ყაჩაღური თავდასხმის გზით განსაკუთრებული ღირებულების ნივთების დაუფლების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს შემდეგი სახით:

ა). განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეც-

ნიერული ან ეროვნული ღირებულების მოძრავი ნივთის ან დოკუმენტის ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლების შემთხვევაში ამ ნივთებზე უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევებში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით და 183-ე მუხლის მცდელობით.

ბ). თუ ნივთი იქნა გატაცებული, მაშინ კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე და 183-ე მუხლების ერთობლიობით.

გ). სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილს, ჩვენი აზრით, უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ" პუნქტი. ყაჩაღობა ჩადენილი: „განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების მოძრავი ნივთის ან დოკუმენტის დაუფლების მიზნით."

12. ყაჩაღობის მომზადება - ჩადენის მცდელობის პრობლემის კვლევისას გაირკვა, რომ ახალმა კოდექსმა მცდელობის ცნება ჩამოაყალიბა განსხვავებულად და მისგან ამოიღო შემდეგი წინადადება „დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო" ამ შემთხვევაში კი დანაშაულის მცდელობად ითვლება ქმედება იმის მიუხედავად დამნაშავემ თვითონ შეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება თუ ქმედების შეწყვეტა მოხდა მისი ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აქედან გამომდინარე, თუ კი დამნაშავე თვითონ საკუთარი ნებით აიღებს ხელს დანაშაულის ჩადენისაგან ის მაინც ითვლება მცდელობად, რადგან ქმედების შეწყვეტა მოხდა მცდელობის სტადიაზე.

ზოგიერთ ქართველ მეცნიერს მიაჩნია, რომ არსებობს დაუმთავრებელი დანაშაულის სამი სახე: დანაშაულის მომზადება, დანაშაულის მცდელობა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკითხის ასე დასმა არასწორია და ეს გამოწვეულია სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მუხლის უადგილო ადგილას განთავსებით, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის VI თავს, სადაც სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლია განთავსებული ჰქვია დაუმთავრებელი დანაშაული და სწორედ ამიტომ მიაჩნიათ ის დანაშაულის ერთ-ერთ სტადიად.

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის შინაარსი უნდა იქნეს გადატანილი სისხლის სამართლის კოდექსის XIII თავში, სადაც საუბარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებზე.

ყაჩაღობას, როგორც ფორმალური შემადგენლობის დანაშაულს არა აქვს მცდელობა, იგი შეიძლება მზადებით დაიწყოს და ყოველგვარი მცდელობის გარეშე პირდაპირ დამთავრებულ დანაშაულად იქცეს.

13. ყაჩაღობის ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის პრობლემა.

იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა ნაწილი თანამონაწილეობისას ერთიანი ბრალის არსებობას ასაბუთებს, რომელიც, ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში დაშვებული შეცდომის შედეგია, რადგან მასში განზრახვა ბრალის ფორმადაა აღიარებული. მაგრამ თუკი ჩვენ საკითხს სწორად განვიხილავთ და სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის დისპოზიციაში შესწორებას შევიტანთ, მაშინ სწორად და საინტერესოდ გადავჭრით თანამონაწილეობისას თანაბრალეულობის შეუძლებლობის შემთხვევას.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.“ ამ მუხლიდანაც ნათლად ჩანს, რომ საქმე გვაქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთიანი უმართლობის ჩადენის გამო თითოეული პირისადმი საკუთარი ბრალის ფარგლებში.

14. ამსრულებელი (თანაამსრულებელი), შუალობითი ამსრულებელი. თანამონაწილეობით ჩადენილ ყაჩაღობაში ამსრულებელი ძირითად სუბიექტს წარმოადგენს და მასზეა დამოკიდებული დანაშაულის შემადგენლობის შესრულება.

თანამონაწილეობის საკითხის გადაჭრა დიდ სირთულეს შეიცავს რთული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში; ხშირია შემთხვევები, როდესაც დანაშაული რამდენიმე ნაწილისაგან შედ-

გება. დავსძენდით იმასაც, რომ ორი მოქმედების ერთობლივად განხილვას დამნაშავეების საერთო განზრახვა უნდა ედოს საფუძვლად. ვინაიდან, ორი პირის მიერ დანაშაულის ჩადენისას, თუ ერთი ახორციელებს მხოლოდ პირველ ნაწილს და მეორე მეორე ნაწილს პირველთან შეთანხმებით. ამასთან პირველის მოქმედება არ მოიცავდა მეორის განზრახვას, მაშინ ამ უკანასკნელის მოქმედება უნდა განვიხილოთ თანამონაწილეობად მეორე ნაწილში და არა პირველში.

შუალობითი ამსრულებლის არსებობის შემთხვევაში დანაშაულის ფიზიკური შემსრულებელი ფაქტიურად არ სჩადის დანაშაულს, იგი მხოლოდ იარაღია სხვის ხელში, ვისი მოქმედებაც მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან და ამდენად, იგი წარმოადგენს კიდევაც დანაშაულის შუალობით ამსრულებელს.

თუ უშუალო ამსრულებელი მოქმედებს ბრალის გარეშე და სხვა პირის ნაქეზებით ის ჩაიდენს დანაშაულს, ამ შემთხვევაში წამქეზებელი გამოდის, როგორც დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი. ობიექტური მხრივ შუალობითი ამსრულებლობა უმრავლეს შემთხვევაში გამოიხატება ისეთი პირის ნაქეზებაში, რომელიც შერაცხვის უუნაროა, მოქმედებს იძულებით ან შეცდომით და სხვა.

გამორიცხულია გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობა და ამავე დროს, განზრახ თანამონაწილეობა გაუფრთხილებლობით დანაშაულში. თუ ორი ან მეტი პირი განზრახ ერთობლივად მონაწილეობენ დანაშაულის ჩადენაში ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაული, რომლის ჩადენასაც თანამონაწილეები ცდილობდნენ არის განზრახი, ვინაიდან, გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენა განზრახ ერთობლივი მონაწილეობით შეუძლებელია.

თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ თანამონაწილეობა გულისხმობს დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე პირის ერთიანობას. ეს ერთი-ანობა შეეხება დანაშაულის, როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ შემადგენლობას.

15. ორგანიზატორი.

კანონის მიხედვით ორგანიზატორად ჩაითვლება ის, ვინც მოაწყობს ყაჩაღობის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მას. მან შეი-

ძლება შექმნას დანაშაულებრივი ჯგუფი, შეიძლება მოამზადოს ყაჩაღობა ან ხელმძღვანელობდეს ყაჩაღობის ჩადენას მისი აღსრულების მომენტში. მან შეიძლება შეასრულოს წამქეზებლისა და დამხმარის ფუნქციებიც, მაგრამ მთავარი მის საქმიანოში არის ის, რომ იგი აერთიანებს სხვა თანამონაწილეთა ძალღონეს და წარმართავს მათ დანაშაულებრივ საქმიანობას.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით. ასეთი მოსაზრება არ მიგვაჩნია სწორად, რადგან თანამონაწილეთა მოქმედებას ერთიანი განზრახვა უდევს საფუძვლად, ამიტომ თანამონაწილეთა შორის ერთიანი განზრახვის არსებობის შემთხვევაში შეუძლებელია მათ შორის განზრახვის სხვადასხვა ფორმის არსებობა.

16. წამქეზებელი.

წაქეზება გვაქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე თავისი მოქმედებით ცდილობს აღძრას სხვა პირში ყაჩაღობის ჩადენის გადაწყვეტილება, თანაც წამქეზებლის განზრახვა უნდა მოიცავდეს იმ კონკრეტულ დანაშაულს, რომლის განხორციელებაც მას სურს და რომლის ჩადენაზეც ამსრულებელს იყოლიებს, იგი შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

წაქეზების ობიექტური მხარე გამოიხატება იმაში, რომ წამქეზებელი ამსრულებელს აღუძრავს ყაჩაღობის ჩადენის სურვილს, რასაც იგი შემდგომ ახორციელებს.

ფსიქიკურ დახმარებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ამსრულებელს მიღებული აქვს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და დამხმარე მას ეხმარება იმაში, თუ როგორ უნდა აიცილოს პასუხისმგებლობა, ან როგორ გაიადვილოს ყაჩაღობის ჩადენა და სხვა. რაც შეეხება წაქეზებას, ამ შემთხვევაში წამქეზებელი არა თუ ეხმარება მიზნის განხორციელებაში, რჩევა-დარიგებით, არამედ თვითონ აღუძრავს დანაშაულის ჩადენის სურვილს და თვითონ მიაღებინებს გადაწყვეტილებასაც.

წაქეზება შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

17. დამხმარე.

დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო ყაჩაღობის ჩადენას. დანაშაულში თანამონაწილეობა გულისხმობს მონაწილეთა თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე ურთიერთშეთანხმებით

მათ მიერ ერთიანი განზრახვით ქმედების ჩადენას. ურთიერთშეთანხმება კი გამორიცხავს ერთ-ერთი მონაწილის მიერ თანხმობის არ არსებობას, თუმცა არის გამონაკლისიც. იურიდიულ ლიტერატურაში, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ თანამონაწილეობისას შეთანხმება შეიძლება ყოფილიყო ცალმხრივი. თუკი ჩვენ დაუშვებთ იმას, რომ თანამონაწილეობისას ადგილი აქვს თანამონაწილეთა შორის შეთანხმების არსებობას, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ შეთანხმება იგივე გარიგებაა, რაც გულისხმობს ორმხრივი ნების გამოხატვას, რადგან ნებისმიერ საკითხზე ერთიანი განზრახვის არსებობა და მისი მიღწევის მიზნით გარკვეულ ქმედებათა განხორციელება გულისხმობს შეთანხმების, გარიგების მომენტს, რაც გარკვეული სახის შედეგის მიღწევისკენაა მიმართული.

თუკი ჩვენ დაუშვებთ ცალმხრივად შეთანხმების შესაძლებლობას, მაშინ ჩვენ უეჭველად უნდა ვაღიაროთ დამხმარის მიერ ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის შესაძლებლობა, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია.

თუ პირი იარაღს დებს იმ მიზნით, რათა იცის, რომ პირი აპირებს ადამიანის მოკვლას და სურს კიდეც მაშინ ადგილი ექნება დახმარებას მკვლელობაში. ხოლო თუ შემთხვევით დატოვა და პირმა მოკლა სხვა პირი, მაშინ ადგილი ექნება იარაღის დაუდევრად შენახვას და ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლით.

თუ წინასწარ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია და მეორე პირი შემთხვევით აღმოჩნდა დანაშაულის ჩადენის ადგილას მას შემდეგ, როდესაც ძალადობის აქტი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ნივთის გატაცების დამთავრებამდე, და მან ხელი შეუწყო ამსრულებელს გატაცების აქტის განხორციელებაში, იგი დაისჯება იმ დანაშაულისათვის, რის შესრულებასაც მან ხელი შეუწყო.

თუ პირი წინასწარი შეთანხმების გარეშე დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულის გზით ნაპოვნ საგნებს, იგი დაისჯება არა სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, არამედ დანაშაულის დაფარვისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით. ე. ი. იმისათვის, რომ პირის ქმედება ჩაითვალოს

დახმარებად, აუცილებელია არსებობდეს წინასწარი შეთანხმება ამსრულებელსა და დამხმარეს შორის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

იმ შემთხვევაში, როცა სხვა თანამონაწილეების განზრახვის საწინააღმდეგოდ ამსრულებელმა ნებაყოფლობით ხელი აიღო, არც კი დაიწყო მისი შესრულება, ეს პირი უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან არ ჩაიდინა და ამით უზრუნველყო დანაშაულებრივი შედეგის აცილება. ასეთ გადაწყვეტილებას მოითხოვს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი. რაც შეეხება სხვა თანამონაწილეებს, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, მათ პასუხი უნდა აგონ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მათ მიერ განზრახული ყაჩაღობისათვის, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლზე მითითებით, თუ ამსრულებელმა უარი განაცხადა ყაჩაღობის ჩადენაზე და არ შეუდგა მის შესრულებას, არ დაიწყო იგი, თანამონაწილეები, ამსრულებლის გარდა პასუხს აგებენ მათ მიერ განზრახულ დანაშაულის მზადებისათვის, ხოლო თუ ამსრულებელმა დაიწყო დანაშაულებრივი ხელყოფის შესრულება, რითაც დაამთავრა ყაჩაღობა, რასაც მოიცავდა თანამონაწილეთა განზრახვა, რომლებიც ნივთის დაუფლებას მოელოდნენ, პასუხი უნდა აგონ იმ ყაჩაღობაში თანამონაწილეობისათვის, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა.

18. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი.

ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დანაშაულის მეორე ნიშანს წარმოადგენს ქმედების მართლწინააღმდეგობა. ამავე კოდექსში არ არის გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის პოზიტიური გაგება, ამის გამო მართლწინააღმდეგობის დადგენა ხდება ნეგატიურად.

ყაჩაღობის ჩადენისას ყურადღება უნდა მიექცეს ჩადენილი უმართლობის ხარისხს, რომელიც განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის ზოგადი და სპეციალური ნორმებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის რაოდენობითა და მათი შინაარსითაც.

ბრალის ხარისხის ზრდა დამოკიდებულია უმართლობის ხარისხის ზრდასთან, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბრალის ხარისხი შეიძლება მეტი იყოს და უმართლობის ხარისხი იგივე.

ყაჩაღობა იურიდიულად დამთავრებულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, გაგრძელდეს პირის მიმართ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, რომლისგანაც დაცვის გარანტიებს იძლევა სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი. აქედან გამომდინარე, დაზარალებულს უფლება აქვს აუცილებელი მოგერიებისა, თუკი მის მიმართ არსებობს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის საფრთხე. ამ შემთხვევაში ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება, მაგრამ არსებობს ამ ხალხის მიმართ ძალადობის მუქარის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა, ამიტომ სანამ თავიდან არ იქნება აცილებული საფრთხე, მანამ დაზარალებულს აქვს იურიდიული უფლება თავის დაცვისა და ხელმყოფის მოგერიების.

დაზარალებულს უფლება აქვს ასევე ნივთის დაბრუნების მიზნით დააზიანოს ხელმყოფი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დანაშაულის მესამე ნიშანს წარმოადგენს ბრალი. ამავე კოდექსში ბრალის დადგენა ხდება ნეგატიურად. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ბრალად შეერაცხება პირს თუ არ არსებობს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.

თუ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ეს იქნება ბრალის სრულად შერაცხვის საფუძველი, მაგრამ თუ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე, მესამე ან მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, მაშინ გვექნება ბრალის გაძლიერებულად შერაცხვის საფუძველი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა სახელმძღვანელო წინადადებანი და რეკომენდაციები, რომელთა მიხედვით, თუ ქმედება მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის რამდენიმე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, უნდა დაკვალიფიცირდეს და

სასჯელი განისაზღვროს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით. მიგვაჩნია, რომ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში, ქმედების კვალიფიკაცია და სასჯელის დანიშვნა უნდა მოხდეს პირის მიერ ჩადენილი ქმედებების ერთობლიობით, რომელიც მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის რამდენიმე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს.

მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალად არ შეერაცხება პირს თუ მას არ შესრულებია თოთხმეტი წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყაჩაღობისათვის სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს პასუხისმგებლობას 14 წლის ასაკიდან.

არასრულწლოვნება წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებულ გარემოებას და წარმოადგენს შემცირებული შერაცხვის საფუძველს, ხოლო მცირეწლოვნება კი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას და ის არ არის სუბიექტის ნიშანი.

იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა ნაწილს ასაკი სუბიექტის ნიშნად მიაჩნია, აღნიშნული დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში იმის მითითებით, რომ "დანაშაულის სუბიექტია 14 წელს მიღწეული და შერაცხადი პირი" აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ შერაცხადობა უკვე ნიშნავს პირის მიერ კოდექსით გათვალისწინებული ასაკის მიღწევას. ამდენად შერაცხადობასთან ერთად ასაკის მითითება ზედმეტია. მაგრამ ასაკის მიღწევა ყოველთვის არ ნიშნავს პირის შერაცხადობას, რადგან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ქმედების ბრალად შერაცხვას გამორიცხავს.

დანაშაულს ყოველთვის ჰყავს სუბიექტი, რადგან ის ჩადენილია ადამიანის მიერ, ხოლო ამ ადამიანს დაეკისრება თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია მის შერაცხვაუნარიანობაზე.

ასაკი ბრალის ნიშანს წარმოადგენს შესაბამისი ასაკის დროს შერაცხადობის დადგენა სასამართლოს პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ კანონმდებელმა ასაკი თვითონ განსაზღვრა, ამიტომ ხშირად სისხლისსამართლებრივი დევნა არ

იწყება, ხოლო თუ დაწყებულია უნდა შეწყდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" პუნქტით გათვალისწინებული წესის საფუძველზე და ამის პრეროგატივა გააჩნია პროკურორს.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა პირი იმყოფება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, მიუხედავად ამისა ის არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ასეთ შემთხვევას კანონი ითვალისწინებს და სასჯელის დანიშვნისას იღებს მხედველობაში. ეს გარემოება შეიძლება გახდეს სასჯელის შემსუბუქების საფუძველი. მაგრამ თუკი საკითხი ეხება არასრულწლოვანს, რომელიც იმყოფება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში სასამართლოს უფლება აქვს ის გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ეს გაპირობებულია იმით, რომ ფაქტიურად არასრულწლოვნობა შეზღუდული შერაცხვის საფუძველია, ამას ემატება ფსიქიკური დაავადება, რის გამოც სრულად ვერ აცნობიერებს თავისი ქმედების ფაქტობრივ ხასიათს ან მართლწინააღმდეგობას და ა.შ. რამაც შეიძლება ფაქტიურად გამორიცხოს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

19. დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშნების შესწავლისას გაირკვა, რომ მათი დაყოფა შესაძლებელია ორ ჯგუფად: ძირითად ანუ (ზოგადი შემადგენლობა) და დამატებით (სპეციალური შემადგენლობა) მაკვალიფიცირებელ ნიშნებად.

ა). ზოგადი შემადგენლობა მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაში ანუ ზოგად ნორმაში, რომელიც აღწერს ან ასახელებს დანაშაულებრივ ქმედებას ან მიუთითებს კანონზე, ნორმატიულ აქტზე, რომელიც იძლევა ქმედების აღწერილობას.

ბ). სპეციალური შემადგენლობა დამატებითი მაკვალიფიცირებელი ნიშნების სახით გადანაწილებულია მუხლის სხვა ნაწილებში ანუ სპეციალურ ნორმებში და მათი გამოყენება ხდება, მაშინ, როცა პირველ ნაწილში მოცემული დისპოზიცია არასაკმარისად აღწერს ქმედებას.

ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში, უკანონოდ შეღწევა, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშანი გულისხმობს იმას, რომ პიროვნება იქ უნდა შევიდეს კარიდან, ფანჯრიდან ან უარეს შემთხვევაში, კედელი შეანგრიოს. პირმა ბინაში, ოთახსა თუ საცავში შიგნით უნდა შეაღწიოს, ან შეიძლება არ შევიდეს, მაგრამ რაიმე საშუალებით (მაგ:, ჯოხით) ფანჯრიდან მოახერხოს და ნივთი ან ნივთები გარეთ გამოიტანოს.

ფანჯრიდან შეღწევას, ჯოხითა და სხვა საშუალებით, ადგილი უმრავლეს შემთხვევაში აქვს ქურდობის დროს, ხოლო ყაჩაღობის შემთხვევაში პირი ან პირთა ჯგუფი პირადად უნდა შევიდეს შიგნით და განახორციელოს თავდასხმა.

თუ ყაჩაღობა ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, არ არის აუცილებელი, რომ ყველა თანაამსრულებელი შევიდეს ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში. საკმარისია, რომ მათგან თუნდაც ერთი შევიდეს შიგნით და ეს ფაქტი სხვა თანამონაწილეთა განზრახვითაც იყოს მოცული, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ამსრულებლის ექსცესი.

თუ ყაჩაღობისას ნივთის დაუფლების მიზანი პირს ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში ყოფნისას წარმოეშვა, ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი არ გამოიყენება.

ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის კვალიფიკაციისას მნიშვნელოვანია რამდენიმე გარემოების გათვალისწინება: ა). თუ ყაჩაღობა ჩადენილია ორი პირის მიერ, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია შერაცხადი, მაშინ შეუძლებელია ამ უკანასკნელმა პასუხი აგოს ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენისათვის, რადგან ასეთია სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მოთხოვნა.

ბ). თუ პირს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის პერიოდში ან მის შემდეგ დადგინდა სხვა მონაწილეთა ვინაობა, რითაც გამოიკვეთა, რომ მან ჯგუფთან ერთად ჩაიდინა დანაშაული და ამასთან დაკავებულები არიან ისინიც, მაშინ უნდა მოხდეს განაჩენის გადასინჯვა განაჩენის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების მიზნით ახლადაღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე. ახლადაღმოჩენილ გარემოებად უნდა ჩაითვალოს სხვა თანამონაწილეთა დადგენა და დაკავება, რომელიც სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდე-

ბულის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენად. ასეთ დროს, მას შემდეგ, რაც გაირკვევა ამ პირთა მონაწილეობა ჩადენილ დანაშაულში და მათი ბრალეულობა მსჯავრდებულს უნდა დაუმძიმდეს სასჯელი. თუ პირი მიცემულია პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" პუნქტით, მაგრამ შემდგომ გამოვლინდა, რომ მას დანაშაული ჩადენილი ჰქონია შეურაცხად პირებთან ერთად (თუ ზემოთ მითითებულ წესს დავიცავთ ასეთი შემთხვევა გამორიცხულია). ამ შემთხვევაშიც უნდა გადაისინჯოს განაჩენი და უნდა მოხდეს მისი ქმედების გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის I ნაწილზე, ხოლო თუ მას მოხდილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი, მაშინ ამ ნაწილში ის უნდა გამართლდეს და მის მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა ეცნოთ უკანონოდ. ამდენად, მას უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუ დადგენილი არ არის იმ პირთა ვინაობა და მათი შერაცხადობის საკითხი, მაშინ კვალიფიკაციისას არ უნდა იქნეს გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დამატებითი ნაწილები.

ყაჩაღობა ჩადენილი, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილი "გ" პუნქტის კოსტრუქცია უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ყაჩაღობა ჩადენილი, სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით."

ყაჩაღობის არაერთგზის ჩადენის საკითხის კვლევისას გაირკვა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, ყაჩაღობის ჩადენა არაერთგზისად, ნიშნავს ნასამართლევი პირის მიერ მის ჩადენას მინიმუმ ერთჯერ მაინც, გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულია ერთგვაროვანი დანაშაულების ჩადენისას არაერთგზისობის საკითხის გადაწყვეტის სხვა გზაც. შენიშვნის მიხედვით თუ პირს ჩადენილი აქვს ყაჩაღობა, მაშინ მისი ქმედება არაერთგზისად დაკვალიფიცირდება თუ მას წინათ ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 177-186-ე, 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანა-

შაული. ამ შემთხვევაშიც არის აუცილებელი ამ მუხლების ჩადენისათვის პირი იყოს ნასამართლევი.

ამ ცვლილების თანახმად, თუ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევი პირი ჩაიდენს ყაჩაღობას მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ პუნქტით და ამ პუნქტს არ დაემატება კიდევ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „ა“ პუნქტი (ყაჩაღობა ჩადენილი არაერთგზის), ვინაიდან, კანონის კონსტრუქციიდან გამომდინარე დანაშაულის ჩადენა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ პუნქტით გაცილებით მეტი დატვირთვის მატარებელი სპეციალური ნორმაა, ამიტომ ეს არ იძლევა ქმედების დამატებით სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „ა“ პუნქტითაც დაკვალიფიცირების საფუძველს.

ყაჩაღობა ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით. ყაჩაღობის დროს თავდამსხმელს შეიძლება ჰქონდეს დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზანი. იგი წაიღებს თუ არა დიდ ოდენობას ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ე. ი. პროცესუალური მოქმედებით უნდა დადგინდეს ნივთის დიდი ოდენობით მისაკუთრების განზრახვა.

პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობის დროს გასარკვევია დიდი ოდენობით ნივთის მისაკუთრება ყველას განზრახვას მოიცავდა თუ არა. თუ არ მოიცავდა ყველას განზრახვას და მხოლოდ ერთმა მოითხოვა დიდი ოდენობით ნივთი, მაშინ ადგილი ექნება ამსრულებლის ექსცესს.

საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა თავში დიდ ოდენობად ითვლება, ნივთის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით.

ყაჩაღობა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული პირის ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ პუნქტით.

ის, ვინც ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევია ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობისათვის იწოდება ორჯერ ან მეტჯერ ნა-

სამართლევად სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის. ამის შემდეგ, თუ ის ჩაიდენს ყაჩაღობას, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ" პუნქტით.

20. ყაჩაღობის შემადგენლობის მსგავსი დელიქტები ბანდიტიზმი, ძარცვა და გამოძალვა.

ბანდის ყველა წევრს თუ არა, ერთს მაინც უნდა ჰქონდეს იარაღი ანუ ბანდა უნდა იყოს შეიარაღებული. ასევე ბანდა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

ა). მონაწილეთა რაოდენობა, ბანდა შედგება ორი ან მეტი წევრისაგან;

ბ). ბანდის წევრების ერთმანეთთან კავშირის სიმყარე. იგი შეკრულია დიდი ხნის განმავლობაში. შესაძლებელია არ იყოს დიდი ხნის წინ შეკრული.

ჯგუფური დანაშაულების საშიშროება მეტად მაღალია და შესაბამისად კოდექსში მაკვალიფიცირებელ გარემოებად არის დასახელებული.

ბანდასა და ორგანიზებულ ჯგუფს შორის დიდი განსხვავება არაა, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ყაჩაღობის ჩადენისათვის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობა რადიკალურად განსხვავდება ბანდიტიზმისაგან.

მეორე, ორგანიზებული ჯგუფის შექმნა ნივთის მისაკუთრების მიზნით, არის ყაჩაღობის მომზადება, ხოლო ბანდის შექმნა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით არის ბანდიტიზმი.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბანდას შეიძლება ქონდეს ორგანიზებულობის ნიშანი, ანუ ის იყოს გარკვეული დარგის სპეციალისტთა, სპეციალურად შერჩეულ დამნაშავეთა და სტრუქტურულად მართვად ადამიანთა ჯგუფი.

ის უბრალოდ არის მყარი ჯგუფი იმ ადამიანებისა, რომლებსაც აქვთ გარკვეულ ტერიტორიაზე რამდენიმე დანაშაულის ჩადენის მიზანი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად ძარცვაა სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

ძარცვისას ნივთის აშკარად დაუფლება ნიშნავს ნივთის დაუ-

ფლებას მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირის თანდასწრებით, ამასთან აუცილებელია მძარცველს შეგნებული ჰქონდეს თავისი ქმედების აშკარა ხასიათი.

კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობს ძარცვის სამი შემთხვევა:

1). როცა პირი იტაცებს ნივთებს მესაკუთრის ან მფლობელის თანდასწრებით, მაგრამ არანაირი ფიზიკური ან სხვა სახის შეხება მასთან არა აქვს.

2). როცა პირი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სტაცებს ხელთ არსებულ საგნებს მფლობელს.

3). როცა პირი უშუალოდ ესხმის თავს დაზარალებულს და ითხოვს ნივთს. მაგრამ იყენებს ძალადობას ან ძალადობის მუქარას, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

სისხლის სამართლის კანონი იცნობს ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებს, სადაც დანაშაულის შემდგომ სტადიას დამთავრებული დანაშაული წარმოადგენს. ასეთია მაგ., გამოძალვა და ყაჩაღობა.

გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები.

გამოძალვა აშკარად წააგავს ყაჩაღობას, რადგან ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან. თავდასხმა კი გულისხმობს ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის მოთხოვნას. გამოძალვის დისპოზიციაც პირდაპირ უთითებს, რომ გამოძალვა არის სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდღულაძე თ. - დანაშაულებრივი ქცევა და პოლიმოტივაცია „საბჭოთა სამართალი" 1984 წელი, #1, გვ. 11-18.
2. გამყრელიძე ო. - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" რედაქცია, თბ., 2005;
3. გამყრელიძე ო. ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. თბ. 1998 წ
4. გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომ. „მეცნიერება", თბ., 1989;
5. გამყრელიძე ო. დანაშაულის შეალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა. გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1974
6. გამყრელიძე ო. - ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის „სახელმწიფო და სამართალი" 1990 წელი, #6, გვ. 3-14.
7. გამყრელიძე ო. - სისხლის სამართლის სრულყოფისათვის „საბჭოთა სამართალი" 1988 წელი #2 გვ. 14-20.
8. გამყრელიძე ო. - დანაშაულში თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაციის ზოგიერთი საკითხი. „საბჭოთა სამართალი" 1980 წელი #1 გვ. 25-32.
9. გამყრელიძე ო. – „დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის საკითხისათვის" კრებული „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები" 2006 წ. გვ. 15-23.
10. გელოვანი მ. - ავტოტრანსპორტის გატაცების საგანი და სუბიექტი „საბჭოთა სამართალი" 1985 წელი #3 გვ. 56-60.
11. გორდელაძე თ. სასამართლო მედიცინა. თბ. 1998 წ. გვ 192-193.
12. დონჯაშვილი თ. – საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) თბ. 2002 წ. გვ. 526.
13. ებრალიძე თ. - ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის

საკითხისათვის. კრებული "სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები". თბ. 2006 წ. გვ. 131-137.
14. კაკულია გ. ყაჩაღობა და მასთან ბრძოლა. 2002 წ. ჟურ. "სამართალი" #4. გვ. 18-21.
15. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის. თბ. 2010 წ. გვ. 255
16. კვარაცხელია რ. – ყაჩაღობასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები. ქუთაისი. 2004 წ. გვ.144.
17. კვარაცხელია რ. - ყაჩაღობასთან ბრძოლა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, თბ. 2006 წ. გვ. 200
18. კვარაცხელია რ. - განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია. თბ. 2008 წ. გვ. 100.
19. სხვისი ქონების (ნივთის) დაუფლების (გატაცების) ცნების სრულყოფისათვის. ჟურ. ინტელექტუალი №1, 2006 წ. გვ.68-74.
20. დანაშაულის კვალიფიკაციის ცნება და მნიშვნელობა. "სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული". ქუთაისი. 2003 წ. №3 გვ.71-75
21. ყაჩაღობის ობიექტი და საგანი. "თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომები" 2005წ. № III-IV გვ. 231-245.
22. საპატიმრო ვადები. 2005 წ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ჟურ. „ალმანახი" №22 გვ. 61-66.
23. განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლების სისხლის სამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაციის პრობლემები. თბ. 2008 წელი ჟურ. "ცხოვრება და კანონი" №2(4) გვ. 28-31
24. საქართველოსა და რუსეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შედარებითი ანალიზი. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომების კრებული. 2008 წ. №1 გვ. 181-191.
25. ყაჩაღობის ამსრულებლობა და თანამონაწილეობა. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომების

კრებული. 2009 წ. №2 გვ. 114-149.
26. ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დროებით გამოყენების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების სისხლისსამართლებრივი დახასიათება. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომების კრებული. 2009 წ. №2 გვ. 150-166.
27. ყაჩაღობის ისტორიული მიმოხილვა. ყაჩაღობის ცნება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. 2009 წ. №2 (6) ჟურ. "ცხოვრება და კანონი" გვ. 20-25.
28. კანონიერი ქურდობა. 2009 წ. №3 (7) ჟურ. "ცხოვრება და კანონი" გვ. 24-28.
29. განაჩენის დაუსწრებლად გამოტანისა და ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემა. ჟურ. "ცხოვრება და კანონი" 2010 წ. №1 (9) გვ. 35-40
30. შურისძიება დანაშაულის მოტივი თუ მიზანი? ჟურ. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მაცნე" თბ. 2010 წ. №2. გვ. 121-126.
31. ყაჩაღობის მაკვალიფიცირებელი ნიშნები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. ჟურ. "ცხოვრება და კანონი" 2010 წ. №2 (10) გვ. 20-30
32. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების როლი ყაჩაღობის კვალიფიკაციისას. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომების კრებული. 2011წ. №4 გვ. 114-123
33. ქურდობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაცია. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომების კრებული. 2011წ. №4 გვ. 124-136
34. МЕСТЬ — ЦЕЛЬ ИЛИ МОТИВ?. журнал «Закон и право» №9 (сентябрь) 2011г. с.54-56
35. კვაშილავა ალ. - დანაშაულის კვალიფიკაციის თეორიული პრობლემები და სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მიმოხილვა. თბ. "იურიდიული აზრი". 2002 წ. გვ. 343.
36. კვაშილავა ალ. - საკუთრების დაცვის სისხლისსამართ-

ლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები. თბ. გამომც. "მესხეთი". 1997 წ. გვ.250.
37. კვაშილავა ალ. – სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) თბ. 2001 წ. გვ. 126.
38. კვაშილავა ალ. - სისხლის სამართლებრივი ნორმა კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს. ჟურნალი ,,სამართალი" 2002 წელი #5-6 გვ. 42-45.
39. კობახიძე კ. - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოძალვისათვის. ჟურნალი "საბჭოთა სამართალი" 1989 წ. #6 გვ. 50-56.
40. ლეკვეიშვილი მ. – სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის სრულყოფისათვის. ჟურ. "საბჭოთა სამართალი" 1988 წ. N1, გვ. 34-38
41. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ. პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბილისი 1999 წ. გვ.170
42. მამულაშვილი გ. სისხლი სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა `მერიდიანი," თბ., 2004;
43. მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ. – დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი) თბილისი 1980
44. მეტრეველი ვ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. გამომ. "მერიდიანი," თბ., 2002;
45. მიქაძე ა. - პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების ნებელობითი ბუნება საბჭოთა სისხლის სამართალში ,,საბჭოთა სამართალში" #6 1980 წელი გვ. 29-37.
46. მუმლაძე ს. - მიზეზობრივი კავშირის პრობლემა ინგლისურ და ამერიკულ დელიქტურ სამართალში. "სამართალი" 1983 წ. #9-10 გვ.71-76.
47. მჟავანაძე ზ. – სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. კომენტარები. ქუთაისი 2000 წ. გვ. 694.
48. ნაჭყებია გ. - დანაშაულის კვალიფიკაციის ორმაგი ბუ-

ნების შესახებ. ჟურ. "საბჭოთა სამართალი" 1989 წ. №4 გვ. 59-64
49. ნაჭყებია გ. _ დანაშაულის მოტივი სისხლის სამართლებრივი ჯერარსობის მიხედვით. ,,საბჭოთა სამართალი" 1981 წელი #4 გვ. 35-44.
50. ნაჭყებია გ. - პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ლოგიკური კავშირის ფსიქოლოგიური დასაბუთების პრობლემა. ,,საბჭოთა სამართალი" 1990 წელი #10 გვ. 20-29.
51. ნაჭყებია გ. - სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი. გამომცემლობა „მერიდიანი," თბ., 1998;
52. ნაჭყებია გ. - სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება. (ლექციების კურსი), თბ., 2002;
53. ნაჭყებია გ. - ბრალის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრების საკითხისათვის. ჟურნალი ,,სამართალი" 2002 წელი #5-6. გვ. 37-41.
54. ნათაძე რ., ზოგადი ფსიქოლოგია. თბ. 1956 წ.
55. ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბ. 1951წ
56. პიონტკოვსკი ა. ა. – დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. თბილისი. 1940.
57. ჟღენტი ალ. - დანაშაულის მიზეზებისა და პირობების ცნების საკითხისათვის ,,საბჭოთა სამართალი" 1981 წელი #4 გვ. 26-34.
58. ჟღენტი ალ. - განწყობა დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში ,,საბჭოთა სამართალი" 1980 წელი #1 გვ. 38-46.
59. სავანელი ბ. – სამართლის თეორია, თბ. 1997 წ.
60. სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. თბ. 2007 წ.
61. სულაქველიძე დ. - დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება "საბჭოთა სამართალი" 1985 წ. #1 გვ. 30-37.
62. სულაქველიძე დ. უგრეხელიძე მ. - ობიექტურის და სუბიექტურის თანაფარდობის შერაცხადობის ცნებაში ,,საბჭოთა სამართალი" 1984 წელი #2 გვ. 67-73.
63. სურგულაძე ლ. სისხლის სამართალი. დანაშაული. თბ. 1997 წ. გვ.412

64. სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი. ავტ. კოლექტივი, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004;
65. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2002;
66. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ცვლილებებითა და დამატებებით 1925 წლის 1 ნოემბრამდე) ტფილისი, 1925 წ.
67. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1928 წლის რედაქციით (ცვლილებებით 1935 წლის 31 დეკემბრამდე) ტფილისი, 1936 წ.
68. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი II. თბ. 1999 წ.
69. ტურავა მ. - სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. "ბონა კაუზა". 2003 წ. გვ. 178.
70. ტყეშელიაძე გ. პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის. გამომცემლობა "მეცნიერება," თბ., 1965;
71. ტყეშელიაძე გ.- რედ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ავტ. კოლექტივი, გამომ. "მერიდიანი," თბ., 2005;
72. უგრეხელიძე მ. დაუდევრობის დროს მორალური ბრალის დასაბუთებისათვის, ჟურნალი "საბჭოთა სამართალი," 1975, #1;
73. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. გამომცემლობა "აღმაშენებელი," ტომი III_IX, თბ., 1998;
74. ფურცხვანიძე ბ. _ საბჭოთა კანონმდებლობა მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. თბ. 1964 წელი გვ. 27.
75. ფურცხვანიძე ბ.. დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. თბილისი 1960.
76. ფუტკარაძე ე. უკიდურესი აუცილებლობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში. სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003;
77. ქარქაშაძე გ. _ ყაჩაღობის მიზეზების, ხელშემწყობი გა-

რემოებებისა და მისი სისხლის სამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათების ზოგიერთი პრობლემა. ჟურნალი ,,სამართალი" 2003 წელი #6-7 გვ. 49-58.
78. ქართული სამართლის საფუძვლები. თბ. 2000 წ
79. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. რედ. არნ. ჩიქობავა. თბ. 1951წ ტომი II.
80. წულაია ზ. – საქართველოს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი. ტ.I. თბ. 1996წ. გვ. 266.
81. წულაია ზ. – სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. ტ. II. თბ.2001 წ. გვ. 370
82. წულაია ზ. – სოციალისტური ქონების გატაცების ცნების საკითხისათვის "საბჭოთა სამართალი." 1976წ. #4 გვ.50-60
83. წულაია ზ. - ეკონომიკურ დანაშაულთა იურიდიული ანალიზი. თბ. 2001 წ.
84. შავგულიძე თ., სურგულაძე ლ. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988;
85. წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961;
86. წერეთელი თ., დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი. გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1966;
87. წერეთელი თ. თანამონაწილეობა დანაშაულში. გამომ. "მეცნიერება", თბ., 1965;
88. წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ. მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969;
89. ჭანტურია ლ. – უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებითი სამართლებრივი კვლევა (გერმანული სამართლის მაგალითზე). თბ. 1994 წ
90. ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია. ტფილისის 1929. II ნარკვ. II. ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემლობა.
91. Владимиров В.А. – Квалификация похищений личного имущества. М. 1974 г. стр. 208.
92. Степичев С.- Ответственность за хищение личного иму-

щества граждан . М. «Социалистическая законность». №5 1961 г. стр. 47-51
93. Болдырев Е. В., Петрунев В.П.– Вопросы квалификации разбоя в судебной практике, «Научные коментарии судебной практики за 1967 год» М. 1968.
94. Гришаев П. И., Кригер Г. А. Соучастие по уголовному праву. М., 1959;
95. Гаухман Л.Д., Борьба с насильственными посягательствами , 1969
96. Гугучиа М.Б.. Ответственность за разбой по совет-скому уголовному законодательству. Сухуми. 1958.
97. Дурманов Н.Д. Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М.,1955;
98. Ераксин В.В., Ответственность за грабеж. М.1972.
99. Ковалев М.И. Соучастие в преступлении. часть I. 1960
100. Ковалев М. И. Соучастие в преступлении, ч. 2, Свердловск, 1961;
101. Ковалев М.И.. Соучастие в преступлении. Часть II. 1962 г.
102. Кригер Г.Л., ответственность за разбой, «советская юстиция» 1962 г. №13. стр. 13-15.
103. Кригер Г.– Борьба с хишениями социалистического имущества, изд-во «Юридическая литература» 1965
104. Костров Г.. Психическое насилие при разбое и гра-беже, «Советская юстиция» 1970 г. №11. стр. 9-10
105. Комментарий к уголовному кодексу российской федераций.Под общей редакцией генерального прокурора российской федераций,професора Ю.И.Скуратова и Председателя верховного Суда российской федераций В.М.Лебедева-М,Издательская группа ИНФРА. М-НОРМА.1996г.
106. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Под общей редакцией Ю.И. Скуратова, В.М. Лебедева, изд. группа «ИНФРА. М-НОРМА», М., 1996;
107. Кузнецова Н., Кудряцев В. – Квалификация соучастия в преступлении, «Советская юстиция» 1962 г, № 19 стр. 14-17

108. Куринов Б. А., автотранспортные преступления. М. 1970
109. Макашвили В.Г. Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957;
110. Меньшагин В.Д, Вышенская З.А. Советское уголовное право. 1950
111. Наумов А.В. Уголовное право. Общая часть, изд. «Бек», М.,1996;
112. Наумов А.В. Мотиви убйства. Волгоград. 1969.
113. Никифоров Б.С. Обьект преступления. Гос. изд. юридической литературы, М., 1960;
114. .Пионтковский А.А, Меньшагин В.Д., курс советского уголовного права. Особенная часть. т.1. М. 1955.
115. Таганцев Н.С.. Лекции. 1902.
116. таганцев н.с. русское уголовное право, часть общая, том 1 (полное переиздание), изд. «Автограф» Тула 2001 с.
117. Н.Таганцев. О преступлениях против жизни по рус-скому праву. М., 1902. часть I.
118. Траинин А.Н.. Учение по соучастии. М.: 1941.
119. Церетели Т.В. Причинная связь в уголовном праве. Гос. изд. «Юридической литературы», изд. второе, исправленное и дополненное, М., 1963;
120. Церетели Т.В. Основание уголовной ответственности и пониатие преступления, «Правоведение», 1980, №8;
121. Шаргородский М. Д. Некоторые вопросы общего уче-ния о сочастии, «Правоведение», 1960, №1;
122. Уголовное право, обшая часть. Учебник. Под. ред. Н.И.Ветрова, Ю.И. Ляпунова – М.: 1997 г. стр.592
123. CRIMINAL LAW (CASES AND MATERIALS) Thied edition by George E. Dix, M. Mi-chael Sharlot. 1987.
124. RNIE FLETCHER, Brig. Gen. Norman E. Arflack, John W. Bizzack, Ph.D.- "Kentucky Criminal Law Manual" Ninth Edition
125. www.Buffalo Criminal Law Center - Criminal Law Resources on the Internet.mht
126. www.myweb.wnet.edu/jelkins/crimlaw/diminished.p.1-2.
127. www.diminishedcapacity.com/rubin John. The diminished capacity defense. September 1992, P.8
128. www.law.tsu.ge/docs/disertacia%20irakli% 20dvalidze.pdf
129. www.law.tsu.ge/docs/disertacia7.XII.06.pdf_giorgidze.pdf
130. http://www.supremecourt.ge/

131. http://www.lawyers.ge/
132. http://www.law.msu.su/
133. http://law.edu.ru/
134. http://rapidshare.de/files/14515883/sisxlis_samartlis_kode-qsi.doc.html
135. http://www.hg.org/corp.html
136. http://www.lawlibrary.ru/izdanie12104.html

რამაზ კვარაცხელია

ყაჩაღობის კვალიფიკაციის და გამოძიების პრობლემები (საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და კომენტარი) თბილისი
2014 წ.

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ:. 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

https://www.facebook.com/PublishingHouselawyersworld